


1168
2008

კვირის პალიტრა

სვ

პერსონა



ქართული
როსონის მიერ
ოქანაში
დახრობას
გადარჩენილი
იპონელი გოგონა

N44 (438)
30/X-5/XI.2008



რბი დურგლიშვილს
ახალგორში
მამაკაცისეული
სახლი წაართვეს

რა ტყვიანი გაუახლდა
მარიკა თხელიძეს

კოლორიტი



ყველა ოჯახის
სასურველი
სტუმარი და
მომღერლის
მომღერალი მამა



პაატა გულიაშვილი
მეორე ვაჟის დაბადებას
სამშობიარო ბლოკში უხვდა



ქართული ჯარის
მითი და
რეალობა
ვინ აბო პასუხი ომში
განსდილ მარცხზე

რა არის
პოტატუნა



იხ.გვ. 13

უფდიდრასი სასიძოვები


ISSN 1987 - 5029





იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

**ნათესაობა
ან მთავრდება
სიყვარული?**

ბაიბუკი საინტერესოა, რომ თანამედროვეობაში მთავრდება სიყვარული ან ნათესაობა? ეს კითხვა უკვე ხშირად ახდენს საუბარს. თანამედროვეობაში სიყვარული უკვე ნათესაობის ნაცვალს აღარ ითვლება. თანამედროვეობაში სიყვარული უკვე ნათესაობის ნაცვალს აღარ ითვლება. თანამედროვეობაში სიყვარული უკვე ნათესაობის ნაცვალს აღარ ითვლება.



**ყველაზე
ბუდი მოგონება**

**მზის
გნილები**



**„დაძინებული ქალი“
ჯიშებს ჰეგანს.**
ყოველი ახალი მიზეზი
ერთი მიზეზდელი იყვანდება.



გონიერი მითხვალე
35

**„გზის“ „თავდასხვა“ „საქართველოს
გზის“ ლიდერზე**

„დღეს ჩვენ ის ახალი ფორმა უნდა მოვიფიქროთ, რომელიც ამ სიტუაციას შეესაბამება. ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანაზე ფიქრობს, სათანამშრომლოდ ვხვდებით“.



30

საგოგონოს დასხვევა



„მე ჩემი ქვეყნის მტრებთან მინდობა ბრძოლა. თბილისის ქუჩებში ხეგიალს ან რომელიმე ოფისში გამოკეცვას, ბრძოლის ველზე სიკვდილი მიმრჩევნია. ადრეც ასე ვიყავი“.

19

■ პროპაგანდა
„სიჭყვა და საქმე“ პოლიტიკურად ანუ
ნაწილი უწილი სახეები **5**

■ ფაქტი და კომენტარი
„26-28 წლის გიჭყვამ რა იხიან პოლიტიკის?“ **6**

■ მოკლეკვარული ზონა
აფხაზები გაღაფუს მილოფივიჩის გაღს
უნიანსარამაფილეა **7**

■ მარნაილისტის როლი
რამი დარგლივიჩის ახალგორში
მამაააიანსული სახლი ნაართვანს **10**

■ სხვა
„ნუ უყილით გაფიქვანს სათამაშო იარაღს“ **12**

■ გვიგარაღოს!
პაატა გულიანვილი მორა ვაქის მამა გახდა **14**

■ თვა
✓ ქართული ჯარის მითი და რეაღრა **16**
✓ „ვენაროზ – ნებაჲ, იხეჲ „მამაღაჲ“
მინს „გაიყიღო“!.. **19**
✓ მონსან დარგლილი იარაგი და
მვიღამადარი დედის მონანიება **21**

■ ანტიღარაღოსანი **24**

■ გვიგარაღოსი
მით დანეღული აირადი გრაგლია და უხსო
სის ქვეჲ ნაჲმანი მორა მჯანი **24**

■ კოლორიტი
ნადი თბილისალი და მონადარლის
მონადარალი მამა **27**

■ ნამღვილი აგაგვი
ორი სოლი და... საგი სიღადრი! **29**



**ღადგორის საფა
ფარანა ის აჲარი**

– ასეთი ხალხისა უფრო უნდა გემინოდეს. ისინი ხომ ველურები არიან, არც ქვეყანა აქვთ, არც მეფეები ჰყავთ. გომებად ერთიანდებიან და ბელადები მართავენ...
– მეფე ჩემს ხალხსაც არ ჰყავს – ჩაურთო მუროზი.
– მეფე არ გყავთ?! – გაცვებით შეხედა შიბ.
– თათრებივით გომებად ცხოვრობთ?!
– არა – გაცვინა მუროზის – მომთაბარეები არ ვართ. სახლებსაც ვამუნებთ და ციხე-კოშკებსაც.
– მეფეთა გარეშე ქვეყანა ვერ იცხოვრებს. ეს ძველთაძველი წესია.

78

■ პრედიქცი

„გზის“ „თავდასხვა“ „საქართველოს გზის“ ლიდერზე **30**

■ იმიჯი

ბელენაგუანის საუბნელი ჩვევა **32**

■ ჯანმრთელობა

✓ როგორ მოვიქმეთ გასივარების დროს **33**

✓ რჩევები ხალხური მედიცინიდან **34**

■ ქარნალი ქარნალში

✓ სმოკრება **35**

✓ გზაენილება **51**

■ პერსონა

ქართველი ჩოხოსნის მიერ გადარჩენილი იაპონელი გოგონა **76**

■ რომანი

სვაბა კვარაცხელია. სხვისი ოსნების ქალი (გაგრძელება) **70**

■ ბიზ-პუბი **74**

■ საკითხავი ქალბატონის

✓ როგორ შევარჩიოთ ზამთრის პალტო **76**

✓ როგორი ბიზის მთავარი მომენტია? **77**

■ ისტორიული რომანი

გონა მანელიძე. დიდგორის სახე ფრანდა ის ჯვარი (გაგრძელება) **78**

■ მღვდელმსახურება

ღვთისა და მოყვანის მსახურებას შენიღბული წუთისოფალი **82**

■ თინეიჯერული პონგები

✓ აქვთ თუ არა მშობლებს გავლენა ბავშვის უფლებაზე **84**

✓ „მიყვარს, მაგრამ ვერ დავერქვებ, სიყვარულს ვერ ვთხოვ“ **86**

■ კრიმინალი

„ნარკოტიკი ჩაუღმეთ. მამისი ოსი ღაღამ!“ **88**

■ პარსკვლავები

პლანეტის უმდიდრესი სასიძოვები **93**

■ კარკი

მარადონა ეპტორ რაულ ქვერს არ სწობს **94**

■ ავტო **95**

■ სპანეორდი **96**

■ ბუსტი **97**

■ პროგნოზი **98**

როგორ მოვიქმეთ გასივარების დროს



თუ ცხვირით ვერ სუნთქავთ, ნუ მოითმენთ, მაგრამ თუ სუნთქვა შეგიძლიათ, არავითარ შემთხვევაში არ გაიკეთოთ მორიგი „გეგმური“ ჩაწვეთება. სისხლძარღვთა შემაფიწროებელი წვეთები დღეს მრავალგვარია: ნაფტიზინი, სანორინი, გლამოლინი, ტიზინი, ქსიმელინი და ა.შ.

ბელენაგუანის საუბნელი ჩვევა

„რადაც განსაკუთრებული სტრუქტურა არ მაქვს ჩამოყალიბებული. ყოველთვის მომწონდა შეგვერემანი ბიჭები, მაგრამ ბოლო დროს უპირატესობას ქერებს ვანიჭებ.“



ორი წელი და... სამი სიღღრღი!



ჩემი სიღღრღის გათვალული ვიყავი და მიგონე არ მეღღრღა შეიქმნა – თავს იმართლებდა მიმა და რეპუტაციის ასამაღლებლად უფრო გადაწყვიტა მეორე ცოლის შერთვა, თორემ ქალის სხეულზე მართლა აღარაფერში სჭირდებოდა 40ს გადაცილებულსა და „ემოციებმეუსტგებულს“.



– არა, რა ფული... მოკლედ... ის გოგო უნდა გამოიყვანო როგორმე და მაშინვე მანქანაში ჩასვა, გასაგებია? – სწრაფად ვლამპარაკობდი, რადგან დრო არ ითმენდა.

– ვინ გოგო? – გაცოცხლა თენგო.
– ნაგაგე გეუბნები. იქ სეიფა არის ჩასაფრებული, უნდა გავიცნო. ხომ გესმის, ეს რასაც ნიშნავს. მაგის ხელში ჩავარდნა...

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიას კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამომცემის კვირაში ერთხელ, სუთუბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქვავია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-65. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

26014

„სიცივა და საქმე“ პოლიციურად ახე ნაცნობი უცნობი სახეები



საკადრო ცვლილებები ჩვენს მთავრობაში ისე სწირად ხდება, რომ ძალიან გვიკვირს, თუ რა ხდება. ამჯერადაც, „მხიარული კარუსელი“ რომ უნდა დატრიალებულიყო, ამაზე ხალხი წინასწარ ლაპარაკობდა. „მხიარული კარუსელი“ ხომ იცით, რასაც ნიშნავს? — მოხსნილიც რომ კმაყოფილია და დანიშნულიც. და საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში კარუსელს დიდებიც პატარებივით უყურებენ და ცუდი კარუსელი არ არსებობს.

მართალია, ღიმილითა და საკუთარი ნებით გადამდგარი მინისტრი თუ პრემიერი მალე აქტიურ ოპოზიციის მიხედვით გადამდის ხოლმე, მაგრამ მთავარია, მშვიდად წავიდეს და მასზე უკეთესი მოვიდეს. ჩვენთან არ არსებობენ ცუდი მინისტრები, არსებობენ მხოლოდ კარგები და უკეთესები და რატომ აქამდე არაფრით დაგვადგა საშველი, მე ვერ ვხვდები და იქნებ, ახალი პრემიერ-მინისტრი მიხვდეს.

ასე რომ, შესაძლოა, უკვე ყოფილი პრემიერი მალე მეოთხე კაცად მიუჯდეს რესტორანში იმ მაგიდას, რომელთანაც მისი წინამორბედი პრემიერი იჯდა, ოპოზიციის ლიდერებთან ერთად, და მისი მომხსნელის მოხსნა მოითხოვოს; მაგრამ როგორც თვითონ გაიგონა მანამდე მოხსნილის, ისევე გაიგონებს მის მოთხოვნას მისი მოხსნის შედეგად მოსულიც — აი, ესაა ნამდვილი კარუსელი და ჯერ სად ვართ: ახალი პრემიერი რომ მინისტრთა ახალ კაბი-

გავიძახით, — ეს კაცი ვინაა-თქო?.. — და იქით თურქები, — ის კი გურჯი რატომ აღარ ჩანსო?!

სხვათა შორის, ეს მეთოდი უფრო დემოკრატიულია და ვერავინ იტყვის პრეზიდენტზე, თანამდებობებზე თავისიანებს ნიშნავსო. და საერთოდ, მინდა, ჩვენს პრეზიდენტს საკადრო ცვლილებების განხორციელების საგაზეთო ფორმა შევთავაზო, რომელიც დიდი ხნის აპრობირებულია და მაგრადაც ამართლებს საქართველოში. იმდენი ადამიანი პოულობს ბიზნესპარტნიორს თუ მეგობარს გაზეთის საშუალებით, რომ არც მინისტრების შერჩევა გაგვიჭირდება.

მოკლედ, გაზეთში ვბეჭდავთ ასეთ განცხადებას: „ვარ ახალგაზრდა, განათლებული და სიმპათიური პრეზიდენტი, სამსახურით უზრუნველყოფილი მინიმუმ 5 წლით. მინისტრთა კაბინეტის შექმნის მიზნით, გავიცნობ ნიჭიერ, განათლებულ და ენერგიულ ადამიანებს. დამითქვით შეხვედრა ჩემს რეზიდენციასთან. რომ მიცნოთ, ხელში მეჭირება გილაური“...

არა, არა, ეს ვარიანტი არ ვარგა, რადგან საქართველოში ყველა ნიჭიერი, განათლებული და სიმპათიურია და იმდენი ხალხი მივა რეზიდენციასთან, ერთი რომ ვინმეს წამოსცდეს, — გადადექიო! — დავიღუპეთ და ისაა! ამიტომ, პირობა უნდა გავამკაცროთ და „არამსმელი“ და ჩავენროთ, უცხო ენების ცოდნასთან ერთად. აი, ამ პირობებს ვინც დააკმაყოფილებს, მართლა ივარგებს მინისტრად და ქვეყანასაც გამოადგება. თუ არ ივარგებს და — რა პრობლემაა, იმ რესტორანში სკამებისა და მაგიდების მეტი რაა?!

იცინეთ თქვენ და არც ისე შორსაა რეალობისგან ჩემი გეგმა: აბა, გადახედეთ, წლებანდელ თბილისობაზე ვინ მიიღო საპატიო თბილისელობა: საპატიო კონსულმა ბავარიაში (აქ მისი სახელი და გვარი ჩამინერეთ), შვეიცარიელმა იუველირმა (აქაც), დალესტანური წარმოშობის პროფესორმა (სახელი და გვარი) და ა.შ. არ ჰგავს ეს ხალხი გაზეთში დაბეჭდილი განცხადებით მოსულ მსურველებს?.. თუ საპატიო თბილისელობისთვის უკვე ერთადერთი პირობა — არათბილისელობაა, მეც ჩამოსული ვარ, ბატონო, და ისეთი მორცხვი ვარ, რომ დღემდე ფსევდონიმით ვწერ. ჩემთვის მოგეცათ „ისე თბილისელობა“, საპატიოს არ დავეძებ! არამსმელი და არამწვევლიც ვარ, სხვათა შორის, ნიჭიერიც ვარ და სიმპათიურიც, უცხო ენაც ვიცი და მართლა ხომ არ მივიდე გაზეთში მითითებულ მისამართზე?.. ამ გაუგებრობაში იქნებ გამოკვრა კიდევ ხელი მინისტრობას!..



ნეტს დააკომპლექტებს, შესაძლოა, იმდენმა კარგმა მინისტრმა დაუთმოს სავარძელი და პორტფელი უკეთესს, რომ იმ რესტორანში მაგიდების დამატებაც დასჭირდეთ.

მოკლედ, მალე ახალი გამოფენა გველოდება და იმედია, მათგან რამდენიმე სახეზე მაინც გვეცოდინება!.. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის საწინააღმდეგო მაქვს რაიმე, ანკი ვის რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო უცნობი ადამიანის?! მაგრამ კაცი დღეს რომ ქვეყნის მესამე პირი ხდება, ის კაცი გუშინ მაინც უნდა ჰყავდეს ვინმეს ნანახი! ესეც არ იყოს, თუ ეს ადამიანი პრემიერობის ღირსი იყო, თურქეთში ელჩობისთვის ვაცდენდით?! რაღაცის მინისტრად დაგვენიშნა და ჩვენც თვალს შევჩაჩვენებდით. ახლა აქეთ ჩვენ

PS. — ბატონო პრეზიდენტო, მინისტრობის მსურველები მოვიდნენ, მაგრამ ძალიან ბევრნი არიან და როგორ გავარჩიოთ? — მიდი და ჰკითხე, პრეზიდენტობა ვის გინდათ-თქო? ვინც ხელს ასწევს, იმათ მერაბიშვილმა მიხედოს. დანარჩენები შემოუშვი.

პრომოკაბლონი

საქართველოს
საგარეო
სამსახური

„26-28 წლის ბიჭებმა რა იციან პოლიტიკის?!“

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, საქართველოს უკვე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ თანამდებობიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა მაშინვე დააკმაყოფილა. სულ მალე კი საზოგადოებას ახალი პრემიერის კანდიდატურად, გრიგოლ მგალობლიშვილი წარუდგინა. კვირის მნიშვნელოვან მოვლენად სწორედ ეს მივიჩნით, ამიტომ საზოგადოებას ერთი კონკრეტული შეკითხვით მივმართეთ: რა აზრის არიან ახალ პრემიერ-მინისტრზე და მათი აზრით, შეუწყობს თუ არა ხელს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები?

„წინასწარ ხომ არ დავიწყებთ მის ლანძღვა-გინებას?!“

ნათია ქივიძე

ნანი ზაძიძეშვილი, ფილოლოგი, 46 წლის:

— საკადრო ცვლილებები მთავრობაში წელიწადში რამდენჯერმე ხდება, შესაბამისად, ახლანდელი ცვლილებაც ალბათ არავის გაპკვირვებია. სააკაშვილს რატომღაც, ძალიან მოსწონს მინისტრების ხშირი ცვლა. მხოლოდ ვანო მერაბიშვილს ვერ შეეცვლია და უკვე მტკიცედ მჯერა — ვერც ვერასოდეს შეეცვლება. მარტო ის მიკვირს, ლადო გურგენიძე თავის დროზე რატომ დათანხმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას. რა უჭირდა სამაგისო?! თავისთვის იჯდა იმ ბანკში, არც ფული აკლდა, არც ქონება და ცხოვრება. აუტკივარი თავი რისთვის აიტყვიან? ძალიან მაინტერესებს, ახლა სად ჩამოაქვითებენ და, მოწყალეების სახით, რა თანამდებობას შესთავაზებენ. უშველის თუ არა საკადრო ცვლილებები ქვეყანას?.. დარწმუნებული ვარ, რომ ვერ უშველის. ალბათ მსწრაფად ამიტომაც არის პრეზიდენტი მინისტრებს რამდენიმე თვეში ერთხელ რომ ცვლის. თავისი მოსაწონი ვერავინ მონახა. რა გასაკვირია?! 25-26 წლის გამოუცდელ

ლული და გული დამწყდა, პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ის რომ აღარ იქნება. განცხადება დაწერა და წავიდაო, — ამბობენ. რატომ გვატყუებენ? ლადო პრემიერ-მინისტრის პოსტზე არც თავისი სურვილით მოსულა და არც — წასულა. ბატონ პრეზიდენტს, როგორც სურს, ყველას ისე ათამამებს. რაც შეეცვლება ახალ პრემიერს, — თუ არ ვცდები, ვინმე გრიგოლ მგალობლიშვილს ნიშნავენ. წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის და დარწმუნებული ვარ, მისი სახელი და გვარი არც სხვა ვინმეს გაუგონია. ინვესტიციების მოზიდვაში მაგარი კაციაო, — პრეზიდენტი ამბობს. მგალობლიშვილი არ ვიცი და ბიზნესსა და ინვესტიციებში გურგენიძეს რომ ვერავინ შეედრება, ეჭვიც არ მეპარება. ასეთი ნიჭიერი ვერ არ იყოს, ამხელა საბანკო ქსელი რომ შექმნიდა და მისი ბანკი ასეთი წარმატებულიც ვერ იქნებოდა. საერთოდ, სააკაშვილს ახალი სახეების გამოჩენა უყვარს. მინისტრთა კაბინეტის შეცვლის დროსაც ბევრი სიურპრიზი რომ გველოდება, ამაშიც დარწმუნებული ვარ. მხოლოდ მერაბიშვილს ვერ შეეცვლება ვერავინ. მთავრობის ასეთი ხშირი ცვლა ჩვენს ქვეყანას კარგს რომ არაფერს მოუტანს, ეს ვიცი. მინისტრები ჯერ საკუთარ ფუნქციებში ნორმალურად ვერც გარკვეულან, რომ მათ ადგილას უკვე ახალ მინისტრებს ნიშნავენ; მერე იმათ სჭირდებათ საქმეებში გარკვევა და ასე ბრუნავს „კარუსელი“. საბოლოო ჯამში, ვერავინ იგებს, რა უნდა გააკეთოს და ამიტომაც არის ჩვენი ქვეყანა „აყვავებული“...

ნინო განაშვილი, ფარმაცევტი, 36 წლის:

— ახალი პრემიერის შესახებ აქამდე არანაირი ინფორმაცია არ მქონია. მისი სახელი და გვარი პირველად შევიტყვე, თუმცა მისი პრემიერობის ფაქტს პესიმისტური თვლით ნამდვილად არ ვუყურებ. ამბობენ, ორი წლის განმავლობაში თურქეთში საქართველოს ელჩი იყოს და ამიერიდან მინისტრად დაინიშნება. გარდა ამისა, ელჩად ნამუშევარ ადამიანს უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობის მოგვარებაც კარგად შეეძლება, შესაბამისად, წინასწარ ხომ არ დავიწყებთ მის ლანძღვა-

გინებას?! ვაცადოთ, იქნებ, კარგი მინისტრი აღმოჩნდეს და მისი მონაწილეობით, ჩვენს ქვეყანას რალაც ეშველოს. არ მომწონს, როცა ადამიანს ჯერ არ იცნობენ და მას წინასწარ აკრიტიკებენ. დაველოდო, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება და ამას საკადრო ცვლილებები ხელს აუცილებლად შეუწყობს...

ნათა მოგვაძე, დიასახლისი, 64 წლის:

— პოლიტიკაში ვერ ვერკვევი და ყოველთვის ვცდილობ, მსგავსი კომენტარისგან თავი შევიკავო. რადგან სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა გრიგოლ მგალობლიშვილმა უნდა დაიკავოს, ე.ი. ასეა საქმე. არა მგონია, ის კაცი პრეზიდენტის ნათესავი ან ბავშვობის მეგობარი იყოს და ამიტომ მისცენ ეს თანამდებობა. მით უმეტეს, როგორც ამბობენ, საზღვარგარეთ აქვს განათლება მიღებული და ელჩადც ნამუშევარია. ჩემი აზრით, ამ თანამდებობაზე მუშაობა არ უნდა გაუჭირდეს. ახლა ჩვენი ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია და მიმჩნია, რომ თუკი სააკაშვილი რაიმე სახის გადამწყვეტილებას იღებს, ყველაფერი ქვეყნის კეთილდღეობისთვის არის გამიზნული. არა მგონია, მინისტრებს თავისი თავისთვის ნიშნავდეს...

ვასილ ლოგაშვილი, პენსიონერი, 76 წლის:

— ახალ პრემიერზე არანაირი შეხედულება არ გამაჩნია, რადგან მის შესახებ არასოდეს არაფერი გამიგონია და ახლაც კარგად ვერ გავვრკვევი, ვინ არის და რა უნდა... რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, — საკადრო ცვლილებები ჩვენს ქვეყანას უშველის თუ არა? — მეეჭვება, რომ უშველოს. ამაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ჩვენი პრეზიდენტი მეტს კი არაფერს აკეთებს: რაც პრეზიდენტად მოვიდა, უკვე ოთხი პრემიერ-მინისტრი გამოცვალა, დანარჩენ მინისტრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენს ქვეყანას კი მაინც არაფერი იშველა, რადგან ყველა მინისტრი, სააკაშვილივით, სუსტი პოლიტიკოსია. აბა, 26-28 წლის ბიჭებმა რა იციან პოლიტიკის?! ან რა გამოცდილება აქვთ?! ქუჩის ბირჟიდან მინისტრის სავარძლებში ჩასხდნენ, კარგი მანქანები და აგარაკები შეიძინეს, ცოლები მოიყვანეს და ტკბებიან ცხოვრებით. ვის აინტერესებს საქართველო?! ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს. იმიტომ იყო, აგვისტოს მოვლენების დროს თურმე ერთი თვითმფრინავი გაუფსიათ პოლიტიკოსების ოჯახების წევრებით და ევროპაში გადაუფრინათ. ასეა, გენაცვალე, ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს. ჩვენ ვიკითხოთ, რა იტყვება ადამიანებმა, რუსის ტყვია ისევ ჩვენივე რომ არის დამიზნებული, თორემ ეგენი იმინისტრებენ, კარგადაც იცხოვრებენ და საფრთხის დროს ქვეყანასაც მალევე დატოვებენ. ვიზა გაუჭირდებათ თუ გზის ფული?!




ლადო პრემიერ-მინისტრის პოსტზე არც თავისი სურვილით მოსულა და არც — წასულა

ადამიანს, ინსტიტუტის მერხიდან პირდაპირ მინისტრის სავარძელში რომ ჩასვამ, ის რისი გამკეთებელია?! ალბათ ახალ მინისტრებსაც გვეყოლება მსგავსი, პირზე რძეშუშუმბრი ბიჭუნები...

ავთანდილ მოღვაძე, ინჟინერი, 52 წლის:

— ლადო გურგენიძის მიმართ საკმაოდ დიდი სიმპათიით ვიყავი გამსჭვალ-

აფხაზები გალაფუს მილოშევიჩის გელს უწინასწარმეფველებენ



უკვე არავის აქვს ეჭვი, რომ რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოება და არსებულზე კონტროლის გამყარება სურს. მისი ინტერესის სფეროში კი დამოუკიდებლობის მსურველი აფხაზებიც მოხვდნენ. რუსებმა ენგურის ხიდის მიმდებარე ყველა გადმოსასვლელი დანალმეს. საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციით, მოვლენების ამგვარ განვითარებაში სეპარატისტულ ლიდერს — სერგეი ბალაფუსა და მის კლანს ადვანსაულებენ და იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის ბედსაც უწინასწარმეფველებენ. რაც მთავარია, რუსეთის რეგულარულ ჯარს ოკუპანტებად უკვე აფხაზეთშიც მოიხსენიებენ. როგორი ვითარებაა აფხაზეთში, დამოუკიდებლობის აღიარებიდან სულ რაღაც ერთ თვეში — ამის შესახებ, ჩვენი აფხაზი და ქართველი რესპონდენტებისგან შეიტყობთ.



უმეტესობა ცენტრალურ ქუჩაზე იყო, მაგრამ მას შემდეგ მათ უმრავლესობას აღარავინ მიჰყარებია, ახლა კი რუსებმა ეს შენობები დაანგრეს და მათ ადგილზე რუსული სამხედრო ბაზების აშენებას აპირებენ... ბალაფუსმა თავისი სკამის გადარჩენას ქვეყანა გადააყოლა და ამას ხალხი არ აპატიებს.

რა შეიძლება მოხდეს?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. შეიარაღებულ დაპირისპირებას არ ველოდები, რუსეთი ჩაახშობს და ყველაფერი ისე მიჩუმადდება, რომ ზუგდიდის გარდა, ვერავინ ვერაფერს გაიგებს... აფხაზებს „კალაშნიკოვის“ ავტომატის მეტი არც არაფერი აქვთ და ამ შეიარაღებით რუსებთან ბრძოლას აზრი არ აქვს... გვაიძულებენ — ან აფხაზეთი დაეტოვოთ, ან აფხაზეთშივე გავრუსდეთ. პროდუქტიდან დაწყებული, ყველაფერი გაძვირდა. სილატაკის პირზე ვართ მისული... ბოლო დროს, საქართველო-რუსეთის ომამდე ქართველებსა და აფხაზებს შორის ადამიანური ურთიერთობები სულ უფრო ღრმავდებოდა, რასაც რუსები საფრთხედ აღიქვამდნენ. აქამდე ძალიან უნდოდათ, გალისა და ზუგდიდის საზღვარი ჩაეკეტათ და ეს აფხაზების ხელით გაეკეთებინათ, მაგრამ ჩვენი ძალოვნები ვერ დაიყოლიეს. მეტიც, აფხაზი მესაზღვრეები და მილიციელები უშლიდნენ ხელს. მართალია, რუსები მათ აზრს დიდად არ ითვალისწინებდნენ, მაგრამ გარკვეულ ანგარიშს მაინც უწევდნენ... აფხაზეთში ბოლო წლებში უკიდურესად მძიმე ეკონომიკური პირობები იყო და ხალხს რუსეთიდან შემოტანილი პროდუქტის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა. ენგურის ხიდიდან გალში კი შედარებით იაფი საქონელი შემოჰქონდათ, რომელიც შემდეგ, ოჩამჩირელი და სოხუმელი გადამამუშავებლების მეშვეობით, დანარჩენ აფხაზეთში გადიო-

„...ესეც ჩვენი დამოუკიდებელი აფხაზეთი“

ლალი კაპასკირი

მერი ბბანაბა, ოჩამჩირის მკვიდრი:

— ბალაფუსმა ის გაბედა, რასაც არძინბა წლების განმავლობაში ვერ ბედავდა, რისი წყალობითაც, აფხაზი ხალხი გადაშენებას გადაარჩინა. გავაწლები და თუ ჩვენი ეთნოსი გადარ-

ჩა, არძინბას მართლა ეროვნულ გმირად აღიარებენ, ბალაფუსის საქმე კი ისე მიდის, როგორც ვატყობთ, სულ მალე მილოშევიჩის ბედს გაიზიარებს. 30 სექტემბერს, როცა აფხაზეთის ხელისუფლება დამოუკიდებლობას შეიმოხდა, ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა, — რა გვეშველებათ?! აფხაზი საკუთარ მიწაზე რუსის „კამანდრობას“ ვერ აიტანს. ასეთი დამოკიდებულება ვერ ავიტანეთ ქართველებისგან და იმიტომ მოხდა ომი... მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ გავიდოდა წლები და გვეტყოდნენ, — ეს ტერიტორია ჩვენ გვჭირდებაო.

— ამას რუსები უკვე პირდაპირ გეუბნებიან?

— დიახ... წინა ომის შემდეგ, ქართველების ნასახლარს, რომელიც განადგურებას გადაურჩა, აფხაზეთში ნაბრძოლმა ჩეჩნებმა ჭიშკარზე საღებავით — „ზანიატო — ჩეჩენეც“ მიანერეს, მაგრამ რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შემდეგ ის მოხალისე მებრძოლები თავიანთ სამშობლოში წავიდნენ და თითქმის აღარავინ დაბრუნებულა. დაკეტილი სახლების

სახოპოვნო
პოხოყა


103.9

რადიო „კალიბრა“

ფაქტაგი
რადიო დროში!

და. ამ ყველაფერმა უბრალო ხალხს შორის წლების განმავლობაში განყვეტილი, ადამიანური ურთიერთობების აღდგენას შეუწყო ხელი. მას შემდეგ კი, რაც რუსეთმა გვაღიარა და „დამოუკიდებლობა“ ვიზეიმეთ, ვითარე-

გახსნილი... რუსეთი გამარჯვებას უმცირესი დანახარჯის ფასად და წარმატებით აღწევს. გალიდან აფხაზები მთლიანად გამოყარეს. ვინც წინააღმდეგობას უწევს, პირდაპირ კლავენ ან აფეთქებენ. თან გვეუბნებიან, — ფრთხილად თუ არ იქნებით, ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს ვერ გადაურჩებითო... ზოგჯერ დამცინავდაც გვეტყვიან, — 15 წელია, თქვენი შვილები ლუჟკოვის ხელმოწერილი წინგებით სწავლობენ და მადლობის თქმაც კი არ გინდათო. ესეც ჩვენი „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი!..



გალიდან აფხაზები მთლიანად გამოყარეს. ვინც წინააღმდეგობას უწევს, პირდაპირ კლავენ ან აფეთქებენ

— რუსეთის ინფორმაციით, აფხაზეთში რუსულ-აფხაზური ჯგუფი შეიქმნება, რომელიც ქართველი პარტიზანების გასანეიტრალებლად იბრძოლებს...

ბა მკვეთრად შეიცვალა. რუსეთს აფხაზეთის სრული გაკონტროლებისა და ჩაყლაპვის ამბიცია გაუჩნდა და ამას უკვე აღარც მალავს. სამწუხაროდ, ხელის შემშლელიც აღარავინ ჰყავს.

— აფხაზებისგან ხშირად მომისმენია, — რუსების აგრესიული ქმედებები ქართველებთან დაბრუნებას მაინც ვერ გვაძლულებსო...

— მთლად მასეც არ იყო საქმე. როგორც გითხარით, ბოლო დროს რაღაცები შეიცვალა, მაგრამ უკვე რაღა დროისაა?! როგორც ჩანს, რუსეთმა ყველაფერი სწორად გათვალა. ის ჯერ საქართველოსთან დამაკავშირებელი „ზონის“ — გალის რაიონის სრულად ათვისებას აპირებს, აფხაზებმა თქვენკენ რომ არ „გამოვინიოთ“. ამ რაიონში უამრავი სამხედრო ტექნიკა და რეგულარული ჯარის შენაერთები

— მსგავსი არაფერი გამიგონია. შესაძლოა, ბალაფის ხალხი წაიყვანონ. ისინი ფულის გამო, ქართველებს კი არა, აფხაზებს დახოცავენ!.. მე ვიცი, რომ ქართულ-აფხაზური პარტიზანული მოძრაობა იწყება. მართალია, მცირე ჯგუფები ყალიბდება, მაგრამ ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. 1990-იან წლებში ვინ იფიქრებდა, რომ ქართველებსა და აფხაზებს ოდესმე ერთ პოზიციაზე მოგვინევდა დგომა?!.

მირაზ ყოლბანი, ჭუბურხინჯის მკვიდრი:

— მთელი გალის რაიონი გადათხრილია — ყველგან სანგრებს თხრიან. ყოველდღე შემოპყავთ რუსული სამხედრო ტექნიკა და რეგულარული

მდინარის ფონი დაბალი იყო. ახლა იქაურობა დანაღმულია. ამ სოფლებში ყველა სტრატეგიული სიმაღლე დაიკავეს. ეს კიდეც არაფერი. სოფლებარლების მოსახლეობას სასაფლაოს დაცლა მოსთხოვეს, — ეს ტერიტორია გვჭირდებაო. ერთი თვე მისცეს ვადა და მიმდებარე ტერიტორიაზე ტრაქტორები დააყენეს, თან უთხრეს, — თუ არა და, აქაურობის „მოსუფთავებაზე“ ჩვენ ვიზრუნებთო... ეს იცით, რას ნიშნავს?! ხალხი ამ ჯოჯოხეთს იმიტომ ითმენდა, რომ საფლავებსა და სახლ-კარს ვერ ტოვებდა. იქ საუკუნეების წინაც სასაფლაო იყო და იქიდან ცხედრების გადმოსვენება ფიზიკურად შეუძლებელია. რომელი ქართველი დაუშვებს, რომ მის მიცვალებულზე რუსმა იაროს?!. მათმა მოთხოვნამ აფხაზებიც კი შეძრა, — ესენი ჩვენს გაუუფავზეც არ დაიხვეწენ უკანო... გამოსავალს ვერ ვხედავ. ენგურს გაღმა რომ გადავიდე, იქ რა გავაკეთო? ისევე ქუჩაში ვიცხოვრო? აქ საკუთარი ჭერი მაინც მაქვს, იქ კი, მათხოვარი, არავის ვჭირდები. მიჭირს ამაზე ლაპარაკი, ვილაცამ შეიძლება, მოლაღატობაც დამწამოს, მაგრამ მე და ჩემი ოჯახი 5 წელი სარდაფში ვცხოვრობდით. იქაურ ნათესავებს თავისთვის არა აქვთ არაფერი, სხვის ხარჯზე როდემდე უნდა ვიცხოვროთ?!. მართლა არ ვიცი, რომელი მოლაღატური საქციელი იქნება, იქ გადავიდე და დღე და ღამე ხელისუფლების ლანძღვა-გინებაში ვიყო, თუ აქ დავრჩე და ჩემი სახლ-კარი შევიწარჩუნო... იმასაც ვხვდები, რომ აქ ჩემი და ჩემიარების გაჩერება ლალატის ტოლფასია, რადგან აფხაზური და რუსული პასპორტების აღებას გვაძლულებენ. პირდაპირ გვითხრეს, — ქართული დაივინყეთო!.. მობილური ოპერატორების სიხშირეების დახშობას აპირებენ. მალე ალბათ ქართული ტელეარხების ყურებასაც აგვიკრძალავენ... აფხაზებთან, ასე თუ ისე, საერთო ენას ვპოულობდით, ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჯერ არ ვყოფილვართ.

— კონფლიქტურ ზონაში ევროკავშირის 300-მდე წარმომადგენელი მუშაობს. მათი ჩამოსვლით არაფერი შეცვლილა?

— გაეროც, ეუთოც, „ნითელი ჯვარი“ და ევროკავშირიც — უწყინარი პეპლები არიან... გაეროს ბევრ წარმომადგენელს, რუსებთან, აფხაზ და ქართველ კრიმინალებთან ერთად, არალეგალური ბიზნესი ჰქონდათ. ყველა თავის საქმეს აკეთებს. 6-დან 9 ათას ევრომდე აქვთ ხელფასი და მგონი, კონფლიქტის დასრულება არც უნდათ. ფაქტია, რომ მათ იქ არავინ არაფერს ეკითხება. მართლს ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, — უფუნქციოდ არიანო. არანაირი ნეიტრალური ზონა არ არსებობს, ენგურის მიღმა უკვე რუსეთია...

მთელი გალის რაიონი გადათხრილია — ყველგან სანგრებს თხრიან...

ჩააყენეს. როგორც ჩანს, „მუშაობა“ ჯერ არ დაუსრულებიათ, ოჩამჩირესა და გალს შუა, მდინარე ერისწყალია, რომელსაც გამყოფ საზღვრად იყენებენ. იქ ადრე აფხაზები იდგნენ, ახლა კი უკვე იქაურობა რუსების განკარგულებაშია. ისინი განაგებენ ოჩამჩირეში არსებულ საზღვაო ფლოტსაც. სოხუმში ჩასვლას ხშირად ვერ ვხედავ, მაგრამ იქაურებისგან ვიცი, რომ იქაც უამრავი სათვალთვლო პუნქტი აქვთ

ჯარი. ყველა სოფლისა თუ დაბის შესავლელში რუსული ტექნიკაა მობილურად. ე.წ. დაბალი ზონების სოფლების სრულად გაკონტროლება უნდათ და ქართულ საზღვარზე ერთ დაუსრულებელ ზოლად არიან ჩამწკრივებული. ამით უნდათ, ქართულ მხარესთან ყველანაირი კავშირი გავწყვიტოთ. ენგურის ხიდის გადაკეტვის შემდეგ, ხალხი ზუგდიდში გადასვლას იმ ადგილებიდან ცდილობდა, სადაც




ՅԱՎԻՏՈՒՆԱՎՈՅՑՆԵՐԻ ԺՎԵՂՅՈՒԹՅՈՒՆ

ՆԱՍՈՆ 1 ՏՐՈՒԹՅԱՆ ԹԵՄԱ

ՔՐԻՏԻԿԱԼ ԵՎ ՈՆԻԿՆԵՐԻ
ՈՏԵՂՈՒՄԸ

ՉԻՏՈՒ ԹՅՈՒՆ ԵՎՈՅՑՆԵՐԻ
ՆԻՇՆԵՐԻ ԵՐԿՐՈՒՄԸ



ՆԱԿԱՆԱԳՐԱԿԱՆԻ ՈՏԵՂՈՒՄԻ ՆԱԿԱՆԱԳՐՈՒՄԸ ԵՎ ԻՆՏԵՐՆԵՏ

☎ 100-100

ლალი შაბია

ქრწნალისტი - მარია თხალიძე
რწასოწწწწწწწწ - რატი ლუგალიძე

— რატი, დუღტ „ჯორჯიას“ წარ-
მაცტებიდან ორ თვეზე მეტი გავიდა.
რა შეიცვალა შეწს ცხოვრებაში?

— მოხდა ის, რომ ბევრი რამ დაინგრა.
კარიერაში მოპოვებული წარმატება, ფაქტო-
ბრივად, წყალში ჩაიყარა აწუ ის, რა გეგმებიც
გვექონდა, მაშინ მიღებული შემოთავაზებების
მიხედვით, ჯერჯერობით უცწწწწწ, განხორ-
ციელდება თუ — არა. თუმცა ამ ბოლო
დროს მოსკოვიდან სატელევიზიო ზარები მოხ-
შირდა. ცოტა ხანში საგასტროლოდ, სომხ-
ეთში მივდივართ, მერე — ყაზახეთში.

— ასე რომ, აქ არანაირი პერ-
სპექტივა და წინსვლა არ არის, ხომ?

— აქ სიახლე ის არის, რომ ტელეკომპა-
ნია „იმედმა“ გადაცემის — „წუწას სკოლა“
წამყვანებად მიგვიწწწწწ. ასე რომ, ახლა მე და
მაგას დილის ეთერში გვიწწწწწ მუშაობა.

— მერე, როგორა ტელეწამყვა-
წს ამბულა?

— ძალიან საინტერესო და მაგარი! გადა-
ცემა პირადად მე, სიამოწწწწ მიმყავს. სულ
მალე, თუ წიწწწწწ არ წაწწწწწ, სადაც
მიწწწწწწ ვართ, აქ, ობერაში ჩვენს გრან-
დიოზულ სოლო კონცერტს ვეგეგმავთ. გვიწწწწწ,
რომ მაღალ დონეზე ჩატარდეს. ის
საქველმოქმედო იწწწწწ და შემოსული თანხა
ომის შედგავდა დაზარალებულთა დასახმარე-
ბლად გადაირიწწწწ.

— რამდენადაც ვიცი, წარმოშობით
ახალგორიდან ხარ იქ მამაპაპისეული
სახლიც გაქვს. რა მდგომარეობაა
დღეს იქ?

— კი, სოფელი გვაქვს იქ. შუაგულ ახალ-
გორში, ცენტრში, საუკუთესო ადგილას დგას
ჩვენი სახლი. ცოტა ხწწწწწ წინ რემონტი გავა-
კეთეთ, გავალამაზეთ იქაურობა. ახლა აღ-
ბათ ოსები კბილებს იღწწწწწ იმაზე, თუ
როდის შევლენ ჩვენს სახლში... ეს არის
მამაწწწწწ კუთხე. იქ ზაფხულობით ჩავ-
დილობთ.

— ამჟამად მიტოვებული გაქვთ?

— კი, ასე გამოვიდა. როგორც ვიცი,
გუწწწწწ (ინტერვიუ ჩაწერილია 25 ოქტომბ-
ერს. — ავტ.) იქიდან დაიძრა და წამოვიდა
მთელი მოსახლეობა, რადგანაც გაუსაძლისი
სიტუაცია შეიქმწწწწ. როგორც გავიგე, ახალ-

რატი ლუგალიძის ახალგორში სახლი წაერთვა...

ისინი სახალწლოდ, „საზოგადოე-
ბრივმა მაუწწწწწწ“ ერთ-ერთ
პროექტზე, რომელსაც „რომეო და
ჯულიეტა“ ერქვა, ერთად მიწწწწწ.
ფილმი სიყვარულზე, სახალწლოდ, სიყ-
ვარულის ქალაქ — სიღწწწწწ გადა-
იღწწწწ. სახალისო წამუწწწწწ გამოვი-
და, რადგანაც ახალი დროის ქართველმა
რომეომ და ჯულიეტამ როლები შესაწწწწწ
წწწწწ გაითავისეს. ყველაფერი ისე
ზუსტად არ ყოფილა, როგორც შე-
ქაწწწწწწ, მაგრამ როგორც იტყვიან,
„საკაიფო“ მიუზიკლი გამოვიდა.

რატი ღურგლიშვილი და მარია
თხელიძე დღეს ხალისით იხსწწწწწ
ფილმზე მუშაობისას სიღწწწწწ გა-
ტარებულ დაუწწწწწ დღეებს. „რო-
მანტიკული ადამიანი ვარ, სიყვარული
მიყვარს და ამიტომ, როლიც მგონი,
„არა უშავს“ გამომივიდა“, — ამბობს
რატი „მეც ვწწწწწწ, კარგი ჯულიეტა
ყვოფილიყავი. რატიმ კი ისე იმსახიო-
ბა, რომ წამღწწწწწ, გამოიწწწწწ“.

რატიმ ორი თვის წინ, არა მარტო
მარია, არამედ თავისი წიწწწწწ,
ყველანი გავგაოცა და მოგწწწწწწ...
„ჯულიეტას“ ჩვენს რუბრიკაში შეხვდებით.



ამჯერად კი „რომეოსა“ და
„ჯულიეტას“ ჩვენს რუბრიკაში შეხვდებით.

მარია თხალიძე უხაზათის თმით მიყენებულ ტყვიას ღაბღა ვარ ივიწწწწ

გორში 40 ტანკი შეუწყვანიათ გუწწწწ.

— ეს იმის წიწწწწ იყო, რომ
ქართველებს უწდა დაეტოვებინათ იქაუ-
რობა?

— იცი, რა ხდება?.. თურმე იმდენი ტანკი
და სამხედრო მანქანაა შესული, რომ ერთ-
მანეთს გვერდს ვერ უქცევენ და ისინი სოფ-
ლებში გაჰყავთ.

— ფიქრობ, რომ ახალგორში
ველარ ჩახვალთ და სახლი დაკარ-
გეთ?

— სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე არც
ვფიქრობ. გული დამწწწწწ, რომ ჩემი უსაყ-
ვარლესი ადგილი, სადაც ბავშვობიდან დაე-

დიობდი, ასეთ ცუდ მდგომარეობაში აღ-
მოწწწწ. ის ერთ-ერთი ლაზაში კუთხეა. საო-
ცარი ბუნებაა იქ: მდინარე, ტყე, სიმწწწწწ,
სადაც თევზაობა, ნადირობა, იდეალური დას-
ვენება შეიძლება.

— იმედა, არ დაკარგავ?

— ვწასოთ. იმდენადაც არ მიწწწწწ, რომ ეს
ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდეს, რომ მეც
მაქვს იმედი...

— მოდი, სხვა თემაზე გადავი-
დეთ დუღტ „ჯორჯიას“ და ტელეკო-
მპანია „იმედს“ რა სახის ურთიერთო-
ბა გაქვთ? კონტრაქტი რას ითვალ-
ისწწწწწ?

— იურმალაში წასვლამდე ერთი კვირით
ადრე, ტელეკომპანიასთან კონტრაქტი
გავაფორმეთ. ის იმის უფლებას გვიტოვებს,
რომ სადაც არ გვიწდა გამოსვლა, არ გამოე-
იდეთ აწუ უარი ვთავაწწწწ რალაც-რალაცე-
ბზე გვაქვს შემოთავაზებები რესტორნებიდან,
100-200 ლარს გადაგისდითო, — გვეუბ-
ნებიან. რა თქმა უწდა, ამაზე უარს ვამბობთ.
არადა, საქართველოში მხოლოდ რესტორნე-
ბის ქსელი მუშაობს, კონცერტები საერთოდ,
არ იმართება. არ ვიცი, ეს რისი ბრალია...
ფაქტია, რომ ჩვენში მომღერლისთვის სამ-
უშაო პირობები და სიტუაცია თითქმის არ
არსებობს. ისლა რჩება, რომ თუ მომღ-
ერალს. რამის გავეთება სურს, აქედან უწდა
გაიქცეს. სამწუხაროდ, ასეა.

— რატი, ძალიან გულახდილად



კარიერაში მოპოვებული წარმატება, ფაქტობრივად, წყალში ჩაიყარა

საუბრობ. ყველაფერი ყველაფერი და შენს პირად ცხოვრებაზე რას გვეტყვი? მას მერე რაც პოპულარული გახდი, თაყვანისმცემელი გოგონები ალბათ მოგიმარავედნენ, არა?

— სხვათა შორის, მოლოდინს გადააჭარბა. არ ველოდი. მინდა, ჩემს თაყვანისმცემლებს დიდი მადლობა გადაუხადო. უდიდეს სიყვარულსა და სიტბოს ვგრძნობ მათგან. ამ სიყვარულით როგორ უნდა შენუხდეს კაცი?! ძალიან სასიამოვნოა, როდესაც რეკავენ და მოწინებთ, სიყვარულს მისხნიან. მეც ვცდილობ, არავის დაეწყვიტო გული და შესაბამისად ვუპასუხო. ოღონდ ის არის, რომ ჯერ არჩევანი ვერავისზე გავაკეთე, ძალიან რთული ყოფილა.

— რა, ცოლის მოყვანას აპირებ? — საერთოდ, მინდა, უკვე დროა, მაგრამ ძნელია... ისე, ჯერ არაფერია ისეთი, მხოლოდ რაღაც პატარა-პატარა გამონათებები...

— მერე იმ რაღაცეიდან ალბათ წარმოიქმნება ის დიდი და სერიოზული, რასაც ელოდები...

— ვნახოთ. — ბოლოს და ბოლოს, შენი და მკაცრ ურთიერთობაზე რას იტყვი, რაზეც დღემდე არ ჩერდებიან ჩვენში და ლაპარაკობენ. შეყვარებულები არ ხართ?

— ხალხს სანაძლეოებიც აქვს დადებული ამაზე, მაგრამ მე რაც უნდა ვამტკიცო, ენას ძვალი არა აქვს. ილაპარაკონ...

— საერთოდ, თუ ადამიანს არ უნდა, გაიგოს, ვერ გაიგებს.

— ის კი არა, ისეთი ქორები მსმენია ჩემზე, მართლა გავგიჟდი... სხვათა შორის, ასეთი რაღაც მითხრეს: თურმე მეგობრების ერთ „სასტავს“ (გოგონებს) ჩემი მოტაცება აქვთ დაგეგმილი...

— მართლაც რომ მოგიტაცონ და უფროდ თინეჯერების გარემოცვაში აღმოჩნდნენ, რას იზამ?

— რას ვიზამ? ძალიან დავიბნევი. მერე ვეცდები, იქიდან გამოვიქცე (იციინის).

— საამაყოა, როცა ასე უყვარხარ ადამიანებს.

— ქუჩაში რომ დავდივარ, ის მომენტი არ მაქვს, რომ ცნობილი სახე ვარ — ვერაფერს ვგრძნობ შინაგანად. ყველაფერი ისევე, როგორც მანამდე. მაგრამ როცა რაღაც შეკრებაზე ვხვდებით, მაშინ ვგრძნობ ხოლმე, რომ მართლაც, პოპულარული ვარ: ბავშვები მოდიან, ავტოგრაფებს მთხოვენ, ჩემთან ერთად სურათებს იღებენ.

— ცოტა დაბნეული ტიპი ხომ არ ხარ? — კი, ასეა (მორცხვად იციინის). ხანდახან ვსაუბრობ და მოულოდნელად აზრი გამირბის, პარალელურად რაღაცაზე ვფიქრობ, სხვაგან დაფერინავ არ ვიცი, რისი ბრალია. ხანდახან, რომ ვსაუბრობ, ორ სიტყვას ვამბობ და დანარჩენს ვფიქრობ. მიყურებენ... ნორმალური ხარ? აზრი როგორ უნდა გავიგოთ, რას გულისხმობ?..

— ალბათ ეს იმის ბრალია, შემოქმედი (მოქანდაკე) რომ ხარ.

— მაქსიმალურად მობილიზებული მხოლოდ საქსთან ვარ. იშვიათია, რომ

საქსთან მჯდომმა, ლამაზი მანდილოსნისკენ გავაპარო თვალი.

— ზარმაცი ხომ არ ხარ?

— ძალიან, გართობისთვის დრო სულ მაქვს. ბარებში მიყვარს სიარული. მიყვარს სიტუაციის ხშირად შეცვლა, გარემოსა და ხალხზე დაკვირვება. ხალხში ყოფნაც მსიამოვნებს. ვცხოვრობ ისე, როგორც მსიამოვნებს. არ ვიკეთებ ნარკოტიკს, სასმელსაც ვერიდები, რადგანაც საქსთან ვზივარ...

ქარნალისტი - რაბი ჯარგალიშილი რამაზიანი - მარიკა თხელია

— მარიკა, რატომ არ წერ ახალ სიმღერებს და არ იღებ კლიპებს ისე როგორც ამას ადრე აკეთებდი?

— სხვათა შორის, ბოლო დროს რამდენიმე ახალი სიმღერა ჩაწერე. კლიპის გადაღებას აზრი არა აქვს. კი, საჭიროა, რომ მაყურებელს და მსმენელს ყოველთვის შეახსენო თავი, მაგრამ ვფიქრობ, დამწყებ მომღერალს უფრო სჭირდება კლიპები.

— მაგაში არ გეთანხმები, მარკუნა, რადგანაც ხალხი მალე ივიწყებს ნებისმიერ ადამიანს.

— ვფიქრობ, ჯერ არ დავვიწყნივარ, მიუხედავად ჩემი დიდი შემოქმედებითი პაუზისა. ამას ადამიანების ჩემდამი დამოკიდებულებით ვხვდები. მათგან სიყვარულს ვგრძნობ. დღეს გადაღებული კლიპი არაფერს გადაამწყვეტს... საერთოდ, როდესაც ხედავ, რომ შრომა არ ფასდება, ძნელია მუშაობა. ხანდახან სურვილიც არ მაქვს, რომ ახალი სიმღერა ჩაწერო. კონცერტები არ იმართება. ჩემი ამ სფეროში უმოქმედობის მიზეზი ისიც არის, რომ წელს დავამთავრე უნივერსიტეტი, საერთაშორისო ისტორიისა და დიპლომატიის ფაკულტეტი. ოთხი წელი ვისწავლე. ბევრითი სტუდენტი ვიყავი. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად სწავლაზე ვიყავი გადართული და ჩემი შემოქმედებითი პაუზა გარკვეულწილად, ამანაც განაპირობა.

— აპირებ თუ არა შენი სპეციალობით სამსახურის დაწყებას?

— კი. სულ ახლახან დავამთავრე. ვნახოთ, შეიძლება, დიპლომატიური გზით ნავიდე და ჩემს სპეციალობას სერიოზულად ჩავუღრმავდე.

— ჩვენს ქვეყანაში ომი რომ იყო, ალბათ ინერვიულე არა?

— არ შეიძლება, რომ არ მენერვიულა. ჩემთვის — მით უმეტეს, ორმაგად სანერვიულო იყო, რადგანაც მამა აფხაზეთის ომში დამელუპა. ომის თემა ყოველთვის ძალიან მტკივნეულია ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის. განსაკუთრებით მალეულებს ქართველი მეომრების საკითხი. მამაც წლების შემდეგ გადმოასვენეს თბილისში... ომის კომშარი არ გვავიწყდება. აგვისტოში საოცარი შოკი მქონდა. ტელევიზორის ჩართვაც არ მინდოდა. ჩემი მეგობრებიც — ჩემი ასაკის, ჩემზე უფროსები — თამამად მიდიოდნენ ცხინვალისკენ. ისინი მართლა გმირები არიან...

— ომს უშუალოდ შენს შემოქმედებით გვგებში ხომ არ შეუცვლია რაიმე?

— არა. საერთოდ, ყველაფრის მიუხედავად, იმედი არ დამიკარგავს. სიმღერა ჩემთვის არ არის პოზი და არც არასდროს ყოფილა.

ამიტომ, შეიძლება, რაღაცები კიდევ მოხდეს, წინ დიდი ნაბიჯიც გადავდგა. მოვლენებს არ გაუუსწრებ...

— ლმერთმა ქანს წარმატებებს გისურვებ. პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— პირადი ცხოვრების აფიშირება არ მიყვარს, რადგანაც არ მიმჩნია სწორად ამ თემაზე საუბარი. არ მინყინოთ.

— ისე, მართალი ხარ არც მე მსიამოვნებს... მარიკა, ჩვენს გადატვირთულ ქალაქში ავტომანქანის მართვა არ გიჭირს?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მძლოელი ბიჭების სიაში ვწერივარ (იციინის) არანაირად არ ვარ მანდილოსნების სიაში. როცა საქსთან ვზივარ, მძლოლებს საშინელ დღეში ვაგდებ, რადგანაც ხშირად ვუთმობ გზას და ზოგჯერ სხვაზეც ხომ უნდა დამითმოს?!

— სამზარეულოში ფუსფუსი თუ გეხერხება?

— არა, სამზარეულოში თავს უცხოვ ვგრძნობ. ამ მხრივ ვერაფერს დავიტრახებ, რადგანაც ეს საქმე ძირითადად, დედასა და ბებიას აქვთ ოჯახში მინდობილი. მათ გაკეთებულ კრძებს მივირთმე და გამანებივრეს. მაგრამ არ მივეკუთვნები ქალების იმ კატეგორიას, რომელსაც მიაჩნია, რომ კრძების კეთება არ უნდა იცოდეს. ძალიან მინდა, ბევრი კრძის მომზადება ვიცოდე. ვაპირებ, თანდათან ვისწავლო. ალბათ დრო მოიტანს და მეც მომიხდება კრძების კეთება... საერთოდ, პრეტენზიული მჭამელი ვარ, ალბათ მეტყობა კიდევ (იციინის) — ყველაფერს არ მივირთმე.

— რა თვისება შენში ისეთი, რომლითაც ამყობ?

— ვამაყობ — ხმაშალალი ნათქვამია... მაგრამ მიმჩნია, რომ ადამიანი მიმტვევბელი და კატომოყვარე უნდა იყოს. ვფიქრობ, ღვიის წყალობით, ჩემში ერთიც და მეორეც დევს და ძალიან მიხარია. ამაში კი ძალიან მეხმარება ეკლესია.

— ბედნიერებაა, როდესაც ადამიანს შეცდომების მიტყვება შეუძლია.

გთავაზობთ
ქოსმეტოლოგიურ
მომსახურებას

აალაოაბით:

- ჰიგმენტური ლაქებისა და გამონაყარის მოცილება,
- მიმიკური და ასაკობრივი ნაოჭების გაქრობას, სახის განმენდას

ვაბაივნაულო ავილაია

მეურნალობა
100%-იანი შედეგით
ქონსულტაცია უფასოა

ქოსმეტოლოგი: ნანა გიგაური
 ტელ.: 8.99-57-92-99;
 98-87-91

„ნუ უყიდიოთ გავშვს სათამაშო იარაღს“

ამ ცოტა ხნის წინ აგრარული (სასოფლო-სამეურნეო) უნივერსიტეტის თეატრის განახლებულ სცენაზე ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის — „ჭრილობა“ — პრემიერა შედგა. ალბათ დამეთანხმებით, რომ წლების წინ დაწერილი პიესა, რომელიც ახალგაზრდებს შორის მომხდარ მკვლევობას ეხება, დღესაც აქტუალურია...

ეთო ყორღანაშვილი

დაახლოებით 15-წლიანი პაუზის შემდეგ, ამ თეატრმა აქტიური მუშაობა დაიწყო. პროცესში ჩაბმული არიან: მამუკა ლომაშვილი, რომელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს და გოგა გვეგელია — სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი. ბატონი გოგა ახალი სპექტაკლის რეჟისორიც გახლავთ. მან მითხრა: თეატრში რეჟისორის შტატი არ გვაქვს, ამიტომ იძულებული ვართ, რომ სპექტაკლები მე — დირექტორმა და მამუკამ — სამხატვრო ხელმძღვანელმა დავდგათო.

გოგა გვეგელია:

ჩვენი საუნივერსიტეტო თეატრი ძალზე ცნობილი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში: სანდრო აბეცელის სახელობის პრიზის მფლობელია, ყველა მაშინდელი საერთაშორისო და რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი... ამ სცენაზე არაჩვეულებრივი სპექტაკლები იდგებოდა, მაგრამ დიდი ხანია, რაც საინტერესო აღარაფერი ყოფილა. გადაწყვიტეთ, ეს დიდი ტრადიციები აღვადგინოთ. თეატრის გარდა, გვყავს მოცეკვავეთა ანსამბლი — „გორდა“ და მომღერალთა გუნდი — „ოროველა“... მამუკა ლომაშვილი ახლახან შემოგვიერთდა. სამხატვრო ხელმძღვანელად მისი კანდიდატურა უნივერსიტეტის რექტორმა — ბატონმა გელა ჯავახიშვილმა შემომთავაზა. მის წინადადებას, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი: მართალია, წინათ მამუკასთან არასოდეს მითანამშრომლია, მაგრამ სცენიდან ვიცნობდი და ვიცი, რომ ნიჭური ადამიანია. მასთან მუშაობა ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა.

მამუკა ლომაშვილი:

თეატრის საქმიანობაში ძირითადად, ის სტუდენტები არიან ჩაბმული, რომლებსაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება სურდათ, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში მოხდნენ. ეს ახალგაზრდები დიდი შემართებით მუშაობენ და სტიმულს მეც მაძლევენ. ვიდრე „ოუმორინის“ კონცერტები დამწყება და თავისუფალი ვარ, მანამდე თითქმის ყოველდღე, დილიდან საღამოს 8 საათამდე სტუდენტებს რეპეტიციებს ვუტარებ. სხვათა შორის, მეც აგრარული უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული.

— დღეს ბევრ ახალგაზრდას



სტუდენტებს სულიერი საზრდო სჭირდებათ

სპექტაკლებზე დასწრებას, ფილმების ნახვა ურჩევნია...

სტუდენტებს სულიერი საზრდო სჭირდებათ. მაყურებელი სპექტაკლის ყურებას უნდა მივაჩვიოთ, უნდა დავაინტერესოთ... ამ მხრივ მხოლოდ ჩვენთან არაა ცუდი მდგომარეობა, სახელმწიფო თეატრებშიც ანალოგიური სიტუაციაა. არსებობს მაყურებელთა კატეგორია, რომელიც თავისი საქციელით გამაღიზიანებელია — თუნდაც სპექტაკლის მსვლელობისას მობილურ ტელეფონზე საუბრის გამო.

გოგა:

სპექტაკლის დაწყებამდე თეატრში რომ აცხადებენ, — გთხოვთ, გამორთოთ მობილური ტელეფონებიო, — ეს უკვე სირცხვილია: შენ თვითონ არ უნდა იცოდდე, შე კარგო ადამიანო, რომ ტელეფონი უნდა გამორთო?! — მაყურებლის მოზოდვას როგორ ცდილობთ?

მამუკა:

საინტერესო თემებზე დადგმული სპექტაკლებით. ლაშა თაბუკაშვილის „ჭრილობა“ 30 წლის წინაა დაწერილი, მაგრამ თანამედროვეობას დღესაც ეხმიანება. ამ სპექტაკლსა და რეალურ ცხოვრებას შორის პარალელების გავლება შეიძლება: სამწუხაროდ, ხშირად მომხდარა ისე, რომ შეხლა-შემოხლისას, ახალგაზრდებს იარაღი — ამ შემთხვევაში, დანა გამოუყენებიათ და მცირე შელაპარაკება მკვლევობით დასრულებულა. პიესის მიხედვით, ახალგაზრდა ბიჭმა თანატოლი — ვისთან ერთადაც თურმე საბავშვო ბაღში დადიოდა — მოკლა, ამით კი მსხვერპლის ოჯახიც გააუბედურა და საკუ-

თარი თავიც. შესაძლებელი იყო, რომ ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო: ვთქვათ, დანის ნაცვლად, ჩხუბისას მუშტი გამოუყენებინათ. მუშტი ვის არ მოხვედრია?! ჩვენი მიზანი ის გახლდათ, რომ მაყურებელი რალაც-რალაცებზე დაგვეფიქრებინა: დათმობა უნდა ვისწავლოთ და ერთმანეთის სიცოცხლის გაფრთხილება...

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?
— წელს თეატრს 75 წელი უსრულდება და იუბილესთვის ვეზადებით. ამით უნივერსიტეტის რექტორიც სერიოზულადაა დაინტერესებული. მოკლედ, აქტიურ მუშაობას ვინწყობთ და ჩვენი მაყურებლის წინაშე გაზაფხულზე წარვდგებით.

— უფრო ფართო აუდიტორიისთვის სპექტაკლების გამართვას არ აპირებთ?

— რა თქმა უნდა, ამის პრეტენზია გვაქვს. სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის თეატრს დიდი ტრადიციები აქვს,

ჩვენ კი ამ ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები ვართ, ჩვენს სათქმელს აუცილებლად ვიტყვიო!

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა დამწყები მსახიობები გულახდილად შესაუბრნენ და მას შემდეგ, რაც პერსონაჟებზე „ვიჭორავეთ“, ახალგაზრდები საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ...

ბაჩო იაპოზიძე, 17 წლის:

დალუბულის ერთ-ერთი ძმაცაცის როლს ვასრულებ. მართალია, პატარა როლი მაქვს, მაგრამ სცენაზე ჩემი დებიუტი შედგა, უფრო სწორად — თეატრში, თორემ სცენაზე გამოსვლის გამოცდილება უკვე მქონდა — მუსიკოსი ვარ.

— სპექტაკლში აფერებული სიმღერის ავტორი შენ ხომ არ ხარ?

პანა იაპოზიძე, ბაჩოს ძმა, 19 წლის:

ამ სიმღერის ტექსტი ლაშა რამინიშვილმა დაწერა, მუსიკა — მე. სიმღერას ჰქვია „დაილუპა ის“. ვინც სიმღერა მოისმინა, ყველამ აღნიშნა — კარგიაო. რეჟისორსაც მოეწონა და სპექტაკლში „ჩასვეს“... მართალია, კვების პროდუქტების ტექნოლოგიებს ვსწავლობ, მაგრამ ხელოვანი ადამიანი ვარ.

დათო პირთაძე, 20 წლის:

მე არც ვუკრავ და არც ვმღერო, ჩემი მეგობრების სიმღერების შემფასებელი ვარ — მომწონს მათი შემოქმედება.

— დათო, სპექტაკლში შენ მიერ შესრულებულ როლზე რას იტყვი?

— ყველა როლი რთულია, ჩემი კი —

პოტატუნა — გემო, რომელსაც არ იზიწყებენ



თბილისში მას უკვე ბევრი იცნობს და ვინც იცნობს, კვირა არ გავა, ერთხელ მაინც არ მიირთვას. სხვაგვარად შეუძლებელია მოხდეს. პოტატუნას გემო ხომ მართლაც განუმეორებელია ეს კერძი, რომელსაც სასაცილოდ უღერადი სახელი ჰქვია, სწორედ ისეთია, ბავშვებს რომ მოსწონთ, იმდენად ნოყიერია, რომ ერთი ულუფით კარგი ვაჟკაციც კი დანაწრდება, თანაც არც მოსწყინდება ვინმეს, რადგან შეუძლია, სულ სხვადასხვა გემოს პოტატუნა მიირთვას: სოკოთი, ხორციით, თევზით, მწნილით... არსებობს სამარხვო პოტატუნაც რომელიც არამეგობრობა არა მარტო მათთვის, ვინც ეკლესიურად ცხოვრობს, არამედ ყველასათვის, ვისაც უყვარს ახალი და უცხო კერძების დაგემოვნება.

თქვენ ჯერ ხილავ არ იცნობთ და გაინტერესებთ, რა არის პოტატუნა?

მისი სახელი ინგლისური სიტყვის — Potatoes (ფოთეთოუს) ფუძეს ეყრდნობა. ქართულად ის კარტოფილს ნიშნავს. კერძის შემადგენელიც კარტოფილი გახლავთ. ეს არის განსაკუთრებული ჯიშის კარტოფილი, რომელიც ისეა მომზადებული, ვიზუალურად ხელოვნების ნიმუშს ჰგავს, გემოთი კი... გემო უნდა გასინჯოთ. მისი სიტყვით გადმოცემა წარმოუდგენელია.

პოტატუნას უცხოელი „ნათესავებიც“ ჰყავს, თუმცა ისინი სახელითაც და შემადგენლობითაც განსხვავებულია. კაფეების ქსელი „პოტატუნა“ დავით გიორგობიანსა და მის კომპანიას ეკუთვნის. უკვე ბევრი სახეობა არსებობს ამ კერძისა და დღითი დღე მეტი და მეტი ხდება, რადგან შესაძლებლობა ვარიაციებისა ისეთივე ამოუწერავია, როგორც ადამიანის ფანტაზია.

— სად შეიძლება მივირთვათ ეს მართლაც უნიკალური კერძი? — ვკითხვით „პოტატუნას“ კაფეების დამფუძნებელს — ბატონ **დავით გიორგობიანს**, რომელმაც გვიპასუხა:

— პოტატუნა ჩვენი კომპანიის დაპატონებულია საქართველოში. ჩვენ გარდა, არავის აქვს უფლება, აწარმოოს ეს კერძი,

თუმცა ვიცი, რამდენიმე ადგილზე უნებართვოდაც აკეთებენ... რეალურად, ვერც გამოუვათ ისეთი, როგორც უნდა იყოს და არის ჩვენი კაფეების ქსელში. თანაც არც ვაპირებთ, რეაგირების გარეშე დავტოვოთ ქურდობის ეს ფაქტი. ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, რომ პოტატუნა მოსაწყენი არ ყოფილიყო. უკვე გვაქვს პოტატუნას თოხმეტნაირი სახეობა. მისი პოპულარობა იმდენად გაიზარდა და ყოველდღიურად ისე მატულობს, რომ პირველი კაფეს ამუშავების შემდეგ აუცილებელი გახდა „პოტატუნას“ კაფეების ქსელის გახსნა. პოტატუნა შეიძლება მიირთვათ თბილისში, რამდენიმე ადგილას: დიდუბეში, სავაჭრო-გასართობ ცენტრ „მეგალიანში“, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის — „ლაგუნა ვერეს“ საცურაო აუზის ფოიეში, ვაკეში — 55-ე სკოლის გვერდით მდებარე კაფე „დისქავერიში“, საქართველოს სავაჭრო ცენტრ „ჯი-თი-სიში“ და აგრეთვე „აკვაპარკის“ ორ კაფეში.

— თვით სახელწოდება — „პოტატუნა“ ნინო შუბლაძის ბიზნესპროექტს — „მის პოტატოს“ გვახსენებს... თუ გახსოვთ, არსებობდა „ათასიდან ერთი შანსი“, რომელზეც აფინანსებდნენ საინტერესო პროექტებს...

— მახსოვს... ეს პროექტი ბატონმა ლაშა პაპაშვილმა დააფინანსა მაშინ. „მის პოტატოს“ გახლდათ შემწვარი კარტოფილის ფრი, რომელიც ჯისურებში უნდა გაყიდულიყო... როცა გადაცემა, რომელსაც თქვენ იხსენებთ, ტელევიზიით გადიოდა, მაშინ „პოტატუნას“ ქსელის პირველი კაფე „მეგა-


ჩვენი კაფეების სტილი სხვადასხვანაირია. კაფე „დისქავერი“ ვაკეშია, მისი დიზაინიც განსხვავებულია. აქცენტები აღმოჩენაზე კეთდება. ტარდება საზოგადოებისათვის ნაცნობი ავტორების ფოტოგამოფენები. გვაქვს 50 ფოტოს ადგილი და ველოდებით გამოფენის მოწყობის მსურველებს. უკვე გამოვფინეთ „დისქავერ აფრიკა“, „დისქავერ ტაო-კლარჯეთი“, სულ ცოტა ხნის წინ — „დისქავერ ნიდერლანდი“... ამ გამოფენის გახსნისას ბევრი სტუმარი ეწვია ჩვენს კაფეს, მათ შორის, ქალბატონი სანდრა რულოვისიც... ახლა „დისქავერ კუბას“ ვამზადებთ. „ჯი-თი-სიში“ „სინემა კაფე“ გვაქვს: დიზაინი ქართული და უცხოური კინოს ისტორიას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს კაფე ახალი გახსნილია, უკვე უყვართ, იქით ქართული ფილმის მხარეა, აქეთ — უცხოური ფილმის მხარე... პოტატუნას კაფე „ლაგუნა ვერეზეც“ ძალიან ლამაზია, მის კედელზე ოკეანის უზარმაზარი ფოტოა — ისეთი განცდაა, ვითომ სანაპიროზე იმყოფები. პოტატუნა შეგიძლიათ მიირთვათ „აკვაპარკშიც“, სეზონურად უნდა გაიხსნას კიდევ რამდენიმე კაფე. ახლა უკვე 10 კაფე უნდა გექონოდა. სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენებმა შეგვაფერხა, ახლა მხოლოდ 6 კაფე გვაქვს. სულ მალე გაიხსნება დანარჩენი ოთხიც — რეგიონებში... სიაშიკვებით ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვინც დაგვიკავშირდება და შემოგვთავაზებს საქმიან წინადადებას. ვეძებთ მოქმედ კაფეებში თანამშრომლობის მსურველებსაც და ახალ-ახალ ფართსაც...

— თქვენ ახსენეთ, რომ შეიძლება, პოტატუნა შინ ან ოფისში მოგვიტანონ...

— ცხადია. არსებობს „პოტატუნა გამოძახებით“. მნიშვნელოვანია, რომ კაფეში მიირთმევთ პოტატუნას თუ შინ გამოიძახებთ, ფასში სხვაობა მაინც არ იქნება. ცხლად მოგიტანენ. უკვე იმდენად ბევრი შეკვეთაა, ჩვენი სამსახური უნდა გაუფართოოთ... გამოძახება და შეკვეთა შეგიძლიათ კვირის ნებისმიერ დღეს, 10-დან 19 საათამდე. მომხმარებლები პოტატუნას წინააღმდეგ თუ შეუკვეთენ, 10%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ... შეკვეთა შეიძლება, ჩვენი www.potatuna.ge და ტელეფონითაც: 31.32.13; 8.55.40.14.14.

— დაბოლოს, თქვენი კაფეების ქსელში ბევრი სხვა კერძიცაა და მართლაც უგემოვნელსაც ნაყინის, სენდვიჩების, სალათების და ნამცხვრების დაგემოვნება შეიძლება.

— ჩვენ ვთანამშრომლობთ „ნატასტართან“, „კოკა-კოლასთან“, „თოლიასთან“. კიდევ არაერთ სხვა სიურპრიზს ვთავაზობთ მომხმარებელს... მუდმივი მომხმარებელი არ გვაკლია. მთავარია, ერთხელ გასინჯოთ...



ლანში“ უკვე მუშაობდა და პოტატუნაც იყიდებოდა. თანაც, პოტატუნა აბსოლუტურად განსხვავდება „მის პოტატოსაგან“. ეს გახლავთ კერძი, რომელსაც ან კაფეში მიირთმევთ, ან გამოიწერთ და შინ თუ ოფისში მოგართმევენ...

— სამომავლოდ როგორი გეგმები გაქვთ?

— ვაკვსა და „ჯი-თი-სიში“ კაფეები ახალი გახსნილია... აქვე იმასაც გეტყვით, რომ

ჰაასტა გულიაშვილი გეორგი ჰაუსის მამა გახდა

„მშობიარობას დავესწარი და ნაბიჯის ჩვილი ხალხი ავიყვანე“

გადაცემა „მზის დარტყმის“ წამყვანს, მსახიობ პაატა გულიაშვილს 22 ოქტომბერს მეორე ვაჟი შეეძინა, რომელსაც სახელად ნიკოლოზი დაარქვა. ახალშობილი და დედა თავს კარგად გრძნობენ, პაატაც აღფრთოვანებულია და როგორც თვითონ ამბობს, მეორე შვილის მამობა თითქოს უფრო იგრძნო: „როდესაც გუგა გაჩნდა, მაშინ უფრო პატარა ვიყავი და მამობა რაღაც ვერ გავითავისე“, — ამბობს ახალგაზრდა მსახიობი, რომელმაც სახელი როგორც პირველს, ისევე მეორე შვილს თავად შეურჩია.

თაყვანა კეტირაშვილი

ოვდა, ისე არ გავაჩენ, თუ შენც არ დაესწრებო (იციინის), მთელი ცხრა თვის განმავლობაში უარზე ვიყავი, მაგრამ ბოლო მომენტში გადავიფიქრე. პირველი შვილის დაბადებას არ დავსწრებივარ. ეს ისეთი რამ არის, რომ მხოლოდ ერთხელ უნდა ნახოს და განიცადოს ადამიანი. საოცარი განცდა გეუფლება, როდესაც უყურებ თუ როგორ იბადება შენი შვილი. ჩემმა მეუღლემ პირველი მშობიარობა ძალიან რთულად გადაიტანა და საოცარი შიში ჰქონდა. ალბათ ამიტომაც მთხოვდა ასე დაჟინებით, რომ ბავშვის დაბადებას დაესწრებოდი. მეც ხათრი ვეღარ გავუტყუებ და დავთანხმდი.

— როგორ ფიქრობ, გამართლებულია, მეუღლე რომ დაესწროს მშობიარობას?

— არის ამაში რაღაც გამართლება, როგორც ჩემი მეუღლე მეუბნება, რომ მიყურებდა, უფრო მხნედ გრძნობდა თავს.

— როგორ არიან დედა და ბავშვი?

— თავს კარგად გრძნობენ, რაც ძალიან მახარებს. ორი ბიჭის მამობა რაღაც სხვა პასუხისმგებლობაა!

— მეუღლეს ეხმარები ბავშვის აღზრდაში?

— კი, მზრუნველი მამა ვარ. ბავშვისთვის პამპერსიც გამომიცვლია და საჭმელიც მიჭმევია. ერთადერთი, რასაც ვერ ვაკეთებ, ის არის, რომ პატარას



მარტო ვერ ვიტოვებ. არ შემიძლია, რომ ატირდეს, რა ვქნა?!

— ოჯახში პატარა რომ შეგემატათ, უფროს ვაჟი — გუგა ცოტას ხომ არ ეგოისტობს?

— კი, რაღაცეებში უკვე გამოავლინა ეგოისტობა. იმ დღეს, ნიკოლოზისთვის საწოლი ვიყიდეთ, სახლში რომ მივიტანეთ, ძალიან გაუხარდა, ეგონა, რომ მისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ საღამოს ისევ თავის საწოლში, რომ მოუწონია დაძინებამ, ცოტათი „გაუტყდა“. ვფიქრობ, რომ ნამოიზრდებიან, ერთმანეთში მოაგვარებენ საქმეს, ჩემი შვილები არიან და ალბათ, მათში მალე გაიღვიძებს ძმობის ინსტიქტი.

— აღნიშნე, რომ ორი ბიჭის მამობა უფრო საპასუხისმგებლოა. გოგონა ხომ არ გინდოდა?

— ნამდვილად მქონდა ამის სურვილი, მაგრამ, რა ვქნა, რაღაც არ გამომდის ეს გოგოები (იციინის). იმედია, მესამე მაინც იქნება გოგო.

— ესე იგი, მესამე შვილის ყოლას აპირებთ?

— ძალიან მიინდა კიდევ ერთი გოგონა. ხომ იცი, გოგოები უფრო მამის შვილები არიან და ვნახოთ, ღმერთი როგორც ინებებს, ისე იქნება. დაგეგმილი არაფერი გამომდის (იციინის)... ჩემს მეუღლეს, როდესაც გუგაზე იყო ფეხმძიმე, სამშობიარო ტკივილები გვიან ღამით დაენყო, მაშინ მანქანა არ მყავდა და მიცუკვირიდან ცენტრალურ ტრასამდე სულ ხელში აყვანილი მივარბენინებდი. ნიკოლოზზეც ტკივილები გვიან ღამით დაენყო. ერთი სიტყვით, შვილები ღამლამობით არ მაძინებენ, მაგრამ ჯერ სად ვარ (იციინის).

— შვილების დაბადება თოფის გასროლით, არ აღნიშნე?

— ორი ბიჭი გავისროლე და ამას რაღა თოფის გასროლა უნდა (იციინის)? თელავში რომ ჩავალ, თოფს იქ გავისვრი.



ორი ბიჭის მამობა რაღაც სხვა პასუხისმგებლობაა

— გოგონა რომ მეყოლება, მისი სახელის შერჩევას, მეუღლეს მივანდობ, ბიჭების სახელების დარქმევა კი ჩემი პრეროგატივაა. პატარა ნიკოლოზ გულიაშვილი 22-ში, დილის რვის ნახევარზე დაიბადა, მაგარი საყვარელი ვილაცაა, მშობიარობას დავესწარი და სულ რაღაც წამების იყო ჩემი შვილი, ხელში რომ ავიყვანე, ძალიან მაგარი შეგრძნება მქონდა.

— მშობიარობას შენი სურვილით დაესწარი თუ მეუღლის თხოვნა იყო?

— ჩემი მეუღლის სურვილი გახლდათ. სულ იმას მეხვეწებოდა და მთხ-



ქალთა სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრი „ზეევთან“ (ისრაელი)

*გინეკოლოგია
*ენდოკრინული გინეკოლოგია

*კოსმეტოლოგია
*ფოტოეპილატაჟი
*ფოტოგაბაზრადრეაქცია

*ისრაელის ელიტარული კოსმეტიკა
*ფიტნესი
*იოგა
*სამედიცინო ტურიზმი ისრაელში

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №9 (ვაჟე, მრგვალ ბაღთან ახლოს)
ტელ: 23 28 93; 893 27 57 97
ელ-ფოსტა: info@microgen.ge
www.zeevs.ge



დაგროვებითი ფასდაკლების - "გზრადი ბარათი" ავერსისგან



ავერსის აფთიაქებს ერთგული მომხმარებელი მრავლად ჰყავს. მათ იციან, რომ აქ ხარისხიან მედიკამენტებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ჰიგიენურ ნაწარმს თუ ბავშვის კვების პროდუქტებს შეიძენენ. დაგროვებითი ფასდაკლების ბარათი უმთავრესად სწორედ ერთგული მომხმარებლების დასაჩუქრებად ისახავს მიზნად. ავერსის ნებისმიერ აფთიაქში მედიკამენტებისა თუ სხვა სახის ნაწარმის (კოსმეტიკის, ბავშვის საკვების, სხეულის მოსავლელი საშუალებების) შეძენისას თითოეული მომხმარებელი მიიღებს დაგროვებითი ფასდაკლების მტრედ ბარათს, რომლის მეშვეობითაც ის მრავალი პრიზის მფლობელი გახდება.

არჩევანი მრავალფეროვანია: დაგროვებითი ფასდაკლების შედეგად შეგიძლიათ დამატებითი ფასდაკლების სახით მიიღოთ როგორც მედიკამენტები, ისე მაღალი ხარისხის კოსმეტიკური საშუალებები, კერძოდ:

- * ავერსი-რაციონალის მიერ წარმოებული სამკურნალო პრეპარატები
- * გერმანული კომპანია "დოლივას" სამკურნალო კოსმეტიკა;
- * "აპავა" - მკვდარი ზღვის სამკურნალო კოსმეტიკა ისრაელიდან;
- * საუგელა - სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები იტალიიდან;
- * ლაკალუტი - კბილის პასტები და ჯაგრისები გერმანიიდან;
- * პრევეინი - თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალება ამერიკული კომპანია "აპჯონისგან".



რომელიც ავერსის აფთიაქში პროდუქციის შეძენისას აუცილებლად თან უნდა იქონიოთ: თქვენი ნებისმიერი შენაძენი, რა ღირებულებისაც უნდა იყოს ის, აღირიცხება და ანგარიშზე არსებულ თანხას ემატება. როდესაც თანხა 100 ლარს მიაღწევს, შეგეძლება, საჩუქრად მიიღოთ თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის 10%-ის ღირებულების პროდუქცია, რომელსაც ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან კომპანიის ვებ-გვერდზე არსებული კატალოგიდან (www.aversi.ge) აირჩევთ.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბარათი შეგიძლიათ ათხოვოთ ოჯახის წევრს ან მეგობარს, რათა ანგარიშზე თანხა უფრო სწრაფად დააგროვოთ, თუმცა სასურველი ნაწარმის შერჩევა და საჩუქრად მიღება მხოლოდ ბარათის მფლობელს შეუძლია. პრიზის მიღებისას მან თან უნდა იქონიოს ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ავერსის აფთიაქებში პროდუქციის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო ბარათით (Visa card, Master card და ა.შ.) ხდება.

თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან ავერსის ვებ-გვერდზე არსებული კატალოგიდან.

დღეისათვის ფასდაკლების მტრედი ბარათის მფლობელი გახლავთ 133312-ზე მეტი ადამიანი. 22324-ზე მეტმა უფასოდ მიიღო 668877 ლარის ღირებულების პროდუქცია.

ავერსი მომხმარებლებს მუდმივად ანებიერებს შეღავათებით. ფასდაკლების მტრედი ბარათი სწორედ იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც კომპანია დაარსების დღიდან ანხორციელებს.

დაგროვებითი ფასდაკლების მტრედი ბარათის ყველაზე ერთგულ მფლობელებს, რომელთაც კომპანია 1 წლის განმავლობაში გამოავლენს საშუალება ექნებათ, დაისვენონ საქართველოს ან ევროპის რომელიმე კურორტზე, ან შესაბამისად მიიღონ 1 000\$ ან 1 500\$. ამ სიას კომპიუტერიც ემატება, თუმცა მის ნაცვლად მომხმარებელს შეუძლია თანხა (1 000\$) მოითხოვოს. მთავარი პრიზი ავტომობილი ან 15 000\$-ია. დაგროვებითი ფასდაკლების მტრედი ბარათი რომ მიიღოთ, ამისათვის ავერსის აფთიაქში ნებისმიერი თანხის პროდუქცია უნდა შეიძინოთ. სპეციალური ანკეტის შევსების შემდეგ თქვენ გადმოგეცემთ ფასდაკლების მტრედი ბარათი,



საპროცესო დაპყვადება ქართული ჯარის მიტი და რეალობა

ხელისუფლება აგვისტოს ომში განცდილი მარცხისათვის რიგით ჯარისკაცებსა და უმცროს ოფიცრებს ასამართლებს. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრების, გენერლებისა და სხვა მაღალჩინოსნების მიერ, ნებისთ თუ უნებლიეთ, დაშვებული შეცდომების შედეგად, ქვეყანამ ახალი ტერიტორიები და სტრატეგიული ობიექტები დაკარგა, მათ პასუხისგებაში მიცემას არავინ აპირებს. სამაგიეროდ, რამდენიმე ასეული ჯარისკაცი უკვე წინასწარი გამომძიების საკანში იმყოფება.



ვინ ავო პასუხი ომში განცდილ მარცხზე

სათუნა ბახტურიძე

ხელისუფლება 4 წლის განმავლობაში გვარწმუნებდა, რომ ძლიერი და მოტივირებული არმია გვყავს. აგვისტოს ომის შემდგომ დღეებში ქართული ჯარის თავდადების ამბებს თავად მაღალჩინოსნები გვიამბობდნენ. დღეს სწორედ ამ არმიის ჯარისკაცებს დეზერტირობაში, იარაღის დაკარგვასა და ნარკოტიკების მოხმარებაში სდებენ ბრალს. რამდენად დასაბუთებულია ეს ბრალდებები? ვინ უნდა აგოს პასუხი ომში განცდილი მარცხის გამო? როგორ იბრძოდნენ სინამდვილეში ქართველი მეომრები?.. საზოგადოებას ბევრი კითხვა დაუგროვდა და ამ კითხვების თუნდაც ნაწილზე პასუხის მიღება, ექსპერტთა დახმარებით ვცადეთ.

— ბატონო ირაკლი, როგორ მოხდა, რომ ძლიერ და მოტივირებულ არმიაში რამდენიმე ასეული დეზერტირი აღმოჩნდა?

ირაკლი სმისაშვილი, ექსპერტი უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში:

— როდესაც დეზერტირობაში ბრალდებული სამხედრო მოსამსახურეების საქმეებს ვაანალიზებდით, ყველა შემთხვევაში, მმართველობის მიერ დაშვებული შეცდომები გამოიკვეთა. როდესაც პრეზიდენტმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განკარგულება გასცა, ჩვენმა ჯარებმა ქაოსურად დაიწყეს უკან დახევა, რის გამოც, ცალკეულმა მეთაურებმა არასწორი გადაწყვეტილებები მიიღეს და ჯარისკაცები სიტუაციის მსხვერპლად იქცნენ. თუ ფრონტის ხაზიდან ერთი ჯარისკაცი გარბის, ის დეზერტირია, მაგრამ თუ რამდენიმე ასეული ჯარისკაცი ტოვებს დისლოკაციის ადგილს, ამაზე ხელმძღვანელობამ უნდა აგოს პასუხი. პირდაპირ ვიტყვი, რომ სამხედრო მოქმედებების

დროს უმაღლესმა მთავარსარდალმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. როდესაც ჯარისკაცს იარაღის დაკარგვაში სდებ ბრალს, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ თავად, შეიარაღების დიდი ნაწილი და ტყვია-ნაბალი მტერს ჩააბარე. ექსპერტების დიდი ნაწილი ვფიქრობთ, რომ აგვისტოს ომში ჯარისკაცებმა თავიანთი ამოცანები ხუთიანზე შეასრულეს, ომში დამარცხების მიზეზი ხელმძღვანელი პირების მიერ დაშვებული სტრატეგიული შეცდომები იყო. აქედან გამომდინარე, ჯარისკაცებისთვის ბრალდების წაყენება გაუმართლებლად მიმაჩნია. ვინც დაპატიმრებას გადაურჩა, ისინი, ვითომდა უღირსი საქციელის გამო, სამსახურიდან დაითხოვეს და 14-ათასლარიანი ჯარიმა დააკისრეს.

— უღირს საქციელში რა იგულისხმება?

— უღირს საქციელში დისციპლინირებული და ადმინისტრაციული დარღვევები იგულისხმება. ალბათ დამეთანხმებით, რომ აბსურდული ბრალდებებია. ეს ჯარისკაცები იმიტომ მოიშორეს თავიდან, რომ მაღალჩინოსანთა მიერ დაშვებული შეცდომები არ გახმარებულყოფიყო. მე ვიცნობ რამდენიმე მეომარს, რომლებმაც ფრონტის ხაზზე სასწაულები მოახდინეს, უპრეცედენტო გმირობები ჩაიდინეს, დღეს კი ციხეში არიან. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც საკუთარი ნებით შედიოდა ცხინვალში და დაჭრილები გამოჰყავდა, სხვა შემთხვევაში, წუთითაც არ დაუტოვებია სამხედრო ნაწილი, დეზერტირობაში წაუყენეს ბრალი. თან, რაც ყველაზე ალოგიკურია, სწორედ სამხედრო ნაწილიდან აიყვანეს.

— ამ ადამიანების ვინაობის დასახელება თუ შეგიძლიათ?

— სამწუხაროდ, ვერ დავასახელებ, იმიტომ, რომ დაპატიმრებულ ჯარისკაცებს

საპროცესო გარიგებას სთავაზობენ, თან მათ ოჯახებზე ზენოლას ახორციელებენ.

— საპროცესო გარიგების პირობები როგორია?

— მათ, რეალურად, სამიდან ათ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. თუ ისინი დანაშაულს აღიარებენ, აღარ მოხდება ბრალის განხილვა, გადაიხდიან საპროცესო გარიგების თანხას — სამიდან ხუთი ათას ლარამდე და ერთწლიან სასჯელს მოიხდიან(!). პარლამენტს პირადად მივმართე, რომ ამ ჯარისკაცების მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყდეს, მაგრამ უარი მივიღე. ფაქტია, რომ პრეზიდენტი და მისი თანამოაზრეები მმართველ რგოლებსა და უმაღლესი თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობას არიდებენ და დაბალ რგოლებზე ინშენდენ ხელს. მეტისმეტად თვალში საცემია ის ფაქტი, რომ პასუხისგებაში მხოლოდ რიგითები და უმცროსი ოფიცრები არიან მიცემულნი. ალბათ მავანმა იფიქრა, რომ მათი დაჩაგვრა და გაჩუმება ადვილი იქნებოდა. ხელისუფლების ასეთი საქციელი მეომრების გულში პროტესტს იწვევს, პატრიოტიზმისათვის დეზერტირობის დაბრალება გამოუსწორებელი შეცდომაა. ასეთი გადაწყვეტილებებით, ხელისუფლება, იმედგაცრუებული ჯარისკაცების სახით, ჩვენს ქვეყანას მტრებს უჩენს. თავის დროზე, „ვიტენამის სინდრომმა“ ამერიკას სერიოზული ზიანი მიაყენა. ალბათ მავანს მსგავსი „ექსპერიმენტის ჩატარება“ საქართველოშიც სურს.

— თქვენი აზრით, კონკრეტულად ვინ უნდა აგოს პასუხი ომში დამარცხების გამო?

— უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, ამ ადამიანების გვარებს ვერ დავასახელებ, მაგრამ სრული პასუხისმგებ-



ბლობით ვაცხადებ, რომ ძალიან ბევრმა გენერალმა სერიოზული შეცდომა დაუშვა.
 — ამ შეცდომების ჩამონათვალი როგორია?

— მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ პრეზიდენტმა ისეთ დროს მიიღო საომარ მოქმედებებში ჩართვის გადაწყვეტილება, როდესაც საფრთხეებისა და რისკების ალბათობა გაზრდილი იყო. ფართომასშტაბიანი ომისათვის ჩვენი შეიარაღებული ძალები მზად არ იყვნენ. არ გვექონდა საპაერო თავდაცვა, არ გვეყავა გამოცდილი სამხედრო მმართველები, არ გვექონდა ომის წარმოების სტრატეგია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკან დახევისა და ევაკუაციის გეგმაც კი არ გვექონდა. სრულიად მოუწესრიგებელი იყო კომუნიკაციის საშუალებები, საიდუმლო და ზუსაიდუმლო დავალებები მობილური ტელეფონების საშუალებით გადაიცემოდა. სამხედრო ოპერატიული გადაწყვეტილებების პროცესში საშუალო და არაკომპეტენტური პირები ეროდნენ. კიდევ რომელი ერთი დაგისახელოთ?.. გაერთიანებული შტაბის უფროსი ზაზა გოგავა თავის საქმეში პროფესიონალია და მცირე მასშტაბის ანტიტერორისტული ოპერაციების შესრულება ხუთიანზე შეუძლია, მაგრამ ის ვერ მართავს შეიარაღებულ ძალებს, იმიტომ, რომ სამხედრო სტრატეგიაში ვერ ერკვევა. ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში თავდაცვის მინისტრი — საშუალო პირია, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა, გამოცდილება, ავტორიტეტი და მრჩეველებად ან მოადგილეებად მაინც ჰყავდეს სამხედრო პირები. თუ თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტს ხელმძღვანელების მხოლოდ ასაკს გადავხედავთ, უკვე მივხვდებით, რომ მათ არანაირი გამოცდილება არა აქვთ და არც რჩევების მიცემა შეუძლიათ.

კობა ლიკლიძემ, ყურნალისტი, სამხედრო ექსპერტი:

— მეც ვადასტურებ იმ ფაქტს, რომ ხარვეზები ძრითადად, სახელმწიფო აპარატში გამოჩნდა. თუ გავიხსენებთ, როგორ იქცეოდნენ უმაღლესი პირები, შეგვრცხვება, რომ ისინიც ქართველები არიან. როდესაც დამფრთხალი ჩინოვნიკები სხვადასხვა ქვეყანაში გასაქცევ გზებს ეძებდნენ, ჯარისკაცები ვაკუცურად იბრძოდნენ. ჩემი აზრით, პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც ჯარი ცხინვალში შეიყვანა და ხაფანგში მოახვედრა.

— ჩინოვნიკების სიმბდალის გამო, დეზერტირობა ალბათ უნდა გავამართლოთ?..

— გულწრფელად ვამბობ — ქართულ არმიამ არ იყვნენ დეზერტირები და მოლატეები, უბრალოდ, ზოგს სათანადო ფსიქოლოგიური მომზადება არ ჰქონდა და ნერვებმა უმტყუნა, ზოგმა მეთაური ვერ დაინახა თავის გვერდით და დაიბნა, ზოგთან კავშირმა არ იმუშავა და ამის გამო, პოზიციები დაკარგა. ქართველმა ჯარისკაცებმა საბრძოლო სულისკვეთება მაშინაც კი შეინარჩუნეს, როდესაც მეთაურების მიერ მიტოვებულები უკან გამოდიოდნენ. თავად

გახლავართ ამის მომხრე. მე თუ მკითხავთ, ჯარისკაცები ყველაზე მეტად, ჩვენი ხელისუფლების არაორგანიზებულობამ და არაკომპეტენტურობამ დააბნია. დეზინფორმაციამ, რომელიც ვირუსივით გადაჰქონდათ მობილურ ტელეფონებსა და სხვადასხვა ჯურის დეზინფორმატორს, არმიის ეროზია მოახდინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დეზინფორმაციასა და „პანიკორობაში“ შემჩნეული არიან უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი კონტროლირებადი ტელეფონები. ქართველ მეომრებს, რომლებიც მღვრეკისთან, ერგნეთთან და კარაღეთთან იბრძოდნენ, 8, 9, 10 აგვისტოსთვის ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მათ მალე ამერიკელი სამხედროები, კრეისერებითა და ავიაციით დაეხმარებოდნენ(!). ისინი გაკვირვებულნი მკითხებოდნენ, — რატომ გვიღალატა დასავლეთმა?! 10 აგვისტოს, ღამის 9-სათიან გამოშვებაში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყურნალისტმა, რომელიც გორში სამხედრო ჰოსპიტლიდან პირდაპირ ეთერში ერთვებოდა, მიუტყვებელი შეცდომა დაუშვა და არასანდო წყაროზე დაყრდნობით (როგორც შემდეგ გაირკვა, ეს წყარო იყო დავით კირკიტაძე), გადასცა ინფორმაცია, გორიდან მოსალოდნელი ევაკუაციის შესახებ. ამის შემდეგ, ქალაქიდან დაიწყო პოლიციის პატრულის, „სასწრაფო დახმარება 03“-ისა და სამხედრო ჰოსპიტლის ევაკუაცია. ქალაქიდან გავიდა მოსახლეობის დარჩენილი ნაწილიც. მოსახლეობის შიში გასაგებია, მაგრამ როდესაც პანიკაზე ეგებინა სტრუქტურები, რომლებსაც შესაბამისი იმუნიტეტი უნდა ჰქონდეს, ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა ხდებოდა ომის დროს ფრონტისპირა გორში. ძალიან მაინტერესებს, რატომ არავინ აგებს პასუხს დახოცილი ყურნალისტების გამო?..

— ფრონტის ხაზზე დაღუპული ყურნალისტის გამო პასუხი ვინ უნდა აგოს?

— 5-დღიან ომში დაიღუპა 3 და დაიჭრა 5 ყურნალისტი. მერწმუნეთ, ამის თავიდან არიდება თავისუფლად შეიძლება, სამხედრო პრესცენტრი რომ ყოფილიყო ორგანიზებული. პრესცენტრი დაკომპლექტებული იყო „ნაცმოძრაობის“ წევრებისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებისგან, რომლებიც მიმდინარე მოვლენების შესახებ საერთოდ, ვერ ფლობდნენ ინფორმაციას. ისინი იმავე ყურნალისტებისაგან იგებდნენ, თუ რა ხდებოდა ფრონტის ხაზზე. ე.წ. პრესცენტრი ხშირად არასწორ ცნობასაც ავრცელებდა. 8 აგვისტოს, შუადღისთვის გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალს საქართველოს შეიარაღებული ძალები აკონტროლებდნენ. ჩვენ, ვისთანაც მიგვიწვდებოდა ხმა, ვუბნებოდით, რომ ეს არასწორი ინფორმაცია იყო, მაგრამ ყველას გაფრთხილება ვერ შევძელით. ასევე ვერ მოვახერხეთ, საქმის კურსში ჩავვეყენებინა „იტარ-ტასის“ კორესპონდენტი ალექსანდრე კლიმუჯი, „ალანიის“ ყურნალისტი გიგა ჩიხლაძე და „ჯორჯიან მესინჯერის“ ყურნალისტი თემურ კილურაძე, ამიტომ ისინი დაიშვებულნი

შევიდნენ ცხინვალში. ქალაქის შესასვლელშივე წააწყდნენ ოსების სპეცდანიშნულების ნაწილს, რომლის მეომრებიც მათ ქართველები ეგონათ და „გამარჯობა“ უთხრეს! ორი ყურნალისტი ადგილზევე დახვრიტეს, თემურ კილურაძე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გადარჩა. მოგვიანებით ის, რუსი და ჩრდილოკავკასიელი ყურნალისტების დახმარებით, სამშვიდობოს გამოვიდა და ეს კომმარო თავად უამბო კოლეგებს. ამ ხელისუფლებამ მარტო ჯარისკაცები კი არა, ყურნალისტებიც განირა.

— იმ სამხედროებზე რა ინფორმაციას ფლობთ, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისა თუ მოხმარებისთვის ისეგებან?

— ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის ბათუმელ სერჟანტს — შავაძესაც აბრალებდნენ. ეს ხომ აბსურდია! ნაწლის შენახვისთვის ან მოხმარებისთვის, როდის იყო, კაცს კლავდნენ?! იმედ მაქვს, ოდესმე ყყოფათ ვაჟაკობა და იტყვიან, რისთვის მოკლეს ეს ადამიანი... როდესაც ჩემი თვლით ნანახსა და განცდილს ვიხსენებ, ისეთი დასკვნა გამომაქვს, რომ ომის რეალური მიზეზები და შედეგები მოსახლეობას, პირველ რიგში კი — სამხედროებსა და მათ ოჯახებს საგულდაგულოდ დაუმალეს. ახლა ადამიანებს სჯიან იმისთვის, რომ მავანს კიდევ ერთხელ მიეცეს თავის შეცდომებზე „ჩადრის“ ჩამოფარების საშუალება. დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში, არაფერი დაიმალება. ადრე თუ გვიან, იმასაც გავიგებთ, თუ რატომ ჩავაბრუნეთ მტერს კოდორი.

— თქვენი ვერსია როგორია?

— მიჭირს რამის თქმა. ერთს გეტყვით: იქიდან ჩამოსულმა სასულიერო პირმა (რომელსაც მე ისევე ვენდობი, როგორც პატიოსან ჯარისკაცებს) თქვა, რომ კოდორის ხეობა უბრძოლველად იქნა ჩაბარებული. აფხაზები იქ ოთხი თუ ხუთი ვერტიმფრენით შევიდნენ და უპრობლემოდ დაიკავეს ხეობა, სადაც 11 აგვისტომდე, ათასამდე პოლიციელი და სამხედრო იყო განლაგებული. როგორც სამხედროებისგან ვიცი, კოდორში დიდძალი ტყვია-ნაშალი და იარაღის არსენალი დარჩა.

ბია შარჭარაშვილი, თავდაცვის ექსპრინისტი:

— ცხინვალში ომის დაწყების დღიდან წავედი. ჩემი თვლით ვნახე ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა. ქართველი ჯარისკაცების დიდ ნაწილს მონინალმდევე თვლითაც არ უნახავს: მათ მტერთან ბრძოლის საშუალებაც კი არ მიეცათ, ახლა კი პასუხს აგებინებენ იმისათვის, რომ ცოცხლები გადარჩნენ...

— თქვენი ინფორმაციით, სანაკოვმა თუ მიიღო მინაწილება ამ ომში?

— კი, „გამოქცევაში“ მიიღო „აქტიური მონაწილეობა“. სანაკოვის სპეცრაზმმა მოსახლეობაზე ადრე დატოვა ხეობა. 9 აგვისტოს, უთენია ისე გამოიპარნენ, რომ მოსახლეობაც კი არ გააფრთხილეს.

— როდესაც რუსულმა ავიაციამ ქართული ჯარის დაბომბვა დაიწყო,

საქართველოს
 პარლამენტის
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ჯარისკაცების ნაწილმა დისლოკაციის ადგილი მართლაც დატოვა. არის თუ არა ეს დანაშაული?

— უმჯობესი იყო, შინდისსა და ფხვენისში მდგარიყო ჯარი და ქართველი ახალგაზრდები რუსულ ავიაციას სრულად გაენადგურებინა?..

— ასეთი შემთხვევისთვის, თავდაცვის მექანიზმები ხომ არსებობს?

— კი არსებობს, მაგრამ ასეთი მექანიზმები მხედართმთავრება უნდა გათვალვონ და არა რიგითმა ჯარისკაცებმა. ქართველები გენეტიკურად არიან მეომრები, მათ მხოლოდ ქვეყანი ხელმძღვანელი სჭირდებათ. ჯარისკაცებს რა ბრალი მიუძღვით იმაში, რომ საბრძოლო სტრატეგია არასწორად იყო გათვლილი? რუსული ავიაცია ქართულ ჯარს საბრძოლო პოზიციაზე კი არა, თავმჯდომარის რაიონებში ანადგურებდა. სამხედრო მეცნიერება გვასწავლის, რომ ავიაციისა და არტილერიის ფუნქცია — მონინალმდგმის დათრგუნვა, დემორალიზაციაა და თუ ის თავდაცვითი სისტემებით არ იქნა განეიტრალებული, ეს ამოცანა აუცილებლად შესრულდება. ჩვენმა გენერლებმა ვერ მოახერხეს, სავარაუდოომის ხასიათის განსაზღვრა და თავდაცვითი ზღუდეების შექმნა. დაზვერვამაც ვერ იმუშავა. ამის შედეგად, ქართველი სამხედროები ხაფანგში აღმოჩნდნენ. მათ ეგონათ, რომ ცხინვალისგან მძიმე ტექნიკა გაყვანილი იყო, იმაშიც დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსები ომში არ ჩაერეოდნენ. ვერ ვხედავთ, რა შუაშია აქ რიგითი ჯარისკაცი და რატომ აგებენ პასუხს ისინი, გენერლების შეცდომებზე?.. მშვიდობიანი მოსახლეობის გამოსაყვანად, უსაფრთხოების კორიდორი მაინც შეექმნათ და ჯარს ნელ-ნელა დაეხია უკან.

— **ჯარისკაცების ერთი ნაწილი იარაღის დაკარგვის გამო ისდის სასჯელს. გასაგებია, რომ ჯარისკაცებმა საჭირო დაბოძებას გამოარიდეს თავი, მაგრამ იარაღი რატომ უნდა დაეკარგათ?**

— იმისათვის, რომ მომხდარი ობიექტურად შევაფასო, უნდა ვიცოდეთ, ვინ რა ვითარებაში და რომელ პოზიციაზე დაკარგა იარაღი, ვის რა ამოცანა დაუხაზა მეთაურმა. ეს სრულფასოვან გამოძიებას საჭიროებს, მაგრამ ჩვენთვის, თავდაცვის სისტემა სრულიად დახურულია. გარედან ის ჩანს, რომ ხელმძღვანელობას სურს, პასუხისმგებლობა მოიხსნას და ყველაფერი ჯარისკაცს გადააბრალოს. სწორედ ასეთ შემთხვევაში ილახება ჯარისკაცის ღირსება და ხდება არმიის დისკრედიტაცია. ბოლო 4 წლის განმავლობაში ამ ხელისუფლების პოლიტიკა ისედაც, ქართული შეიარაღებული ძალების დაუსუსტებისკენ იყო მიმართული.

— **ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქართული არმია გაცილებით ძლიერი ჩანდა, ვიდრე შევარდნაძის მართველობის წლებში.**

— ეს ტელევიზორებიდან ჩანდა. სამოქალაქო პირებს ალბათ სამხედრო ბიუჯეტის ზრდა და ალღუმების მოწყობა უქმნიდა ასეთ შთაბეჭდილებას. პროფესიონ-

ალები ჯარის ძლიერებას სხვა კრიტერიუმებით აფასებენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბრძოლაში გამოცდილი უამრავი ოფიცერი, რომლებსაც სამხედრო აკადემიები ამერიკაში, გერმანიაში ან თურქეთში ჰქონდათ დამთავრებული, მათ ადგილზე კი გამოუცდილი და არაკვალიფიციური კადრები დანიშნეს. 1992-დან 2003 წლამდე თავდაცვის სამინისტროში ნამდვილი „მგლები“ იყვნენ.

— **ამ „მგლებმა“ თავის დროზე სოსხუმი დაკარგეს.**

— 1993 წელს სოსხუმი იმიტომ დაკარგეთ, რომ პოლიტიკური გადანაცვლებების შედეგად, ქართული არმია მთლიანად განაიარაღეს. მიუხედავად ამისა, ჩემს თავს უფლება არ მიეცემა, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტზე დაერჩეულიყავი და პრეზიდენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, გადავდექი. დღეს ქართული არმია „სამკურნალო“ და ეს მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია. როგორც ვიცო, რამდენიმე სამხედრო პირი ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამოც ისჯება. უფრო კრიტიკულად უნდა გაანალიზდეს თითოეული გენერლისა და ჩინოვიის მიერ გადადგმული ნაბიჯი და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. სხვანაირად არმიას ვერ გადავარჩენთ.

დაბოლოს, ქართულ არმიაში არსებულ პრობლემებზე, ომგამოვილი მეომრებს ვუთხარებ. საკუთარი შეხედულებების გაზიარებაზე დამთანხმდნენ, თუმცა საუბრის დაწყებისთანავე, მთხოვეს მათი ვინაობა არ გამოქვეყნებინა.

პირადი:

— სიმართლე ის არის, რომ იმედგაცრუებული ვარ. ადრე სამხედრო კარიერის გაკეთება მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე. კონტრაქტი ამოიწურება თუ არა, სახლში წავალ.

— **ასე რატომ გადანაცვლეთ?**

— არ იფიქროთ, რომ ომი ვნახე და შევეშინდი. მე ჩვენი უფროსების დამოკიდებულებამ უფრო შემაშინა. იცით, რა გვითხრეს?! ამხელა ხელფასებს იმიტომ გიხდით, რომ თუ საჭირო გახდებოდა, კიდევაც უნდა მოკვდეთო. სიკვდილის არ მეშინია. არ იფიქროთ, რომ გიყვი ვარ, უბრალოდ, სამშობლოსთვის სიკვდილს პატივად მივიჩნევ. არც დამარცხებას შევეუშინებოვარ. რას ვიზამთ, ქართველები ცოტანი ვართ და ყოველთვის ვერ მოვერევით მრავალრიცხოვან მტერს. მე ჩვენმა სარდლობამ და ხელისუფლებამ გამიტყბა გული. როგორც გავიგე, მაღალჩინოსნებს ნათელ ხიდთან „ელიტური საცობი“ მოუწყვიათ: საქართველოდან გაქცევაში ერთიმეორეს ასწრებდნენ. საინტერესოა, ჩვენ ვის ხელში გვტოვებდნენ?! თუ დავიხსოვბოდით, დამარხავი მაინც ხომ გვჭირდებოდა!.. ომში რომ ვიბრძოდით, ძალებს დიდი ემოციები მიქონდა, მეგონა, მთებს გადავდამდი, ვინც წინ დამიდგებოდა, ყველას გავანადგურებდი. ერთი სიტყვით, ჩემი თავი გმირი მეგონა. ახლა ვხედავ, რომ გმირი კი არა, ვირი ვყოფილვარ. ვისთვის ვიბრძოდი —

მშიშარა და ლაჩარი ჩინოვიებისთვის თუ იმ ხალხისთვის, ვინც ნიშნის მოგებით მომაცხა: აბა, რა გეგონა? მარტო საკუთარი თანამემამულეების დარბევაში კი არ გადაგიხდიდნენ ფულსო! მე ჯარისკაცი ვარ და მეთაურის ბრძანებებს ვასრულებ... რამდენიმე დღის წინ გავიგე, რომ ჯარისკაცი, რომელიც ჩემ გვერდით იბრძოდა, იარაღის დაკარგვისთვის დაუპატიმრებიათ. ის ბიჭი სერიოზული მებრძოლია და იარაღი იმიტომ დაკარგა, რომ ფრონტიდან დაჭრილი თანამებრძოლი გამოჰყავდა. რა უფრო მნიშვნელოვანია — იარაღი თუ ჯარისკაცის სიცოცხლე?! თუ იარაღი ასეთი მნიშვნელოვანია, მთელი არსენალი მტერს რატომ ჩაუგდეს ხელში?! თუ იარაღს ვერ იცავდნენ, გაენადგურებინათ მაინც, რომ მტერს ხელში არ ჩავარდნოდა. ამათი რაღა უნდა გნამდეს?!

დათო:

— სიმართლე რომ გითხრა, იარაღის დაკარგვა მართლა, სერიოზული დანაშაულია. ბრძოლის ველიდან დაჭრილი მეც გამომიყვანია, მაგრამ იარაღი არ დამიკარგავს.

— **შეიღარებულ ძალებში დარჩენას ისევ აპირებ?**

— კი, აბა, რა! სხვა რა უნდა ვაკეთო?! იარაღი ძალიან მიყვარს და ვილატ-ვილატების ჯავრიც მჭირს...

სოსო:

— მე მტერი თვლით არ მინახავს: ავიაცია გვბომბავდა, ჩვენ კი გავბრბოდით. ვიცოდი, რომ სანგრები უნდა გავგეთხარა, მაგრამ ბრძანებას არავინ გვაძლევდა. თავიდან, არ მინდოდა გამოქცევა, მაგრამ რომ მივხვდი, სიკვდილი გარდაუვალი იყო, წამოვიდი. დისლოკაციის ადგილის დატოვების შემდეგ, ახლომდებარე სოფელს მიუახლოვდი და დავინახე, რომ ერთ-ერთი სახლიდან ჩემი მეთაური გამოძვრა. სისხლი ყელში მომანვა, მინდოდა, იქვე მიმეხრჩო... დედაჩემმა ორჯერ გამომიტირა, მკვდარი ვეგონე. ახლა მეხვენება, ჯარს თავი დაანებეო.

— **მერე რას აპირებ?**

— ვფიქრობ. იმიტომ კი არა, რომ დედა მეხვენება. დედა და დები ადრეც არ მიშვებდნენ ჯარში. მე სხვა რამე მაფიქრებს: ჩემი მეგობრები და თანამებრძოლები დაიხოცნენ. ომში მიმავალი, სიკვდილისთვის მზად უნდა იყო, მაგრამ ისიც უნდა გნამდეს, რომ შენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის იბრძვი. რა გამოვიდა ჩვენი ბრძოლიდან?.. ისევ ტერიტორიები დაკარგეთ. ახლა ექსპერტები და პოლიტიკოსები მსჯელობენ: თურმე რა კარგია — სააკაშვილმა პუტინი გააბრიყვა და მსოფლიოს თვალში აგრესორად წარმოაჩინაო!.. ჩემი ძმაცკები იმიტომ დაიხოცნენ, რომ მსოფლიოს პუტინი აგრესორად ჩათვალა?! არ მინდა, რომ პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი ვიყო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, აქ ყოფნა — სერიოზული შარია. ვის რა მოუვა თავში და რატომ დაგიჭერენ, კაცმა არ იცის. სად მაქვს ამათი ექსპერტიზების თავი? თავად ვერ გაუგიათ, რა სტილის ჯარს ქმნიან და რა უნდათ...

საქართველოს საზღვრები

„ვნასრობ — ნესავ, ისავ „გაბეჯად“ გარის „გაპოყილო“!

საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების დროს ძველ, გამოცდილ მეომრებს ბრძოლაში ჩართვის საშუალება არ მისცა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ადრე ნაომარმა ვეტერანებმა ქართული არმიის დახმარების სურვილი თავად გამოთქვეს, მათ მაგივრად გორში, ზურგის გასამაგრებლად, ის რეზერვისტები ჩაიყვანეს, რომლებმაც ხეირიანად იარაღის ხელში ჭერაც კი არ იცოდნენ. ხელისუფლება ახალბედა ჯარისკაცებს მაღალ ხელფასებსა და პერსპექტიულ მომავალს ჰპირდება, ძველ მეომრებს კი, რომლებმაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა შეაღიეს, როგორც გამოუსადეგარ ნივთს, ისე ექცევა. ომში დაინვალიდებულებს 60-ლარიანი პენსიით, ჯანმრთელებს კი ელექტროენერჯის 20-ლარიანი ვაუჩერით იზორებს თავიდან...



ხათუნა ბახტურიძე

მიუხედავად იმისა, რომ ბექა გობეჯიშვილი (სახელი და გვარი შეცვლილია) ჯერ 34 წლისაა, უმაღლესი განათლების მქონეა და ათლეტური აღნაგობით გამოირჩევა, დღევანდელი ქართული არმიისათვის უსარგებლო აღმოჩნდა. ბექას მოყოლილი ამბები თავდაპირველად, ცოტათი გაზვიადებულიც კი მომეჩვენა, ამიტომ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად, მის თანამებრძოლებსაც შევხვდი. როგორც მითხრეს, ის მართლაც, შეუპოვარი და ძლიერი მეომარი ყოფილა. სამშობლოზე შეყვარებული, ნიჭიერი და ახალგაზრდა სამხედრო, სამწუხაროდ, იძულებულია, საკუთარი მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში გზავნოს და იმედოვნებს, რომ მის შესაძლებლობებს უცხოეთში მაინც გამოიყენებენ და დააფასებენ.

ბექა, ცხინვალში წასვლაზე რა მოტივით გითხრეს უარი?

— 8 აგვისტოს, ომი დაიწყო თუ არა, კომისარიატში გამოვეცხადე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი გამოცდილების მქონე ვაცი აუცილებლად დასჭირდებოდათ, მაგრამ მითხრეს, — მოხალისეები არ მიგვყავსო. ვერ უარჯყოფ, რომ ქართულ არმიის კარგად მომზადებული ჯარისკაცები ჰყავთ, რომლებმაც ომში ლომებით იბრძოლეს, მაგრამ მე მათზე არანაკლები გმირობის ჩადენა შემეძლო, გამოცდილებაც გაცილებით მეტი მქონდა. მზად ვიყავი, მტრისთვის თავი შემეკლა და უკან დამარცხებული არ დაებრუნებულყავი. ცხინვალში რომ არ გამიშვეს, ვიფიქრე — რუსები კოდორსაც „დაარტყამენ“ და მტერს იქ მაინც დავევადები-მეთქი. სამწუხაროდ, ბრძოლის საშუალება არ მომეცა. რუსი ან აფხაზი ჯარისკაცი თვალთ არ მინახავს, მხოლოდ ავიაცია გვბომბავდა. ერთადერთი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სამშვიდობოს გამომყავდა. ადამიანის გადარჩენა კარგი საქმეა, მაგრამ მე მათი დაცვა და მტერთან ბრძოლა მერჩივნა. ამის საშუალება კი არ

მომცეს. ახლა ავდგები და საომრად სხვა ქვეყანაში წავალ.

— მაინც სად წახვალთ?

— რუსეთში არ წავალ და ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ არ ვიბრძოლებ. სხვა, ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება წავიდე, სადაც ჩემი ძალა და გამოცდილება დასჭირდებათ.

— თქვენ სამშობლოს დაცვა გინდობათ თუ უბრალოდ ბრძოლა?

— მე ჩემი ქვეყნის მტრებთან მინდობა ბრძოლა. თბილისის ქუჩებში ხეტიალს ან რომელიმე ოფისში გამოკეტვას, ბრძოლის ველზე სიკვდილი მიჩვევია. ადრეც ასე ვიყავი. სოხუმში პირველად, შინაგანი ჯარის შემადგენლობაში წავედი. უკან რომ გამოგვიყვანეს, მერე „თავდაცვა“ გავყევი. ბოლოს გულუხას სპეცრაზმს დასჭირდა ხალხი და იქ აღმოჩნდი.

— დიდი სამხედრო გამოცდილება გქონათ ძალიან სტრუქტურებში რატომ არ მუშაობთ?

— ამ ხელისუფლებას ჩემნაირები არ სჭირდება. მეუბნებიან, „ბებერი“ ხარო. ტელევიზიით გამოცხადებული ვაკანსიები არ მიზიდავს. მე ომში სისხლი მაქვს დაღვრილი. 18 წლის ასაკიდან ქართულ არმიის ვმსახურობდი. სამოქალაქო ომში მონაწილეობა არ მიმიღია, მხოლოდ მაგ პერიოდში ვიჯექი სახლში. არ შემეძლო, ქართველისთვის ტყვია მესროლა. ამ ომის დამთავრების შემდეგ, ისევ ჩემი ქვეყნის ჯარისკაცი გავხდი და სადაც სამშობლოს უჭირდა, ყველაგან ვიბრძოლე — ცხინვალშიც და სოხუმშიც. აფხაზეთში ომის დაწყების დღიდან ბოლო წუთამდე ვიბრძოდი. საკუთარი ზურგით უამრავი დაჭრილი და მიცვალებული

მყავს ბრძოლის ველიდან გამოყვანილი. ორჯერ მივიღე კონტუზია, დავიჭერი კიდეც, მაგრამ ვიდრე საღ გონებაზე ვიყავი, თბილისში ვერ წამომიყვანეს. გონი რომ დავკარგე, მხოლოდ მაშინ ჩამსვეს აქეთ მომავალ შეუღმფრენში. გამოგვანმრთელდი თუ არა, ისევ უკან დაებრუნდი. ომი რომ დამთავრდა, სხვა ქართველებთან ერთად, აფხაზ სუპარატისტებთან მოლაპარაკებას ვანარმობდი და ქართველი ბიჭების გვამები გამოქონდა. რაც შემეძლო, ყველაფერი გააკეთე ჩემი ქვეყნისთვის. „ვარდების რევოლუციამდე“ სპეცრაზმელი ვიყავი. იქაც სერიოზულ ძალას წარმოვადგენდი, მაგრამ ხელმძღვანელობამ არ დამაფასა, ამის გამო უთანხმოება მომივიდა და წამოვედი. მათ მხოლოდ ისეთი კუნთმაგარი ბიჭები სჭირდებათ, რომლებსაც აზროვნება არ შეუძლიათ...

— უთანხმოება რა საკითხთან დაკავშირებით მოგივიდათ?

— სპეცრაზმი კორუფციის ბუდედ აქციეს, ამას ვერ ვგუებოდი და უფროსობასთან სულ კამათი მომივიდა. ელემენტარულს გეტყვი — ყოველი ხელფასის ალებზე, „უბნის ქურდებით“, თავზე და-

„როშ-დიაგნოსტიკის“ და „მიკროლაიფის“

ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში გთავაზობთ ბევრგარული წარმოების:

- სისხლში გლუკოზის რაოდენობის მზომ აპარატებს არჩევანით.
- სისხლის წნევის მზომ აპარატებს, არჩევანით და ორწლიანი გარანტიით.

გთავაზობთ აპარატებზე უფასო ტექნიკურ მომსახურებას შპს „მირკოსთან“, არსებულ საღვინოსტიკო ცენტრში.

მის: თბილისი; აპრილის 15-ის ადრეაპრა ბინაში, ავთიანი „მირკო“, ტელ: 37-98-73 (24 ხო)

ვადგებოდნენ და ფულის აგროვებას გვთხოვდნენ. „ფულის ღორი“ არც მე ვარ, არც იმდენ თანხას გვთხოვდნენ, რომ დამნაშაბოდა, მაგრამ მაინტერესებდა — ვის ჯიბეში მიდიოდა. კითხვას რომ ვსვამდი, ისე უსაფუძვლოდ მპასუხობდნენ, რომ ნერვები მეშლებოდა.

— სხვაგან არ გიცდიათ სამსახურის დანება?

— დაცვაში ვცადე და სად გამამნესეს, იცით?... პორნოჟურნალების „საყარაულოდ“! ერთი კარგად შეუკურთხე და წამოვედი. საბოლოოდ, აქ რომ „დამბრაკეს“, ერაყში წავედი და ორწლიანი კონტრაქტით, „ნითელ ზონაში“ რალაც ოფისის ვიცავდი. იქიდან სოლიდური თანხა ჩამოვიტანე, მაგრამ იმის მერე მთელი წელი გავიდა და ის ფულიც გამითავდა. ახლა ვზივარ და ვნატრობ — ნეტავ, ისევ „მამლუქად“ მაინც „გავიყიდო“!..

— ერაყიდან ჩამოტანილი თანხით რაიმე ბიზნესის წამოწყება არ გიცდიათ?

— რა ბიზნესი?! მე სამხედრო ვარ, იარაღის ხმარების მეტი არაფერი ვიცი.

— რა განათლება გაქვთ?

— განათლებით ისტორიკოსი ვარ, მაგრამ ისტორიის მასწავლებლად წამდივდი ვერ ვიმუშავებ. ჩემი საქმე მტერთან ბრძოლაა.

— უკვე საკმაოდ ბევრი გაქვთ ნაბრძოლი. ტყვედ არასოდეს ჩავარდნილხართ?

— 15 წლის წინ, სოხუმში ბრძოლის დროს აღმოვჩნდი ტყვეობაში. ერთხელ ჩემთან ახლოს ნაღმი აფეთქდა. თვალეები რომ გავახილე, შეიარაღებული ადამიანები მადგნენ თავზე. თავიდან ვერ მივხვდი, ვინ იყვნენ, ან რა უნდოდათ: იმ პერიოდისთვის, კონტუზია უკვე გადატანილი მქონდა და ძალიან წელა მოვდიოდი აზრზე. ძლივს მივხვდი, რომ აფხაზების ტყვე ვიყავი. არც მათი ლაპარაკი მესმოდა და ვერც მე ვემტყველებდი. ერთ ბნელ ოთახში გამომკეტეს, დროდადრო შემოდრიოდნენ და მცემდნენ, ზოგჯერ რალაც ნაგავსაც მომიგდებდნენ საჭმელად. ერთხელაც ოთახიდან გამომართიეს და მდინარის ნაპირზე ჩამიყვანეს. მთელი მინდორი დახოცილი ადამიანებით იყო სავსე, იქაურობა ისე ყარდა, აფხაზები ახლოს ვერ ეკარებოდნენ. მე შემავადეს და საფლაგების გათხრა მიბრძანეს. ალბათ ჯერ მიცვალებულებს დამამარხვინებდნენ და მერე მეც მომკლავდნენ... შესვენების უფლებას არ მაძლევდნენ, გაწერდებოდი თუ არა, დაშინების მიზნით, ხელში ან ფეხში ტყვიებს მესროდნენ. ერთი სიტყვით, გაუწერებლად მამუშავებდნენ. არ ვიცი, ქართველმა პარტიზანებმა სროლის ხმა გაიგონეს თუ შემთხვევით მოგვადგნენ, მაგრამ დროზე კი გამოჩნდნენ და „პერესტრელკა“ ატყდა. მე შუაში მოვექეცი, აფხაზებისა და ჩვენების ნასროლი ტყვიები თავზე მივიღე. ჯერ ჩემ მიერ

გათხრილ საფლაგში ჩაწევი, სული მოვიტევი, მერე, წელ-წელა, ცოცვით ვიარე და მდინარეში ჩავხტი. ნაპირზე რომ ამოვედი, ისევ ჯარისკაცები დავინახე, აფხაზები შეგონნენ და სროლა დაიწყეს. კიდეც კარგი, ქართველები აღმოჩნდნენ და დროულად ვიცანი... ყველაზე მეტად, გული რაზე მწყდება, იცით?... ეს ომი ვინც წააგო (ედუარდ შევარდნაძეს ვგულისხმობ), სასახლეში უზით და ცივ წიავს არ აკარებენ. ჩვენ კი, მეომარი ბიჭები, რომლებმაც სიცოცხლე არ დავხოვეთ, სანაგვეზე მოგვისროლეს. ის ომი ჩვენი წაგებული არ არის, შიშველი ხელებით ვიბრძოდი და თავს არ ვზნთავადით. დრო რომ გავიდა და მივხვდი, „გაყიდულ“ ომში ვიბრძოლე, დიდი სტრესი გადავიტანე. საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენეს, ცოცხლად დარჩენილებს აღმაცერად გვიყურებენ, არავის არაფერში ვჭირდებით.

— ის ქართველი მეომრების მაროდროობაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ.

— არ უარყოფ, ზოგი მართლაც, გამდიდრებისთვის მოდიოდა, მაგრამ უმრავლესობა ხომ სამშობლოს იცავდა... ერთხელ ალყიდან ისეთი უღირსი კაცი გამოვიყვანე და სიცოცხლე შეუწარჩუნე, რომ მერე ვინანე — მაგის გადარჩენას, ჩემი მკვდარი ძმაცავი გამომეყვანა-მეთქი, ჯობდა... ისე, ყველაფერი მეომრების ბრალიც არ იყო. ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: ჩემს ბიჭებთან ერთად ოჯახში შევედი.

— აფხაზების ოჯახში?

— არა, გალში, ქართველებთან პირადად მე ოჯახიდან იარაღის მეტი არაფერი გამოქონდა.

— ქართველებს იარაღს ძალით ართმევდით?

— ჩემო კარგო, მეომრებს იარაღი არ გვექონდა, ისინი კი სახლში მალავდნენ და საკუთარი კარ-მიდამოს დასაცავდაც არ იყენებდნენ. რისთვის უნდოდათ?! ეზოში რომ შევედი, ჯერ სიტყვაც არ მქონდა ნათქვამი, სახლის პატრონი მომიახლოვდა და მითხრა: მე ფული არ მაქვს, აგერ, ჩემი მეზობლის სახლს მიგასწავლე, რომელმაც ახლახან თხილი გაყიდა, თან სახლში ორი კარგი გოგო მყავსო... ასეთ ადამიანსაც კაცი უნდა ერქვას?! ავედექი და სახლი გადავუნვი, თან ვუთხარი: მიდი იმ შენს მეზობელთან, თხილი ახლახან რომ გაყიდა, იქნებ, ერთი ლამე მაინც გაგათევივინოს-მეთქი...

— რატომ გაქვთ იმის განცდა, რომ „გაყიდულ“ ომში იბრძოდით?

— ხშირად ვხედავდით, როგორ გვწირავდნენ და ფეხებზე გვიკიდებდნენ. ქვეყნის სარდალი იმაზე არ ზრუნავდა, რომ არმიამი ერთიანობა, და წესრიგი ყოფილიყო. ყველა თავისთვის უბერავდა. ძალივან სტრუქტურებს. ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა გვექონდა და კონფლიქტის ხშირად მოგვდიოდა. ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთხელ სამოცკა-

ციანი ჯგუფი სოფელ კინდლს ვამაგრებდით. ამ სოფლისკენ, გულრიფშრიდან 12-კილომეტრიანი, დაკლავილი გზა ამოდიოდა. რადგან ჩვენ ამ მონაკვეთის გასაკონტროლებლად, ცოცხალი ძალა არ გვეყოფიდა, მისი ხელში ჩაგდება და სოფლის ალყაში მოქცევა მტერს ძალიან ადვილად შეეძლო. ამ ფრონტის ხელმძღვანელები — დათო თევზაძე და კობა კობალაძე — ზღვის სანაპიროზე იყვნენ დაბანაკებულნი. მძიმე არტილერია და კავშირგაბმულობის „ბეტეერიც“ მათ მქონდათ. დათოსთან და კობასთან სამჯერ ჩავედით და ვთხოვეთ, რომ 12-კილომეტრიანი გზის გასაკონტროლებლად, რაიმე ზომა მიეღოთ. ჩვენი თხროვნა ყურად არ ილეს, ამიტომ დამუშავებული გეგმა ჩაუტანეთ — თუ როგორ უნდა დაეხალმათ გზა ისე, რომ მტრის ტექნიკა ვერ შემოსულიყო. არც ამჯერად მოგვაქციეს ყურადღება (მე მაშინ, შინაგანი ძალების წარმომადგენელი ვიყავი), ფეხებზე დაგვიკიდეს, იფიქრეს, „ძალები“ არიან და კისერიც უტყებიათო!.. ცოტა ხანში იქაურობა საერთოდ, მიატოვეს. ალბათ იცოდნენ, რომ თავდასხმა იგეგმებოდა და გამოერიდნენ. მაღე იმ აუბედით გზაზე მტერი მართლაც შემოვიდა და სამივე მხრიდან შემოგვიტია. ალყაში მოვექეცი. მიუხედავად იმისა, რომ მტერი კარგი ტექნიკით იყო შეიარაღებული, ჩვენ კი „ლიმონკებიც“ არ გაგვანდა, ერთი დღის განმავლობაში წინააღმდეგობას ვუწევდით. ისეთი ინტენსიური სროლა იყო, რომ რაიმე მანევრის გაკეთების საშუალებაც არ გვექონდა. ბოლოს ტყვიანამალიც გაგვითავდა. „თავდაცვამ“, იმის მაგივრად, რომ დაგვმარებოდა, მტრის ყურადღება ცოტა ხნით მაინც გადაეტანა და ჩვენთვის დასვენების საშუალება მოეცა, საერთოდ, მიგვატოვა. 61 მეომრიდან 27 დაგვეღუპა, რამდენიმე დაგვეჭრა. გადარჩენილებმა თითო მჭიდი დავიტოვეთ, ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში თავი რომ მოგვეკლა და უკან დავიხიეთ. 8 საათის განმავლობაში ჭაობებში ვიარეთ, თან დაჭრილებიც მოგვყავდა. კობალაძესთან და თევზაძესთან რომ ჩავედით, სულ მოლაღატყები გვეძახეს: „თურმე“ ჩვენი ბიჭებისა და თანამებრძოლების გვამები მივატოვეთ და „კურდღლებივით“ გამოვიქეციით!.. ის არაფრად ჩაავადეს, რომ გაჭირვებაში მყოფები შველას ვთხოვდით, ფეხებზე დაგვიკიდეს. მიუხედავად იმისა, რომ ომში საკუთარმა ხელისუფლებამ არაერთხელ გამწირა და მილაღატა, ცხინვალში ბრძოლა მაინც მინდოდა. მშვიდობიან პერიოდში არავინ მავსებს, იქ კაცურად მაინც მოვედებოდი.

— ისეთ ოპერაციაზე თუ წახვალთ, საიდანაც ცოცხლად დაბრუნების შანსი არ გეწებათ?

— ნეტავ, ეგ დღე დადგებოდა. არც დავეფრდები, ისე წავალ...

საქართველოს დასავლელი

ოქისგან დაჩინილი იარაგი და შვიდაქვსიანი დაღის მონაწილე

რამდენიმე ხნის წინ რედაქციაში მესტუმრა ქალბატონი, რომელმაც მთხოვა, მისთვის მცირეოდენი დრო დამეთმო. რა თქმა უნდა, მას დაველაპარაკე. ქალბატონი წინელი აფხაზეთიდან დევნილი აღმოჩნდა. მან გული გადამიშალა და მითხრა, რომ რცხვენია, რადგან თავის დროზე შვილი საომრად არ გაუშვა. მისი აზრით, ამით შვილსაც გაუტეხა სახელი და საკუთარ თავსაც. თან, დასძინა: „ნეტავ, გამეშვა. ასე, სამშობლოსთვის გმირულად მაინც მოკვდებოდა. მან ჩემს ხვეწნა-მუდარას წიხლი ვერ ჰკრა და სვანეთის გზით, სამშვიდობოს გადმოვედით. აქ კი გულის შეტევით გარდაიცვალა. საომრად რომ გამეშვა, ვინ იცის, იქნებ, ახლა ცოცხალი ყოფილიყო და ცხინვალის ომიდანაც გმირობის დამადასტურებელი ორდენი ჩამოეტანა“.



დამადასტურებელი ორდენი

„იმდენი ბავშვი ჩამოსვენეს, რომ აღარ ვიცოდით, რომლისთვის მიგვხედა“ ...

ლიპა ქაჩაია

— ომი რომ დაიწყო, ჩემი დათო 17 წლის იყო. ძარღვებში სისხლი უჩქებდა და თავის თანატოლებთან ერთად, მტრის განადგურებას ცდილობდა. არ ვიცი, იარაღი სად იშოვა, მაგრამ ხელიდან ვერ გავაგდებინე. ამბობდა, — ეს ჩვენი მინა და აქედან ვერავინ გაგვყრისო. ძალიან მეშინოდა, რადგან მას არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. ჯარშიც არ იყო ნამყოფი და შესაბამისად, იარაღი ხელში არასდროს სჭერია. დედა ვარ და მეგონა, უფლება მქონდა, შვილისთვის რაღაც ამეკრძალა. მინდოდა, ჩემთან ერთად, აფხაზეთიდან წამოსულიყო, მაგრამ გაიძახოდა, — შენ ნადი, შე აქ-დავრჩები და როცა სიტუაცია ჩანყნარდება, მერე დაბრუნდი; აქ უნდა ვიყო, მეგობრების გვერდით და ჩემი სახლი დავიცვაო. ვუბნებოდი, რომ თუ მას დავკარგავდი, თავს არ ვიცოცხლებდი, რომ არც სახლ-კარი მინდოდა, არც მისი ვაჟკაცობა, ოღონდაც, ის ცოცხალი მყოლოდა... ვაიზე, შვილო, ეს რა დამგმარებ, სახელი გაგიტეხე და მეც შევიტეხვიან თავი (ტირის)...

— თქვენ მუღლევ იბრძოდა?
— იმ დროისთვის მუღლევსთან უკვე გაშორებული ვიყავი და მის შესახებ დღემდე არაფერი ვიცი. არც მან იცის, რომ დათო ცოცხალი აღარაა. ნეტავ, მას, რომ შვილის უბედურების შესახებ არაფერი შეუტყვია!... როცა დათო მიხვდა, რომ მის გარეშე სოხუმიდან ფეხ-

საც არ მოვიცვლიდი, გადანყვიტა, ჩემთან ერთად დაეტოვებინა აფხაზეთი, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო — აღარც გემით შეიძლებოდა იქიდან გამოღწევა და აღარც — თვითმფრინავით. ამიტომაც, სვანეთის გზას ფეხით დავადექით.

— დათომ იარაღი ასე იოლად დაყარა?

— არა. სანამ ამ გადანყვიტებამს მიიღებდა, მისი და მისი მეგობრის ლაპარაკს მოგვარი ყური. დათო მძაკაცს ეუბნებოდა: მე წავალ, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები, დედაჩემი სამშვიდობოს უნდა გავიყვანო, ჯორივით გაჯიუტდა და ჩემ გარეშე თბილისში არ მიდისო. ისე მოვიქეცი, თითქოს არაფერი გამიგონია. მთავარი იყო, დათო სამშვიდობოს გამომეყვანა და მერე უკან დაბრუნების საშუალებას აღარ მივცემდი.

— თქვენ სახლ-კარის მიტოვება არ გაგიჭირდათ?

— როგორ არა, მაგრამ ადამიანი ქონებას ყოველთვის შეიძენს, მკვდარი ადამიანის გაცოცხლება კი შეუძლებელია. ჩემი შვილის სიცოცხლისათვის სულსაც არ დავიშურებდი და რაღა დროს სახლ-კარზე ფიქრი იყო?!... სოხუმიდან ცარიელ-ტარიელები წამოვედით. ეს დათოს აზრება გახლდათ. მითხრა, — ნურაფერს წავიღებთ, უკან აუცილებლად დავბრუნდებითო! ოპტიმისტი იყო, საცრდავი. სვანეთის უღელტეხილის გადმოლახვა ძალიან გაგვიჭირდა. ყინავდა და გზაში გაყინული ადამიანებიც ბლომად გვხვდებოდნენ.

დათომ ერთ-ერთ მიცვალებულში თავისი მეგობარი ამოიცნო. მას შემდეგ საოცრად დაიბოღმა, დანა პირს არ უხსნიდა. ხშირ-ხშირად იკიდებდა გულზე ხელს. შემეშინდა, რაიმე არ დაემართოს-მეთქი, მაგრამ თავადვე მამშვიდებდა, — მე რა მომკლავს, ტყვიის გარდაო?! ჰოდა, მეც სწორედ ტყვიის მეშინოდა, თორემ იმას ვერც წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ვაჟკაცს გული უმტყუნებდა... სვანეთში დათომ გაიცნო გოგონა, რომელიც ძალიან მოეწონა. ჩვენ და იმ გოგონას ოჯახმა უღელტეხილი ერთად გადმოვლახეთ, თბილისშიც ერთმანეთის მეზობლად დავსახლდით. ცოტა ხანში დათომ ნინოს ცოლობა სთხოვა. როცა მისგან თანხმობა მიიღო, საყვარელი გოგოს მშობლებს მისი ხელი სთხოვა, მაგრამ დაქორწინება ვერ მოასწრეს. სწორედ მაშინ, როცა მათი ქორწილის გადასახდელად რაღაც თანხა შეეკაონინეთ, დათოს გული გაუსკდა. ნინომ დიდხანს იგლოვა ჩემი შვილი, მერე კი, ჩემი თანხმობის მიღების შემდეგ, გათხოვდა.

— რას ნიშნავს — ჩემი თანხმობის შემდეგ?

— ნინო ძალიან ლამაზი გოგონა გახლდათ და შესაბამისად, ბევრი თავყანისმცემელიც ჰყავდა, მაგრამ დათოს გარდაცვალების შემდეგ ზედაც არავის უყურებდა. მერე ეტყობა, ვიღაც შუყვარდა, მაგრამ ჩემი ერიდებოდა და არ თხოვებოდა. ეს ამბავი დედამისმა მითხრა და ჩემს რძალს (მე მას დღემდე ასე ვუძახი) დაველაპარაკე... ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ნინოს ქორწილში მაინც წავედი. როცა მას ვუყურებდი, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. სხვათა შორის, დღეს ნინოს მუღლევ მინევს შვილის მაგივრობას...

— თქვენ თქვით, — დათო

სოხუმში დაბრუნებას აპირებდაო ამაში ნინომ შეუშალა ხელი?

— არა, მე, როცა მივხვდი, რომ სახლიდან გაპარვას აპირებდა, თავი „მოვიმკვდარუნე“. ჰოდა, ბედის ანაბარად ხომ ვერ მიმატოვებდა! მერე ნინოც „დავაშუშავე“... ნეტავ, გამეშვა. ასე, სამშობლოსთვის გმირულად მაინც დაეცემოდა და მეც ჩემი სახლის ეზოში დამასაფლავებდნენ. დათომ ჩემს ხვეწნა-მუდარას ნიხლი ვერ ჰკრა... საომრად რომ გამეშვა, ვინ იცის, იქნებ, ახლა ცოცხალი ყოფილიყო და ცხინვალის ომიდანაც გმირობის დამადასტურებელი ორდენი ჩამოეტანა. დარწმუნებული ვარ,

მაც აიღო ხელში იარაღი და ამიტომაც, აფხაზეთი ბოლო წუთამდე არც მე მიმიტოვებია... ომი თუ დაიწყებოდა, არავის ეგონა, არც აფხაზეთმა იცოდნენ რაიმე.

— ამაში დარწმუნებული ხართ?

— დიახ, დარწმუნებული ვარ. იცით, აფხაზეთს როცა რაღაცის შეეშინებოდათ, ოჯახის წევრები სახლიდან მიჰყავდათ. იმ დღეს კი, როცა სოხუმში 53 ტანკი შემოვიდა, იქიდან არც ერთი აფხაზი არ იყო წასული. ყველანი ერთად, მშვიდად ვცხოვრობდით. როცა ტყვიების წვიმა წამოვიდა, ყველა დაიბნა. ხალხი გვიან მოეგო გონს და აფხაზეთმა ოჯახები გახიზნეს. გაქცევას ქართველებიც ცდილობდნენ. სოხუმიდან გამოსვლა ადვილი გახლდათ — ხალხი გემებითა და თვითმფრინავებით გაჰყავდათ, მაგრამ მერე ამის საშუალება აღარ იყო. ჩემი ქალიშვილი, რომელიც ექიმი გახლავთ, სამშვიდობოს მაშინ გამოვიდა, როცა გემით მიცვალებულები გადმოასვენეს... ომის დროს მართალია, მობილიზაცია არავის გამოუცხადებია, მაგრამ აფხაზეთში ბევრი ჩამოვიდა: ზოგი — საომრად, ზოგიც მაროდორობის მიზნით. მებრძოლთა უმეტესობას გამოცდილება არ ჰქონდა და ამიტომაც, ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა. თავის დროზე სკოლაში, პედაგოგად ვმუშაობდი. ჰოდა, ერთ დღეს ჩემი 18 მოსწავლის გარდაცვალების ამბავი შემატყობინეს.

— თქვენ თქვით, რომ თქვენი შვილიც იბრძოდა.

— დიახ. როცა არეულა დაიწყო, სხვების უკლებლად დაიწყო, სხვების მსგავსად, გიამაც აიღო ხელში იარაღი და მითხრა: მოკვდები, მაგრამ ჩემს ქალაქს არც ერთი დღით არ დავტოვებო. მაშინ გია 34 წლის, უცოლშვილო გახლდათ. მე შეიღს ვერ მივატოვებდი და აფხაზეთიდან წამოსვლაზე ამიტომაც არ მიფიქრია.

— თქვენს შვილს ომისათვის საჭირო გამოცდილება თუ ჰქონდა?

— არანაირი, მაგრამ მან ყველაფერს იოლად აუღო ალლო და ბოლომდე გმირულად იბრძოდა. ზოგჯერ, როცა შიში მიჰყრობდა, შვილს ვუბნებოდი, აქედან წავიდეთ და რაღაცებიც წავიღოთ-მეთქი, — მაგრამ მას ამის გაგონებაც არ სურდა... სოხუმის დაცემის დღეს გადავწყვიტეთ, სვანეთის გზით წამოვსულიყავით, რადგან იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. წამოვედით მე-

ზობელ მოხუც ქალებთან ერთად, რომლებიც ჩემმა შვილმა მანქანაში ჩასვა, მათი გადარჩენა განიზრახა, მანქანით საკენამდე ვიარეთ, მერე კი ის სვანებმა და „მხედრიონელებმა“ წაგვართვეს. რა თქმა უნდა, არც ქვეშაგებელი დაგვიტოვეს და დავრჩით ხელცარიელები. რამდენიმე დღის მანძილზე არც საჭმელი გვეკონდა და არც — სასმელი. საშინლად ციოდა, მე კი მხოლოდ ჩითის ხალათი მეცვა. ამიტომაც, შვილმა თავისი სამხედრო ფორმა ჩამაცვა და ფილტვების ანთება „აიკიდა“. გაყინულ მწვერვალებზე 18 დღის განმავლობაში დავბობლავდით და თან, შიმშილისგან დაოსებულები, ჯოხებს ვყვრდნობოდით. გზად უამრავ მიცვალებულს ვაწყებოდით. სიცვიისგან გაყინულებს დამმარხავიც არავინ ჰყავდათ. მათ დაკრძალვას ვერც ჩვენ მოვახერხებდით. ეს რომ გაგვეკეთებინა, ჩვენც მათ ხვედრს გავიზიარებდით. ასე წამებით ჩამოვალნიეთ ჭუბერამდე. იქ კი მოგვეცეს საჭმელი და დაგვახვედრეს მანქანები, რომლებშიც ისეთი საშინელი სუნი იყო, რომ ლებინება დაგვეწყო. ძლივს ჩავალნიეთ ქუთაისამდე, სადაც არაჩვეულებრად დაგვხვდნენ, დაგვაპურეს და ავტობუსებით თბილისში ჩამოგვიყვანეს.

— თბილისში როგორ დაგვხვდნენ?

— კარგად. ხალხს ჩვენთვის საჭმელი მოჰქონდა, მაგრამ ჭამის თავიც აღარ გვეკონდა. ის კი არა, ისიც არ გამოსუნებია, ჩემი დისთვის დამერეკა და მეთქვა, რომ მე და გია ცოცხლები ვიყავით. მხოლოდ მესამე დღეს მოვევე გონს...

— ამბობენ, რომ ცხინვალის დევნილებს უკეთ შეხვდნენ, ვიდრე თქვენ...

— მართალია, დღეს დევნილებს ხალხიც და ხელისუფლებაც უკეთ შეხვდა. ამბობენ, — მათ სახლებს აუშენებთო, ჩვენზე — აფხაზეთიდან დევნილებზე კი არავინ ფიქრობს. მე და ჩემი შვილი საავადმყოფოს შენობაში დავგავსალეს (ახლაც იქ ვცხოვრობ). რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის სულ მშვირები ვიყავით, მაგრამ იცით, ყველაზე მეტად გული რაზე მწყდება? ბევრი გვეუბნებოდა (მათ შორის, განათლებულ ადამიანად მიჩნეული, თანამდებობის პირებიც კი), — აქ რისთვის მოდიოდით, თქვენი სახლები ვერ დაიცავით?! მგონი, დიპლომის ქონაც არაა საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე, როგორი ომია. უბრალოდ, ჰორიზონტზე უნდა გაიხედო და მიხვდები, რომ ისეთი დიდი ქვეყნის წინააღმდეგ, როგორიც რუსეთია, ჩვენს ნაირი პატარა ერი ვერაფერს გახდება: როცა გბომბავენ, შენ ავტომატით რის გაკეთებას შეძლებ?... თანაც, რატომაც მაშინ ქართველები ისეთი სულისკვეთებითა და შემართებით არ იბრძოდ-



რუსების წინააღმდეგ იარაღს ახლაც აიღებდა. მინდა, ყველა დედას მივმართო: შეიღებს ნურაფერს აუკრძალავთ, რადგან ჩემსავით, სანანებელი არ გაგიხდეთ. დაე, იბრძოლონ თქვენმა შვილებმა და იყვნენ გმირები!... ასე მგონია, თქვენი დახმარებით, ჩემს დათოს ბოდიშს ვუხდით და მჯერა, ისიც მომიტყეებს შეცდომას.

ფოთლა, 73 წლის:
— მე სოხუმში, ჩამბას ქუჩაზე ვცხოვრობდი. როცა ომი დაიწყო, ჩემმა შვილ-

ნენ, როგორც ეს დღეს ხდებოდა. ჩვენს მეომრებს შორის ბევრი პატრიოტი იყო, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში საქურდავად ბევრი ჩამოვიდა. აფხაზეთის ომის დროს თავად ქართველები მაროდორობდნენ, ახლა კი ამას რუსები აკეთებენ. ჰოდა, ჩემთვის, უბრალო ადამიანისთვის რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ გამძარცვავს?..

„ზინაზარა თინაიჯარი“:

— აფხაზეთი არასდროს დამავინყდებდა. ის, რაც იქ მოხდა, ბარბაროსობა იყო. განა, მაშინ ქართველი ქართველს არ კლავდა? ნუთუ გგონიათ, რომ იმ ომში მხოლოდ რუსები ხოცავდნენ ქართველებს? იცოდეთ, რასაც ჩვენიანი გაგვიკეთებს, იმას სხვა არც იკადრებს. აი, სწორედ ამას მწყდება გული, წარმოიდგინეთ, მაშინ აფხაზი არ შედიოდა ჩვენს სახლებში და არ გვძარცვავდა. იქ ქართველები მაროდორობდნენ და ახლა რუსების გაგვიკვირვებია. იცით, ომის დროს ხალხის ძარცვა გასაკვირი სულაც არაა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ აფხაზეთის ომის დროს ქართველები ერთმანეთს არ ვუფრთხილდებოდით, ახლა კი თითქოს ყველაფერი სხვაგვარადაა.

— დანამდვილებით იცით, რომ ქართველები აფხაზეთში მაროდორობდნენ?

— რა თქმა უნდა, არაერთი მსგავსი ფაქტის მოწმე გახლავართ... მაშინ საომრად უწვევრულავაშო ბავშვები წაიყვანეს. მათმა უმეტესობამ ისიც კი არ იცოდა, ავტომატი ხელში როგორ უნდა დაეჭირა. ჰოდა, სწორედ ამ მიზეზით, ფრანდამი — ჩემს სოფელში იმდენი ბავშვი ჩამოასვენეს, რომ აღარ ვიცოდით, რომელი მიცვალებულისთვის მიგვეხედა... ამ მხრივ, ახლაც იგივე მდგომარეობა იყო — საბრძოლველად გაიწვიეს რეზერვისტები, რომლებმაც არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და სწორედ ამის გამო, ბევრი მათგანი ჭკუიდან შეიშალა, ნერვიულობისგან ველარ იძინებს... ვფიქრობ, ამერიკა რუსეთს ებრძვის (მაგრამ ფარულად) და იარაღად ჩვენ გვიყენებს. ნუთუ, წლების განმავლობაში ყველაფერს იმისთვის ვაშენებდით, შვილებს იმისთვის ვზრდიდით, რომ მერე, ვილაცას ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გაენადგურებინა, ბავშვები დაეხოცა? გული მტკივა!..

— იცით, მომჩვენა, რომ რუსების დაცვას ცდილობთ.

— მე რუსებს არ ვიკავ. პირიქით, ვიცი, რომ რუსები (მთელ ერს არ ვგულისხმობ) ტირანები არიან, მათგან ყველაფერი მოსალოდნელია. ამიტომაც, მათ ისეთი პოლიტიკა უნდა დაუპირისპიროთ, რომ ვერ გადაგვთელონ. როდემდე უნდა ვიცხოვროთ შიშის ქვეშ? როდემდე უნდა იყოს ომი ორ მეზობელ ქვეყანას შორის? რატომ უნდა ილუპებოდნენ ახალგაზრდები, რომელთაც

ნორმალურად არც კი აქვთ გაცნობიერებული, თუ რატომ და რისთვის იბრძვიან?! როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, იმედი მქონდა, რომ ყველაფერი მალე დასრულდებოდა და აფხაზები და ქართველები ისევ ერთად, მეგობრულად ვიცხოვრებდით. ცხინვალის მოსახლეობაც იმ იმედით ცოცხლობს, რომ ოსებთან მეგობრობას კვლავ შეძლებს, მაგრამ ვინ იცის, მათი იმედი ოდესმე რეალობად იქცევა თუ არა. ხალხსო, ჩვენ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიმყოფებით, ამისათვის კი ხელისუფლებას პასუხი აუცილებლად მოეკითხება.

— ჩვენი ხელისუფლებისგან რას მოითხოვთ?

— ნუთუ არ სჯობდა, რომ შადრევნების გაკეთებისა და პარკების გალამაზების ნაცვლად, ჯარის სიძლიერეზე ეზრუნა?!

— ყველა აღნიშნავს, რომ ჩვენი ჯარი ომისთვის ძალიან კარგად იყო მომზადებული, რომ ქართველი მეომრები ნამდვილ გმირობებს სწავლიდნენ...

— ჰო, მათ ბევრი უნიტაზი ჰქონდათ, იარაღი კი სამწუხაროდ — არა... თავის დროზე, აფხაზეთში, მინისტრთა საბჭოს შენობაში ვმუშაობდი. როცა აჩუღობა დაიწყო, მუშაობა არ შემინწყვეტია. ჰოდა, იქ ვნახეთ დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, აფხაზები მიმართავდნენ ოსებსა და სხვა მთიელ ხალხს და მათ გაერთიანებისკენ, საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებისკენ მოუწოდებდნენ. 1989 წლის 10 აპრილს ეს დოკუმენტი თბილისში ჩამოვიტანე, მაგრამ ამას ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მე თუ მკითხავთ, ყველამ კარგად იცოდა, რა ხდებოდა მაშინ და ასეა დღესაც.

— რას გულისხმობთ?

— რუსეთს თავისი მოქალაქეები ცხინვალიდან რომ გაჰყავდა, ნუთუ, ეს ამბავი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ?! ნუთუ მათ შორის, არ იყო არც ერთი ჭკვიანი ადამიანი, რომელიც იტყოდა, რომ ჩვენი ბიჭები იქ საბრძოლველად არ უნდა შეეყვანათ და მერე სიხარულის ყიჟინა არ დაეცათ — აქაოდა, ცხინვალი ჩვენიაო.

— თქვენ ხომ იცით, რომ უბრძოლველად ვერაფერს დაგებრუნებთ?!

— აფხაზეთში დაბრუნება ძალიან მინდა, მაგრამ ვიცი, ეს ოცნება არასდროს ამიხდება. დაკარგულ ტერიტორიებს ვერასდროს დავიბრუნებთ. მთელი აფხაზეთის ტერიტორია რუსებმა იყიდეს და ნუთუ, გაქვთ იმის ილუზია, რომ ისინი რაიმეს დაგვითმობენ? რუსეთთან ომი წყლის ნაყვად მიმანჩნია.

— როგორც ვიცი, აფხაზეთიდან ძალიან გვიან გამოხვედით. აფხაზი მოსახლეობის მხრიდან რაიმე ძალადობის ფაქტს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— მსგავსი რამ ნამდვილად არ ყოფილა. სხვათა შორის, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ერთი აფხაზი კაცი, რომელიც იმ დღეს, როცა აფხაზეთი უნდა დაებომბათ, ყოველთვის მაფრთხილებდა: გოგონა, დღეს ქუჩაში არ გახვიდეთ. არ ვიცი, დაბომბვის შესახებ ინფორმაცია წინასწარ საიდან ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, მან ამის შესახებ იცოდა... აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, რალაც საქმეების გამო, მოსკოვში წავედი. იქ შეეხვდი ნაცნობ აფხაზ ბიჭს, რომლის დედაც ჩემი მოგვარე გახლდათ. ერთმანეთის დანახვისას ორივენი შეგვრთით, ურთიერთს შეშინებული თვალებით ვუყურებდით და არ ვიცოდით, რა გვექნა, ერთმანეთისთვის რა გვეთქვა. ბოლოს, გავბედე და გადავხვიე. რა დააშავა მან?! აფხაზეთის ომს ისიც ისევე გაექცა, როგორც მე... ერთხელ კი, სოჭში ჩავედი და იქ შეხვდი აფხაზური ცეკვის მასწავლებელს. ის კაცი საოცრად დათრგუნვილი მომჩვენა. ფეხები ამიკანკალდა და თვალი ავარიდებ. ის კაცი კი იდგა და მიყურებდა. ბოლოს, მან გადმოდგა პირველი ნაბიჯი — მოვიდა, გადაამეხვია და მითხრა: არ შეგვიმინდეს, ჩვენ სოხუმში მალე დავბრუნდებით!

— თქვენი სახლი არავის დაურბევია?

— როგორ არა, ზუსტად ვიცი, რომ ის ბერძნებმა დაარბიეს, მერე კი დაშალეს... ომის პერიოდში, ფრანდამი, ჩვენს ოჯახში ბიძაჩემი და დეიდაჩემი დარჩნენ. დეიდა იმ მოხუცების დახმარებას ცდილობდა, ვინც აფხაზეთიდან არ ან ვერ წამოვიდა. ერთ დღეს, როცა მან მეზობლებისთვის სუფრა გაშალა, სახლში სომხები შეცვივდნენ და თითქმის ყველა მოხუცი დახოცეს. თურმე ამბობდნენ, — ესენი ქართველ ჯარისკაცებს უმასპინძლებიან და მოხუცები ჩვენთვის თვალის ასახვევად არიან შეკრებილი... დღესაც არ ვიცი, დეიდაჩემს რა ბედი ეწია. ის ვერც მკვდარი ვიპოვეთ და ვერც — ცოცხალი... მოკლედ, ვამბობთ, რომ აფხაზეთში ომი რუსებმა დაიწყეს, მაგრამ მერწმუნეთ, იქ არც რუსები მაროდორობდნენ და არც აფხაზები. ის კი არა, ზუსტად ვიცი, რომ მაშინ ბევრმა ქართველმა შეირცხვინა თავი...

— ეი. აღარ გაქვთ იმის იმედი, რომ ოდესმე აფხაზეთში დავბრუნდებით?

— შესაძლოა, დავბრუნდეთ, მაგრამ ეს ახლო მომავალში ნამდვილად არ მოხდება. შეიძლება, ამას ვერც მოვესწრო. ვფიქრობ, რუსეთს ვერასდროს დაუპირისპირდებით...

— მაგრამ ამის გარეშე აფხაზეთს როგორ დავიბრუნებთ?

— ამას რუსეთის დასუსტების შემდეგ მოვახერხებთ, ეს კი ოდესმე აუცილებლად მოხდება.

ინფორმაციულ-მედიასფეროში
კოლაჟი

ეოსა დვალის
უბის წიგნაკრები:

1. ყოველწლიურად ჩანერილი კომპაქტ-დისკების ერთი მესამედი მეკობრულა.
2. რაჭაში ადრე გაზაფხულზე, ყველი-ერის დადგომამდე, გოჭის ხუთშაბათს ზემობენ.
3. ქალაქ ჰამბურგში 2300-ზე მეტი ხიდეა, ამსტერდამში — 1200, ვენეციაში — 400.
4. ნიკარაგუა ერთადერთი მტკნარი ტბაა მსოფლიოში, რომელშიც ზვიგენები ბინადრობენ.
5. ადამიანის ორგანიზმში არსებული ბაქტერიების საერთო მასა ორ კილოგრამს აღემატება.
6. ლენინის პორტრეტი საბჭოთა ბანკოტებზე პირველად 1937 წლის „ჩერვონეცზე“ გამოჩნდა.
7. ლეილა აბაშიძის კინოდებიუტი 12 წლის ასაკში შედგა. ფილმ „ქაჯანაში“ მან კატოს როლი ითამაშა.
8. პორტრეტული ფერწერის რუსული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ივან არგუნოვმა მთელი ცხოვრება ყმობაში გაატარა.
9. ამერიკელი ჯარისკაცების საველე სამზარეულოსთვის შემუშავებული სპეციალური სენდვიჩი სამი წლის განმავლობაში არ ფუჭდება.
10. ახალი ბაქტერიული ორგანიზმების სახელები მიღებულად არ ითვლება, სანამ მათ სისტემატური და ევოლუციური მიკრობიოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი არ გამოაქვეყნებს.
11. ზოგიერთი მუსიკალური ინსტრუმენტი (დოლი, საყვირი) განვითარდა მონყობილობისაგან, რომლის თავდაპირველი დანიშნულება სიგნალის მიცემა იყო.
12. „ნებისმიერ ფელდეზე შესძლია გახდეს მასწავლებელი, მაგრამ ნებისმიერ მასწავლებელს როდი შეუძლია გახდეს ფელდფებელი“, — წერდა ადოლფ ჰიტლერი.
13. ნაცისტების მიერ ალყაშემოორტყმულ ლენინგრადში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არ შეწყვეტილა სადოქტორო ნაშრომების განხილვა.
14. ხომალდის აბორდაჟით ალება ძველმა რომაელებმა მოიგონეს, პირველი პუნიკური ომის დროს, რათა კართაგენელებთან ზღვაზე ხელჩართული ბრძოლის გამართვა შესძლებოდათ.
15. 1978 წელს კანადის ტერიტორიაზე ჩამოვარდა საბჭოთა ბირთვული რეაქტიული თანამგზავრ-მზვერავი — „კოსმოს-954“, რამაც დაახლოებით 100 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია.
16. ერთხელ ყმანვილ ალექსანდრე მაკედონელს მეგობრებმა ჰკითხეს: ოლიმპიური შეჯიბრებების დროს რბენაში თუ მიიღებ



თით დაწყებული პირადი ტრავმა
და უსსო სის ქვე
ნაოვნი გორა ოჯახი

რუბრიკა „ემიგრანტის“ მორიგი სტუმარი, საბერძნეთში რამდენიმეწლიანი ცხოვრების შემდეგ, წელს თბილისში პირველად დაბრუნდა, თუმცა ის სულ ცოტა ხანში, კვლავ საბერძნეთში გამგზავრებას აპირებს. ნათია კიკნაძე მხოლოდ 24 წლის იყო, როცა ქმარი აფხაზეთის ომში დაეღუპა. ორი შვილის დედა, ბავშვების კეთილდღეობისთვის, იძულებული გახდა, პატარები ბუბაისთან დაეტოვებინა და თვითონ საბერძნეთში ეცადა ბედი. ამ ყველაფერზე უფრო დაწვრილებით, თავად ნათია გვესაუბრება.



ნათია კიკნაძე

— მე და ზაზა სიყვარულით დავქორწინდით. მაშინ მე 18 წლის ვიყავი, ზაზა კი — 21-ის. ერთად მხოლოდ 6 წელი ვიცხოვრეთ, მერე კი ზაზა დაიღუპა. აფხაზეთში 1992 წლის დეკემბერში წავიდა. თავიდან „თეთრ არწივში“ მსახურობდა. მერე თავისი კლასელი ნახა, მან მათ გუნდში გადასვლა შესთავაზა. „თეთრი არწივისგან“ განსხვავებით, ჩვენ წინა ხაზზე არ ვართ და ჩვენთან ყოფნა აჯობებსო, — უთქვამს. ზაზამ ძალიან ბევრი სიკვდილს გამოჰგლიჯა ხელიდან, მას უამრავი ადამიანი ემადლიერებოდა. თურმე ეუბნებოდნენ, — შენ რომ არ ყოფილიყავი, რა გვეშველებოდაო?! ომში წასვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ცოტა ხნით შინ დაბრუნდა და მოგვიჩვენა. ვეხვეწებოდი, აფხაზეთში აღარ წასულიყო, მაგრამ არ დამიჯერა. ლამით ადგებოდა და გაურკვეველ რაღაცებს ყვიროდა ხოლმე თან წუხდა, — მე რომ აქ ვარ, იქ ბიჭებს ვინ დაეხმარებაო?! ალბათ იმ დროისთვის ფსიქიკა უკვე შერყეული ჰქონდა. სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება დანერა და ისევ აფხაზეთში დაბრუნდა. 1993 წლის 2 ივლისს, ჩვენი შენაერთი პირველად რომ მოაქცეს ალყაში ტამიშთან, ზაზა მაშინ დაღუპულა. ზუსტად არც ვიცი, როგორ მოკვდა და ამას ალბათ ვეღარასოდეს გავიგებთ. „ცინკის“ კუბოთი გადმოვასვენეთ და კარგა ხნის განმავლობაში უფლებას არ გვაძლევდნენ, მიცვალებული გვენახა. მოგვიანებით კი მაინც გავხსენით კუბო. მტერსაც არ ვუსურვებ, რომ საკუთარი ქმარი ისეთ მდგომარეობაში იხილოს, როგორშიც მე ზაზა ვნახე. ამის გამო დეპრესია დამენყო და ძლივს გამოვედი მდგომარეობიდან. მოკლედ, საშინელება გადავიტანე. იმ დროისთვის მე და ზაზას უკვე ორი პატარა ბიჭი გვყავდა...

— ნათია, პირველად როდის და რატომ გადამწყვეტე სამშობლოდან გამგზავრება?

— ჩემი შვილებისთვის ასე იყო საჭირო. ვიდრე საქართველოდან წავიდოდი, ბავშვ-

თა სახლში მასაჟისტად ვმუშაობდი. მშვენიერი სამსახური მქონდა, ძალიან კარგ კოლექტივში მოვხვდი, მაგრამ ჩემი ხელფასი ყოველთვიურად, მხოლოდ 20 ლარს შეადგენდა. საბუნდევროდ, ტროლეიბუსის სამგზავრო ბილეთი მქონდა და სამსახურში წასასვლელად, გზის ფული არ მქარავებოდა, მაგრამ ორ შვილს 20 ლარით ხომ ვერ შევინახავდი! მართალია, ჩემს დედამთილ-მამამთილს და ჩემს ბიჭებს, როგორც აფხაზეთში დაღუპული მეომრის შვილებს, პენსია ჰქონდათ დანიშნული, მაგრამ ეს დიდი შეღავათი არ გახლდათ, რადგან ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი თვეში 160 ლარს შეადგენდა. ოჯახში 5 სული ვიყავით. ამ თანხით თვიდან თვემდე თავის გატანა ძალიან გვიჭირდა. ბავშვები სკოლიდან რომ მომყავდა და გზაში საქმელს მომთხოვდნენ, არ ვიცოდი, რა მექნა, რადგან მხოლოდ გზის ფული მქონდა. იძულებული ვიყავი, მათთვის რაიმე მეყიდა და სახლამდე ფეხით მივსულიყავით. მოკლედ, საშინელ მდგომარეობაში ვიყავით. ეს კი ბავშვების ფსიქიკაზე ცუდად მოქმედებდა. იმის გამო, რომ ჩემი მუშაველ აფხაზეთის ომში დაიღუპა, სახელმწიფო, დახმარების სახით, საქსოვ მასალას მაძლევდა. კვირაში სამ-ოთხ სვიტერს ვქსოვდი და ერთ-ერთ დანესებულებაში ვაბარებდი გასაყიდად. წარმოიდგინეთ, კვირაში ოთხი სვიტერის ხელით მოქსოვა რა რთული იქნებოდა. ლამეებს ვათენებდი ქსოვაში. სწორედ ამიტომ, მხედველობა ადრევე დამაკლდა. თან, იმ სვიტერებში „კაპიკებს“ მიხდიდნენ, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანი იყო ჩემი ოჯახისთვის. ყველამ კარგად იცის, ბავშვებს რამდენი რამ სჭირდებათ. სწორედ იმ პერიოდში, საბერძნეთიდან ჩემი ნათესავი ჩამოვიდა. ჩემი მდგომარეობა რომ ნახა, შემომთავაზა, საბერძნეთში წავყოლოდი. სხვა გზა არ მქონდა. ოჯახში რაც კი რაიმე ღირებული მეტადა — ჩემი მზითვით დამწყებული, უბრალო ჩაის ტილოებით დამთავრებული, — ყველაფერი გავყიდე. მხოლოდ ორი ბეჭედი დამრჩა, რომელსაც ფასი არ ჰქონდა და არ გაიყიდა. ასე შევაგროვე 1.000 დოლარი და საბერძნეთში გამგზავრე. ეს

საქმარისი თანხა არ იყო, მაგრამ 500 დოლარი ვისესხე და იქ მუშაობა რომ დავიწყე, მერე გავისტუმრე. საბერძნეთში ჩემი მუშაობის მაშინდა ცხოვრობს და ის ყველაფერში ძალიან დამეხმარა. ეს ყველაფერი დაახლოებით, 5-7 წლის წინ მოხდა.

რომელ ქალაქში ჩახვედი და რამდენად ადვილი იყო მაშინ სამსახურის შოვნა?

— სალონიკში ჩავედი. მხოლოდ 10 დღის განმავლობაში ვიყავი უმუშევარი. პირველი დღეები რთულად გადავიტანე. მოხუცის მომვლელად დავიწყე მუშაობა, მაგრამ ძალიან გამიჭირდა, რადგან არც ენა ვიცოდი, არც იქაური ცხოვრების წესი ვიცნობდი. გარდა ამისა, ჩემი შვილები მენატრებოდნენ. გამიძარტლა, რომ ძალიან კარგ ოჯახში მოვხვდი. ჩემი მოხუცი, ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე გახლდათ. ძალიან მოინდომა, რომ ჩემთვის ბერძნული ენა ესწავლებინა და სისტემატურად მამეცადინებდა. ერთ თვეში უკვე თავისუფლად ვლაპარაკობდი ბერძნულად. ის ქალი მართლა ძალზე კარგი ადამიანი იყო... მის ოჯახში მხოლოდ ორი წელი ვიმუშავე. სამუშაოდ, მერე ის ქალი გარდაიცვალა და იძულებული გახდი, მათი ოჯახიდან წამოესულიყავი... ვერ წარმოიდგენთ, ისეთი რთულია უცხო ქვეყანაში, ოჯახის წევრების გარეშე რომ გინევს ცხოვრება. ყოველ საღამოს ვტიროდი, შვილებთან ყოფნა მინდოდა, მაგრამ რას ვიზამდი? წარმოიდგინეთ, შინ ორი ბიჭი დაფტოვე, რომლებიც ვერ მხოლოდ 13 და 11 წლისანი იყვნენ...

მერე სად განაგრძე მუშაობა?

— ერთი წლის განმავლობაში სულ სამსახურის ძებნაში ვიყავი. სად აღარ მაქვს ნამუშევარი?! მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა სამსახურს შემომთავაზებდნენ, — ყველაფერზე თანახმა ვიყავი, რადგან ადამიანი ახელა გზაზე რომ მიემგზავრება, ვალდებულია, მაქსიმალური დატვირთვით იზრომოს. იქ არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სადარბაზოს კიბეს ალაგებს. ასეთ ჯგუფში ორჯერ მომიხდა მუშაობა. კარგი და ცუდი ადამიანები, რასაკვირველია, იქაც არიან, ამიტომ ზოგი ხელფასს გვიგვიანებდა ან სათანადოდ არ გვიხდიდა, ზოგს ვერ ვწყობოდი. ამიტომ მიხდებოდა სამსახურის ხშირად შეცვლა. ერთხელ, ბინაში დამლაგებლადაც

ვიმუშავე. ის ოჯახი სოფელში ცხოვრობდა და იქ ყოველდღე დავდიოდი. დიასახლისი კი — დახმარების ნაცვლად, ხშირად მამცირებდა. მთელი დღის განმავლობაში მათთან ვიყავი და ვმუშაობდი, საღამოს ავტობუსის გაჩერებაზე რომ გამოვიდოდი, მხოლოდ მაშინ მკითხავდა ხოლმე, ჭამა არ გინდოდაო?.. მერე იძულებული ვიყავი, დილით ბუტერბროდები წაშელო. მილიარდერების ოჯახი იყო. თვითონ დღეში რამდენჯერმე მიირთმევდნენ, ჩემთვის კი ნანებოდათ. მერე რა, რომ ხელფასს მიხდიდნენ? ადამიანი არ ვიყავი და კვება არ მინდოდა?! ასეთი შემთხვევა იქ ძალიან ხშირია. გოგობისგან მსმენია, რომ ზოგი, დიასახლისის უჩემრად, საპირფარეოში იკეტებოდა და საჭმელს იქ შეეცვოდა... მოკლედ, იმ ოჯახში მხოლოდ ერთი წელი გაჩერდი. მერე სხვა მოვებზე და ისეთი კარგი დიასახლისი შემხვდა, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასს მიხდიდა, ისიც ჩემთან ერთად მუშაობდა და საოჯახო საქმეების მოგვარებაში მეხმარებოდა. კვებაზე ხომ ლაპარაკიც არ იყო: მისვლისთანავე ტკბილეულსა და ყავას მახვედრებდა, მერე, შუადღეს ერთად ვსადილობდით, საღამოს კი როცა არ ვჭამდი, ჩამილაგებდა და ჩემს ნილს საჭმელს შინ მატანდა. მოკლედ, ძალიან კარგი ქალბატონი იყო... საბერძნეთში ჩახვლიდან ორი წლის განმავლობაში ძალზე კარგავდი ცხოვრებას ვწუვოდი, უქმეებსაც კი არ ვიღებდი, მხოლოდ ვმუშაობდი. მერე საბუთები მოვიწერე და ქუჩაში უფრო თავისუფლად გამოვიდოდი. სწორედ მაშინ გამოჩნდა ოჯახი, რომელსაც დამხმარე სჭირდებოდა. სიხარულით დავთანხმდი და მას მერე, უკვე ორი წელია, ამ ოჯახში ვცხოვრობ. ბავშვსაც ვუვლი, რომელსაც ევანგელია ჰქვია და ძალიან საყვარელია, მოხუცსაც ვხმარებ, კიდევ ერთი ავადმყოფი ბიჭი ჰყავთ და მასაც ვუვლი, მაგრამ ამ ყველაფერს ხალისით ვაკეთებ, რადგან ძალიან გამიძარტლა და კარგ ხალხთან მოვხვდი. ისინი ჩემი მეორე ოჯახის წევრებივით არიან...

როგორც ვიცი, ემიგრანტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე „პოპულარული“ სპეციალობა — მასაჟისტობაა. საქართველოში სპეციალურ კურსს გადიან და საზღვარგარეთ ისე მიემგზავრებიან. შენ თუ გამოგადგა

ინფორმაციულ-შეახსენებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკვან:

მონაწილეობასო? „სიამოვნებით, — მიუგო ალექსანდრემ, — თუკი ჩემი მეტოქენი მეფენი იქნებიან“.

17. „30 წელი დამჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ სრულიად მოკლებული ვარ მუსიკალურ ნიჭს, — გამოუტყდა ფრანგი კომპოზიტორი დანიელ ობერი რიჰარდ ვაგნერს — „და ამის შემდეგ შეწყვიტეთ მუსიკის წერა?“ — ჰკითხა ვაგნერმა. — „არა, — ჩაიცინა ობერმა, — რატომ უნდა შეწყვიტო?! მე ხომ უკვე სახელგანთქმული კომპოზიტორი ვიყავი!“.

18. მანძილს სალოკსა და შუათითს შორის, გაბაჯანი ჰქვია; გაჭიმულ ცერსა და სალოკ თითს შორის — ციდა; გაჭიმულ ცერსა და ნეკს შორის — მტკაველი.

19. ალექსანდრე დიუმას ბაბუა, მარკიზი ანტუან-ალექსანდრე დავიდე ლა პეიეტერი საფრანგეთის კოლონია ჰაიტიზე არტილერიის გენერლის ნოდებით მსახურობდა. ჰაიტიზე იგი დაქორწინდა ზანგ მონა ქალ მარი-კესეტ დიუმაზე, რომელმაც 1762 წელს ქვეყანას მოუვლინა მომავალი მწერლის მამა — თომა-ალექსანდრე.

20. სიტყვა „გიჟი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ამგვარად არის განმარტებული: „გიჟი — სიგიჟე თერთმეტნაირია: შმაგი — სიგიჟით თავის თავსაც ენებს და სხვასაც; ხელი — უაზროდ გარბის, არც თვითონ იცემს და არც სხვას; სულელი — რომელი არცა სრულიად ცნობამიღებულია და არც არაად მანყინარი, არამედ არარა სასარგებლო რამე ქმნას; ცოფი — გონება და ცნობა მოძარცვული; ნადველიანი — ზოგჯერ ცნობიერი, ზოგჯერ ცნობადაკარგული; რეგენი — რომელსაც სიბრძნე აკლია, მაგრამ ხელურად იქცევა; ტუტერი — სიბრძნე არ აკლია, მაგრამ ხელურ რამეებს აკეთებს; შლეგი — არა ხელი, არცა ცნობამიღებული, არამედ დაუცვადებლად თავგანწირვით განუსვენებელი; შტერი — სიტყვის გვიან გამგონე და საქმის ვერკეთილად გამკეთებელი; ფეთიანი — ღამით ან დღისით საოცარი რამე იხილოს, დაფეთდეს და ცოტა ხნით ცნობანართმეული იყოს; შეთიანი — რომელიც ხელურად იქცევა, ჩქარ-ჩქარა დაწვეს და წამოჯდეს და უაზროს ამბობდეს“.

21. 1906 წელს ოპერის განთქმული მომღერალი ენრიკო კარუზო პოლიციამ ნიუ-იორკის „ცენტრალ პარკის“ ზოოპარკში მაიმუნების გალიასთან მდგარი უცნობი ქალბატონის შეურაცხყოფისთვის დააპატიმრა. მომღერალმა ქალს საჯდომზე უჩქმიტა.



ზუსტად არც ვიცი, როგორ მოკვდა და ამას ალბათ ვეღარასოდეს გავიგებთ



ეს სპეციალობა?

— სიმართლე რომ გითხრათ, დრო არ მაქვს, მასაჟისტად რომ ვიმუშაო. მხოლოდ რამდენიმე მუდმივი კლიენტი მყავს და სხვები აღარ ამყავს. გარდა ამისა, ექთანის საბუთებში გავაკეთე და ლამით საავადმყოფოში ვმუშაობდი. იმ პერიოდში დღე-ღამეში მხოლოდ სამი საათი მექნა. ძალიან დატვირთული ვიყავი მქონდა, სამაგიეროდ, ეს ყველაფერი ჩემს ბიუჯეტზე კარგად აისახებოდა. ამიტომ, ბიუჯეტზე არაფერი მქონდა. პირიქით, იქ ექთანებს ძალიან კარგი გასამრჯელო აქვთ.

— საერთოდ, როგორ ცხოვრება საბერძნეთში?

— იქაურები მალალი შრომის ანაზღაურებით ვერ დაიკვებიან. სახელმწიფო დანესე-



ბერძენი ევანგელია, რომელსაც ნათია კიკნაძე უვლის

ბულებში მომუშავე პერსონალს 700-800 ევროზე მეტი არა აქვს ხელფასი. პენსიებიც საკმაოდ დაბალია. სწორედ ამიტომ, იქაური ხალხი ხშირად გამოიქვამს უკმაყოფილებას. პენსიასაც მხოლოდ სტაჟის მიხედვით გაცემენ. თუ ადამიანს სამუშაო სტაჟი არა აქვს, მას გლეხის პენსიას აძლევენ, რომელიც მხოლოდ 230 ევროს შეადგენს. იქაც ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს...

— საბერძნეთში განსაკუთრებით ბევრი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს, არა?

— ნამდვილად ასეა. ავტობუსში რომ ახვიდე, 30 ადამიანიდან 15 ქართველი გხვდება. სწორედ ამიტომ, იქაურ მალაზიებში ყველაფერი ქართული იყიდება: მჭადის ფქვილიც, სულგუნიც, სუნელებიც. იქ მცხოვრებ ქართველს ქართული კერძები არასოდეს მოეწონება. ტარხუნისა და ნინშატის მოვნაც კი შეიძლება.

— იქაურ უმსაქმოდებს ქართული კერძებით თუ უმსაქმოდებს ხოლმე?

— როგორ არა?! ამას წინათ აჯაფსანდალი გავაკეთე და დიასახლისს ძალიან მოეწონა: ეს რა პიკანტური კერძი მოგვიმზადეო! — მითხრა. ისე, მათ ჩვენგან საკმაოდ განსხვავებული სამზარეულო აქვთ. ისინი ძალიან ბევრ ბარდას მიირთმევენ. კიდევ, რაღაც ლობიოს მაგვარი მარცვლეული აქვთ, რომელიც მართლა ძალზე გემრიელია. ზღვის პროდუქტებზე ხომ ჭკუა ეკვებებათ: კალმარები, კი-

ბორჩხალები, რვაფეხები და მსგავსი, ზღვის პროდუქტები იქ კილოგრამი 35-დან 50 ევრომდე ღირს, მაგრამ მაინც ყველა ყიდულობს, რადგან ძალიან უყვართ. ასეთ რაღაცებს, სამწუხაროდ, მე ვერ ვჭამ. რაც შეეხება ქართულ კერძებს, — გიჟდებიან ხინკალზე. იქ ბევრი ქართული რესტორანია, სადაც ხინკლის შეკვეთებს იღებენ. რამდენიმე საათში ცხელ-ცხელ ხინკალს სახლში მოგართმევენ. ბერძენი ამ სერვისით ძალიან ხშირად სარგებლობენ. ხშირად ქართული ქორწილი იმართება. იქ ბევრი ქართველი ცხოვრობს, რომლებსაც საკმაოდ დიდი ბიზნესი აქვთ. სწორედ ისინი იხდიან 400 და 500-კაცთან ქართულ, ტრადიციულ ქორწილებს.

— ქართველებს ერთმანეთთან როგორ ურთიერთობა გაქვთ?

— პირადად მე, სამ ქართველთან ვმეგობრობ. ისინი ჩემს მახლობლად მდებარე კორპუსებში ცხოვრობენ და ყველაზე ახლოს მათთან ვარ. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ჩემი ნათესავი ცხოვრობს იქ, რომლებთანაც არცთუ ისე იშვიათად ვსტუმრობ. ბევრი ბერძენი მეგობარიც მყავს და როცა დრო მაქვს, მათთანაც ხშირად მივდივარ სტუმრად.

— ევროპის უამრავ ქვეყანაში ქართველებს სახელი აქვთ გაფუჭებული. ამბობენ, ქართველები ქურდობენო. ამ შროვ, საბერძნეთში როგორ არის საქმე?

— საბერძნეთში ასე ნამდვილად არ არის. ბერძენებს ქართველები უყვართ კიდევ. გარდა ამისა, აბსოლუტურად ყველა სახლში, სადაც მოსამსახურებია აწყაფი, ვედოკაჟერები აქვთ დამონტაჟებული და როცა ოჯახში ახალი დამხმარე მოდის, დიასახლისი მას ერთი თვის განმავლობაში კამერის მეშვეობით უთვალთვალებს, რაიმე რომ არ მოიპაროს. გარკვეული დროის შემდეგ კი დიასახლისები აბსოლუტურად გვენდობიან.

— საქართველოში ომი რომ დაიწყოს, რა რეაქცია გქონდა?

— ძალიან ვინერვიულე. მეც და მთელი ოჯახის წევრებიც სულ ტელევიზორთან ვისხედით და ახალ-ახალ ინფორმაციებს ვისმენდით. მაშინვე გადავწყვიტე გამოემგზავრება, მაგრამ არ გამომიშვეს. მხოლოდ პირველ სექტემბერს მოვახერხე იქიდან წაოსვლა. სხვა რაღა დამრჩენოდა? — საბერძნეთში გამართულ ყველა აქციას ვესწრებოდი და ყველანი ერთად ვტიროდით.

— როგორც ცნობილია, საქართველოს ყველაზე ნაკლებად, საბერძნეთმა დაუჭირა მხარი...

— არა, რატომ? ქართულ მიტინგზე ერთი ბერძენი კაცი გამოვიდა სიტყვით, რომელიც რუსეთის აგრესიას ძალიან გმობდა. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემეხვედრია ბერძენი, რომელიც ჩვენ გამო შენუხებული არ იყო. პირიქით, სულ მხარში გვედგნენ და ჩვენს გამართულ აქციებში აქტიურად მონაწილეობდნენ... კიდევ უფრო მეტად იმიტომ ვინერვიულე, რომ თბილისიდან დამირეკეს და შემატყობინეს, შენი უმცროსი ბიჭი რეზერვისტად გამოიძახესო. კინაღამ გავიყედი. აფხაზეთის ომში მამამისი იბრძოდა და ახლა ამ ომში ჩემს შვილს უნდა ებრძოდა... მართლა, ძალიან ვინერვიულე. მეგონა, მოგვედებოდი.

საბედნიეროდ, შოთიკო უკან დააბრუნეს. მხოლოდ ხელწერილი დაანერინეს, რომ იმ დღეებში ქალაქიდან არ გავიდოდა.

— საბერძნეთში რომ დაბრუნდები, მუშაობას კვლავ იმ ოჯახში განაგრძობ?

— რასაკვირველია. ისინი დამპირდნენ, რომ ჩემ გარდა, სხვას არავის აიყვანდნენ. თითქმის ყოველდღე გვაქვს სატელეფონო კონტაქტი.

— შეხვედრისას მითხარო, რომ „გზა“ საბერძნეთში მცხოვრები ქართველებისთვის ერთ-ერთი საყვარელი უურნალია...

— საქართველოდან ავტობუსი რომ ჩამოდის, „გზაც“ აუცილებლად ჩამოაქვს და ჩვენც ვყიდულობთ. ვიქვით, ვერ მოვასწარი „გზის“ შექმნა. ვინც იყიდის, ის რომ წაიკითხავს, მერე მე მათხოვებს. ასე რომ, „გზას“ ყველა იქ მცხოვრები ქართველი ძალიან კარგად იცნობს. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი უურნალი იქ 1 ევრო ღირს, ფასს არავინ უყურებს, რადგან ერთი სული გვაქვს, რაიმე ქართული წაიკითხოთ. ვერ წარმოიდგენ, „გზაში“ გამოქვეყნებულ რომანებთან დაკავშირებით რა ხდება! იქაურ ბიბლიოთეკებში ქართული წიგნები არა აქვთ, ამიტომ თქვენს უურნალში გამოქვეყნებული რომანებით ვიკმაყოფილებთ ინტერესს და მომდევნო წომრის ჩამოსვლას მოუთმენლად ველოდებით ხოლმე.

— ახლა როდის აპირებ საბერძნეთში დაბრუნებას?

— ზუსტად ვერ გეტყვი. რაღაც პირადი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი და მერე გავმგზავრები.

— ხომ არ აპირებ, შენი შვილებიც თან წაიყვანო?

— არა, ბავშვებს ვერ ვერ წაიყვან, რადგან ისინი აქ უშაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და არ მინდა, ხელი ვშვეშალო. ზაფხულში, შესაძლოა, დასასვენებლად წაიყვანო. ჩემი იქაური ოჯახის წევრები მეუბნებიან, რომ დამეხმარებიან შვილების წაყვანაში, მაგრამ ვერ ვერ ვერობით, თავს ვიკავებ. ვნახათ, როგორი მდგომარეობა იქნება საქართველოში...

— რამდენიმე წელია, სამშობლოში არ ყოფილხარ, როცა პირველად შემოხვედი თბილისში, რა განცდა დაგეუფლა? შეცვლილია ჩვენი ქალაქი?

— საბერძნეთიდან ავტობუსით ჩამოვედი. გორში რომ გამოვიარეთ, ყველას ძალიან გვეშინოდა: რატომღაც ველოდით, რომ რუსი მკვლელები ჩაგვსხმებოდნენ. ყველა მგზავრი ძალზე შემინებული იყო. ყოველ 100 მეტრში ქართული პოლიცია გვხვდებოდა და ეს ცოტა სიმშენვეს გვატებდა. რაც შეეხება თბილისს: ტელეანა რომ დავინახე, აღფრთოვანებული დავრჩი. როგორ გაულამაზებიათ ყველაფერი! ძალიან მომეწონა სამების ტაძარი, ულამაზესია. თბილისში ბევრი რამ არის უკეთესობისკენ შეცვლილი. მაგრამ რამდენიმე დღის წინ ვაგზლის მოედანზე მომიხდა გასვლა და ის მომეწონა: ისევ ისეთი საშინელი მდგომარეობა დამხვდა — სიბინძურე და ბევრი ხალხი. იმედი მაქვს, ამ ტერიტორიასაც გაალამაზებენ...

ნაღდი თბილისელი და ამილახლოს ამილახალი მამა

„ცხოვრების წესი თვითონ განსაზღვრავს, ესა თუ ის პიროვნება რა გზით უნდა წავიდეს... ვფიქრობ, ადამიანი ის ჭურჭელია, რომელიც მუდმივად რაღაცით უნდა იყოს სავსე. თუ ამ „ჭურჭელში“ მეტი ადგილი სიკეთეს დაეთმობა, მის ცხოვრებაშიც სიკეთე დაისადგურებს ანუ ღვთიური გზით მავალთათვის ცხოვრებისეული „გამოცდები“ (განსაცდევლები) იოლი გადასატანი ხდება“, — ამბობს შიორბი კორკობაშვილი, იგივე კორკობა, რომელიც თანამედროვე თბილისის კოლორიტია. ცხოვრობს ისე, როგორც ჭეშმარიტი თბილისელი. უზომოდ უყვარს თავისი ქალაქი, მეგობრები, ქართული ტრადიციები, ქართული სუფრა და ქართული სიმღერა, რადგანაც ღმერთმა მუსიკალური ნიჭით დააჯილდოვა. სიტყვა-პასუხი არ ეშლება, ენაკვიმატობითაც გამორჩეულია. სადაც მიდის, ყველგან „ცეცხლს ანთებს“. ამიტომაც, ის თავის ძმაცაცებთან ერთად, არაერთი ოჯახის სასურველი სტუმარი გახლავთ. თვეზე მეტია, მას რადიო „ნაცნობში“ დილის გადაცემის წაყვანა მიანდევს და კორკობაც ჩვეული ენერგიით, ძალისხმევას არ იშურებს, მსმენელებს სიცოცხლე რომ გაუსხალისოს და რადიოეთერში გასული წლების თბილისი გაცოცხლოს.

ლალი შაბია

— რომელ უბანში დაბადდეთ?
— ბარათაშვილის ქუჩაზე, „იარმარკა“ ერქვა ჩემს უბანს. ეს არის ალექსანდრეს ბაღის მიმდებარე ტერიტორია (იქაურობას „იარმარკა“ იმიტომ უწოდეს, რომ ადრე იქ თურმე „იარმარკა“ ყოფილა), მტკვრის მარჯვენა სანაპირო. თუმცა დაბადებული ვარ ჩუღურეთში. ჩვენი ოჯახი მარჯვენა სანაპიროზე საცხოვრებლად მერე გადავიდა... კარგად მახსოვს რიყის უბანი, იქ ჩემი მეგობრები ცხოვრობდნენ. ისიც მახსოვს, რიყე თავის „ლაშქრებში“ 70-იან წლებში რომ დაიტბორა. ხალხი ნაგებობს გამოჰყავდათ... ბავშვობაში, ცხოვრებული დედაჩემი მე და ჩემს ძმას ქალაქში ხშირად გვაყივრებდა, უამრავ რამეს გვანახებდა და გვაცნობდა.

— რატომაც მგონია, რომ პატარაობაში ძალიან ცელტი, მოუსვენარი, აქტიური და ენერგიული იყავით.
— კი, თავიდანვე ასეთი ვიყავი და ახლაც, რასაც უნდა ვაკეთებდი, ყველაფერი სწრაფად მინდა, რომ გავაკეთო...

— ბოლო დროს პოპულარული გახდით, ხალხმა გაგიცნოთ...
— ყველაფერი ალბათ იმით დაიწყო, რომ გიორგი შენგელაიამ გადამიღო ფილმში — „მიდიოდა მატარებელი“... ვითამაშე სერიალში — „ცხელი ძალი“. ახლა კიდევ, რადიოში მიმყავს გადაცემა „კორკობას დილა“...

— პროფესიით ვინ ხართ?
— მმართველი.

— თქვენი პროფესიით თუ გო მუშაობათ?
— კი, კარიერა სწორედ რომ ჩემი პროფესიით დაიწყო...

— გადაცემაში, რომელიც მი გყავთ, ყოველ დილას თქვენებურ „ცეცხლს ანთებთ“...
— ვცდილობ, ისეთი სტუმრები მოვიწვიო (რამიც პროდიუსერი თამუნა ქურთუბაძე მეხმარება), რომლებიც ეთერში „ცეცხლს“ დაანთებენ, რადგან ისეთი ადამიანებიც

მისმენენ, ვისაც სულიერად, მატერიალურად უჭირთ, ამიტომ, ეთერიდან მათი „დაგრუზვა“ არ შეიძლება. მინდა, ყველანი იმსმენენ ერთმანეთთან დავახლოო. ძალიან ბევრი რეკავს და მელაპარაკება იმაზე, თუ როგორ სჭირდება და ამწვევს მას ეს პროექტი. საერთოდ, ადამიანს ის უყვარს, რაც ყალბი არ არის და ნაღდი! ჯერჯერობით ალაღად გავცემ ენერგიას. როცა თამაში გახდება საჭირო, მაშინ წავალ და ახაპრებს მსახიობებს დაფუთობ, რადგანაც საქართველოში ბრწყინვალე მსახიობი არ დაიღწა. ამიტომ, სანამ ღვთის ნებაა და ენერგია მყოფის, ადამიანებისთვის დავიხარჯებ. ისე, კეთილი საქმისთვის გაცემული ენერგიის აღდგენა მალევე ხდება.

— რა არის თქვენთვის თბილისი — ქალაქი, რომელშიც დაიბადეთ, გაიზარდეთ და ჩამოყალიბდით?
— ჩემთვის ეს ქალაქი ყველაფერი! ადრეც ყველაფერი იყო, როცა მზრდიდა და მაყალიბებდა. მამიდა-ჩემის ქმარი — დათიკო თაქთაქიშვილი გახლდათ ადამიანი, რომლის გვერდითაც სუფრის ადამ-წესებს, ტრადიციას ქსნავლობდი. თაქთაქიშვილები და ციციშვილები საქეიფოდ რომ დასხდებოდნენ, ყური მათკენ მქონდა მიპყრობილი. შეიძლება, გაკეთილი არ მქსნავლა, მაგრამ მათთან ყოფნას ვერ მოვაკლდებოდი. ასე რომ, ღვთის წყალობით, სუფრის ყადრს სერიოზულად, ამ საოცარ ადამიანებთან ვეზიარე.

— ქართული სუფრის თემს შეეხეთ ამბობენ, კარგ თამადას ჭიქაზე ჩანგლის მიკაუნება არ უნდა დასჭარდქო მართლა ასეა?
— ეს სუფრასთან შეკრებილ საზოგადოებაზე დამოკიდებული. თინეჯერების სუფრასთან ძნელია, ადამიანმა წესრიგი დაიცვას.

— თინეჯერებმა საერთოდ, სუფრის ტრადიციები იციან?


— ზოგჯერ, ზრდილობის გამო სხდებიან, შეჭამენ, ცოტას დალევენ და მერე დაიწყება რაღაც თემებზე ტლიკინი, რადგანაც დღეს ახალგაზრდების უმრავლესობა სხვა პრიორიტეტს ირჩევს. თუმცა ყველას გაყინული გულბ როდი აქვს...

— თბილისის ღირსებად რას მიიჩნევთ?

— თბილისში ადრე სხვანაირად ცხოვრებდნენ. ეს იყო: ერთმანეთისთვის თავდადება, მეგობრის პატივისცემა, თუნდაც — კარგი ჩხუბი და შერიგება, უფროსის პატივისცემა, კაცური პურმარლი, საოცარი-მეზობლობა.

— რა არის იმის მიზეზი, რომ ეს ყველაფერი დაიკარგა?

— ამას ის მეთოდები განაპირობებს, რომლითაც დღეს ახალგაზრდები იზრდებიან. მარტო ოჯახს არ ვგულისხმობ. სხვა ფაქტორებია: ქუჩა, სკოლა, გარემო... სკოლა ხომ საერთოდ აღარ არსებობს. დღეს საუკეთესო სკოლას იმას უწოდებენ, რომელშიც კარგ ინგლისურს ასწავლიან, რომლის დამთავრების შემდეგაც სასწავლებლად საზღვარგარეთ მიდიან. ეჭვი მაქვს, უცხოეთში განათლებამიღებული და საქართველოში ჩამოსული ქართველი თავისი ქვეყნის თავდადებული პარტიოტი იყოს. მიმანია, რომ ის არის მშრალი, პრაგმატული ტიპი, რომელმაც იცის, როგორ უნდა გააკეთოს ფული, შაბათ-კვირა ანუ უიკენდი როგორ მოიწყოს. მას ქართული სული არ გააჩნია. ასეთი ტიპებისგან „დაკომპლექტებულ“ ჩვენს ქვეყანას სინთეტიკურს ვუნდობ! ამ თემზე ბევრი მიფიქრია, მიწერულია, მაგრამ ადამიანის სურ-



ჩემთვის ეს ქალაქი ყველაფერია

ვილის გარდა, არსებობს კიდევ — ღვთის ნება. ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის ნილხვედრი გახლავთ. ქართველები ეკლესიას დაუხლოვდნენ და ბევრი რამ შეიგნეს. ამიტომაც მჯერა, საქართველო გადასაშენებლად არ გაიწირება!

— წელან ქართულ პურმარლს შეეხეთ გადაშენებულად არ გეჩვენათ ზოგიერთი რამ?

— მთავარი ის არ არის, სუფრასთან წასული მეგობრის ან წინაპრის მოსაგონარი დალიო. იმასაც უნდა მიხვდეთ, რომ „აბიხინებული“ არ გქონდეს მისი საფლავი და ხანდახან მაინც დაასუფთაო. დანგრეული ეკლესიის

აღსადგენად; ერთი აგური უნდა დადო ან დანაგვიანებული გარემო განმინდო... მეგობრები სუფრასთან როცა ხედებიან (თუ კარგი ქეიფია), თავიანთი სიმღერის, იუმორის (ამის გარეშე ქართული სუფრა წარმოუდგენელია; მნიშვნელობა აქვს, ასევე სუფრაზე რა ხარისხის ღვინო დეკს) წყალობით, იქიდან უარყოფითი ენერჯისგან დაკლილი და დაღებოთი ემოციებით აღვსილნი გამოდიან.

კორკოტა ოჯახთან ერთად



— როგორც ვიცი, თქვენ ყველა სუფრასთან და ოჯახში სასურველი სტუმარი ბრძანდებით. რა გრძნობას განიჭებთ ეს? ცოტას ხომ არ „გაამაყებთ“?

— მაგ თემაზე ლაპარაკ ვერივები. ნები-სმიერ ქმედებაში ადამიანმა საკუთარი თავი თუ არ გააკონტროლა, არაფერი გამოვა. საერთოდ, მთელი ცხოვრება ბენვის ხიდზე სიარულია.

— მამიდის ქმარი ასწენთ, მამაზე არაფერი გითქვამთ...

— წარმოშობით კახელი ვარ, მამაჩემის სოფელი — კარდანახი გახლდათ, დედა ცინცაძის ქალი იყო და სოფელი. ბუკის-ციხეში გვექონდა. სკოლაში სასწავლო წელი რომ მთავრდებოდა, არდადეგებზე, ივლისის შუა რიცხვებამდე, ვერ კახეთში მივდიოდით, მერე — ბუკისციხეში. არდადეგების ბოლო კვირას, ტრადიციულად, ზღვაზე ატარებდა ჩვენი ოჯახი. მამაჩემი ტრადიციების მოყვარული კაცი გახლდათ. სულ სამსახურში კი იყო ხოლმე, მაგრამ კვირადღე მისთვის რიტუალივით იყო — მას ოჯახთან ერთად ატარებდა. მამა კვირას დილით ადგებოდა, „დახურულ ბაზარში“ წავიდოდა, მოიტანდა ხორცს, კარტოფილს და ოჯახურ სადილს თვითონვე გააკეთებდა, დედას არ ანუხებდა. მერე შეგვკრებდა სუფრასთან და სურვილი ჰქონდა, ჩვენთან ერთად, თითო ჭიქა ღვინო დაეღია.

— შესანიშნავად მღერით. პროფესიონალურ სცენაზე გამოსვლა არასდროს გიციდიათ?

— ღვინოს წყალობით, მუსიკალური ნიჭი ბავშვობიდან აღმომაჩნდა. მაგალითად, თბილისიდან კახეთამდე შემქლო, გაუჩერებლად მემღერა. განსაკუთრებულად მიყვარდა სიმღერა — „ოჩი ჩორნი“ (იკინის) ჩემებიც ჩემი მოსმენით ერთობოდნენ. „გეპეი-

ში“ რომ ჩავირიცხე, სიმღერის თვალსაზრისით, დიდი სკოლა გავიარე. იცით, რომ ამ სასწავლებელს დიდი მუსიკალური ტრადიციები ჰქონდა. მერე, სტუდენტებს ერთად ყოფნა გვიხაროდა და წესად გვექცა — ხშირად ვიკრიბებოდით. მანეთი და რალაც კაპიკები ღირდა ღვინო „კახეთი“. მას ვიყიდვით, შეგვკრებდით ასე, დაახლოებით 20 მანეთამდე და ამ თანხით პატარა „რესტორანიკში“ „სტუდენტურ სუფრას“ ვამშლავდით. სადაც რალაც, მცირე „ზაკუსკას“ გვიმზადებდნენ. ასეთი მარტივი ურთიერთობა გვექონდა. სადღეგრძელოებსაც ვამბობდით, ვმღეროდით, ვსუმრობდით. ასეთ სიტუაციებში ინვრთნება და ყალიბდება ახალგაზრდა კაცი. შემდეგ, ჩემი სასიმილო კლასის ამაღლებაში სერიოზული წვლილი ჩიქოვანების ოჯახს მიუძღვის (ზურიკო ჩიქოვანი და ითო შარაშიძე) ისინი ხომ პროფესიონალები არიან.

მათი შვილი — გიგლა და მე ვმხატვრობთ, ერთი ოჯახის ნევრტვივით ვართ.

— თქვენ არაერთი ცნობილი სიმღერა თქვენებური ინტერპრეტაციით გაქვთ შესრულებული...

— დიას. უმეტესობა თათქაიშვილები-სა და ციციშვილებს სიმღერიდან არის, რომლებსაც რალაცნაირი, ჩვენებური ვარიანტი მოვარგეთ. ყველა, თითქმის მაგ ქეიფებშია დაბადებული.

— მინდა, ახლა თქვენს ქალიშვილზე — მომღერალ სალომე კორკოტაშვილზე ვისაუბროთ, რომელიც უნიჭიერესი და ძალიან საყვარელი გოგონაა...

— ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სალომე ბევრ რამეში მენდობა. ყოველთვის მეკითხებოდა აზრს, ჩემს დარჩენას ითვალისწინებდა. ერთი, რაც არ მითხბა, ის იყო, რომ უჩემოდ გათხოვდა ანუ — გაიპარა, რაზეც გული დამწყდა. მაგრამ ეს უკვე წასული თემაა. ჩემი სიძე — ტოტო კარგი ბიჭი, უთბილესი ადამიანია. მეორე შვილმა, ვაჟიკომაც ცოლი მოიყვანა. სალომე — უფროსია, მერე ვაჟიკო მოდის, შემდეგ — ელენე და ბოლოს — სანდრო. ოთხი შვილის მამა ვარ, რაც ჩემი მეუღლის დამსახურებაა... სანყენია, რომ სალომე რალაც საკითხებში მოტყუებული დარჩა, იმიტომ, რომ ურთიერთობები იმ სფეროში, რომელსაც შოუ-ბიზნესი ჰქვია, ცოტა ბინძურია. თან, ცუდი ის არის, რომ მას პატარაობიდანვე გაუტყდა გული რალაცებზე — ეს, ჩვენში ჩატარებულ კონკურსებს ეხება... ახლა ისე არ გამოიგოთ, რომ მამა ვარ და შვილს ვაქვებ. არა, მაგრამ ის პროდუქტი, რომლის შექმნაც მას შეუძლია, მართლაც ხარისხიანია და ამის დანახვა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ის მარტო თინეიჯერულ სიმღერებს კი არ ჰკიდებს ხელს, კლასიკაც მღერის. პროფესიონალებმა

შეაფასეს და კარგი რჩევები მისცეს. ხმის ისეთი დიაპაზონი აქვს, რომ ყველანაირი უანრის ნამუშევრის შესრულება შეუძლია. ახლა მსმენელმა შეაფასოს, რა შეუძლია სალომე კორკოტაშვილს.

— როგორი ადამიანები გალიზიანებთ?

— მატყუარა და უმადური. ვერივები მათთან ურთიერთობას. მე ძველი „რენტგენოლოგი“ ვარ: შორიდან ვგრძნობ ადამიანებს და ვციდილობ, ასეთებს გავერიდო. ღმერთმა ყველას ხელი მოუშაროს, იყვნენ თავისთვის. ისე, ვფიქრობ, რაც უფრო ფულიანია ადამიანი, მით უფრო ზემოთ სწევს ცხვირს...

— როგორ ფიქრობთ — რატომ ხდება, რომ ფული აუხეშებს ადამიანს?

— ფულიანი ადამიანების უმრავლესობას ჰგონია, რომ რაკილა ფული აქვს, ის ამის ღირსია, ეს ნიჭიერებით დაიმსახურა.

— კორკოტა ფულიანია?

— ფულიანი არასდროს ყოფილა. იცით, რამდენი ფული მინდა? ოთხი შვილი მყავს... მგონი, „ფოკუსიკი“ ვარ, ღვინოს წყალობით ვცხოვრობ.

— თქვენთვის ფული რა არის?

— ოო, თუ ვინმე განმარტავს, რა არის ფული, მაგარი იქნება. ფული ძალიან დიდი საშუალებაა ამის პასუხად, ერთ რამეს გეტყვით, რომელიც ათონის მთაზე ერთ-ერთი მამისგან მომისმენია: ადამიანი, როგორც კი ფულის დაგროვებას დაიწყებს, დამოკიდებული არა მღერთზე, არამედ — ფულზე, ამიტომ, მისი სული იცვლება: ღმერთის სიყვარულს ანაცვლებს იმ მატერიალურს, რისთვისაც ხელის მოკიდება შეუძლია. არადა, მთავარი ავიწყდება, რომ ყველაფერი ღმერთისგან ეობა ამიტომაც, ადამიანი, რომელიც ფულს აგროვებს, შეცდომას უშვებს.

— ცხოვრებით კმაყოფილი ხართ?

— ნუნუნა არა ვარ. მაგრამ ხანდახან გაუმძღვრობა შემომიტყვს ხოლმე, რომელიც მანუხებს. ვციდილობ, რომ მას იქვე „წიხლი ჩავაზილო“...

— როგორც ყოფილმა რაგბისტმა?

— თუნდაც... ამპარტავენა სულ ჩასაფრებულია და ვერაფერ რამ არის. მუდმივად ვციდილობ, რომ ისიც დავამარცხო.

— გამდილობთ საინტერესო საუბრისთვის!

— წარმატებებს გისურვებთ!



მნიშვნელოვანია, რომ სალომე ბევრ რამეში მენდობა



ირი ცილი და... სამი სიდერი!



ინგა ჩაყელი

მიმა პირველ ცოლს იმიტომ გეყარა, რომ სიდერს ვერ შეეგუა და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ — „სისხლის ღვრას გაერიდა“.

— ენა ქონდა იმფერი, წერწყვი შინიანი უორთქლდებოდა და მისი ნათქვამი წყველა ტყვიასავით ეწოდა ადრესატს, ადგილზე ავართხალბოდა — იფიცებდა მიმა ყველაფერს და თავს აცოდებდა მსმენელს. — იმის გვერდით ცხოვრებამ მომსპო და მომილო ბოლო, თმაც გამცვივდა და ბეჭებშიც მევიხარე, „ჭლექში ვარ ჩაყარდნილი!“

მიმას „ჯიბრზე“, მისი ცოლყოფილი მალე გათხოვდა და უშვილო-უჯიშოს რომ ეძახდა კაცი, ტყუილი ბიჭიც გააჩინა წლისთავზე მეორე ქმართან:

— ჩემი სიდერის გათვალული ვიყავი და მიტომ არ მეღირსა შვილი! — თავს იმართლებდა მიმა და რეპუტაციის ასამაღლებლად უფრო გადაწყვიტა მეორე ცოლის შერთვა, თორემ ქალის ხსენება მართლა აღარაფერში სჭირდებოდა 40-ს გადაცილებულსა და „ემოციებშესუსტებულს“.

ეგ კია, ყველას იმას ეხვეწებოდა, — თუ ჩემი სიკეთე გინდათ, ისეთ ობოლ გოგოს ვეძებ, დედა ადრეულ ასაკში რომ მოუკვდა და მისი სურათიც კი აღარ უჭაჭანებს ახლომახლოშიო!..

მთლად ობოლი — ვერა, მაგრამ ერთი გოგო კი მოუძებნა ახლობელმა, რომელსაც შინ სასიკვდილოდ გადადებული, 80-ს გადაშორებული დედა ჰყავდა, დღე-დღეზე ელოდებოდნენ მის გარდაცვალებას, ამიტომ დააჩქარეს ქეთინოს გათხოვება: — გამზრდელ დედას თავის დარდს არ გააყოლებს საფლავშიო!..

მიმას დასაწუნი ქეთინოს არაფერი სჭირდა, მით უმეტეს, თუ იმსაც გავითვალისწინებთ, რომ დედისერთა გოგო ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე იყო და ისეთი სახლ-კარი და მანქანა რჩებოდა, მთლად უცხვირაბიროც რომ ყოფილიყო, მაინც გამოუწნდებოდა მთხოვლილი.

— ალბათ ნამეტნავი ავი დედის შვილია, ამდენ ხანს რომ არავინ შეეძლია! — დაეჭვდა მიმა.

— სწავლას გადაყვა და ამიტომ არ იფიქრა გათხოვებაზე, თვარა, ბევრს უნდოდა! — დაიფიცა შუამავალმა.

— 30 წლის მეტის თვარა, 80 წლის დედა საიდან ჰყავს?! — ახლა სხვა მხრიდან მოუარა მიმამ.

— რაღა დაგიმალო და, ნაშვილები ჰყავთ, თავისი არ მისცათ ღმერთმა! — გაამხილა ოჯახის საიდუმლო, სარგებლის მოლოდინში, ხარბმა „ხანუმა“.

— ეუჰ, ეს რა მითხარი?! ნაბოზვრის შვილი და ჯიში არ იყოს! — უკან დაიხია მიმამ.

— ეგ არ ვიცი. თუ ხარ მთხოვნილი, დროზე, თუ არა, ვევა მეხვეწება თავისი დიტოვისთვის! — ზურგი აქაცია გაბუტულმა მამვალმა მიმას და ის იყო, უნდა ნაშულიყო, რომ წიშკრიდან მოაბრუნა მიმამ:

— ჯანდაბას, თანახმა ვარ! ოღონდ უნდა დამპირდე, რომ დედამის მალე გასძვრება სული! — ისე ნაუყენა ულტიმატუმი ქალს, ვითომ მიქელ-გაბრიელი მასავით ადვილად დასაყოლიებელი ყოფილიყო...

— მოკვდება, აბა, რა ჯანდაბა მოუვა?! ექვსი თვეა, ლოგინიდან არ გადმოუდგამს ფეხი, სიძეს რომ დეინახავს, მის ნაწვლებს ქონებაზე მოსულს, ეს მთლად მოუსწრაფებს სიცოცხლეს! — მხარზე მოუთათუნა ხელი

გასამხნეველად მიმას თანამოაზრემ და სამაშვლო თანხა წინასწარ მოსთხოვა: — თქვენსას რომ გინალდებთ, მერე ჯიბეში ხელის ჩაყოფაზე წელი გწყდებათო!..

ორ კვირაში გაიჩარხა საქმე და მიმა ქეთინოს ოჯახში ზედსიძედ შევიდა, რასაც მართლაც, სასწაული მოჰყვა და მისმა 80 წლის სიდედრმა, ექვსი თვე რომ ლოგინიდან არ გადმოსულა, მოიხედა:

— ანი რაღა მომკლავს და მომერევა! — თქვა და ნამოდგა, დატრიალდა, სიძეს ერთი წუთითაც არ ტოვებდა მარტოს და საძინებელშიც მიჰყვებოდა:

— ხომ იცი, დასაკარგი დრო არც შენ გაქვს და არც მე, ცოლი დროზე დააორსულე! — ემშაკურად უნაბავდა თვალებს, მიმას, სიბნელეში მისი თვალების „ნაბვა“ რომ გაახსენდებოდა, ქალის კი არა, სიცოცხლის სურვილი ეკარგებოდა და საერთოდ ავიწყდებოდა თავისი მამაკაცური მოვალეობა...

— ბედი არ მქონია! — იგინებოდა გულში, მაგრამ „მკვდრეთით აღმდგარ“ სიდედრს კიდევ შეეგუებოდა როგორმე, მეორე უბედურება რომ არ დასტყდომოდა თავზე მეხივით: ერთხელ ვილაღე ჯანიანი, 50-ს გადაცილებული ქალი მოადგა და აცნობა: ქეთინოს ნამდვილი დედა ვარ, ახალგაზრდობაში შეეცდი, მომატყუეს და ბავშვი დამათმობინეს, არადა, მის მერე არ გაეთხოვილვარ, სულ შეილის პოვნაზე ვოცნებობდი და რადგან ენახე, ვეღარ გამავდებთო!..

ქეთინო ისე ჰგავდა ნამდვილ დედას, ეჭვიც არავის შეჰპარვია მათ დედაშვილობაში და დედობილიც უცებ მოტყდა:

— ოღონდ გაზრდილს ნუ წამართმევ და მოხუცებულს ნუ გამამწარებ, ორი დღის წუთისოფლი დამრჩენია, მოდი, ერთად ვიყოთ, შემარგეთ ბედნიერება და რომ ნავალ, დალოცვილებს დაგტოვებთ...

ბევრი ინივლა და იუარა მიმამ: — ვინ იცის, იქნებ აფერისტია, ვის უშობთ სახლშიო?! — მაგრამ ვინ დაუჯერა?! ქეთინომ ულტიმატუმი ნაუყენა: თუ არ მოგწონს სიტუაცია, თავადვე მიბრძანდი აქედან, დედას ვერავინ შემიცვლის, ქმარს კიდევ ვიშოვი; გამზადებულეზე თუ მოვიყვან, რომელი უსაქმური მეტყვიის უარსო?! — და დარჩა მიმა ორ ცეცხლს შუა მოქცეული. საჩხაკცოსაც გაუჩინა სალაპარაკო: რაც გეზარებოდეს, ის გეძალეობდეს! — მაგაზეა ნათქვამიო... მოკლედ, მწარედ დასცინა ბედისწერამ, როცა ერთი სიდედრისგან გაქცეული და მეორედ დაქორწინებული, ორი სიდედრის ხელში აღმოჩნდა, რომელთაგან ერთიც კი დაუსხლტა მიქელ-გაბრიელს, თორემ მეორეს სულ არ ახსოვდა სიკვდილის არსებობა, მიმაზე უმცროსი საყვარელი ჰყავდა და ახლა მიმა იმას ევედრებოდა გამჩენს — იმას მაინც ნუ მომასწრებ, მე ვერაფერი გავახერხო და ამ ქონებაზე ჩემმა სიდედრმა გააგოროს ბიჭიო!.. ნერვიულობდა დღე და ღამე და, რაც მეტს ცდილობდა, უფრო და უფრო მეტ მარცხს განიცდიდა სანოლში. რაც მთავარია, ამასაც სიდედრებს აბრალებდა: მომაჯადოეს, გამთვალესო! და თუ ოდესმე ბედნიერი იყო, მხოლოდ სიზმარში, სადაც ორივე სიდედრს ერთ დღეს ასაფლავებდა და ქირისუფლებში მდგომს გვერდით ორსული ქეთინო მისდევდა... ■



„საქართველოს გზის“ ლიდერი **სალომე ზურაბიშვილი** „ერუდისტი“ სტუდიაში უწყვეტად ადამიანობაზე პარტიის ოფისში მისულს კი მითხრა: მზად ვარ, „გზის“

„გზის“ „თავდასხმა“ „საქართველოს გზის“ დიდებუ

თავდასხმას გავუძლიო. ყველაზე სწორად ის დეტექტიური უნარის ლიტერატურას კითხულობს, მაგრამ არაქართულს. საყვარელ მწერალთა ჩამონათვალი წლებთან ერთად ეცვლებოდა. იყო დრო, როცა უპირატესობას ამერიკულ და მე-19 საუკუნის რუსულ მწერლობას ანიჭებდა. ამბობს, რომ ქართველი საზოგადო მოღვაწეებიდან მისი, როგორც პიროვნების და როგორც პოლიტიკოსის, მთავარი საყრდენი ილია ჭავჭავაძეა. კითხვაზე — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? — დაუფიქრებლად მპასუხობს: — შერლოკ ჰოლმსს.

„ისევ ქაჯაზე მაჯითხებით?“

თამუნა კვიციანი

პრეზიდენტის მახიარ

— ქალბატონო სალომე, 7 ნოემბერს არასაპარლამენტო ოპოზიცია გრანდიოზულ აქციას აწყობს. ამბობენ, გამოსვლები მასობრივ ხასიათს მიიღებსო. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— ეს აქცია არ უნდა იყოს სიმბოლური და არ უნდა მოხდეს მხოლოდ თარიღის აღნიშვნა. დღეს ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია. შარშან 7 ნოემბერს გვეგონა, რომ უკიდურეს მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ მას შემდეგ ბევრად უარესიც ვნახეთ.

— შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

— გამოსავალს ვხედავ არა გამეორებაში. დღეს ჩვენ ის ახალი ფორმა უნდა მოვიგონოთ, რომელიც ამ სიტუაციას შესაბამისი იქნება. ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანაზე ფიქრობს, სათანამშრომლოდ მზად ვარ.

— თქვენი და ნინო ბურჯანაძის შეხვედრას ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. მასში ხომ არ ხედავთ იმ ძალას, რომელიც ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას შეძლებს?

— ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ჯერ არ შემიძლია. ჩემი ინიციატივით იყო შეთავაზება, რომ დონორების მისამართით დაგზავნილ წერილებზე მისი ხელმოწერაც ყოფილიყო. ნინო ბურჯანაძე პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს. ახლა ყველაზე მთავარია, საზოგადოება შეიკრას. ასეთ კრიზისში საზოგადოების წინა პლანზე გამოსვლაა საჭირო.

— რომელი პოემა მიუძღვნა აკაკი წერეთელმა პედაგოგებს?

— არ ვიცი.

— „გამზრდელი“. ამ ადამიანის მიერ შექმნილი წიგნით უამრავი თაობა აღიზარდა. თავიდან ამ წიგნში სწორად შეხვედბოდიტ ასეთ ბარბაროზიმებს: „ფეჩი“, „სტოლი“, „შკოლა“, „კარანდაში“, სტაქანი“. რომელია ეს წიგნი?

— თქვენ ალბათ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ გულისხმობთ, მე ახლაც ასე ვლაპარაკობ.

— რომელ ქალაქშია ბრანდენბურგის კარიბჭე

პარიზში, ბერლინში, ამსტერდამში თუ ვენაში?

— ბერლინში.

— ვინ დაწერა ქართული ენის საგალობელი „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“?

— ავტორს მეკითხებით? არ ვიცი.

— იოანე ზოსიმე. რა ჰქვია არმიას, რომელიც ვატიკანში პაპის რეზიდენციას იცავს?

— შვეიცარიელები.

— რომელი სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული 80 ძვირფასი ქვა?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— კოსტა-რიკის. რომელი პოლიტიკური პარტიის ლიდერი იყო ასლან აბაშიძე?

— „ალორძინების“.

— „ვეფხისტყაოსანში“ რა არის გულანშარო?

— (ფიქრობს).

— საფარაუდო პასუხებს გეტყვით. ქაჯეთის დედაქალაქი, ზღვათა სამეფოს დედაქალაქი თუ ხატაელთა დედაქალაქი?

— ზღვათა სამეფოს დედაქალაქი, არა?

— დიახ. „ვეფხისტყაოსანის“ რომელი პერსონაჟი ჰყავდათ ქაჯეთის ციხეში გამოკეტილი?

— (იცინის) ისევ ქაჯებზე მეკითხებით? ციხეში ნესტან-დარეჯანი ჰყავდათ გამომწყვდეული.

— რომელმა რომაელმა სარდალმა ჩაახშო სპარტაკის აჯანყება?

— არ მახსოვს.

— მარკუს კრასუსმა. რას იყენებენ მხატვრები აკვარელის გასახსნელად?

— წყალს.

— ევროგაერთიანების ქვეყნებისთვის რომელი ქალაქია ერთიანი ევროპის სიმბოლო?

— ბრიუსელი.

— რომელი სრუტით არის გამოყოფილი აფრიკისგან კუნძული მადაგასკარი?

— არ ვიცი.

— მოზამბიკის სრუტით. რომელი ზღვების აუზებს მიეკუთვნება საქართველოს მდინარეები?

— შავი და კასპიის ზღვების აუზებს.

— ვინ მეფობდა კოლხეთში, როცა არგონავტებმა ოქროს საწმისი გაიტაცეს?

— აივტი.

— რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძვლად საქართველოს ჰიმნს?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებთ.
 — ზაქარია ფალიაშვილის რომელია ქვეყანამ არუ-
 ქა ამერიკას თავისუფლების ქანდაკება?
 — საფრანგეთმა.
 — ვინ არის ამ ქანდაკების ავტორი?
 — არ ვიცი.
 — ფედერიკ ბართოლდი. მან ქანდაკება პარიზში
 1886 წელს დაამზადა. კამერუნი, სინგაპური, გვინეა:
 რომელი სახელმწიფო არ არის აფრიკის კონტინენტზე?
 — სინგაპური.
 — რა ერთევა არზაყანის ცხენს კონსტანტინე გამ-
 სახურდიას „მთვარის მოტაცებაში“?
 — „მთვარის მოტაცება“ ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ კითხვაზე
 ვერ გიპასუხებთ.
 — არაბია. სად შეიძლება შევხვდეთ ბედფონებს —
 ტაიგაში, მთაში თუ უდაბნოში?
 — უდაბნოში.
 — ეს პოლონელი კომპოზიტორი თავის შემოქმედე-
 ბაში ფართოდ იყენებდა პოლონელ გლეხთა სიმღერებს
 და ცეკვებს. მისი ნაწარმოებები საფორტეპიანო
 მუსიკის უდიდეს საგანძურს განეკუთვნება. იგი პარიზ-
 ში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს, მაგრამ დაკრძა-
 ლვამდე გული ამოაცალეს, სამშობლოში ჩაიტანეს და
 ვარშავის ერთ-ერთი ეკლესიის კედელში
 ჩაატანეს. დაასახელეთ ეს კომპოზი-
 ტორი.

— შოპენი.
 — მოსახლეობის რაოდენობის
 მიხედვით, რომელი სახელმწიფოა მე-
 ორე ადგილზე?
 — ინდოეთი.
 — რომელი ქვეყნის საფეხბურთო
 კლუბია „გალათასარაი“?
 — თურქეთის.
 — რა სახელწოდებითაა ცნო-
 ბილი 1469-85 წლებში, ინგლისელ
 ფეოდალთა შორის ატეხილი ბრძო-
 ლა?
 — (ფიქრობს) თითქოს ვიცი და ვერ
 ვიხსენებ.

— მიგანიშნებთ, ამ ბრძოლაში
 ლანკასტერების დინასტიის გერბზე წითელი ვარდი იყო
 გამოსახული, ხოლო იორკელების გერბზე — თეთრი.
 — გავიხსენე. ეს ომი ისტორიაში ვარდების ომის სახელ-
 წოდებით შევიდა.
 — რომელ ქვეყანას აქვს სახმელეთო საზღვარი
 მხოლოდ საფრანგეთთან და პორტუგალიასთან?
 — ესპანეთს.
 — 1492 წლის 16 ოქტომბერს ქრისტიანულ კოლუმ-
 ბის ექსპედიციის დროს, ესპანელებმა ბაჰამის კუნძუ-
 ლები აღმოაჩინეს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ
 ევროპელებმა კუნძულის მცხოვრებნი ამოწყვიტეს, დაივიწყეს
 ბაჰამელთა ენაც. შემორჩა მხოლოდ ერთი სიტყვა,
 რომელსაც აბორიგენი მოსახლეობა სანოლის აღმნიშ-
 ნულ სიტყვად ხმარობდა. და ეს სიტყვაა...
 — ვერ გიპასუხებთ.

— ჰამაკი. რომელი რაიონული ცენტრის ყოფილი
 სახელებაა „მისაილოვი“ და „სტალინისი“?
 — ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.
 — ხაშურის. ჩვენთვის სასვებით ბუნებრივია, რომ
 კვირა 7 დღისგან შედგება, წელიწადი 12 თვედ იყოფა,
 საათში 60 წუთია, წრე კი 360 გრადუსია. პირველად
 სად გამოიგონეს ეს სათვალავი?
 — მგონი, ძველ ბაბილონში. სწორად გიპასუხებთ?
 — დიახ. II მსოფლიო ომის დროს რუხველტსა და
 ჩერჩილს შორის ოპერაცია „ენვილთან“ დაკავშირებით
 მცირე უთანხმოება წარმოიშვა. ოპერაცია მოკავშირეთა
 ძალების სამხრეთ საფრანგეთში შეჭრას ითვალისწინებ-
 და. ჩერჩილი ამ ოპერაციის წინააღმდეგი იყო, მაგრამ
 საბოლოოდ, იძულებული გახდა, ფარ-ხმალი დაეყარა.
 1944 წლის 15 აგვისტოს ოპერაცია „ენვილი“ დაიწყო,
 მაგრამ ამ დროისთვის „დრაგუნის“ სახელწოდება მი-
 ილო. სახელი ჩერჩილმა შეუცვალა და ამით კიდევ
 ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია. რას ნიშნავს
 სიტყვა „დრაგუნ“ ქართულად?
 — „დრაგუნ“ ზღაპრული გველეშაპის სახელია.
 — „დრაგუნ“ ანუ იძულება. ჩერჩილი აიძულეს,
 სამხრეთ საფრანგეთში შეჭრილიყო.
 — ა! დრაგ-უნ. მართალს ამბობთ, ასე ითარგმნება.

— „როგორც უფალი, სამშობლო
 ერთია ქვეყანაზედა“ — ვინ არის ამ
 სიტყვების ავტორი?
 — ეს სიტყვები ძალიან ნაცნობია, მაგრამ
 ავტორს ვერ დაგისახელებთ.
 — რაფიელ ერისთავი. ამ ორ-
 განიზაცისას სიცილიაში „კოზა ნოს-
 ტრა“ ჰქვია. როგორ ითარგმნება იგი
 ქართულად?
 — ჩვენი საქმე.
 — მარინისტული უნარის სურათია
 ტილო, რომელზედაც გამოსახულია...
 — ზღვის პეიზაჟი.
 — რომელ ქვეყანაშია აღმოჩენი-
 ლი უძველესი ქართული წარწერა?
 — ალბათ პალესტინაში. ასეა?
 — დიახ. რომელია ქართველი
 კინორეჟისორის დავით რონდელისა
 და ინგლისელი პოეტის ჯონ მილტონის ერთი და იმავე
 სახელწოდების ნაწარმოები?



— არ ვიცი.
 — „დაკარგული სამოთხე“. ეს მარცვლოვანი მცენარე
 სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის მცხ-
 ოვრებთათვის ძირითად საკვებ პროდუქტს წარმოად-
 გენს. ის ჩინეთში ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღმდე V
 საუკუნეში მოჰყავდათ. დაასახელეთ ეს მცენარე.
 — ბრინჯი.
 — იმპრესიონიზმი, როგორც მიმართულება ხე-
 ლოვნებაში, საფრანგეთში XIX საუკუნის ბოლოს წარ-
 მოიშვა. რომელი ფრანგული სიტყვა დაედო საფუძ-
 ლად ამ მიმართულების სახელწოდებას?
 — „იმპრესიონ“ — შთაბეჭდილებას ნიშნავს.
 — დიახ. სახელწოდება „იმპრესიონიზმი“ 1874 წლის
 გამოფენის შემდეგ წარმოიშვა, სადაც გამოფენილი იყო კლოდ
 მონეს „შთაბეჭდილება, ამო-
 მავალი მზე“. დაასრულეთ
 შტეტენჰეიმის ცნობილი გამონათქ-
 ვამი „ხშირად ქალი მარტო
 იმისთვის იბუტება, რომ...“
 — არ ვიცი, ქალები სხვადასხვა
 მიზეზის გამო იბუტებიან.
 — „რომ ხელახლა შეგ-
 ვირიგდეს“.

პრესა +

ადამიანს შეუძლია, 10 მილიონამდე ტონალობის ფერი აღიქვას. ჩვენი
 თვალთახედვის არელი 180 გრადუსია. ადამიანებზე მკაფიოდ ძაღლები
 ხედავენ, მაგრამ ისინი ჩვენთან შედარებით ახლომხედველები არიან და
 სამყაროს შავ-თეთრ ფერებში აღიქვამენ. ცხენის მხედველობის აპარატი
 ისეა მოწყობილი, რომ იგი ყველა მიმართულებით ხედავს, შეუძლია,
 მტრის მოახლოება ნებისმიერი წერტილიდან იგრძნოს. ცხენიც ვერ
 არჩევს ფერებს, სამაგიეროდ, შეუძლია, თეთრი და შავი ფერის
 ტონალობები გაარჩიოს. ფუტკრები სამყაროს ბუნდოვან ფერებში
 ხედავენ. მათი თვალები საკმაოდ რთული აგებულებისაა და ათასობით
 ლინზისგან შედგება. ფუტკრები ამ ლინზების მეშვეობით, ყვითელ,
 მწვანე, ლურჯ და მელნისფერ ფერებს ხედავენ.



ბელონა აფხვანის საუინელო ჩვევა

და მისი „დასვენებული“ სახის ყანი...

„იმისთვის, რომ ქალი კარგად გამოიყურებოდეს, სულაც არ არის საჭირო, მას ძვირად ღირებული ტანისამოსი ეცვას. მთავარია, ტანსაცმელი გემოვნებით იყოს შერჩეული,“ — ამბობს ტელენაფხვანი თამუნა მუსხერიძე, რომელიც სარკის წინ ბევრ დროს ატარებს. რა ასაკიდან დაიწყო დამოუკიდებლად ჩაცმა, ხშირად იცვლის თუ არა იმიჯს, როგორი ბიჭები მოსწონს და რატომ არ იკვრავს სამოსს ქართველ დიზაინერებთან? — ამაზე თავად თამუნა გვიპასუხებს.

ეკა მინდაძე

— დამოუკიდებლად ჩაცმა 17 წლიდან დავიწყე, მანამდე დედის გემოვნებით ვიცვამდი. სკოლის დამთავრებისთანავე გამიჩნდა სურვილი, ისეთი სამოსი შემიძინა, როგორიც მომწონდა. მიუხედავად იმისა, რომ დედა საკმაოდ თანამედროვე ადამიანია, ჩვენი გემოვნება ერთმანეთს თითქმის არ ემთხვევა. რაც მას მოსწონს, მე არ მომწონს, ან — პირიქით.

— ამჟამად რა სტილის სამოსს ანიჭებ უპირატესობას?

— ერთი პერიოდი, მე და ჩემს დაქალს ამოჩემებული გვექონდა სპორტული სტილი. ვიცვამდით დაბალწელიან შარვალსა და ბოტასს. დღეს ვხვდები, რომ ეს სტილი საშინლად არ მიხდებოდა. ამ ბოლო დროს, კლასიკურად, ქვედაბოლოსა და კაბას ვიცვამ.

— ქართველი დიზაინერების მიერ შეკერილ სამოსს თუ ატარებ?

— არა. საერთოდ, მოუთმენელი ადამიანი ვარ. მირჩევენია, მაღაზიაში შევიდე და ვიყიდო, ვიდრე — დიზაინერთან, კვირაობით ველოდო და ვინერვიულო — გამოვა თუ — არა ის, რაც მე მინდა.

— შოპინგი გიყვარს?

— ძალიან. როგორც კი ხელფასს ავიღებ, მაშინვე მაღაზიაში გავრბივარ. იმ შემთხვევაში, თუ ფული არ მაქვს, მაღაზიაში სიარულისგან თავს ვიკავებ, რადგან ვიცი, რომ ნერვები მომეშლება.

— როცა რაიმეს იძენ, ფასს ანიჭებ უპირატესობას თუ ხარისხს?

— დედა სულ ჩამჩიჩინებს: — ჯობია, ბევრი გადაიხადო და ხარისხიანი შეიძინო, მაგრამ მირჩევენია, ერთის ფასად რამდენიმე ვიყიდო (იცინის). სულაც არ არის საჭირო, ძვირად ღირებული ტანისამოსის ყიდვა. ჩემთვის მთავარია, მომეწონოს.

— ფული ყველაზე მეტად, რაში გეხარჯება?

— მაისურებისა და ბიჟუტერიის შექენაში.

„ადრე შეგერემანი ბიჭები მომწონდა“

— აქსესუარებიდან ყველაზე მეტად, რა გიყვარს?

— მიყვარს სამკაულისა და ბეჭდის ტარება. აქსესუარებიდან გამოვარჩევ სათვალესა და ჩანთას. იტალიური ოქროს ნივთებიც მომწონს.

— იმისთვის, რომ ქალი ფორმაში იყოს, რა არის მთავარი?

— მთავარია, ქალს საკუთარი თავის რწმენა ჰქონდეს. მას უნდა სჯეროდეს, რომ კარგად გამოიყურება. შეიძლება, ცნობილი ფირმის სამოსი გეცვას, მაგრამ დარწმუნებული თუ არ ხარ, რომ კარგად გამოიყურები, სხვასაც არ მოეწონები.

— სარკის წინ ბევრ დროს ატარებ?

— რა თქმა უნდა. ასეთი საშინელი ჩვევა ნამდვილად მაქვს (იცინის). მეგობრებმა ეს იციან და ამიტომაც სახლიდან რომ გამოდიან, მირეკავენ და მეუბნებიან, მოვედი და ჩამოდიო. მატყუებენ, რადგანაც იციან, რომ 20 წუთს მაინც სარკის წინ ვიტრიალებ.

— ყოველდღიურ მაკი-აქს თუ იკეთებ?

— რა თქმა უნდა. იმის გამო, რომ რამდენიმე წელი პირდაპირ ეთერში ვმუშაობდი, ბუნებრივია, მაკიაჟის გაკეთებაც მიწევდა. ერთ დღესაც, სახის ყოველდღიურმა შეღებვამ კანზე ისეთი ალერგია მომცა, თვალეები ძლივს გავახილე. იძულებული გახვდი, კოსმეტოლოგისთვის მიმემართა. მან კი მირჩია, ცოტა ხნით კანი დამესვენებინა. ამიტომ კანი ისე დავასვენე, რომ დღეს

მხოლოდ თვალეების ტუშს ვხმარობ...

— თამუნა, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— რალაც განსაკუთრებული სტილ-რეოტიპი არ მაქვს ჩამოყალიბებული. ყოველთვის მომწონდა შავგერემანი ბიჭები, მაგრამ ბოლო დროს უპირატესობას ქერებს ვანიჭებ.

— შენი აზრით, მამაკაცმა როგორ უნდა ჩაიცვას?

— გააჩნია მამაკაცს. ზოგს სპორტული სტილი უხდება, ზოგს კი — კლასიკური. პირადად მე, მომწონს, როცა მამაკაცს სპორტულად აცვია.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიუშვილი

როგორ მოვიქცეთ გასივების დროს

აცვიდა, ბევრ ადამიანს ცხვირი გაეჭვდა, ყელმა ფხაჭნა დაუწყო და აფთ-იაქებშიც მრავლად ნახავთ მყიდველს, რომელიც გაცივების სანინაალმდეგო საშუალებას ითხოვს. პროვიზორიც ღიმილით გადმოუწყობს ოცამდე პრეპარატს (ცხვირისთვის, თავისთვის, ხველისთვის, სიცხისთვის). რა შევარჩიოთ, რომ გაცივებასაც გავუმკლავდეთ და სხვა ორგანოებსაც არ ვავნოთ?

მწვავე რესპირატორული დაავადება ვირუსული ინფექციაა. მას სხვადასხვაგვარი ვირუსი იწვევს. მარტო ადენოვირუსის 200-მდე სახეობა არსებობს და გაცივებისას არაზინი იწყებს იმის კვლევას, კერძოდ, რომელი ვირუსი შეგეფარათ. რა თქმა უნდა, თუ მკურნალობა შედეგს არ იძლევა, მაშინ გამოიწვევი ვირუსის დაადგენადაც აკეთებენ ანალიზს. სხვა შემთხვევაში კი ჩვეულებრივ, მკურნალობა სიმპტომატურია (სურდოს დროს — ცხვირში ვინჯვით, ტემპერატურის მატებისას — სიცხის დაწვევს ვცდილობთ, ხველისას — შესაბამის ნაშალს ვსვამთ და ა.შ.) და ხშირად ამას თვითნებურად ვაკეთებთ. გაცივების დროს თვითმკურნალობისას, გარკვეული წესები უნდა დავიცვათ.

პირველი წესის თანახმად, თვითნებურად მხოლოდ გართულების გარეშე მიმდინარე მწვავე რესპირატორული დაავადების მკურნალობა შეიძლება. უხშირესად ეს დაავადება სურდოთი, თავის ტკივილით, ყელის სიმშრალითა და ჩხაპნის შეგრძნებით ვლინდება, რასაც ერთვის ხველა, საერთო სისუსტე და ტემპერატურა 38 გრადუსამდე. თუ მაქსიმუმ მესამე დღეს მდგომარეობა არ უმჯობესდება — ცხვირი ისევ გაჭვდილია, ტემპერატურა მატულობს 40 გრადუსამდე, მშრალი ხველა შეტყვიით ხდება, იწყება ქოშინი, ტკივილი გულის არეში ან ყურის

ტკივილი — ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ რესპირატორული დაავადება კი არა, რაღაც უფრო რთული გაქვთ, კერძოდ რა — ანგინა, პნევმონია, დიფტერია თუ ოტიტი — ამას მხოლოდ ექიმი დაგიდგენთ. მასვე შეუძლია დაგინიშნოს ანტიბიოტიკები, თუკი საჭიროა. დაავადების დასაწყისშივე ანტიბიოტიკის მიღებას აზრი არა აქვს, რადგან იგი ვირუსზე არ მოქმედებს.

აი, კიდევ რამდენიმე წესი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია თვითმკურნალობისას:

- ნუ დაუჯერებთ რეკლამებს, რომლებიც გირჩევენ ტონობით მიიღოთ წყალში გასახსნელი ანტიანთებითი საშუალებები (კოლდრექსის ტიპისა). ეს პრეპარატები ხანმოკლე მოქმედებისაა და მომენტალურად, დროებით გამოჰყავს ავადმყოფი მდგომარეობიდან, რათა შემდგომ... ისევ გააგრძელოს ავადმყოფობა. მთელი კვირის განმავლობაში მათი მიღება კი უაზრო და საშიშია — პირველ რიგში, თირკმლებისთვის.

- თუ ცხვირით ვერ სუნთქავთ, ნუ მოითმენთ, მაგრამ თუ სუნთქვა შეგიძლიათ, არავითარ შემთხვევაში არ გაიკეთოთ მორიგი „გემური“ ჩანწებება. სისხლძარღვთა შემავინრობელი წვეთები დღეს მრავალგვარია: ნაფტიზინი, სანორინი, გალაზოლინი, ტიზინი, ქსიმელინი და ა.შ. — მათი საერთო სახელწოდება ადრენომიმეტიკებია. შეარჩიეთ ერთ-ერთი მათგანი და გამოიყენეთ სუნთქვის აღსადგენად, მაგრამ არა უხშირეს 4-ჯერ დღეში და არა უმეტეს

ერთი კვირისა. ნინალმდეგ შემთხვევაში გაგივითარდებთ შჩკვეა და ცხვირის ლორწოვანი ხშირად შეგიშუპდებათ, რის გამოც ნაშლის სულ უფრო მეტი დოზა დაგჭირდებათ, შედეგად კი — ქრონიკული სურდო გექნებათ. ამასთან, ადრენომიმეტიკები სისხლძარღვებს აეინროებს არა მხოლოდ ცხვირში, არამედ მთელ ორგანიზმში, რაც ნივთის მომატებას, პულსის გაზვირებას და არითმიების განვითარებას იწვევს. ბავშვებში, უმჯობესია, ცხვირის გამოსარეცხად ფიზიოლოგიური ხსნარი (მარილიანი წყალხსნარი) გამოიყენოთ.

- ნახველიანი ხველისას მისი დათრგუნვა არ შეიძლება: საჭიროა ამოსახველებ-



ლი საშუალებების მიღება. ამ მიზნით კარგია ინჰალაციები. თუ ბრონქები ნახველისაგან არ განიშინდა, იგი იქცევა ბაქტერიების გამრავლების კერად. მშრალი ხველისას იყენებენ ხველის დამთრგუნველ საშუალებებს, მაგრამ ნუ გამოიყენებთ ამ მიზნით ნარკოტიკულ (კოდეინის ან ფოლიკოდინის შემცველ) საშუალებებს — ისინი სუნთქვის ცენტრს თრგუნავს, რაც რესპირატორული დაავადების დროს უადგილოა. უმჯობესია, გამოიყენოთ არანარკოტიკული აბები, რომლებიც ხახისა და სასის ხველის რეცეპტორებს თრგუნავს: ტუსუპრექსი, გლაუცინი, სტოპტუსინი, პექტუსინი, ფალიმინტი. თუ მკურნალობა 3-4 დღის განმავლობაში არ იძლევა შედეგს, ნახველი მატულობს და ყვითელი ან მომწვანო ხდება, სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს.

- ყელის ტკივილის ან ფხაჭნის შეგრძნებისას კარგია სოდიანი წყლის, ევკალიპტის ნაყენის ან კრახანის ნახარშის გამოვლება. საუნუნ აბებს (სტრეპსილისი, ფარინგოსეპტი, ეფიზოლი) ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს. თუმცა თუ ყელის ტკივილი ძლიერია და სიცხეც — მაღალი (38 გრადუსზე მეტი), უკვე ანგინის მკურნალობას უნდა შეუდგეთ და აუცილებლად ექიმთან ერთად.

აირჩიე და შეიძინე სხსლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 უკ. ფასი	6 თვე
1. თჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასპალიტრა“

ქ. თბილისი იოსებძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ჯანმრთელობა

● სიცხის დამწვევი საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიღოთ, თუ ტემპერატურა 38,2 გრადუსზე მეტია. მაშინ მათი მიღება მთელი ავადმყოფობის განმავლობაში 3-4-ჯერ მოგიწევთ (და არა 1-2 აბისა 3-ჯერ დღეში — როგორც ანოციაში წერია).

● ნუ მიიღებთ ერთდროულად სხვადასხვა, მაგრამ მსგავსი მოქმედების პრეპარატებს, რადგან შესაძლოა, რომელიმე მოქმედი ნივთიერების სიჭარბე გაგივითარდეთ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პარაცეტამოლი, რომლის სამკურნალო დოზა საკმაოდ მცირეა. თუ დღის განმავლობაში, 5 გრამზე მეტ პარაცეტამოლს მიიღებთ, ღვიძლის დაზიანება გარანტირებული გაქვთ. პარაცეტამოლი სხვადასხვა დასახელებით (კალპოლი, პანადოლი, ეფერალგანი) გამოდის. ამ პრეპარატების თითო აბი 1 გრამ პარაცეტამოლს შეიცავს. გარდა ამისა, იგი შედის სხვადასხვა კომპლექსური პრეპარატის (ციტრაპარი, ქოლდრექსი, სოლპადინი, სარიდონი და სხვები) შემადგენლობაში. ამიტომ, ყურადღებით უნდა წაიკითხოთ იმ პრეპარატთა ანოციაციები, რომლების მიღებასაც ერთდროულად აპირებთ. ამერიკული წარმოების პრეპარატებში პარაცეტამოლს ხშირად აციტამინოფენად მოიხსენიებენ.

გაითვალისწინეთ, ეს მარტივი წესები, მიიღეთ დიდი დოზით C ვიტამინი და დაავადებას იოლად და მოკლე დროში აცილებთ თავიდან.

ჩრეველი ხალხური მედიცინიდან

ათეროსკლეროზის დროს სისხლძარღვების განშენდა: 1/2 ჩ/ჭ კარგად გარეცხილ და წვრილად დაჭრილ შვრიის ბალახს დაასხით 3 ჩ/ჭ მდულარე წყალი, ადუღეთ 5 წუთი, გააჩერეთ 1 საათი, გადაწურეთ და მიიღეთ როგორც ჩაი, თაფლთან ან მურაბასთან ერთად, ცხელი სახით. უნდა ჩაიტაროთ ორთვიანი კურსი წელიწადში 2-ჯერ.

პაერის უკმარისობის სამკურნალოდ აიღეთ 1 ლ თაფლი, ჩაანურეთ 10 ლიმონი, ჩაახეხეთ 10 თავი ნიორი. ყოველივე ეს კარგად აურიეთ და გააჩერეთ 1 კვირა თავდახურულ მინის ქილაში. მიიღეთ რეგულარულად დღეში ერთხელ, აუჩქარებლად, 4 კოვზი. ეს რაოდენობა გეყოფათ 2 თვეს.

ერეთ 1 კვირა თავდახურულ მინის ქილაში. მიიღეთ რეგულარულად დღეში ერთხელ, აუჩქარებლად, 4 კოვზი. ეს რაოდენობა გეყოფათ 2 თვეს.

ქოლესტის დროს დააქუცმაცეთ და ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის ასისთავა, კოთხუჯის ფესვები და ნეგოს ყვავილები. მომიწაქრებულ ჭურჭელში ჩაყარეთ 3 ს/კ ნარევი დაასხით 2 ჩ/ჭ ცივი წყალი, გააჩერეთ მთელი ღამე; დილით დადგით წელ ცეცხლზე და ადუღეთ 7 წუთი. გაცივებთ, გადაწურეთ და მიიღეთ 1 ჩ/ჭ დღეში 3-4-ჯერ, ჭამის წინ.



ტროფიკული წყლული: 0,5 კგ ხახვი დაჩხვლიტეთ (გამჭოლად), დაასხით ცოტა კონიაკი, გამოაშრეთ და დაფშვინით წვრილად. გახსნილ წყლულვან იარებზე წაისვით ზეთში არეული ფხვნილი. ეს პროცედურა გაიკეთეთ დღეში 2-ჯერ, სანამ წყლული არ შეგისორცდებათ.

ჩანართი გათთვიის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ქურნალში

სასლუი პაპარა კყავს

ოჯახის პედიატრი



-  შეკითხვები პედიატრს
-  0-დან 1-მდე
-  ბავშვის ფსიქოლოგია
-  როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვა და აკინძა

თქვენთვის
მკვლავთმონებო!



როდის იწყება ან მთავრდება სიყვარული?

სიყვარული

მარინა ბაბუნაშვილი

ჩემს ერთ-ერთ ნაცნობ მამაკაცს მიაჩნია, რომ პირველი სიყვარული ძლიერ ემოციებთან არის დაკავშირებული და იგი მთელი სიცოცხლე მიჰყვება ადამიანს („კვირის პალიტრა“, 2005 წლის 25 ივლისი, წერილი „ამ ორი ქალის გამო სიცოცხლე სატანჯველად მექცა“...).

**ამბავი
პირველი
დაუვინყარი
გჩნდება**

ზურაბს მეუღლეც ჰყავს და ორი შვილიც, მაგრამ ის გრძნობა ვერა და ვერ დაივიწყა, რომელიც სკოლის წლებში ეწვია. ერთი შეხედვით, უდარდელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ კარგა ხანია, გულით სევდას დაატარებს. იმ სევდას, რომელიც აუხდენელმა სიყვარულმა დაუტოვა.

ზურაბი თბილისში დაიბადა, ძირით კი ფოთიდან გახლავთ. მეშვიდე კლასამდე კარგად სწავლობდა. შემდეგ ქუჩა შეუყვარდა. სკოლის მერე სახლში შესვლა აღარ უნდოდა... ოჯახში განგამის ზარი შემოჰკრეს — შვილი გველუბებო. მამამ გადაწყვიტა, ურჩი ვაჟიშვილი ფოთში წაეყვანა და თავისი ძმისა და რძლისთვის ჩაებარებინა. რძალი, ფოთის ერთ-ერთი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო და იმედოვნებდა, რომ ბიჭს „კალაპოტში“ ჩააგდებდა. ზურაბი „კალაპოტში“ კი ჩადგა, მაგრამ ბიცოლა კი არა, სულ სხვა იყო ამის მიზეზი.

ამონარდი წერილიდან: „...ახალ კლასში შევედი თუ არა, ბოლო მერხისკენ

ავიღე გეზი და მოურიდებლად დავეჯექი. მასწავლებელმა ფეხზე წამომაყენა, კლასელებს ჩემი თავი გააცნო, მერე კი მთხოვა, წინ, ერთ-ერთი გოგონას გვერდით გადავმჯდარიყავი. ვიუკადრისე, მაგრამ მკაცრად რომ გამიმეორეს, ზანტად გავემართე წინა მერხისკენ. დავეჯექი. გაბრაზებული ვიყავი მასწავლებელზე და კარგა ხანს არ გამიხედავს გვერდით. ცოტა ხანში, ჩემმა „მეზობელმა“ ქალაღი გამოაცოცა ჩემკენ. იქ ეწერა: „თუ ჩემ გვერდით ჯდომა გესირცხვილება, შემეძლია, სხვას გაუუცვალო ადგილი“. ახალა შევხედე — ქერა, ლამაზი, ცისფერთვალება გოგონა წყენით მიმხერდა. გულზე თბილმა ტალღამ გადამიარა. უცებ მოვტყდი და ჩავილაპარაკე: არა, ადგილის გამოცვლა რა საჭიროა-მეთქი. ...ორი წელი გვერდიდან არ მოვცილებივარ. მეათე კლასიდან მშობლებმა კვლავ თბილისში დამაბრუნეს. იმ ერთი წლის მანძილზე, ფოთში წასასვლელად ხან რას მოვიმიზეზებდი და ხან რას.


ველარ ვძლებდი მაკას გარეშე. მე ის უკვე სიგიჟემდე მიყვარდა“. სკოლის დამთავრების შემდეგ, მაკა იმავე წელს ჩაირიცხა უცხო ენების ინსტიტუტში, თბილისში ბინა დაიქირავა ორ მეგობარ გოგონასთან ერთად და შეუდგა სწავლა-განათლებას. ზურას გული და გონება მაკასთან იყო. ჯარმა მოუწია და მამამაც განაჩენი გამოუტანა: ნავიდე, ჭკუის სასწავლებლად გამოადგება, აქ რომ იყოს ან ცოლს ნაადრევად შეირთავს, ან ქუჩა-ქუჩა ინანწალებსო.

ამონარდი წერილიდან: „...ბელორუსიაში გამამწესეს. თავისუფალ დროს ბიჭები (ჩემს ნაწილში ქართველები ბლომად იყვნენ) ახერხებდნენ იქაურ გოგონებთან გართობას. მე კი მაკა ისე მიყვარდა, წუთიერი სიამოვნებაც მის ღალატად მიმაჩნდა. ბიჭები დამცინოდნენ, შერევილს მეძახდნენ, მაგრამ მათ დაცინვას არაფრად ვაგდებდი. მის წერილებს გულის ჯიბეში ვინახავდი და ვინ იცის, დღეში რამდენჯერ ვკითხულობდი“.

მაკას წერილებმა ნელ-ნელა იკლო, ბოლოს კი სულ შეწყდა. ძალიან განიცდიდა ამას ზურაბი, მაგრამ რა ექნა? ხან ვის მისწერა, ხან — ვის, მაკას ამბავი გამაგებინეთო. პასუხი ერთი და იგივე იყო: იშვიათად ვხვდებით, ვიცით, რომ არ გათხოვილაო.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, შინ დაბრუნდა. ზურაბის რჩეულს საცხოვრებელი ადგილი შეეცვალა.

მაკას იმ დღეს სტუმრები ჰყავდა. გაუკვირდა ზურაბის მოულოდნელი სტუმრობა, დაიბნა, აღ-



არ იცოდა, შეეპატიჟებინა თუ არა. ზურამ კი რალაც იეჭვა, უკან აღარ დაიხია და ოთახში შევიდა. სტუმრებს შორის ნაცნობებიც იყვნენ და უცნობებიც. ზურამ მიხვდა, რომ მისი ადგილი სხვას დაეკავებინა. დაემშვიდობა საოცნებო გოგოს და გულდათუთქული გამობრუნდა.

გავიდა დრო. ზურამ ინსტიტუტი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო. ცოტა ხანში, მეზობლის დაბადების დღეზე ერთი ლამაზი, კოხტა გოგო გაიცნო, შეუყვარდა და ცოლადაც მოიყვანა. ორი ვაჟიშვილი შეეძინა. ოჯახზე გადამკვდარი იყო, არაფერს აკლებდა. ძალიან უყვარდა თავისი ღია, მაგრამ მაკაზე მაინც ფიქრობდა. როცა სრულიად მოულოდნელად

გვამონებენო და როცა ზურამის სახელი და გვარი ახსენეს, მაკამ ყურები ცქციტა. გული ლამის ამოვარდნოდა; ბოლოს, ინტერესმა სძლია და იმ კაბინეტის კარი შეაღო, სადაც ზურამი საბუთებში იქექებოდა. უცებ შეეფთა მათი თვალები ერთმანეთს და ორივე გაშეშდა...

მერე, აღარ დაინერა უარყოფითი დასკვნა და დღის ბოლოს ერთ-ერთ რესტორანში დასხდნენ წარსულის გასახსენებლად.

ზურამი გრძნობდა, რომ მიძინებულმა გრძნობამ გაიღვიძა და მისი გული ხელახლა (იქნებ, უფრო მეტადაც) ააფორიაქა. რომ გაიგო, მაკა კვლავ გასათხოვარი იყო, უცნაური გრძნობა გაუჩნდა. გული დასწყდა, რომ მაკას მისი ცოლი არ ერქვა, მაგრამ ეს იამოვნა, რომ არც სხვას ეკუთვნოდა. ქალმა წარსულის გამო პატიება სთხოვა.

— შენ მარტო არ იქნები, მე გყავარო, — უთხრა ზურამმა.

მათი სიყვარული ისე უცებ აგიზგიზდა, როგორც გამომშრალი თივის ზვინი ააღდებოდა...

მაკა არანაირ პრეტენზიას არ გამოთქვამდა — იმითაც ბედნიერი იყო, რომ ზურამი ყოველ ორ კვირაში

ჩადიოდა მასთან. ხანდახან მაკა სტუმრობდა თბილისში და მაშინ ორივეს ავინყდებოდა ყველა და ყველაფერი. ერთად ყოფნით უბედნიერესები იყვნენ.

ზურამი:

— ერთხელაც, მაკამ შემომაპარა, ორსულად ვარ და ბავშვი მინდა გავაჩინოო. სასტიკად ვიუარე, არ მინდოდა, ბავშვი უჩემოდ გაზრდილიყო. ხშირადაც რომ მომენახულებინა, დიდხანს მათთან ვერ დავრჩებოდი. მე ოჯახს ვერ დავანგრევედი, მიუხედავად იმისა, რომ მაკაც უსაშველოდ მიყვარდა...

— **თუმცა, როგორც ვიცი, ცოლიც გიყვარდა და დღესაც გიყვარს.**

— დიას, საქმეც ეგ არის, რომ მაკაც და ღიაც, ორივე ძალიან მიყვარს. მართალია, ორივე თავისებურად, მაგრამ ასეა და რა ვქნა?! ვიცი, მაკას გული ვატკინე ამით, მაგრამ ჩემი მოთხოვნა უსიტყვოდ შეასრულა. იმ დღეებში მეც ძალიან მიჭირდა. ჩამოვიყვანე თბილისში, სასტუმროში ნომერი დავუქირავე. ყველაზე ძვირად ღირებული მალაზიები შემოვატარე

და ოქროს სამკაული თუ ჩასაცმელ-დასახურიც უზვად ვუყიდე. გულწრფელად ვეცადე, ცოტათი მაინც გამეხალისებინა და მესიამოვნებინა. ჩვენი ასეთი ურთიერთობა 3 წელი გაგრძელდა. წელს, დიდი მარხვის მერე შემეხმინა. ხმა არ მომენონა. მაშინვე მივხვდი, რალაც არასასიამოვნო და ორივესთვის მტკივნეული უნდა ეთქვა. ძლივს ამოღერლა, რომ ნათესავეები ერთ კაცს ურიგებდნენ და დიდი ხნის ფიქრის მერე გადანყვიტა, ცოლად გაჰყოლოდა. ვუთხარი, უკვე გადაგიწყვეტია და მე უარზე ხომ არ ვიქნები, ან რა უფლება მაქვს-მეთქი. მეტი ლაპარაკი აღარ შემეძლო, ყურმილი დავეუკიდე; თუმცა მეორე დღესვე, ინათა თუ არა, ფოთისკენ ავიღე გეზი. ფოთში ჩასულმა ვთხოვე, როგორც ნათესავი, ისე წარვედგინე საქმროსთვის. მთლად კმაყოფილი არ დავრჩი, მაკა მისთვის არ მემეტებოდა, მაგრამ ვატყობდი, მაკას ისე უნდოდა ოჯახი და ბავშვი, რალაცაზე თვალები უნდა დაგვეხუჭა ორივეს. შეიძლება, გაგეცინოთ ან არანორმალური მიწოდოთ, მაგრამ ქორწილამდე ორი დღით ადრე საჩუქრებით დახუნძლული ჩავედი. ძმა ვერ გაამზითვებს დას ისე, როგორც მე გავამზითვე ჩემი საყვარელი და ძვირფასი ქალი. მაკას ნათესავეებმა ქორწილში თამადაობა შემომთავაზეს, მაგრამ ხელები გავასავსავე, — გული მანუხებს-მეთქი. როგორი საქმეა, ჩემი ქალი (მაკა დღემდე მაინც ჩემად მიმაჩნია) სხვის გვერდით იჯდა და ორივე ერთად უნდა დამელოცა...

— **სიტყვით დალოცვა რალატომ გაგიჭირდა, როცა ყველანაირად ხელი შეუწყვე „გაბედნიერებაში“?**

— აბა, რა მექნა? მაშინ ღია უნდა მიმეტოვებინა და მაკა უნდა შემერთო; ეს კი არ შემეძლო. ორიდან ერთ-ერთი უნდა დამეთმო ან გამენირა, შვილების დედას კი ზურგს ვერ შევაქცევდი.

— **მაკა ბავშვს ელოდებ?**

— არა. ზაფხულში რამდენჯერმე შევეხმინე და შემომჩივლა, მკურნალობა მჭირდებაო. ფულის გაგზავნა მინდოდა, მაგრამ ორი თვე არ მყავდა ნანახი. გადავწყვიტე, ფოთში ჩავსულიყავი. რომ დამინახა, სახე გაუნათდა: არაფერზე ნაუნუნუნია, მაგრამ მის თვალებში უსაზღვრო სევდა ამოვიკითხე. იმ წუთებში ისე მინდოდა მისი გულში ჩაკვრა და მოფერება, როგორც არასდროს, მაგრამ ვერ გავაკეთე ეს... მას უკვე გათხოვილი ქალი ჰქვია, ფიზიკურად ვეღარ შევეხები, მაგრამ ფიქრში ის მხოლოდ ჩემია და სხვისი არავისი.



მათი გზები კვლავ გადაიკვეთა, მიხვდა, ეს ის სიყვარული იყო, რომელიც ადამიანს მთელი სიცოცხლე მიჰყვება და უსასრულობაშიც გადადის.

**აბავაი მორა
მსხვერპლი სხვისი
ბედნიერებისთვის**

ზურამს სამსახურის გამო ხშირად უნევდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მივლინებით გამგზავრება. ერთხელაც, ფოთში გაგზავნეს — ერთ-ერთი ორგანიზაციის ფინანსები უნდა შეემონებინა. დარღვევები აღმოაჩინა. აქტიც უნდა შეედგინა, მაგრამ...

მაკამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ ქალაქში დაბრუნება არჩია. იმ ბიჭს დაშორდა, ვის გამოც ზურამის სიყვარული უარყო და ისევე გასათხოვარი იყო. კარგა ხანს ვერ იშოვა სამუშაო; შემდეგ, იმ ორგანიზაციის (რომელსაც ზურამი ამონებდა) ერთ-ერთი ხელმძღვანელის მდივნად დაინიშნა მუშაობა. თანამშრომლები პანიკაში იყვნენ, თბილისიდან

„დედაჩემის გვერდით წინსწრები ქაჯის ...“

„იქნებ, მარჯვენა კიბეისათვის ერთი ვადასაჩხიროს?“

როცა „კვირის პალიტრაში“ შვიდცოლიანი კაცის ამბავი გამოვაქვეყნეთ, მკითხველი ქალბატონების დიდმა ნაწილმა

აღშფოთება გამოთქვა „მრავალცოლიან“ თემურის „უსაქციელობის“ გამო; ხოლო მამაკაცებმა ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიეს ის, რომ ჩემი იმედგაცრუებულ რესპონდენტი, 52 წლის ასაკში, მერვე ცოლს ეძებს. რა ქნას, აბა, თუკი 7-ჯერ არ გაუმართლა, აღარ ეძებოს სათავისო ქალიო? ერთ-ერთმა კი, არც აცია, არც აცხელა და ასეთი მესიჯი გამომიგზავნა:

„მარინა, ჩემი აზრით, ქართველ ერს მრავალცოლიანობა თუ გადაარჩენს. კარგი იქნება, თუ დაწესდება გმირი მამის წოდებაც, შესაბამისი ორდენითა და ჯილდოთი. პირადად მე, მზად ვარ, ქმრობა გავუწიო და „მოვემსახურო“ 10 ქალბატონს. მერწმუნეთ, დემოგრაფიული პრობლემა ამ გზით მოგვარდება. პატივისცემით, თქვენი რუბრიკის ერთგული მკითხველი“.



„წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს („უფლებამოსილი ქალიშვილი“) ვებმაურები. არ ვამართლებ თამარის საქციელს. როგორ შეიძლება მშობლების საქმეში ჩარევა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ერთ-ერთი აღარაა ცოცხალი? ერთის სიკვდილის გამო, მეორეც ხომ არ დაასრულებს სიცოცხლეს?! განა, აღარ აქვს უფლება, გვერდით ჰყავდეს ცხოვრების თანამგზავრი?! შვილს თავისი ადგილი აქვს, ცოლსა თუ ქმარს კი — თავისი. დაგვიანებული სინანული და შეცდომების აღიარება კი საქმეს აღარ შველის; ამიტომ უმცროსებმა თავიდანვე უნდა გავაცნობიეროთ — გვაქვს თუ არა უფლება, მშობლებს იმაზე მეტი მოვთხოვოთ, ვიდრე ჩვენ, შვილებს გვიკეთებენ. მათი პირადი საქმე მხოლოდ მათი გადასაწყვეტია და სხვისი არავისი.“

მიჭირს საკუთარ მშობლებზე ლაპარაკი, მაგრამ გაჩუმებაც ვერ შევძელი... მამა ცოცხალი მყავს, მაგრამ დედას მალევე გაშორდა, ვერ შეენწყვნენ ერთმანეთს და ორივემ გადაწყვიტა, რომ ცალკე ყოფნა სჯობდა ჩემთვისაც და მათთვისაც. 17 წლის ვიყავი, როცა დედას ძალიან კარგი კაცი გამოუჩნდა საქმროდ. მახსოვს, დედა კარგა ხანს ყოყმანობდა, ჩემ გამო ნერვიულობდა: ვაითუ, ვერ გამიგოს და ჩემგან წავიდესო. მაგრამ მე მაშინ შეგნებულად მივუდექი დედის მეორედ გათხოვებას. დედა ხომ 40-ისაც არ იყო და რატომ არ ჰქონდა უფლება, საკუთარ ოჯახურ ბედნიერებასა და სიმყუდროვეზე ეზრუნა?! მას სურდა, გვერდით მეგობარი და ღირსეული ადამიანი ჰყოლოდა და ამის წინააღმდეგი როგორ წავიდოდი... ახლა მე ჩემი ოჯახი მაქვს, ჩემი საზრუნავი. დედა და მამინაცვალი კი ბედნიერად და მშვიდად ცხოვრობენ. თგ.“

„ერთ ვადასაჩხიროს“

„ვერ გავამტყუნებ“

„წავიკითხე „შვიდცოლიანი“ კაცის ამბავი და მართალი გითხრა, სულაც არ აღვშფოთდი თემურის საქციელის გამო. პირიქით, თანაგრძნობაც კი გამიჩნდა მის მიმართ. მან ისეთი მიზეზები ჩამოთვალა (იმედია, არ იტყუება), რომ ნორმალურ კაცს გაუჭირდება მსგავსი თვისებების ქალის ოჯახში ატანა და გაძლება.“

ნათესავი მყავს ერთი, ოზურგეთში ცხოვრობს. მართალია, ისეთი რეკორდსმენი არაა, როგორიც თქვენი რესპონდენტი, მაგრამ ვაჟამაც (ჩემმა ახლობელმა) სამი ცოლი გამოიცვალა. სამივესთან ჰყავს

ორ-ორი შვილი. საწყალი, სად აღარ მუშაობს, რომ შვილებს მიხედოს, ცოლების კი ხსენებაც არ უნდა. არადა, მართლა მძიმე და აუტანელი ხასიათის ქალები შეხვდა. თქვენი წერილი რომ გამოქვეყნდა, დავურეკე და ვუთხარი, „კვირის პალიტრა“ წავიკითხე, შენზე უფროსი კაცი მერვე ცოლს ეძებს-მეთქი. რას ამბობ, ჩემი სიკვდილი თუ გინდა, არ ვიცი და, მერვე კი არა, მეოთხე არ მიხსენო. **ოთარ ვასაძე, თბილისი**“.

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით: mbabunashvili@mail.ru

ნაპოლეონი

ფაქობიანი პირობებით შალი, რომელსაც პოსტჰუმო აჩვენებდა პლანეტა



მეფის სასახლეში ნაპოლეონს ელოდნენ. 10 დღის წინ ომის ღმერთმა პრუსიელებს სძლია და ვარშავაში შევიდა. ახლა ის პოლონელ არისტოკრატებს უნდა შეხვედროდა. ყველას ნაპოლეონის მოწყალების იმედი ჰქონდა — ფიქრობდნენ, რომ მათი სამშობლოსთვის დაკარგული დიდების დაბრუნებას შეძლებდა, სახელმწიფო აღარ დაიშლებოდა და ავსტრიის, რუსეთისა და პრუსიის მიერ დანაწევრებული ქვეყანა გაერთიანდებოდა.

იმპერატორი დარბაზში სწრაფი ნაბიჯებით, თავდაჯერებული და გულგრილი სახით შევიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მას გამომეტყველება შეეცვალა და სახეზე ღიმილი გადაეფინა. როდესაც მორცხვად თავდახრილ, ადგილობრივ ლამაზმანებს ათვალერებდა, აღფრთოვანება ვერ დაფარა: — ღმერთო, რამდენი ლამაზი ქალი ყოფილა ვარშავაში!

ყველამ შენიშნა, რომ როდესაც ნაპოლეონი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, დაჟინებული მზერით შორიასლო მდგარ, ახალგაზრდა ქალიშვილს მისჩერებოდა. ეს გოგონა 20 წლის მარისია ვალეესკაია გახლდათ — ქერა, ცისფერთვალება, მომაჯადოებელი ღიმილით, უცოდველი მზერითა და ნაღვლიანი გამომეტყველებით, რაც მას კიდევ

უფრო მომხიბვლელს ხდიდა. გოგონას თეთრი ატლასის კაბა ემოსა და ქერა თმაში დამაგრებული ყვავილის გარდა ყურადღების მისაპყრობი არაფერი ჰქონდა. უამრავი სამკაულით შემკულ ქალბატონებს შორის ის სადად გამოიყურებოდა და ნამდვილი სიწმინდის განსახიერება გახლდათ.

ნაპოლეონის მზერა ნორჩ მზეთუნახავზე შეჩერდა. პასუხად გოგონამაც გაუღიმა და იმპერატორმა მისი თვალები გაიხსენა. 10 დღის წინ ეს თვალები ბლონში, სადგურზე ნახა. სწორედ ის გოგონა იყო, რომელიც მის შესახებ დრად გამოსულ, უამრავ ხალხში შენიშნა და გამოარჩია და აი, ის თვალები ახლა ასე ახლოდან და ასე აღფრთოვანებით შეჰყურებდა.

მეფის სასახლეში ზემი დაიწყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მარისთან თავადი იუზეფ პონიატოვსკი (ნაპოლეონის გენერალი) მივიდა და უთხრა:

- მე დავალებული მაქვს, საცეკვაოდ გამოგინვიოთ.
- მე ცეკვას არ ვაპირებ.
- მაპატიეთ, ქალბატონო, მაგრამ ეს ბრძანებაა და აუცილებლად უნდა შესრულდეს.
- რა ბრძანეთ? ბრძანებაა? არა, არა! მე ვერ მაიძულებთ ამ ბრძანების შესრულებას, — სიცილით უპასუხა

მარიამ.
 — ეს ბუნტია?
 — დიახ, მე ყოველთვის ვჯანყდები უსამართლობისა და უგუნური მოთხოვნების წინააღმდეგ.
 — ღვთის გულსათვის, ასწიეთ თავი და შეხედეთ, ვის დავალებას ვასრულებ. ის თქვენ თვალყურს გადევნებთ...
 — თავადო, გთხოვთ, თავი დამანებოთ, ვერ ამჩნევთ, რომ ყველა ჩვენ გვიყურებს?
 პონიატოვსკი გაეცალა და ყველაფერი იმპერატორს მოახსენა. ის მარისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იდგა.
 ვალეესკაიას შიშით მთელი სხეული უთრთოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, მან თვით იმპერატორს ცეცხვზე უარი უთხრა. ნაპოლეონი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და მზერა მიაპყრო:

— ასეთ მიღებას არ ველოდი...
 მარია დუმდა და თავდახრილი ელოდა განაჩენს. ნაპოლეონი კარგა ხანს ყურადღებით აკვირდებოდა, შემდეგ კი ხელი გაუწოდა. გოგონა აზრზეც ვერ მოვიდა, ისე აღმოჩნდა იმპერატორის მკლავებში.
 ცეცვა დამთავრდა. იმპერატორმა გოგონა ადგილამდე მიაცილა, თავი დაუკრა და მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა:

— იმედი მაქვს, ეს ჩვენი ბოლო ცეცვა არ იქნება...
 „რა გითხრა?“ — ჩაეძინენ სასახლის ქალები, მაგრამ ვიდრე მარია მათ პასუხს გასცემდა, 2 გენერალი მიუახლოვდა — ბერტრანი და პერიგორი. როდესაც მარისაგან უარი მიიღეს, უკან არ დაუხევიათ. ორივე მის კავალრობას ცდილობდა და გოგონას ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა. ნაპოლეონი შორიდან უთვალთვალებდა ჯიუტ კავალრებს და ცოტა იეჭვიანა. ბერტრანი შტაბბინაში გაგზავნა და საქმის ვითარებაში გარკვევა დაავალა. რაც შეეხება პერიგორს, მასაც სასწრაფო, გადაუდებელი საქმე გამოუჩინა. უბრძანა, დაუყოვნებლივ წასულიყო და მეექვსე კორპუსის ბედი შეეტყო.

გენერლები ბრძანების შესასრულებლად გაეშურნენ და მარია ჯიუტი კავალრებისგან გათავისუფლდა.

მალე იმპერატორმა თავადაც დატოვა მეფის სასახლე და გენერალ დიუროკს უბრძანა, ახალგაზრდა გოგონას შესახებ ყველანაირი ცნობა მოეპოვებინა.

ნაპოლეონს იმავე საღამოს მოახსენეს, რომ მარია უკვე 3 წელია, კამერგერ ვალევსკის ცოლია. ის გოგონაზე 4-ჯერ უფროსია, მაგრამ კეთილშობილი გვარის წარმომადგენელი და მდიდარია. მათ წლინახევრის ვაჟი ჰყავთ.

მეორე დღეს კამერდინერი გაცხებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ იმპერატორი გაღიზიანებული და აღზნებული იყო და ადგილს ვერ პოულობდა. საუბრის დასრულებისთანავე იმპერატორმა დიუროკს მადამ ვალევსკიასთან ვიზიტი და მისთვის წერილის გადაცემა დაავალა. „მხოლოდ თქვენ გხედავდით, თვალებით გესიყვარულებოდით და მხოლოდ თქვენ მსურდით. გთხოვთ, სასწრაფოდ დამამაშვიდებელი პასუხი გამომიგზავნოთ, რომელიც ჩემს გულში აგიზგიზებულ ცეცხლს ჩააქრობს“.

ახალგაზრდა ქალი ასეთმა სწორხაზოვანმა წინადადებას შეაკრთო. ის არ იყო ჩვეული ამგვარ სასიყვარულო თავგადასავლებს და შეურაცხყოფილი დარჩა. იმპერატორის შუამავალი ხელცარიელი

დაბრუნდა.

ნაპოლეონს გაუკვირდა, რადგან არასოდეს, არც ერთი ქალი მის სურვილს არ შესწინააღმდეგებია. პოლონელი გოგონას უარმა ნაპოლეონი საბრძოლველად და მისი გულის მოსაგებად განანყო. სუფთა ფურცელს ხელი დაავლო და ახალი წერილის წერას შეუდგა.

„ნუთუ არ მოგწონეთ? მე მგონია, რომ თქვენგან ასეთ უყურადღებობას არ ვიმსახურებ. ნუთუ ვცდები? თქვენ დაარღვიეთ ჩემი სიმშვიდე. გთხოვთ, გამიხარეთ გული. მზად ვარ, გეთაყვანოთ. ნუთუ პასუხის გაცემა ასე ძნელია? თქვენგან უკვე 2 პასუხს ველი“.

ეს გზავნილიც უპასუხოდ დარჩა. ნაპოლეონი შეტყვისთვის მოეზადა და უფრო ცეცხლოვანი სიტყვები მისწერა:

„არსებობს წუთები, როდესაც უზომო სიყვარული გჩაგრავს. როგორ მოვუკლა წყურვილი შეყვარებულ გულს? მსურს, ფერხთით გაგვოთ, მაგრამ თქვენგან ნაპოლეონი სიცივე ჩემი სურვილების პარალიზებას იწვევს. თქვენ თუ მოინდომებთ, ყველა წინააღმდეგობას გადალახავთ. მოდი, მოდი! ყველა თქვენი სურვილი უსიტყვოდ ასრულდება. თქვენი სამშობლოსთვის ისევე ვიზრუნებ, როგორც ჩემი სამშობლოსთვის“.

სამშობლოს შესახებ ნათქვამმა ბოლო სიტყვებმა სასწორის პინა გადანონა და პატრიოტი მარიას

ბედი გადაწყვიტა. მან ყურად ილო მავანთა რჩევა — ნუ უარყოფდა საფრანგეთის იმპერატორს და სიტუაცია თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინა. როგორც ყველა მისი თანამემამულე, ისიც იმ იმედით ცოცხლობდა, რომ ოდესღაც პოლონეთი გაერთიანდებოდა. ამის გამო მან მსხვერპლშენიერა განიზრახა.

მარიამ გადაწყვიტა, ნაპოლეონის თხოვნა-ვედრება შეესრულებინა და მასთან პაემანზე მისულიყო. საღამოს, ვალევსკიას სახლის სადარბაზოსთან ეტლი გაჩერდა. დიუროკმა ხელი შეამველა მშვენიერ ქალბატონს, ეტლში ჩასვა და სასახლეში წაიყვანა. საიდუმლო კიბეზე კი ხელში აყვანილი მიჰყავდა, რადგან მარიას შიშისგან ფეხები ისე უთრთოდა, რომ სიარული ვერ შეძლო. რამდენიმე ცარიელი დარბაზი გაატარა და ერთ ოთახში დატოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ნაპოლეონიც გამოჩნდა. „მსხვერპლშენიერის დრო დადგა“ — გაიფიქრა მარიამ და ატირდა.

„რატომ ტირის?“ — ფიქრობდა იმპერატორი, — პაემანზე თავისი ნებით მოვიდა. იქნებ გადაამტებულ სიკვლელის გამო ან იქნებ კარგად დადგმული კომედიია, რომ უფრო მეტად აღმაგზნოს? არა, არა, ის ისეთი წმინდა და უეშმაკოა, რომ ასე თამაშს ვერ შეძლებს“.

ნაპოლეონს მორიდებული, მორცხვი და კეთილი ქალები იზიდავდა.

მოკლე ჩართვა

რას ვკითხავდი უოჯისაცოდნას?

• სად გაქრა სტიქია და რატომ ჭამენ ზოგიერთი მგზავნელები ერთმანეთს? სოფიზმ.

• ყოვლისმცოდნეს ვკითხავდი იმას, რაც მარადისობამ ვერ გამოიცნო: რომელი უფრო „მეტია“, ის, ვინც უყვართ თუ ის, ვისაც უყვარს? ანუ შენ თუ მე? ლოკოკინა.

• ყოვლისმცოდნევ, დავიჯერო მართლა ყველაფერი იცი? აბა, მაშინ იქნებ მითხრა, ქვეყანაზე ბოროტი ადამიანი უფრო მეტია თუ კეთილი ან „მჭამელი“ თუ დიეტის მოყვარული? გრუზინკა.

• რად უნდოდა პუტინს სააკაშვილის უნიტაზი? გვანცა.

• ხეზე ასვლისას ჩამოსვლაზე უნდა იფიქრო, თუ ასვლაზე? ოთხშაბათობით ბანაობა მართლა არ შეიძლება? როცა გშია, რა უნდა ქნა? გველირება როსაურასა და ლუს მარიოს შერიგება? შაქარი უფრო ტკბილია თუ თაფლი? ლუნა.

• ყოვლისმცოდნევ, რატომაა დაწ-

ყება ადვილი, დასრულება — რთული? რატომ ვაკეთებთ ადამიანები იმას, რას ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც საჭიროა? რატომ გვტკენენ გულს ისინი, ვინც სიცოცხლეს გვირჩევენ? ოცნება, რომელზეც ვოცნებობ და ოცნებისაც მუშინა, ოდესმე ამიხდება? ლუნა.

• ყოვლისმცოდნეს ვკითხავდი: როგორ იტევს ამდენ რამეს შენი ტვინი? თან ვთხოვდი, ცოტა მეც გადმომიქაჩე, ბლუთუზით რა?! eko boy.

• ყოვლისმცოდნე არავინაა, შემოქმედის გარდა. ხოლო თუ ასეთს მაინც შევხვდებოდი, ესოდენ მტკივნეულ შეკითხვას დავუსვამდი — ბოლოს და ბოლოს, როდის დაგვანებებენ რუსები თავს? აი, მაშინ კი ყველა ქართველის ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებდი.

• რას ვკითხავდი და სად არის ნატვრისთვალე. მერე უკვე მე ვკითხავდნენ და მთხოვდნენ ყველაფერს. :) პატარა ეგოისტი ვარ. :) green girl.

• საიდან იცი ამდენი? ცინიკოსი.



ქალი სავარძელში ჩასვა, რბილად ესაუბრებოდა არაფერს ითხოვდა. მისი წარსული ცხოვრებით დაინტერესდა და ოჯახის შესახებ ყველაფერი გამოჰკითხა. დაჰპირდა, რომ ამის შემდეგ მას მარის დაუძახებს — ტკბილ მარის. ღამის 2 საათზე კარზე კაკუნი გაისმა. ეს პაემნის დასრულების მუხუცხელი სიგნალი იყო.

„ამჯერად გადავრჩი“, — გაიფიქრა მარიამ და შვებით ამოისუნთქა.

„ცრემლი შეიშრე და წადი, დაისვენე, ჩემო ტბილო მარი, — ალერსიანი ხმით უთხრა იმპერატორმა დამშვიდობებისას, — ნუ შეგეშინდება არნივის, ის შენ წინააღმდეგ არავითარ ძალას არ გამოიყენებს, გარდა ცეცხლოვანი სიყვარულისა, მაგრამ მას ჯერ შენი გულის დაპყრობა სურს. თუ შენ ამ არნივს შეიყვარებ, ის შენთვის ყველაფერს გააკეთებს!“

კართან მისული მარია ისევ მოაბრუნა და შეიპირა, რომ მეორე დღეს ისევ მასთან მივიდოდა.

შინ დაბრუნებულმა მარიამ საწოლს მიაშურა და ფიქრში ჩაიძირა. ის ნაპოლეონის დიდებულებასა და სულიერ სიმშვიდეზე ფიქრობდა. მან გოგონა დაინდო და ძალზე კეთილი და მგრძობიარე აღმოჩნდა. იმპერატორისგან დაკოცნილ მის ბაგეს ღიმილი გადაეფინა.

მეორე დღეს მარიამ იმპერატორისგან თაიგულის ფორმის ბრილიანტის გულსაბნევი მიიღო. საჩუქარს თან წერილი ახლდა: „გთხოვთ, მიიღოთ ეს თაიგული, რომელიც საიდუმლო ძაფით შეგვაკავშირებს“.

— პასუხს ვერ ეღიროსება! — განაცხადა მარიამ და გულსაბნევი იატაკზე მოისროლა, — ასეთი საჩუქრები არ მჭირდება, მას აღ-

ვირახსნილი ქალი ხომ არ ვგონივარ?

გენერალმა დიუროკმა, რომელმაც საჩუქარი გადასცა, ძირს დავარდნილი გულსაბნევი აიღო და სთხოვა, იმ ოჯახში ვახშმად მისულიყო, სადაც იმპერატორიც იქნებოდა.

მარია იმ პირობით დათანხმდა, რომ კაბაზე საჩუქარს არ დაიბნევდა.

სალამოს, სტუმრად მისული ნაპოლეონი გაფითრდა, როდესაც დაინახა, რომ მარიას გულსაბნევი არ ეცუთა. ვახშმობის შემდეგ დიუროკის პირით შეუთვალა, რომ მეზობელ ოთახში ელოდა.

— იმედი აღარ მქონდა, რომ კიდევ განახვდით, — უთხრა ალელვებულმა, როდესაც მარია ეახლა.

— მე ხომ შეგპირდით...

— თქვენ ჩემი გულის დამონება შეძელით. იცოდეთ, რომ როდესაც მიზანი რთულად მისაღწევია, ბრძოლის უინით ვივსები, — შეტევაზე გადავიდა იმპერატორი.

მარიას თვალები ცრემლით ავესო.

— მე მსურს, გესმის, მე მინდა, რომ შემიყვარო! მე შემიძლია, შენი სამშობლო ფეხზე დავაყენო და შემიძლია, დავფშვნა, როგორც აი, ეს საათი, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს, — იმპერატორმა საათი მთელი ძალით დაანარცხა იატაკზე და დაფშვნა. შემდეგ ქუსლით შედგა და ნამცეცხვად აქცია.

მარიას მისი მზერა წვავდა და და მის პარალიზებას ახდენდა. შიშისგან გაშუმდა და დივნის კუთხეში მიიკუჭა. უეცრად, დაინახა, როგორ დაეცა ნაპოლეონი მის წინ მუხლებზე, ფეხებზე მოეხვია და პატიება სთხოვა. მან შეძლო ისეთი სიტყვები მრეძებნა, რომლითაც საყვარელ ქალს გულს გაუთბობდა.

მარიამ აპატია.

ასე დაიწყო ისტორიისთვის ცნობილი ერთ-ერთი რომანი.

მარია ვალევსკაიამ მთელი გულით შეიყვარა ბონაპარტი. ის ყოველ საღამოს სტუმრობდა საყვარელ მამაკაცს და მასთან ერთად მორჩილად ეძლეოდა სიყვარულს. ასე გრძელდებოდა 2 კვირის განმავლობაში, ვიდრე იმპერატორი ვარშავიდან არ გაემგზავრა. მარია ვალევსკაია იმპერატორის ოფიციალური ფავორიტი გახდა. ვარშავაში ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან მაღალი წრის წარმომადგენელ ყველა მამაკაცს თავისივე წრიდან 1 და უბრალო წრიდან 2-3 საყვარელი მაინც ჰყავდა. მათ იმპერატორი მოკრძალებულადაც კი ეჩვენებოდათ, რადგან ის თავისი ჰარამხანით არ დადიოდა და აქაც, ვარშავაში მხოლოდ ერთი ქალით დაკმაყოფილდა. პოლონეთში მარიას იმპერატორის „პოლონელი ცოლი“ შეარქვეს. ნაპოლეონის კანონიერი ცოლი, ჟოზეფინა პარიზში იყო. მათი ოდესღაც ცეცხლოვანი სიყვარული ჩაიფერფლა. მას შემდეგ იმპერატორის საყვარლებს სათვალავი არ ჰქონდა. თუმცა, არც თვით ჟოზეფინა იყო ფრთიანი ანგელოზი. ერთხელ ნაპოლეონმა ამის შესახებ შეიტყო და მას შემდეგ შეიძულა.

პარილის დასაწყისში იმპერატორის საცხოვრებელი ფინკენშტეინის სასახლე გახდა, რომელიც პრუსიის დასავლეთით მდებარეობდა. მან მარტოობა ვერ შეძლო, საყვარელი ქალი მოენატრა და მარია თავისთან მიიწვია.

მათ ერთად 3 კვირა დაყვეს და დარწმუნდნენ, რომ მათი სიყვარული უფრო გაძლიერდა. შეყვარებულები უცხო თვალს ემალებოდნენ. ნაპოლეონმა საყვარელ ქალს ოთახი თავისი საძინებლის გვერდით მიუჩინა. მარია სასეინროდ მხოლოდ ღამით გადიოდა. არავის, არც მსახურებს, არც



სოფლის მცხოვრებლებს არასოდეს მოუკრავთ მისთვის თვალი. წყვილი სადილ-ვახშამს ერთად მიირთმევენ. მარიას სასახლეში ყოფნის შესახებ მხოლოდ იმპერატორის პირადმა



კამერდინერმა, კონსტანმა იცოდა.

მათ შორის არსებული სიყვარულითა და ურთიერთობით ორივე კმაყოფილი იყო. მარია სწორედ ის ქალი იყო, რომელზეც ნაპოლეონი მთელი ცხოვრება ოცნებობდა.

„გიყვარდე, ჩემო ტკბილო მარი და გჯეროდეს შენი ნ-ის“. — სწერდა ის წერილში.

იდილია მაშინ დამთავრდა, როდესაც ნაპოლეონი მორიგ ბრძოლაში წავიდა. პოლონეთის აღორძინება მან ვერ შეძლო, რადგან რუსეთის მეფესთან, ალექსანდრე I-თან ურთიერთობის გაფუჭებას მოერიდა. თუმცა, არც თვითონ მარია იყო წინანდებურად მონადინებული, რადგან ის პოლიტიკური მოსაზრებით აღარ იყო შეყვარებული. სამშობლოზე ფიქრი მისი სიყვარულისგან განცალკევებით არსებობდა.

პარიზისკენ მიმავალი ნაპოლეონი მარიას სთხოვდა, რომ თან გაჰყოლოდა:

— უფლება არ გაქვს, შენთან ყოფნის ბედნიერება წამართვა, — ეუბნებოდა ალელვებული.

მარია მის წინადადებას დათანხმდა და რამდენიმე ხნის შემდეგ საყვარელ მამაკაცთან ჩავიდა.

იმპერატორმა ვიქტუარის ქუჩაზე სახლი უყიდა და მყუდრო ბუდე მოუწყო, სადაც თავის სათაყვანებელ მარიას ხშირად სტუმრობდა. მასზე ზრუნვა კი თავის ერთგულ დიუროკს დაავალა. ის ფარავდა ყველა ხარჯს და ყურადღებას არ აკლებდა იმპერატორის ფავორიტს.

ავსტრიასთან ომი დაიწყო. ფრანგებმა ვენა დაიკავეს თუ არა,

ნაპოლეონს ფიქრი მარიასკენ გაექცა. ქალი დაძახებისთანავე მასთან გაჩნდა. ერთგულ კონსტანს მარია საიდუმლო კიბით შეჰყავდა იმპერატორთან. სწორედ აქ გაუმხილა ქალმა, რომ შვილს ელოდა. ნაპოლეონის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. მას ქალი კიდევ უფრო მეტად შეუყვარდა.

კვლავ დადგა განმორების ყამი. 1809 წლის ოქტომბერში ნაპოლეონი საფრანგეთში დაბრუნდა, მარია კი პოლონეთში გაემგზავრა, რომ ემშობიარა. 1810 წლის 4 მაისს ვაჟი დაიბადა, რომელსაც ალექსანდრე დაარქვეს.

რამდენიმე თვის შემდეგ მარია ახალშობილთან ერთად კვლავ პარიზში დაბრუნდა, რომ საყვარელი მამაკაცის გვერდით ყოფილიყო.

ამჯერად მას უსიამოვნო ამბავი ელოდა. იმპერატორთან ერთად ტახტზე მისი ახალი ცოლი, ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილი, ახალგაზრდა მარია-ლუიზა იჯდა.

ნაპოლეონმა მარია დაარწმუნა, რომ ეს ტიპური, პოლიტიკური ქორწინება იყო და რომ თავისი მარია უნინდელზე მეტად უყვარდა.

1812 წლის აგვისტოში, როდესაც ნაპოლეონი ბოროდინოსთან ბრძოლისთვის ემზადებოდა, მარია პოლონეთში იყო და თავის მოხუც ქმარს ოფიციალურად გამოორდა. ამის შემდეგ იმპერატორმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც თავის შვილს გრაფის წოდება მიანიჭა.

იმპერატორმა რუსეთთან ბრძოლაში კრახი განიცადა. იმპერია ბოლო დღეებს ითვლიდა. ნაპოლეონის დაცემა გარდაუვალი იყო. მარია ძალიან შეშინდა, როდესაც შეიტყო, რომ იმპერატორმა თავის მოკვლა სცადა და თავი მოინამლა. მადლობა ღმერთს, სანამ-ღამე არ იმოქმედა. მთავარი იყო, საყვარელ მამაკაცს ეცოცხლა და არა ის, შეინარჩუნებდა ტახტს თუ არა.

1814 წლის 20 აპრილს ნაპოლეონმა ტახტზე უარი თქვა. ის ესკორტის თანხლებით გადასახლების ადგილას, კუნძულ ელბაზე გაემგზავრა. ელბაზე მყოფი იმპერატორი ამაოდ უცდიდა თავის კანონიერ ცოლს, მარია-ლუიზას, რომლის სიყვარულშიც დარწმუნებული იყო. იმპერატორის ყოფილი ცოლი კი

საყვარელთან ერთად ავსტრიაში გაიქცა. ნაპოლეონმა ამის შესახებ არაფერი იცოდა და მასთან შეხვედრის იმედი ჰქონდა. მას ის ქალი ეწვია, ვისი მისვლის იმედიც ნაკლებად ჰქონდა. შემოდგომის ერთ გვიან საღამოს კუნძულს წავი მიადგა. მასში მარია და მისი ვაჟი ისხდნენ. ისინი ბონაპარტესთან 2 დღე დარჩნენ და ღამით უკან გაემგზავრნენ. ზღვა ღელავდა და ნაპოლეონი მათ გამო ნერვიულობდა. რამდენიმე დღის შემდეგ კუნძულიდან გაქცევა თავადაც მოახერხა და საფრანგეთში დაბრუნდა. ამის შემდეგ დაიწყო ტრაგიკული მოვლენები, რომელიც ისტორიაში „ასი დღის“ სახელწოდებით შევიდა. ნაპოლეონის არმიამ ვატერლოოსთან კრახი განიცადა და ბონაპარტე ხელახლა, ამჯერად უკვე წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს.

ვატერლოოსთან დამარცხების შემდეგ, მარია შვილთან ერთად პარიზში ჩავიდა, რომ ნაპოლეონი მოენახულებინა. ის დიდხანს ტიროდა, საყვარელი მამაკაცის მკვრდზე დამხობილი და მზად იყო, მასთან ერთად წასულიყო გადასახლებაში.

ეს შეხვედრა 2 შეყვარებული ადამიანის სიყვარულის დამამთვრებელი აკორდი იყო.



გარკვეული ხნის შემდეგ მარია გენერალ გრაფ დორანოს ცოლად გაჰყვა და კიდევ ერთი ვაჟი გააჩინა. მალე ის თირკმლების დაავადებით გარდაიცვალა. ის ჯერ 30 წლისაც არ იყო. მარია პარიზის სასაფლაოზე დაკრძალეს, 1 წლის შემდეგ კი მისი ანდერძის თანახმად პოლონეთში გადაასვენეს. ასე დასრულდა საფრანგეთის იმპერატორის, ნაპოლეონ ბონაპარტეს „პოლონელი ცოლის“ ცხოვრება.



დასაწყისი — „გზა“, №38-43

მარი ჯაფარიძე

ბიჭები დამფრთხლები ჩანდნენ. დამინახეს თუ არა, მეცნენ. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— დალაგებულად მითხარით, რა უნდოდათ ძაღლებს?

— შენ გიკითხეს, რალაცას ბოდავდნენ, მანქანამ კაცი გაიტანა, ეგ მოწმეა და უნდა დავეკითხოთო, შენზე თქვეს. მე მგონი, ეგ უბრალოდ, მიზეზია...

— რა დაიბარეს?

— არაფერი, თუ გამოჩნდება, განყოფილებაში მოვიდესო.

— კარგი „არაფერია“, არა? მაგის მეტი რა უნდა დაეხარებინათ? — გამეცინა.

— კარგი, მე წავედი და თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარით. რომ საქართველოში ვარ და როდის დავბრუნდები, არავინ იცის.

ეზოში დაბრუნებულმა იქა-ურობას თვალი მოვაღვლე.

საეჭვო ვერაფერი შევნიშნე.

მანქანა ეზოდან წელი სვლით გავიყვანე და ნიცასკენ გავემართე. ალბათ უკვე დაიღალა ჩემი ლოდინით.

ეს გოგონა ძალიან მომწონს, მაგრამ იმის მერე, რაც შევიტყვე, რომ ქალაქის პროკურორის შვილია, ეჭვის ჭია მღრღნიდა. ათასი მიზეზი მაქვს საიმისოდ, რომ უნდობლობა გამიჩნდეს.

ახლა თამაშიდან გასვლა არ ივარგებს. ჯერ ერთი, მისი გახსენებაც კი მაგიჟებს და ჭკუიდან გადავყავარ, მეორეც, მაინტერესებს, გამართლდება თუ არა ჩემი ეჭვი.

თითისხელა გოგომ ისეთი ვნების ალი შემინთო, რომ თანახმა ვარ, ნებისმიერ რისკზე წავიდე.

ჯერ თავუნასავით ვათამაშებ, მისი წვალებით დავტკბები და კლანჭს მერე გავკრავ.

უცნაური ჩვევა მაქვს, თუ ქალი მომეწონება, არავითარ შემთხვევაში არ ვეცდები მის უცებ დამორჩილებას. ხანდახან 1 წელიც კი გასულა, მასთან ფლირტში.

ასე რომ, ამ ჩვევას არც ახლა ვუღალატებ. თუმცა, არა მგონია, 1 წელი გავძლო.

ნიცა ქუჩის განაპირას მელოდა. გულხელი ჰქონდა დაკრეფილი და მოუთმენლობა ეტყობოდა.

მანქანაში რომ ჩაჯდა,

ვერ გეკითხები.

— უეცრად გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და იმიტომ შემაგვიანდა. ბოდიში. ხომ მაპატიებ?

თავი პატარა ბავშვივით დააქნია და ქერა კულულები სახეზე ჩამოეშალა.

— გუშინ სწორი თმა გქონდა, დღეს ხუჭუჭა ხარ, როგორ მოახერხე?

— ეს ჩემი ბუნებრივი თმაა, გუშინ გასწორებული მქონდა.

— ჰოდა, ამის შემდეგ აღარ გაისწორე, ასე უფრო მომწონხარ. ნიცა, შენს მშობლებს მოუყევი, მე რომ გამიცანი?

— კი, — მითხრა და ისე შემომხედა, მივხვდი, ჩემი რეაქცია აინტერესებდა.

ამ პასუხს არ ველოდი,

**გუთხარი, რომ ერთი სიმპათიური,
ქართველი კრიმინალი გავიცანი,
რომელიც ჩემზე 11 წლით უფროსია**

ტუჩები გაბუსხა.

— რა იყო?

— არაფერი.

— როგორ არა, ვატყობ, რომ გაბრაზებული ხარ.

— ახლა მინდა, გკითხო, სად იყავი აქამდე, მთელი საათი რომ მაყურყუტე, მაგრამ ისე გამაფრთხილე, ასეთ შეკითხვებს ვერ ვიტანო, რომ

მაგრამ არ შევიმჩნიე. თუმცა, ცოტა ავღელდი.

— რა უთხარი?

— ვუთხარი, რომ ერთი სიმპათიური, ქართველი კრიმინალი გავიცანი, რომელიც ჩემზე 11 წლით უფროსია.

— მერე? — ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.

— მერე, როცა მამას შენი

სახელი ვუთხარი, აღმოჩნდა, რომ შენზე ყველაფერი სცოდნია. მერე სადღაც დარეკა და მითხრა — ეგ კაცი ახალი გაქცეულია ციხიდან და მილიცია ისევ ეძებს, თუმცა, ისეთი კაცი მფარველობს, რომ დაიჭირონ, აუცილებლად ისევ გაუშვებენო.

— მართლა? მაინც, ვინ არის მისი მფარველიო?

— ეგ არ უთქვამს.

— არც ის გითხრა, მაგ კაცთან აღარ დაგინახოო?

— არა, არც ეგ, რადგან იცის, მაინც იმას გავაკეთებ, რაც მინდა, თუნდაც მთელი სამყარო გადამელობოს.

საინტერესო ინფორმაცია მივიღე. მადლობა ჩემს პატარა ანგელოზს.

— საქართველოში წამიყვან?

— ფიქრი გამაწყვეტინა მისმა შუკითხვამ.

— არ ვიცი, — მხრები ავიჩიჩე.

— მე მინდა, რომ წამიყვანო.

— იქ არავინ მელის, არავინ მყავს ისეთი, ვისაც ჩემი მისვლა გაუხარდება.

— მერე რა? შენ ხომ გაგიხარდება, როცა შენს ნაცნობ ადგილებს მოივლი?

— ნიცა, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. დაფიცებული მაქვს, რომ ვიდრე ერთ პირობას არ შევასრულებ, მანამდე არც საქართველოში ჩავალ და არც წვერს გავიპარსავ.

— წვერმოშვებული კაცები არ მომწონს, — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა, ვიდრე ჩემს გასაგონად.

— რას ვიზამთ, არც მე მომწონს რუსი გოგონები, მაგრამ...

— მაგრამ მე მოგეწონე, ხომ?

— ისევე, როგორც შენ — მე.

— რა არის ისეთი პირობა, რომ ვერ ასრულებ?

— ვილაც ორმა ნაბიჭვარმა ჩემი მშობლები დააყაჩაღა და მერე მოკლა. შური უნდა ვიძიო მათზე, მაგრამ ჯერ ვერ გავიგე, სად არიან.

— მე დაგეხმარები, — გამოცოცხლდა ნიცა.

— შენ? შენ ამას როგორ მოახერხებ?

— მათი ვინაობა იცი?

— კი, ვიცი.

— მილიციის სამმართველოში მიმიყვანე და ახლავე ყველაფერს დაგიდგენ, — მითხრა და სავარძელში შესწორდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სამმართველოს ეზოში ვიდექით. ნიცა მიხვდა, რომ მანქანიდან გადასვლას არ ვაპირებდი.

— წამოდი, არ გაინტერესებს, როგორ დავადგენ?

და კაბინეტში შეუძღვა.

პიოტრ ივანიჩი ტელეფონზე ლაპარაკობდა. ხელის აწევით მიესალმა ნიცას.

როგორც იქნა, ჩვენთვისაც მოიცალა.

ბანკის გატანას არ ვაპირებ, ეგ შარიანი საქმეა და თანაც, ოპერაციის მომზადებას დიდი დრო სჭირდება

— არა, მირჩევნია, აქ დავრჩე.

— ნუ გეშინია, ჩემ გვერდით ხმას ვერავინ გაგცემს.

მანქანიდან უხალისოდ გადავედი და ნიცას უკან მივყევი.

შენობის შესასვლელში 2 მილიციელი შემოგვხვდა.

— აქ უნებართვოდ შემოსვლა არ შეიძლება, — წინ გადაგველობნენ.

— ჩემთვის შეიძლება, — უპასუხა ნიცამ და გავლა სცადა.

— ვითომ, რატომ? — ისევ წინ აესვეტა მილიციელი.

ხელები მოვმუშტე. ნიცა გვერდზე მივწიე და ის-ის იყო, საქმის გარჩევა უნდა დამეწყო, რომ დერეფანში მალალი კაცი გამოჩნდა, რომელიც ნიცას დანახვისთანავე მისკენ ღიმილით წამოვიდა და გადაეხვია.

— რამ შეგაწუხა? — ჰკითხა და მილიციელებს გახედა. ისინი უკვე აორთქლებულიყვნენ.

— ერთ ადამიანს ვეძებთ. უფრო სწორად — ორს. ჰოდა, ინფორმაცია გვაინტერესებს.

— ეს შენი მეგობარია? — ჩემზე ანიშნა და ხელი გამომიწოდა.

— ჰო, ჩემი მეგობარია და ძალიან მინდა, რომ დავეხმარო.

— პიოტრ ივანიჩთან მიდი, ისაა მაგისტანა საქმეების ავანჩავანი და დაგეხმარება.

ნიცა ამ მამაკაცს დაემშვიდობა და კიბეს აუყვა.

მეც უკან მივყევი.

მესამე სართულზე, ერთ-ერთი კაბინეტის მისაღებში შევედით. რამდენიმე ადამიანი იცდიდა, მაგრამ როდესაც მდივანმა ნიცას თვალი მოჰკრა, წამოდგა, მონინებით მიესალმა

— აბა, მზეთუნახავო, რამ შეგაწუხა?

ნიცამ მისვლის მიზეზი აუხსნა.

ჩემ მიერ ნაკარნახები სახელები და გვარები ფურცელზე ჩაინერა და შეგვპირდა, რომ რამდენიმე დღეში პასუხს გაგვაგებინებდა.

— კი, მაგრამ შენ ასე კარგად საიდან იცნობ ამ ხალხს? — ვკითხე ნიცას, როცა მანქანაში ჩავსხედით.

— ისინი ყველანი მამაჩემის მეგობრები არიან და ჩვენთან სტუმრად ხშირად მოდიან. მათ იმ დროიდან ვიცნობ, როცა ჯერ კიდევ ბაღში დავდიოდე.

— საჭირო ხალხია, ყველაფერში გამოგადგება კაცს, — ჩავიცინე.

— იცი, რაღაც მინდა, გთხოვო, ოღონდ უარი არ მითხრა.

— გისმენ, — ისეთი შესავალი გააკეთა, მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა.

— როცა ბანკის გასატანად წახვალ, მეც წამიყვანე, რა, ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობ.

— კარგი, — გულიანად გამეცინა.

— არ გეხუმრები, მართლა გეუბნები, — თვალები აუწყლიანდა.

— ბანკის გატანას არ ვაპირებ, ეგ შარიანი საქმეა და თანაც, ოპერაციის მომზადებას დიდი დრო სჭირდება.

— ყველაფერს მე დავგეგმავ. შენ მხოლოდ შესრულებაში მომეხმარე, — მითხრა და მივხვდი, რომ ამ დროს აბსოლუტურად სერიოზული იყო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩოგონი და ჩითი ანაშობენ დაშნაშაულებს



ბრაზი თარხანი

დაკითხვის სკამი

ცენტრალურ ევროპაში, დამნაშავეს სპეციალურ დაკითხვის სკამზე სვამდნენ, რომელსაც 1846 წლამდე წინასწარი გამოძიებისას იყენებდნენ. გაშიშვლებულ პატიმარს სავარძელში ისეთ პოზაში ათავსებდნენ, რომ თითოეული მოძრაობა საშინელ ტკივილს აყენებდა, რადგან სხეულში სკამზე დამონტაჟებული წვეტიანი რკინები ესობოდა. ჩვეულებისამებრ, წამება რამდენიმე საათს გრძელდებოდა და დროგამოშვებით, ჯალათი აგონიაში მყოფ პატიმარს კიდურებს გახურებული რკინით უშანთავდა. საწამებელი სავარძელი სხვადასხვაგვარი ზომისა და ფორმის გახლდათ, მაგრამ თითოეული მათგანი უამრავი წვეტიანი რკინით იყო აღჭურვილი, რომელიც პატიმარს გაუნძრევლად ჯდომას აიძულებდა.

ხერხი

მასზე არაფრის თქმა არ შეიძლება გარდა იმისა, რომ ის გაცილებით საშინელ სიკვდილს იწვევდა, ვიდრე კოცონზე დანვა. წამების იარაღს 2

ადამიანი მართავდა; ისინი, 2 ბოძზე, ფეხებით თავდაყირა დაკიდებულ პატიმარს ხერხავდნენ. ასე, დაკიდებულ მდგომარეობაში ყოფნაც კი აუტანელ ტკივილსა და ტანჯვას აყენებდა ადამიანს, რადგან სისხლი თავისკენ მიემართებოდა და სისხლძარღვების კედლებს მტკივნეულად აწვებოდა. წამების ამ იარაღით პატიმარს გარკვეული დანაშაულისთვის სჯიდნენ. მაგალითად, მართლმსაჯულების ხელში აღმოჩენილ ჰომოსექსუალისტებსა და ჯადოქრებს აუცილებლად შუაზე გახერხვა ელოდათ. ცნობილია, რომ ფრანგი მოსამართლეები ამ გზით იმ ჯადოქარ ქალებს სჯიდნენ, რომლებიც „ლამის კომპარების“ სატანისგან ორსულად იყვნენ.


„გვირგვინი“

წამების ეს იარაღი სკამს წარმოადგენდა, რომელსაც „სირცხვილის ბოძის“ დანიშნულება ჰქონდა. მას „გვირგვინი“ სარკასტულად შეარქვეს. მსხვერპლს სკამის საზურგეზე თავდაყირა კიდებდნენ, ფეხებს კი სპეციალურად ამ მიზნით დამზადებულ ხის ამოღრუტუნულ კონსტრუქციას შორის უმაგრებდნენ. კანონით, „გვირგვინის“ გამოყენება დაკითხვისას მხოლოდ ერთხელ იყო ნებადართული, მაგრამ მოსამართლეთა უმეტესობა კანონს გვერდს უვლიდა და მეორედ გამოყენებას პირველის გაგრძელებად მიიჩნევდა. ერთ გამოყენებად მიიჩნევდნენ გვირგვინით 10-დღიან წამებას. „გვირგვინით“ წამების დროს ასევე იყენებდნენ ცივ წყალსა და გავრვარებულ შანს.

XVI საუკუნეში მოღვაწეობდა. დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია, რამ განაპირობა ამ ტერმინის წამოშობა, მაგრამ წამების ეს იარაღი სრულიად ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ სჯიდნენ დამნაშავეებს ინკვიზიციის დროს. საწამებელ იარაღზე მსხვერპლის განთავსების პოზიცია წინასწარ კარგად იყო გათვლილი. რამდენიმე წუთის შემდეგ, ადამიანს წელისა და ანუსის მიდამოებში ძლიერი კუნთოვანი სპაზმი ეწყებოდა; მერე სპაზმი მთელ სხეულზე ვრცელდებოდა და უფრო და უფრო მტანჯველი ხდებოდა. გარკვეული ხნის შემდეგ, „წეროზე“ მიმაგრებული ადამიანი მტანჯველი შეგრძნებების შედეგად ქუჩიდან იშლებოდა. „წეროს“ ხშირად გავარვარებული შანთით წამებაც ერთვოდა თან, რის შედეგადაც მსხვერპლს განგრენა ეწყებოდა და კვდებოდა.

ჯადოქრის სკამი

წამების ამ იარაღს იმ ქალების საწამებლად იყენებდნენ, რომელთაც ბრალი ჯადოქრობაში ედებოდათ. ამ გავრცელებულ ინსტრუმენტს ფართოდ მოიხმარდნენ ავსტრიელი ინკვიზიტორები. საწამებელი სკამი სხვადასხვა ფორმისა და ზომის გახლდათ და აღჭურვილი იყო წვეტიანი ლუსმნებით, ხელობრკილებითა და რკინის საჯდომით, რომელსაც წამების დროს ახურებდნენ. 1693 წელს ავსტრიის ქალაქ გუტენბერგში მოსამართლე ფონ ლამპერტიში მარია ვუკინეცს ასამართლებდა. „დამნაშავე“ „ჯადოქრის სკამზე“ 11 დღის განმავლობაში იჯდა და ამასთან, ფეხებს ცხელი რკინით უშანთავდნენ. ტკივილისგან მარია ქუჩიდან შეიშალა, მაგრამ ისე მოკვდა, რომ დანაშაული მაინც არ აღიარა.



მეუზოვის ქალიშვილი ანუ „წერო“


ტერმინ „წეროს“ გამოყენებას რომელიც მოსამართლეს მიაწერენ, რომელიც

საკიდარი

წამების ეს ინსტრუმენტიც საკმაოდ გავრცელებული გახლდათ და თავდაპირველად, როგორც მსუბუქი წამების იარაღი, სასამართლოს დროს გამოიყენებოდა. ბრალდებულს ხელებს ზურგს უკან უკრავდნენ, თოკის მეორე ბოლოს კი საკმაოდ მაღლა დაკიდებულ რგოლში ატარებდნენ. მსხვერპლს ან ასე ტოვებდნენ, ან თოკს დროგამოშვებით ქაჩავდნენ. ხშირად თოკის ბოლოზე გარკვეულ სიმძიმეს კიდებდნენ, ამის პარალელურად კი პატიმარს სხეულს გაგარვარებული რკინით უშანთავდნენ. იმხანად გავრცელებული გახლდათ აზრი, რომ ჯადოქრებს ჰქონდათ მეთოდი, რომლის საშუალებითაც აუტანელი ტკივილის განეიტრალებას ახერხებდნენ და მაგიის მეშვეობით, წამებას იოლად იტანდნენ. მოსამართლეებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი მხრიდან დანაშაულის აღიარების მიღწევას, სწორედ ამიტომ ვერ ახერხებდნენ. XVII საუკუნის დასაწყისში, მიუნხენში ერთდროულად 11 ადამიანი გაასამართლეს. 6 მათგანი რკინის გახურებული ჩექმით აწამეს, ერთ-ერთ ქალს მკერდი მოჰკვეთეს, დანარჩენები კი — ძელზე გასვეს. წამებისას, აუტანელი ტკივილებით გონებადაბინდულმა ადამიანებმა, კიდევ 21 „თანამზრახველი“ დაასახელეს. სამართალდამცავებმა ისინიც დაუყოვნებლივ დააკავეს. ახალ პატიმრებს შორის, ერთი კეთილშობილი, პატივცემული ოჯახიც გახლდათ. წამებისას, ოჯახის უფროსი მალევე გარდაიცვალა; წამების შედეგად მისი ცოლი გამოტყდა, რომ ჯადოქრობდა, ხოლო შვილმა, 21 წლის აგნესამ საშინელ წამებას გაუძლო და დანაშაული არ აღიარა. რამდენიმე დღიანი წამების შემდეგ, მას უთხრეს, რომ დედამისმა დანაშაული აღიარა. სასონარკვეთილმა აგნესამ თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ საწადელს ვერ მიიღია. ბოლოს აღიარა, რომ მან 30 ადამიანის გული შეჭამა, სექსუალური კავშირი ჰქონდა 8 წლის ეშმაკთან, სულელს იძახებდა და ღმერთს უარყოფდა. დედა-შვილი კოცონზე დანჯეს.

აჯენის მკველი

გამომგონებლის, იპოლიტო მარსილის თქმით, წამების ამ იარაღმა გარდატეხა მოახდინა, რადგან ის არავითარ კვალს არ ტოვებდა. ერთადერთი სუბსტანცია, რომელიც წამებისას ზიანდებოდა, მსხვერპლის ნერვული სისტემა გახლდათ. წამების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მსხვერპლს დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ — ფხიზლად იმდენი ხნის განმავლობაში აყოფებდნენ, რომ საშინელ ტანჯვას განიცდიდა. ჯალათები



ამას სასტიკ წამებად არ მიიჩნევდნენ, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებისას, ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლი გონებას კარგავდა. თუ ასე მოხდებოდა, წამებას მანამ წყვეტდნენ, ვიდრე დანაშაულს გონზე არ მოვიდოდა.

„საცხოზი“

წინათ არ არსებობდა ცნება — „საერთაშორისო ამნისტია“ და სასამართლოს საქმეში ვერავინ ერეოდა. არავის შეეძლო მათი დაცვა, ვინც სამართალდამცველების ხელში მოხვდებოდა. აღიარების მოსაპოვებლად, ჯალათებს წამების ნებისმიერი მეთოდის გამოყენება შეეძლოთ. ისინი ხშირად მიმართავდნენ „საცხოზს“. მსხვერპლს რკინის ბადეზე აწვენდნენ, ქვევიდან ცეცხლს უნთებდნენ და ნელ-ნელა წვავდნენ მანამ, სანამ მისგან აღიარებით ჩვენებას არ მიიღებდნენ.

წყლით წამება

იმისათვის, რომ წამების ობიექტისგან აღიარებითი ჩვენებისთვის მიეღწიათ, მსხვერპლს მაგიდაზე აწვენდნენ და ძაბრის მეშვეობით პირში უამრავ წყალს ასხამდნენ; შემდეგ, წყლით გაბერილ მუცელზე რკინის ჯოხებს ურტყამდნენ. არსებობდა სხვა მეთოდიც: ძალის გამოყენებით მსხვერპლს პირში ქსოვილის გადანაჭერს უტენიდნენ, რომელსაც ნელ-ნელა წყლით უღენტდნენ. გაუღნთილი ქსოვილი სუნთქვას აფერხებდა, ეს კი მსხვერპლის სიკვდილს იწვევდა. ხშირი იყო საწამებლად ცივი, გაყინული წყლის გამოყენების ფაქტებიც. ამ შემთხვევაში, დანაშაულს მაგიდაზე აწვენდნენ და რამდენიმე საათის განმავლობაში ცივი წყლის ჭავლის ქვეშ აყოფებდნენ. საინტერესო ის გახლავთ, რომ იმხანად ასეთი სახის წამებას მსუბუქად მიიჩნევდნენ, ამ გზით მიღებულ აღიარებას კი — თვითაღიარებად.

„ნიურნბერგელი ქალწული“

წამების მექანიზმის იდეა, გერმანიაში დაიბადა და „ნიურნბერგელი

ქალწული“ სწორედ გერმანული „წარმოშობის“ გახლავთ. დანაშაულს საკოფაგში ათავსებდნენ, რომლის ფსკერზეც წვერნაჩახული ლურსმები იყო განლაგებული. ტკივილისგან გამოწვეული აგონია, დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. ასეთ საკოფაგში ყველაზე დიდხანს 22 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა გაძლო. მან 3 დღის შემდეგ დალია სული.

ბორბალი

ეს მონყობილობა საკმაოდ პოპულარული გახლდათ როგორც წამებისთვის, ასევე დასჯისთვის და მხოლოდ ჯადოქრების საწამებლად იყენებდნენ. პროცედურა ორ ფაზად იყოფოდა: პირველი პროცედურის დროს, მომცრო ზომის ბორბლის საშუალებით ყველა ძვლის დამტვრევა ხდებოდა. შემდეგ, მთლად მოშვეებული სხეული თოკით გაივლიდა ბორბლის ღერძებს შორის და მაგიდაზე ვარდებოდა, სადაც მსხვერპლი სიკვდილს ელოდა. შესაძლებელი იყო, რომ ბორბალზე მიჯაჭვული დანაშაულისთვის ცეცხლი შეენთოთ. ასეთ შემთხვევაში, ადამიანი მალევე კვდებოდა.

თავის ქალის წნეხი

ეს მონყობილობა შუა საუკუნეებში ძალზე პოპულარული გახლდათ. მას საკმაოდ უბრალო ფუნქცია ჰქონდა. მსხვერპლს ნიკაპს ხის საყრდენზე უმაგრებდნენ, ხოლო მონყობილობის მეორე ნაწილი ზემოდან ეშვებოდა და თავის ქალას აწვებოდა. პირველ რიგში იმსხვრეოდა კბილები და ყბის ძვლები; შემდეგ კი დანოლის შედეგად წარმოქმნილი წნევის გამო, ტვინის ქსოვილები იწყებდა გარეთ გამოსვლას. ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში წამების მსგავსი ინსტრუმენტი დღემდე გამოიყენება.



თბილისობა-2008

- ჭაიანი ყვალასათვის

თბილისობა-2008-ც ჩავაბარეთ წარსულს და დანაგვიანებულ ქუჩებსა და ბიუჯეტში რამდენიმე მილიონი ლარით ნაქლებს თუ არ ჩავთვლით, მგონი, არაფერი დაგვრჩენია. თუმცა, ნაომარი ქვეყნის ყვალობაზე, ძალიან ცუდადაც არ ყოფილა ჩვენი საქმე: როცა ამდენი კონცერტი ტარდება, როცა ამდენ ხალხს „ეზეიმება“ და როცა ამდენი ემაყოფილი სახეა!



ელენე ბასილიძე

ხალხს სანახაობა რომ სჭირდება, ეს ჩვენმა მთავრობამ აშკარად ჩვენზე უკეთესად იცის, ამიტომ, არც სანახაობა გვაკლდა ამ 2 დღის განმავლობაში და არც — კონცერტი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველა კატეგორიის, სოციალური ფენისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანის მოსაწონი ზეიმი გაიმართა! თინეიჯერები — რიყეზე, ავტომოყვარულები — ვარდების მოედანზე, ხელოვნები — შარდენზე, როკერები — რუსთაველზე! სადაც ქართველი როკმუსიკოსების ისეთი შესანიშნავი კონცერტი გაიმართა, რომ საკმაოდ შორეული ადგილიდან წამოსული მუსიკისა და ხავილის ხმა, დიდუბემდე ისმოდა. სამწუხაროდ, ქალაქში გამეფებული ზეიმი, მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მძღოლებზე არ ვრცელდებოდა. ალბათ ამიტომაც იმ 2 დღეს მძღოლები განსაკუთრებული სიფიცხით გამოირჩეოდნენ და „კაი ბიჭი“ იყავი, რაზე გეკითხა მათთვის! „გაფიცხებულ“ მძღოლებს ხალხიც ერიდებოდა და სწორედ ამიტომაც, ყველაზე მეტი ადამიანი ავიდა ტრანსპორტში შეცდომით და ყველაზე მეტი ჩამოვიდა არასასურველ ადგილზე. სწორედ ტრანს-

პორტში მოვისმინე კონფლიქტის ზონიდან ჩამოსული ბიჭუნას საუბარი: „ვხედავ, ჭიკოსა ჩემხელა, რაკეტა მოუკიდებია და მიაქვს, სად მიგაქვს, რად გინდამეთქი? — ვკითხე. — რათ მინა და, დაჯექვყამ და ჯართში ჩავაბარებო. აუფეთქებელი იყო ის, რომ დაექვყამ, კარგად ჩაბარდებოდა „პატრონს“. ძლივს გამოსტაცეს ის რაკეტა ხელიდან კაცებმა“. — უყვებოდა ბიჭუნა თავისხელა ბიჭს. კიდევ, გავიგე, რომ თურმე BMW-ს ნანილებს თბილისში საკმაოდ ძვირად იბარებენ და კონფლიქტის ზონის მთელი მოცლილი ახალგაზრდობა BMW-ს ძებნაშია... ზოგი დაჯავშნული მანქანების ნანილებს ეძებს, ზოგიც უსაქმურობისთვის თავის დაღწევის იოლ გზებს. ეს უკანასკნელნი კი, ნამდვილად არ აკლიან თბილისის ქუჩებს; მით უმეტს, ასეთ „ღირსშესანიშნავ“ დღეებში. დგანან ქუჩაში და ქუჩური სლენგის სახალხოდ დემონსტრირებას ახდენენ. თავიდან, ყველა ადამიანი მოცლილი ჩანს, მაგრამ „ახლო ხედით“ არც ისეა საქმე, როგორც თვალის ერთი შევლებით ჩანს. თბილისობაზე მხოლოდ სოფლის ნობათით დატვირთული გამყიდველები და ატრაქციონების მესვეურები კი არ ითბობენ ხელს... ეს, ფულის საშოვნელად ქუჩის მუსიკოსები-

სათვისაც ძალზე ხელსაყრელი დროა. რაც მთავარია, არ აქვს მნიშვნელობა, პროფესიონალი მუსიკოსი ხარ, მოყვარული, ცნობილმა მუსიკოსმა გასწავლა დაკვრა თუ შენით „აანყვე“ მელიოდა. რაც მთავარია, ისე უნდა უკრავდე, „მუსიკალურად გაუნათლებელი“ ადამიანიც შეჩერდეს შენ წინ. ფულს თუ არ ჩაგიჩხრიალებს, მონონების ნიშნად, აბზევილ ცერა თითს მაინც დაგანახვებს და ეგზომ პოპულარულ „სალოლ“-ს მოგაძახებს. ასეა თუ ისე, შაბათ-კვირის აქტიური დასვენება ასე თუ ისე, შეგვრჩა. თუმცა არც სულ ასეა საქმე — ასეთ საქციელზე პასუხი აუცილებლად მოგვეთხოვება. მგლოვიარე ქვეყანას რა „ეჭამფანდურება“, ჯერ ძაძები არ გაგვიხდიაო, — გულისტკივილით შემომჩივლა პუშკინის სკვერში მჯდარმა ბაბუმ. თუმცა მას მეორე ბაბუ შეესიტყვა: კაცო, სულ გლოვა და თავში ხელის ცემა რას მოგვცემს?! ყურადღება სხვა რამეზეც ხომ უნდა გადავიტანოთო?!

ყურადღებაც გადავიტანეთ, მოზეიმე ხალხიც ვნახეთ და ხმის ჩახლენამდეც ვიყვირეთ აუტირებულებმა. ახლა კი ის დროა, ხმის პრობლემებს მომავალ თბილისობამდე ვაგვარებდეთ. გაძლება მოგცეთ ღმერთმა!

ფ მ ბ მ , როგორღაა ნაწილი დაკარგა



- „სდექ, ნაჭრილების ზონაა“ აგენტი — 8-07.
- „მოშარდეთ ნახევრად!“
- „რას მიყურებთ, მგზავნებო? თქვენს მტერს, მე რომ გამიჩირდა, კარგ საქმეში გამოადგეს, ვისაც ხელში რა უჭირავს!“ ენიგმა.
- „მარიამულ, თავს რისთვის მჭრით? სხვა ვერ ნახეთ სათვალთვალო? მე რომ ახლა შარდის ბუშტს ვცლი, ასე მტერი დაგეცალოთ!“ ენიგმა.
- „ფრთხილად, მოლაღატე მამაკაცებო, ღალატი არავის შერჩება!“ გამოუსწორებელი რომანტიკოსი.
- „მაკრატელი აღუღუნდა, კრიჭი, კრიჭი, კრიჭი, რომ დატოვოს უპენისოდ, ეს უზრდელი ბიჭი“. გა-მა.
- „რა დროს ლექსია, როცა მ...ია“.
- „რას მაშანტაფებთ ამ მჭრელი, გახსნილი მაკრატ(ე)ლითო, ჯერ დამაცადეთ,

- რომ მოვფსა, მერე თუნდ მომაჭერიტო“. გა-მა.
- „კიდევ კარგი, ნაჭრილი მაქვს, თორემ რა მეშველებოდა? მადლობა ალაჰს“. გრუზინკა.
- „ესტუმრეთ ამ ტუალეტს, იქ უფასოდ და უმტკივნეულოდ, წამებში იქცევით საჭურისად. მისამართი: აზერბაიჯანის გადასახვევი, №64. იკითხეთ, კარლოს სლიმი“. ლუნა.
- „გააკეთე კომბინეზონში ნახვრეტი და დაივიწყე პრობლემები!“ პანურგი.
- „ფრთხილად, არაფერი ნაგაჭრანს!“
- „არ ქნა, ნაგაჭრანს!“
- „როგორც იქნა, ვიპოვე საჩემო ადგილი. კინალამ გამეპარა“... მარიკუნა.
- „აბა, რა ქნას, უნიტაზები რუსებმა წაიღეს და“... იკუშკები.
- „მოშარდვა ისჯება მოკვეთით“. გავაზელი.

ფოტო, რომელმაც წაწაწა დაჰაწა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის
ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩვენური ვერსია ზი სტაია:

„ბაყაყი რომ ქალად გადაიქცევა,
ვიცი, მაგრამ ბურთიც?!“

ყვანაღა ეილი მოგება

ქალაქი გოსპორტი ინგლისში მდებარეობს და თავისი უძველესი საზღვაო-სამხედრო ისტორიითაა ცნობილი. 2002 წელს, მის შესახებ მსოფლიოს ყველა გაზეთი და ჟურნალი წერდა. სწორედ ამ ქალაქში დაფიქსირდა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფულადი მოგება. თუმცა ამ ამბავში ყველაზე საოცარი, თანხის რაოდენობა როდი გახლავთ.



გოსპორტში მცხოვრები ელექტრიკოსი, მაიკ მაკდერმონტი მთელი ცხოვრების მანძილზე, ბრიტანული ნაციონალური ლატარიის ყოველ ტირაჟში მხოლოდ 1 ბილეთს ყიდულობდა და ყოველთვის ერთსა და იმავე რიცხვებს გადახაზავდა ხოლმე. ციფრების კომბინაცია მუდმად ერთად მოიგონა — 15, 16, 18, 28, 36 და 49. მათემატიკოსებში ეს მეთოდი ალბათ აღფრთოვანებას გამოიწვევს. ყოველ ტირაჟში 12 მილიონიდან მოგების მხოლოდ 1 შანსი არსებობდა და წარმოიდგინეთ, მოიგო! 2002 წლის ივლისში, ლოტოტრონმა ექვსი ციფრიდან 5 „ამოაგდო“ და დამატებითი, საპრიზო ბურთულა — 28 ნომერი. მოგება 194.501 გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ამბობენ, ბედნიერება ფულში არ არისო, მაგრამ ასეთი თანხა თქვენც რომ მოიგოთ, დარწმუნებული ვარ, აზრს შეიცვლით.

მაიკიც ექსტაზში ჩავარდა. თანხის ალების შემდეგ, ხმელთაშუა ზღვაში, კარკენის კუნძულზე სახლის მშენებლობა წამოიწყო. თან ლატარიის ბილეთების შევსებას ძველი კომბინაციით განაგრძობდა. ამაში უკვე არავითარი ლოგიკა აღარ იყო. ჯანსაღი აზროვნების მქონე ადამიანი, ლატარიის თამაშს საერთოდ შეწყვეტდა, მაგრამ მაიკი ასე არ მოიქცა. 13 ოქტომბერს ლოტოტრონმა ისევ ის კომბინაცია „ამოაგდო“. ამჯერად მოგებამ 121.157 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ალბათობა იმისა, რომ ამ ლატარიას ერთი და იგივე ადამიანი მოიგებს, 150 ტრილიონში ერთია. იმისათვის, რომ ნათლად წარმოიდგინოთ, თუ რამდენად შეუძლებელია ეს, ასეთ მაგალითს მოვიყვან: წარმოიდგინეთ, რომ 10-თეთრიანი დაკარგეთ და ის 200 კვადრატული კილომეტრის

რადიუსში უნდა მოძებნოთ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ეს 10-თეთრიანი თვალდახუჭულმა იპოვეთ. მაიკმა ნამდვილი შოკი მიიღო. მეორე მოგების შემდეგ, მან სამსახური მიატოვა და ცოლთან ერთად, ახალ სახლში გადასახლდა. „ამბობენ, ღმერთი სამობითააო, განვაგრძობ თამაშს და ისევ იმ ციფრების კომბინაციას გამოვიყენებ. ახლა უკვე მჯერა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება, მოხდეს“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს.



1987 წლის აპრილში ინგლისელები, ენტონი სპილმენი და ნიკოლას კოუჯანი ფირმის საქმეების გამო ლოს-ანჯელესში იმყოფებოდნენ. ამერიკაში მათი ვიზიტი დასასრულს უახლოვდებოდა. ისინი, სანტა-ათინეში მდებარე იპოდრომის მოსანახულებლად, სპეციალურად შეყოვნდნენ ერთი დღით. კვირადღე იყო. დილაუთენია ჩასხდნენ მოძველებულ „ფორდში“, რომელიც დაქირავებული ჰქონდათ და ჩრდილოეთისკენ გაემუხრნენ. ტოტალიზატორის მიერ შეთავაზებული ფსონები ინგლისურისგან განსხვავებული იყო — ჩვეულებრივი Win, place და show-ის გარდა ეგზოტიკურ trifecta, pick 3, pick 6 და pick 9-ს სთავაზობდა. ბოლო ფსონი იმას ნიშნავდა, რომ 9 შერჩეული ცხენი 9 გარბენში პირველი მივიდოდა. გარდა ამისა, 6 ცხენის გამოცნობისას, ფსონი ჯეკპოტში მონაწილეობდა. კომპანიონებმა სწორედ ეს ფსონი აირჩიეს და

ალბლებზე ამორჩეულ 9 ცხენზე 64 დოლარი დადეს. მათი პროგნოზი საოცარი სიზუსტით ახდა. როდესაც კოლეგებმა გაიგეს, რომ 24 დღის მანძილზე დაგროვილი ჯეკპოტი მოიგეს, სიხარულისგან ლამის ჭკუიდან შეიშალნენ. მოგებულმა თანხამ 1.627.084 დოლარი შეადგინა.



უკვე 35 წელია, ლას-ვეგასში „პოკერში“ მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება. ტურნირი რამდენიმე ათას მონაწილესა და ჟურნალისტს იზიდავს. 2004 წლის ჩემპიონატზე, რომელიც კაზინო „ბელაჯიოში“ ტარდებოდა, 2000-ზე მეტი მონაწილე დარეგისტრირდა. მონაწილეთა რაოდენობა ჩემპიონატის საპრიზო ფონდზე ზეგავლენას ახდენს, ვინაიდან რეგისტრაციის დროს, თითოეული მონაწილე 10.000 დოლარის „ფიშკას“ ყიდულობს. 2004 წელს, საპრიზო ფონდმა რეკორდულ მაჩვენებელს — 2.728.356 დოლარს მიაღწია. ტურნირის დასრულების შემდეგ, სწორედ ეს თანხა გადაეცა შვეიცარიელ მარტინ დეკნიფს. თუ ფიქრობთ, რომ მარტინმა ეს ფული იოლად მოიგო, ძალიან ცდებით. „პოკერმართონი“ რამდენიმე დღის განმავლობაში, დღის 12 საათზე იწყება და



გამთენიისას სრულდება. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე 2-3-წუთიანი შესვენება კეთდება. წაგებული თამაშიდან გადის და ბოლოს 1 მოთამაშე რჩება, რომელიც რამდენიმე ათეულ პარტიას საშინლად დაძაბული თამაშობს. უკვე 20 წელია, რაც მარტინი არსებობისთვის საჭირო თანხას ბანქოს თამაშით შოულობს. ამის გამო, ის რამდენიმე წლის წინ სტოკჰოლმიდან ლას-ვეგასში გადასახლდა.

ლას-ვეგასი უჩვეულო დამთხვევათა ქალაქია. იქ „ცხოვრობენ“ — ილბალი, ბედისწერა, როკი და როგორც ამბობენ, ხანდახან ღმერთი და სატანაც კი შეიხედავენ ხოლმე. იქვე ცხოვრობდნენ სინტია ჯეი და ტერი ბრენანი. სინტია კაზინოში ოფიციალტად მუშაობდა, ტერი — ბარმენად. როგორც ლას-ვეგასის სხვა მცხოვრებნი, სამსახურის შემდეგ, ისინიც სტუმრებს შეერივნენ და გართობა გადაწყვიტეს. ყველა მოთამაშე ცრუმორწმუნეა და სინტიასაც ჰქონდა თავისი ბედნიერი რიცხვი — 27. მან ხომ სწორედ 27 რიცხვში გაიცნო ტერი. ამიტომ, 2000 წლის 27 იანვარს, როდესაც სინტია კაზინოს ავტომატს მიუჯდა, გადაწყვიტა, ზუსტად 27 დოლარი დაეხარჯა. ის ერთმანეთის მიყოლებით უშვებდა მონეტებს ავტომატში. ბოლოს, დარჩენილი 3 დოლარიც ჩაუშვა, სახელური ჩამოსწია და ადგილზე გაიყინა, რადგან ავტომატის ეკრანზე ერთბაშად უამრავი ჩირალდანი აინთო. ეს არ იყო უბრალო მოგება, არც უბრალო ჯეკპოტი. ეს ავტომატების არსებობის ისტორიაში, ყველაზე დიდი მოგება — 34.959.458 დოლარი — გახლდათ.

სინტია 9-შვილიანი ოჯახის მესხეთე შვილი გახლდათ. მან ოჯახის თითოეულ წევრს 10 ათასი დოლარი აჩუქა და ტერის ცოლად გაჰყვა, მაგრამ ბედმა ის არ გაანებვირა... მოგებიდან 2 თვის შემდეგ, სინტია საშინელ ავტოკატასტროფაში მოხვდა, რომლის დროსაც მისი და დაიღუპა, თვითონ

კი პარალიზებული დარჩა. მის ქმარს, ტერის სჯერა, რომ სასწაული მოხდება და სინტია ისევ გაივლის. ცოლის ფეხზე დასაყენებლად, ის მზადაა, უკანასკნელი ცენტიც კი გაიღოს. როგორც წესი, ის ავტომატი, რომელზეც სინტიამ თითქმის 35 მილიონი მოიგო, დღესაც გაჩერებულია და ეკრანზე მომგებიანი სიმბოლოებია გამოსახული.

ლოს-ანჯელესის მცხოვრებმა, იოჰანა ჰოინდლმა გადანყვიტა, რომ თავისი 74 წლის იუბილე უჩვეულოდ აღენიშნა. ის ლას-ვეგასში გაემგზავრა



და რამდენიმე კაზინო მოიარა. გაუგო რა გემო აზარტს, შუალამისას სასტუმრო „ბელიზის“ კაზინოშიც შეიარა და 170 დოლარის ჟეტონი იყიდა. თუმცა მათი დახარჯვა ვერ მოასწრო, რადგან ჩაუშვა თუ არა ავტომატში პირველივე ჟეტონი, მაშინვე ჯეკპოტი მოხსნა, რომელიც 3 წლის განმავლობაში გროვდებოდა. თავდაპირველად, ბებოს ეგონა, რომ 22 ათასი დოლარი მოიგო და სიხარულისგან აქცელოპინდა, მაგრამ როდესაც ნულები კარგად გადათვალა, აღმოაჩინა, რომ მისი მოგება 22 მილიონს აღემატებოდა. სიხარულისგან ენაჩავარდნილ ბებოს კარგა ხანი დასჭირდა გონზე მოსასვლელად. შემდეგ

მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ექნა ამხელა თანხისთვის: „ახალი მანქანა ახლახან ვიყიდე, სახლიც მაქვს. ალბათ, ახალ სახლს ვიყიდი და ნათესავენს ევროპაში სამოგზაუროდ წავიყვან. ვწუხვარ, რომ ეს თანხა სწორედ ახლა, სიცოცხლის დასასრულს მოვიგე“.

სინტია ჯეის რეკორდი 2003 წლის 21 მარტს ახალგაზრდა მამაკაცმა მოხსნა. მას ინკოგნიტოდ დარჩენა სურდა, მაგრამ ჟურნალისტებმა მის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მაინც მოიპოვეს. მოგებული თანხა, 39.713.982 დოლარი 25 წლის, ლოს-ანჯელესელ პროგრამისტს ერგო. ის რამდენიმე დღით ქალაქ საკრამენტოში, ნათესავენისა და ბავშვობის მეგობრების მოსანახულებლად მიდიოდა და გადაწყვიტა, მცირე ხნით ლას-ვეგასში შეველო.

ამ დროს ტელევიზიით ნაციონალური უნივერსიტეტის საკალათბურთო ტურნირი გადაიციეოდა და მოთამაშე, ეკრანს თვალს არ აცილებდა. თან, ავტომატში ერთდოლარიან მონეტებს ყრიდა. მან 3 დოლარის დახარჯვა ისე მოასწრო, რომ ავტომატის ეკრანს არც კი უყურებდა. უეცრად, ავტომატმა საზეიმო მარში დააგუგუნა და ხმამაღლა აცნობა, რომ მისი ბიუჯეტი თითქმის 40 მილიონი დოლარით გაიზარდა. ეს რეკორდული თანხა გახლდათ და ამ რეკორდის მოხსნა დღემდე ვერავინ შეძლო.

„მეგამილიონი“ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური ლატარია გახლავთ. მისი ჯეკპოტი ხშირად რამდენიმე ათეულ მილიონს შეადგენს. 2003 წლის თებერვლის ტირაჟის გათამაშებისას ის 128 მილიონს შეადგენდა. მომგებიანი კომბინაცია მხოლოდ ერთ ბილეთზე აღმოჩნდა, რომელიც კამბოჯელმა ემიგრანტმა, ფინ



30.10. - 5.11.2008

გზის გზავნილები

მარი ჯაჭარიძე

ყვანაზე სული მომონება



გენდერული თანასწორობა ანუ „ჩვენი ოფისი“ ჩვენი ფანია

გამარჯობა, როგორ „მოიოთხაბათეთ“? დღეს ხუთშაბათია და აი, „გზავნილებიც“ ისევ თქვენ წინაშეა. მართალია, ამჯერად ცოტა სევდიანი თემა გვქონდა და ამბებიც, შესაბამისად, სევდიანია, მაგრამ სულ „ტაშ-ფანდური“ ხომ არ გვექნება? განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი ერთ-ერთი მგზავნელი — იკუსკები. თქვენც იცით, რომ მეტად საინტერესო ამბებს ისე

ლამაზად გვწერს, რომ მისი წაკითხვისას ნამდვილად ისიამოვნებ. თანაც, მართო საინტერესოდ კი არა, გამართულადაც წერს. მის მესიჯს ჩასწორებაც კი არ სჭირდება. ყველა რომ ასეთ კარგ ამბებს და ასე კარგად წერდეს, რაღა მომკლავდა?!
ახლა დავამთავრებ წუნუნს და თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ.

„ტილიანი მოგონება“

„ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი მოგონება 17 წლის წინ იყო, როცა პირველად და უკანასკნელად შევალე საბავშვო ბაღის კარი. რატომ? იმიტომ, რომ განებივრებულმა, დედისერთა გოგომ ვერ ავიტანე ერთი თოჯინის შემყურე, ამდენი ატირებული წიკვინა თანატოლი და სახლში მისვლისთანავე, კატეგორიული უარი განვაცხადე ბაღში დაბრუნებაზე. თუმცა, ბაღიდან უსიამოვნო მოგონებების გარდა, ტილებიც მოვაცუნცულე ოქროსფერი დალალებით. რადგან სიზარმაცის გამო, ჩემი გრძელი და ხვეული თმის ტილებისაგან დახსნა არავის შეეძლო, მეორე დღესვე გამაქანეს საპარკმახეროში და თმა, თავის ტილებიანად, „მინასთან გაასწორეს“. ცალკე დედაჩემი ტიროდა, ცალკე პარკმახერი და ცალკე — მე. თუმცა გულს იმ შოკოლადით ვიმშვიდებდი, რომელსაც მშობლები თმის სანაცვლოდ დამპირდნენ. მოკლედ, სახლში დავბრუნდი, სკამზე შევდექე და სარკეში ჩავიხედე. იქ კი დალალებიანი ეშმაკუნას ნაცვლად, ვილაც თავტვლიპინა, თვალებგაფართოებული ბავშვი დავინახე და მოვრთე ტირილი, — არ მინდოდა ბიჭობა-მეთქი. იმის მერე გავხდი ასეთი მეტიჩარა და პრანჭია. თუმცა ოქროსფერი დალალები აღარ ამომსვლია. იკუსკები“.

დავისჯები. მგზავნელებო, ძალიან მიყვარხართ, განსაკუთრებით, პატრული ელისო. მაგარი ქალია. იმედია, მეც მიმიღებთ თქვენს ოჯახში, თუ არა, სანათესავოში მაინც. მაკუნა77“.

სიყვარული და ტყუილი

„12 წელი გათხოვილი ვიყავი, თავი უბედნიერესი ქალი მეგონა, რადგან ქმარს ვუყვარდი და ვამაყობდი ამით. გათხოვებიდან ერთი წლის მერე, ჩემი მეუღლე დაიჭირეს. მას 10 წელი ველოდე, ბავშვი მამასთან თითქმის ყოველ კვირას მიმყავდა და რამდენიმე დღით ვრჩებოდი კოლონიაში. მე ჩაუწერე მამის სიყვარული. როცა ჩემი ქმარი ციხიდან გამოვიდა, ძველ საქმიანობას მიჰყო ხელი. არადა, მპირდებოდა, რომ ყველაფერს თავს დაანებებდა. დავიღალე სკანდალებით, ჩხუბით და გადავწყვიტე, გავშორებოდი. აღარ მჯეროდა ბედნიერების, მამაკაცის და აღარც ის მინდოდა, რომ ვინმე გამოჩენილიყო ჩემს ცხოვრებაში. კარგი სამსახური ვიშოვე, შვილს არაფერს ვაკლებ და თავს ბედნიერად ვგრძნობ. ასე გავატარე 5 წელი და აი,

„დედიკოს ბიჭი“

მარი, პირველად გწერ და ამიტომ არ მაქვს ილუზიები, რომ დამიბეჭდავ. 15 წლის ვიყავი, მე და ზურას ერთმანეთი რომ მოგვეწონა. ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით და მშობლები არაფერს გვიშლიდნენ. მალე მოწონება ნამდვილ გრძნობაში გადაიზარდა. ერთად კარგად ვგრძნობდით თავს, სიყვარულიც უამრავჯერ ამიხსნა, მაგრამ ერთი უბედურება მჭირს — არ შემიძლია, ბიჭს ვუთხრა, რომ მიყვარს, თუნდაც ვგიჟდებოდე მასზე. ის მშვიდად იტანდა ჩემს ღუმელს. ერთხელ დასასვენებლად ვიყავი, როცა მესიჯი მომივიდა — „ვიცი, გიყვარვარ და თავს რატომ იფასებო?“ ამ სიტყვებმა შემშალა. თან იმ დროს სხვა პრობლემაც მქონდა და ისეთი რამ მივწერე, რასაც დღემდე ვნანობ. პატარა ვიყავი და ვერ განვსაზღვრე, ამას რა მოჰყვებოდა. ის გამებუტა, არ მაპატიო. ახლა უკვე 19 წლის ვარ და მწარედ მახსენდება ის დღე, როცა ჩემი პირველი სიყვარული დავკარგე... მას უკვე საცოლე ჰყავს და მალე ქორწილი ექნება. თუ „გზავნილებს“ კითხულობს, მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ვწუხვარ იმ სიტყვების გამო და ბედნიერებას ვუსურვებ. მე ჯერ მისი შემცვლელი ვერ ვიპოვე.

იმედია, გამიმართლებს და მისთვის გულისტკენის გამო არ

ცუდი მოგონება

„ყველაზე ცუდ მოგონებად, ჩემი ბავშვობის ნებისმიერი დღე შემიძლია დაგისახელოთ. ის სიდუხჭირის პერიოდი აღბათ ყველას ახსოვს, როცა ტალღებით ხელში, პურის რიგში ვიდექით საათობით და ერთმანეთს ვსოცავდით. პოდა, იმ პერიოდში მამა ბაზარზე წიგნებს ყიდდა. სახლიდან ჩემი საყვარელი წიგნები გაჰქონდა და ამით არჩენდა ოჯახს. ხშირად მესიზმრებოდა, როგორ მოგვეყავს მე და დედას მთვრალი მამა, მხარზე აკიდებული ან როგორ ვექებთ მას სხვადასხვა ადგილას. დიახ, ასე იყო. ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ ის დღეები ცუდად მახსოვს. მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი. :(არა, არ ვწუწუნებ, არც თავს ვაცოდებ ვინმეს, პიროვნულად გამაძლიერა წარსულმა, მაგრამ ხანდახან, როცა ვამბობ, მე ბავშვობა არ მქონია-მეთქი, დედის განაწყენებულ, დახრილ თვალებს ვაწყებები. უსკო!“.

ერთი მოუწელი მოძრაობა და უკვე მამა ხარ.



გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი, რომელიც შემეყვარდა. მართლა შემეყვარდა, პატივს მცემს; ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ, მაფასებს, ჩემთან ყოფნა მოსწონს. ურთიერთობა ისე ავანყვეთ, რომ ბევრს შეშურდება კიდევ. ჩემი შვილის გამო გათხოვებას არ ვაპირებ და ამაზეც მორიგებული ვართ; ძმაკაცურადაც ვართ, ერთმანეთს არაფერს ვუმაღავთ. ბოლო დროს კი ვგრძნობ, რომ მატყუებს, მეუბნება, კობასთან ვარ, სიხარულო, ტელეფონი აქ არ იჭერს და თუ გამეთიშება, არ ინერვიულოო. მეორედ იყო უკვე ასეთი შემთხვევა. არ მინდა, შევამონმო და შევზღუდო; დარწმუნებული ვარ, რომ მატყუებს. თვითონ უარყოფს: შენ შემდეგ ვის შევხვდავ, გაღმერთებ, მიყვარხარო. ყველა მისმა ახლობელმა იცის ჩემი არსებობის შესახებ და მეუბნებიან, გაუმართლა, შენ რომ შეგხვდაო. ისიც ამაყობს ჩემით, მაგრამ მაინც... იქნებ გამაგებინოთ, რაშია საქმე? ნუთუ, ვცდები? ეს მანუხებს. მირჩიეთ რამე, დავიბენი“...

ლამარა

„სოფელში, ჩემი მეზობელი ლამარასთვის ცუდ მოგონებად ის დარჩა, რასაც ახლა მოგიყვებით: ერთხელ მისმა ქმარმა შესაკეთებლად ტუალეტს კარი მოხსნა. ლამარა ბაზარში იყო წასული. ცოტა ხანში, მის ქმარს კაცებმა მოაკითხეს, დავლიოთო და ისე გამოთვრა, კარი სულ გადაავიწყდა. სალამოს ლამარა რომ დაბრუნდა, პირველად ტუალეტს ეცა. ძალიან უჭირდა, მაგრამ კარი რომ არ დახვდა, გამობრუნდა და საბძელში შევარდა. ამასობაში კი გაეპარა. გაბრაზებულმა და ჩასველებულმა ქმარს უსაყვედურა, შენ გამო ჩავიფსი, ტუალეტს კარი რატომ მოხსენიო. ქმარმა კი იცით, რა უთხრა? — შე ქალო, პირი იქით გექნა და უკანალით ვინ მიხვდებოდა, მე ვიყავი თუ შენო? გერასიმე“.

ბიძაშვილების ქორწინება

„ჩემი ყველაზე ცუდი მოგონება ბიძაჩემს უკავშირდება. ბევრმა მგზავნელმა ალბათ ჩვენი, მუსლიმანთა ადათ-წესები არ იცის და ავხსნი. ჩვენთან ბიძაშვილებს შორის ქორწინება მიღებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიძაჩემი ძალიან მკაცრი კაცი იყო და ასეთი რამეების წინააღმდეგი. როდესაც დედა მამას ცოლად გაჰყვა, ბიძაჩემი გაგიჟდა, რადგან ისინი ალალი ბიძაშვილები იყვნენ. თანაც, დედაჩემი თავის ძმას არ დაეკითხა, ისე გათხოვდა. ეს ამბავი 32

წლის წინ მოხდა. ახლა, წესები ცოტათი შერბილდა. მოკლედ, ბიძაჩემი სიძეს შეურიგდა, დას — არა. სოფელში როდესაც ჩავდიოდით, ჩვენც კი არ გველაპარაკებოდა. ისეთი მკაცრი გამოხედვა ჰქონდა, მისი სულ მეშინოდა. დღემდე არ ვიცი, თითისტოლა ბავშვებს რატომ გვსჯიდა მშობლების შეცდომის გამო. ტკბილეს კი გვიყიდდა ხოლმე და ბიცოლის ხელით გვაძლევდა, მაგრამ მე ამით არ ვტყუვდებოდი. სულ მინდოდა, ჩემთვის ერთხელ მაინც გაეცა ხმა. ქალაქელ გოგოს სულ ბოსტანში ყოფნა მინდოდა. ერთხელ, ბოსტანში დავბორივალდი. ოხრახუშსა

გენდერული თანასწორობა

„მოკლედ, XXI საუკუნეა და გენდერული თანასწორობაც ზენიტშია. ქალების კდემამოსილება და სათნოება წარსულის საკუთრებად და სამუზეუმო ექსპონატად იქცა. ერთი კვირის წინ, უბნის ბიჭები „საბირუაო“ სკამზე ვისხედით. იქვე, გვერდით ეზოში მეზობლის გოგონა ლელვის ხეზე იყო ამძვრალი. თან სამურაბე ლელვს კრეფდა და თან, გულდათუთქული, უბნის უმწიფარი, მდედრი სქესის წარმომადგენელთა პიტვარადის უცვლელ პიტს მეოთხე ოქტავაზე გაჰკვირდა: „თუ აქვს ბედიი მექნებოდაა, რათ დაავიბადეე, იიი ოხვერი ნაბიჭვარი დაა, რაათ შავიიყვარეე-- რაა ტყუულაა მყვარებიაა, ან რაათ ვიტიირეე, ყველა ბიჭიი ნააგაავიაა დაა სასიიკედიილეე“— თან ბოლო სტრიქონი „ბისზე“ გამომსვლელივით ნ-ჯერ რომ გაიმეორ-ჩაახუჭუჭა, კი აგვიდულდა ბიჭებს ჯიგარი და ნერვები, მაგრამ რას ვეტყოდით იმ ლლაშს? ეგ კი არა და, სიმღერას და ლელვის კრეფას რომ მორჩა, ჩამოსვლაშიც მივხმარეთ, კალათიც ჩამოვართვით და თმაზე შერჩენილ ლელვის ფოთოლზეც, — მოიშორეო, უთხრა გიომ. იმ შეჩვენებულმა კი დოინჯი შემოიყარა, ფხები გაჩაჩხა და თეძოათამაშებულმა გამომწვევად მიახალა — მაინცდამაინც შენი წინაპარი ევასავით წინ უნდა მქონდეს აფარებული ეგ ლელვის ფოთოლი, რომ თვალი და ხელი ერთად გაგექცეს და მომაშორო, შე ბოთეო? მერე ენაც გადმოგვიგდო, დამუნჯებულ-წამონითლებულ ბიჭებს და ურჩი ციკანივით ნაბაკუნდა. კაი, ჰოო, ჩვენ კი ვიცით, მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო, მაგრამ რადგან გენდერული თანასწორობაა, ამიტომ მეზობლის ბიჭების ხელის ხლება შეიძლება? ენიგმა“.



ჩისი გაყოფაც დღეს შეიძლება, ზეგ გაყოფი. მამინ 2 თავისუფალი დღე ვქნება.

და ნიახურს ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი; ჰოოდა, ვცდილობდი, მათი გარჩევა მესწავლა. ამასობაში, ბელტს ფხები წამოვკარი და წავიქეცი. ლამაზი კაბა მეცვა და სულ „მწვანისფერი“ გახდა. დიდად არ მიდარდია, რადგან ვიცოდი, დედა არ დამსჯიდა, მე ხომ მისი ნებიერა ვიყავი. ამ

სამართლიანად განაწილებული გარმონი

„ჩემი მეუღლის ბავშვობის დროინდელი ცუდი მოგონების შესახებ მოგიხსრობთ. თურმე, მას და მის ძმას ერთი გარმონი ჰქონდათ და სულ იმაზე ჩხუბობდნენ. ორივეს ერთად უნდოდა, ეთამაშა. ერთხელ დედამისი და ბებია ძალიან რომ შელონებულან მათი ჩხუბით, აულიათ და გარმონი შუაზე გაუჭრიათ. ერთი ნაწილი ლევანს რგებია, მეორე — ალიკას. აქ დამთავრდა მათი მუსიკალური „განვითარება“. ელისო“.

დროს ბიძაჩემი დამადგა თავზე და ისე შემომხედა, ღრიალი მოვრთე. მეგონა, მწვანელები რომ გავანადგურე, იმის გამო მეჩხუბებოდა. იმას კი ეგონა, ბავშვი კაბის გამო ტირისო. უხმოდ გამეცალა. ბიცოლამ კაბა გამხადა, გამირეცხა და მითხრა, თუ ლაქები არ ამოვა, ბიძია ახალ კაბას გიყიდისო. გულში მიხაროდა, რომ ბიძას თავისებურად მაინც ვუყვარდი. წლები გადიოდა... ჩვენ სოფელში ჩავდიოდით, ბიძა კი ისევ არ გველაპარაკებოდა. ასე მიიღია 16 წელი. ბიძაჩემი მეცხვარე გახლდათ და შინ თითქმის არ იყო ხოლმე, მაგრამ როცა ჩამოდიოდა, ყველანი ძღვნით მივდიოდით მასთან იმ იმედით, რომ ჩვენ მაინც დაგველაპარაკებოდა. თუმცა, უშედეგოდ. ბოლოს მაინც შეგვირიგდა. წლებმა შეარბილა ის სიმკაცრე, რაც მას ახასიათებდა. მისი კარგად გაცნობა ვერ მოვახერხეთ, რადგან ღმერთმა თავისთან წაიყვანა. ახლა მენატრება და ვფიქრობ, ადრე რომ შეგვირიგებოდა, ხომ კარგი იქნებოდა? ყოველთვის მინდოდა, მისთვის „ბიძა“ დამეძახა, მაგრამ არასდროს დამიძახია. მეუხერხულებოდა და არ დავმალავ, მისი ბოლომდე მეშინოდა. ეს ჩემი ყველაზე ცუდი მოგონებაა, რომელსაც ვერ ვიშორებ. გრუზინკა“.

საახალწლო

„ყველაზე ცუდი მოგონება? ეს 2007 წლის 31 დეკემბრის ღამეა, როდესაც შეყვარებულთან ერთად უნდა გავპარულიყავი და ცოლად გავყოლოდი, მაგრამ რამდენიმე საათით ადრე მომწერა — „უნდა დავშორდეთ, ჩვენს ურთიერთობას გამართლება

ყოველთვის ცუდ მოგონებად დამრჩება და ყოველი ახალი წელი, ამ დღეს შემახსენებს. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერთ. იმედია, დამიბეჭდავთ. მარ, მეც მინდა „გზავნილებში“, რა?! „დედიკოს ბიჭი“ თუ წაიკითხავს, მიხვდება, ვინც ვარ. ისტერიკა“.

ექსტრემალი

„იცით, რა ბედნიერებაა, როცა ჩემს თითქმის 20-წლიან ცხოვრებას გადავხედე და ცუდი მოგონებები ძლივს გავიხსენე? ასეთი ძალიან ცოტაა. აი, ყველაზე ცუდი: ექსტრემისა და მძაფრი შეგრძნებების, ასევე ტურისტული ვოიაჟების დიდი მოყვარული ვარ. ერთხელ მთიან რეგიონს ვსტუმრობდი. შუა საუკუნეების დროინდელ ციხეზე წავედი. ნანგრევები უზარმაზარი კლდის პირზე იდგა და მასზე ასვლა გადავწყვიტე. ბოლომდე ავცოცდი. ბავშვების ხმა აღარც მესმოდა. ულამაზესმა ხედმა დამამუნჯა. თითქოს უფალთან ვიყავი ახლოს. შორს, ტყეში ჩაკარგული მონასტერი

„პედერასტი“ მამალი

„თელავის ერთ გარეუბანში ვცხოვრობდით. მეზობელს, კორპუსის აივნის ქვეშ, პატარა შემოღობილში ქათმები ჰყავდა და ყოველ დღით საქათმიდან გამოშვების წინ, დედალს თითო უსინჯავდა, კვერცხი ჰქონდა თუ არა და რომელსაც კვერცხი ჰქონდა მომდგარი, საქათმეში ტოვებდა, სხვაგან რომ არ დაედო და არ დაჰკარგვოდა. პოდა, ერთ (მისი აზრით) ახალგაზრდა ვარიას არასოდეს ჰქონდა კვერცხი და პატრონი ბრაზობდა — „გაგისმეს ტრაკი“, ეტყოდა და ლობის გარეთ გადააგდებდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა კარგა ხნის განმავლობაში. ერთ დღეს კი, როცა საქათმეში შევიდა, ეს „ვარია“ თავზე გადაახტა და დაიყვილა. თურმე მამალი ყოფილა და ის კიდევ, ყოველ ცისმარე დღეს თითს უყოფდა უკანალში. მაშ, ასე იყო ეს ამბავი. მერე მისი ქმარი გაიძახოდა, „გამიპედერასტა“ მამალიო. გავაზული“.

ყილი ევროპოპოლისოვის
გამზადებულ მინას.



შეენიშნე. უეცრად, ფეხქვეშ საუკუნოვანი ქვების რყევა ვიგრძენი და უფსკრულისკენ გადავიხარე. მხოლოდ ის გავიფიქრე, დაცემამდე პირჯვრის გადაწერას თუ მოვასწრებ-მეთქი. არ ვიცი, რა ძალამ შემაკავა, მაგრამ გადავრჩი. დღემდე მჯერა, რომ იმ ეკლესიის მადლმა გამამარჩინა, მდუმარედ რომ გადმოსცქეროდა მთებს. მერე იყო სიზმრები, ვარდნა ციდან და უმწეობის შეგრძნება. არასდროს ვიხსენებ ამას, რადგან საოცრად სუსტი ვიყავი მაშინ. თუმცა, ისევ ექსტრემალად დავრჩი. პარიჟანკა“.

საწყალი გია

„აბიტურიენტობისას ერთი ჯგუფელი მყავდა, გია. 150 სმ იყო „ნახტომში“ და სულ რაღაც 40 კგ-ს იწონიდა. ასეთი პარამეტრების მიუხედავად, საოცრად ამბიციური ვინმე იყო და ბავშვები გამუდმებით მასზე ვლადობდით. უნდა გენახათ, „უნარების“ ვებერთელა წიგნით როგორ „დასტოინად“ მოაბიჯებდა ხოლმე, ეს პატარა კაცი. ერთხელ ლექტორმა გვითხრა — უნივერსიტეტში მათემატიკური გათვლით, ერთ ადგილზე ერთ-ნახევარი კაცი მოდის და ჩაბარების დიდი შანსი გაქვთო. — აუჰ, მოვხვედრილვართ მე და გია-მეთქი, წამოვიძახე და მთელი ჯგუფი ისე ახარხარდა, ლექტორმაც ველარ შეიკავა თავი. გეფიცებით, არასოდეს დამავინწყდება გიას თვალები. მერე მითხრეს, რომ თურმე ჩვენს ერთ-ერთ ჯგუფელს ეტრფოდა. ეს მართლა უნებური შეცდომა იყო და გია, მაპატიე! ნიღბოსანი“.

ცუდი ნათესავი

„ერთი შორეული ნათესავი მყავს, რომელიც უზომოდ მიყვარდა. მის გარეშე ყოფნა არ შემეძლო. 4 წლის წინ ბათუმში

ისვენებდა დეიდასთან. მეც იქ ვსწავლობდი. ნათიას ერთი ავარდნილი ტიპი უყვარდა. არ მომწონდა და ვუშლიდი მასთან ყოფნას. ერთ დღეს რაღაცაზე ვიკამათეთ, არ ვიცი, რა ეტაკა, გაბრაზებულმა დეიდას ჩემზე უთხრა — როგორც მამაკაცს ქალი, ისე ვუყვარვარო. შოკში ჩავვარდი. მეგონა, ჩემ ირგვლივ ყველაფერი დაინგრა. იმ დღეს პირველად გავანანი

კი არა, ყველაზე უსაზიზღრესია. 4 წელი გავიდა მას მერე და რომ მახსენდება, ახლაც გული მერევა. მანესტრო“.

პატიმრის ვერხვი

„გზის“ წინა ნომერში მეტაფიზიკური მოვლენების კრებულმა — „უბრალო დამთხვევა თუ სასწაული“, ლოგიკურ ჩარჩოებს

ძმაკაცზე ნადირობა

„მე და ჩემს ძმაკაცს ძალიან გვიყვარს ნადირობა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც წილები მთის მწვერვალებს ეფერებოდნენ, ფშაფშეესურეთის ხეობაში სანადიროდ წავედით. ეს მხარე მართლაც საოცარი სილამაზით გამოირჩევა. ვისაც ნანახი აქვს, დამეთანხმება. მივედით დანიშნულ ადგილას, გავაჩერეთ მანქანა მთის ძირში. შევედით ტყეში და ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, ერთ ვინრო ადგილზე მოვექცით. გასაქცევი არსადაა, ნელ-ნელა წილიც ჩამოწვა და ჩამოხველდა. ჩვენ ორივეს მუხლები გვიცახცახებს, გზას ველარ ვაგნებთ, თოფს თოფზე ვისვრით გასამხნეველად, მაგრამ არც იმდენი ტყვია გვაქვს, რომ ყოველ წუთს ვისროლოთ. როგორც იქნა, მივაგენით გასასვლელს. ცა თითქოს გაიხსნა და გაგვინათდა გონება. მე წინ მივდივარ, ჩემი ძმაკაცი უკან მომყვება. ავდივართ ალმართზე თოფი, რა თქმა უნდა, სასროლად მზად გვაქვს ცოტა გვაკლდა მანქანამდე მისვლას, როცა ჩემს ძმაკაცს ფენი აუხსლტა და თოფიც გავარდა. თავიდან ვერ ვიგრძენი ვერაფერი, მაგრამ ცოტა ხანში აღმოვაჩინე, რომ მარჯვენა ფენიდან სისხლი მდიოდა. საფანტი მომხვდა და სისხლი ბევრი ადგილიდან მდიოდა. გიო (ძმაკაცი) არ დაიბნა, მაისური შემოიხია, ფეხზე დამახვია და საავადმყოფოშიც მიმიყვანა. ასე დამჭრა ჩემი ბავშვობის ძმაკაცმა. ამის შემდეგ, ზოოპარკშიც აღარ ვყოფილვართ, არამც თუ ტყეში. „ღამე მაკვა და არავინ იცის, რას შობს დილა“. გიო“.

მანდილოსანს მთელი ძალით სილა. სახლში რომ მივდიოდი, ყველას გიჟი ვეგონე. დებილის გამომეტყველებით, პირდაპირ შუა ქუჩაში დავდიოდი, მძლოლები ბოლო ხმაზე მიყვიროდნენ, მე კი არაფერი მესმოდა. ის დღე, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კოშმარული იყო. აი, მოგონება, რომელიც ჩემთვის ყველაზე ცუდი

გაცილებული ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც ყველა პატიმარმა და პატიმარყოფილმა იცის. ეს ამბავი დაახლოებით 25 წლის განმავლობაში ხდებოდა. ერთი კაცი, რომელიც მრავალი წლის წინ დააპატიმრეს, გასამართლების შემდგომ კოლონიაში გაამწესეს. პატიმრის ერთფეროვანი ცხოვრებით თავმოებურებულმა კაცმა კოლონიის ეზოში ვერხვის ხე დარგო და მისი მოვლით გარეთ დარჩენილ თავისუფლებას ესათუებოდა. დრო გავიდა და კაცი გათავისუფლდა. თუმცა, ბედისწერის უხილავი განაჩენით ექვს თვეში ისევ დაიჭირეს და ისევ იმავე კოლონიაში გაამწესეს. კაცმა მოუვლელობით ნახევრად




ლორეცია რაჭვიას
ამაა, მოიცდის!

დამჭკნარ ხეს უწინდებური შემართებით უერთგულა და ვერხვის ხეც უფრო გალალდა და წელში გაიმართა. როცა მეორედ გათავისუფლდა პატიმარი, ვერხვის ხეს ხელები შემოხვია, ჩაეხუტა და თვალდან წამოსული ორიოდ ცრემლით დაუღობო ქერქი. გარეთ გამოსულმა კაცმა ახალი ცხოვრება დაიწყო, ოჯახსაც მოევიდა, ეკლესიაში სიარულიც

და პირქვე მყოფ პატიმარს მთელი ძალით ზედ დაენარცხა. ორივე მეგობარი ერთ დღესა და ერთ წამს აღმოჩნდა სიკვდილის მიზიდულობის ველში. საშინელ გრუხუნზე ყველა ეზოში გამოეფინა და უცნაურმა სანახაობამ ჯერ დაამუნჯა, მერე კი მათი სიკვდილის რომანტიკული ახსნა სცადეს — ეტყობა, ხემ ვერ აიტანა ერთადერთი მეგობრის გათავისუფლება

მასწავლებლისგან სახლში გვიან მოუწია დაბრუნებამ; უკვე ღამე იყო და ჩაბნელებულ სადარბაზოს ფეხით აუყვა. მოულოდნელად, უკნიდან ვილაცამ ჩაავლო ხელი, მეორე ხელი პირზე ააფარა და ძალით დაიმორჩილა. დაბნეულმა და შეშინებულმა მარიმ ყვირილი დაიწყო და შევლას ითხოვდა. მეზობლებმა და შემდეგ უკვე პოლიციამ დააკავა გაგა. მარის მკურნალობა დასჭირდა, გადატანილის დასაავიწყებლად. გაგას კი თურმე მდიდარი მამიკო ჰყოლია და შვილი პოლიციიდან დაიხსნა. არასდროს არ ვიხსენებთ ამ ამბავს, რადგან ყველას უდიდეს ტკივილს გვაყენებს. ლორელაი“.



მარგარიტა, „ს ვეშამი“

აცრილი

„აუ, ამ კვირაში აცრებზე წაგვიყვანეს და იცით, როგორ მეშინოდა? წინასწარ ვტიროდი, თან ამხანაგები რალაც საშინელებებს მიყვებოდნენ. ნუ, შევედი კაბინეტში და ექიმს ნემსი მანამ არ გავაკეთებინე, სანამ არ დავწყნარდი. მერე დავიწყე... მკლავი ხომ არ შევიხვიო? ნანემსარი ხომ არ ამტივდება? მკვეთრად არ ვიმოძრაო? ახალი ნემსით გამიკეთეთ? ძვალზე ხომ არ მომახვედრეთ? ექიმმა მითხრა, ოღონდ ამ კაბინეტიდან გადი და შენს ხელს არაფერი უნდაო. ე.ი. არაფერი, ხომ? იმიტომ ვიყავი 2 დღე გაშეშებული და სიცხიანი?! ჰმ... (იმ ექიმზე ბიძაჩემი ამბობდა, მაგ ქალის პატარაობიდან მეშინია და ახლაც გვერდს ვუვლიო). აბეზარა“.

ჩახდილი

„კარგია საძებარი, თორემ ცუდს რა დაღვეს ამქვეყნად? ერთი კურიოზული, მაგრამ ძალიან ცუდი მოგონება მაქვს გასახსენებელი. ამ ამბავს მაგარი სირცხვილი და ტკივილი მოჰყვა. ერთი გურული კურსელი

დაიწყო, მაგრამ არც ეშმაკს ეძინა და ხელი შეუშალა კარგ ქრისტიანად მოქცევაში. მის ზნეობრივ პროგრესს ფატალური დემონური ცდუნებები დაუპირისპირა და უკვე მესამედ დაიჭირეს ჩვენი „პათოლოგიურ-ქრონიკული“ პატიმარი და ისევ იმავე კოლონიაში დაბრუნეს (მაშ, სასწაული არ არის?). კაცი პირველად 2 წლის უნახავ მეგობარ ხეს ჩაეხუტა და მას მერე აღარც მოშორებია, ხელიც არავის შეუშლია, რადგან ყველა ხედავდა, რომ ეს ხე და პატიმარი უხილავი ზემოქმედების მექანიზმით იყვნენ გადაჯაჭვულნი. ხუმრობით ამბობდნენ — ზოგს მიწის ყივილი აბრუნებს ძველ ადგილზე, ზოგი სისხლის ყივილს უსმენს, ეს კი ვერხვის ხის ყივილმა და ენერგეტიკამ დააბრუნაო. კაცი კი ამ ხის ქვეშ ჭამდა, სვამდა, ვარჯიშობდა. გამოხდა ხანი და კაცს ისევ გაუთენდა გათავისუფლების ნანატრი დღე. იმ დილით ჯერ ხეს გაუზიარა თავისი სიხარული და სინანულიც გამოხატა, განშორების გამო, მერე კი მუცლის პრესის ვარჯიში დაიწყო. უეცრად, რალაც ძალამ ხე გადატეხა

და კვლავ მარტოსულად და მუდმივ პატიმრობაში დარჩენას სიკვდილი ამჯობინაო ან ვინ გაამტყუნებს მათ, როცა ასეთი ახსნა უფრო ადვილია, ვიდრე მარადისობის ლაბირინთებში გზის გაკვლევა? ენიგმა“.

მოძალადე

„არ მინდოდა, დაბრუნება ცუდი ამბით დამეწყო, მაგრამ თემამ გამახსენა ამბავი, რომელიც ჩემს მეგობარს გადახდა თავს და გადავწყვიტე, მომეწერა. ეს ჩემთვისაც ძალიან მძიმე გასახსენებელია. მარის ერთი ცუდი ბიჭი ჰყავდა გადაკიდებული და მოსვენებას არ აძლევდა. ყველამ იცოდა, რომ მარის გაგა არ უყვარდა, მაგრამ მათ არარსებულ რომანზე ბიჭი მაინც ათასგვარ სისულელეს ლაპარაკობდა. ერთხელ მარის

ღმრ სანუკიოსი
მასწავლებლისა, მაგისტრის
ყველას მასწავლებს ყოველს.



მყავს, მაგარი „პრიკოლი“ ვინმეა. ბებია გარდაეცვალა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა? გურიაში „ექსკურსიის“ შესანიშნავი შანსი გაგვიჩნდა. ლექტორები „დავკერეთ“ და სამძიმარზე წავედით. როცა ეზოში შევედით, გოგონებმა თავი გაიგიჟეს, ჯერ ბიჭები შედითო. ჰოდა, მე, როგორც ყველაზე მაღალი, დასაკლავი ცხვარივით წინ გამიგდეს. ჩვენ წინ სხვები შევიდნენ. ერთი სიმპათიური გოგო ახლდათ, რომელიც ჩემ წინ მიდიოდა. მივდიოდი, მაგრამ სულ გვერდით ვიყურებოდი, რომ მიცვალებულისთვის თვალი არ მომეკრა. იმ გოგონას ისეთი გრძელი ქვედაბოლო ეცვა, ლამის ფეხსაცმლის ქუსლი ზედ დაედგა. ერთ მომენტში ოდნავ ჩაიმუხლა და იქვე მჯდომ ახალგაზრდა ქალს მიუსამძიმრა. მეც პაუზა გავაკეთე და თურმე იმ დროს, უნებურად, მისი ქვედაბოლოს ქობას დავადგი ფეხი. გოგონა გაიმართა, მაგრამ ვაი, იმ გამართვას; ალბათ, ჯობდა, კიდევ დიდხანს ყოფილიყო ჩამუხლული. ქვედაბოლო წამში მოსწყდა წელს და ლამის კოჭებამდე ჩამოუსრიალდა. მზით გარუჯულ კანზე აქათქათებულმა თეთრმა ბიკინიმ ყველაზე დამანგრეველი ეფექტი მოახდინა. ვაუ! საშინლად დავიბენი, გოგონა ქვედაბოლოს დასწვდა და წამში ამოინია. ბოდიშის მოხდა დავაპირე, მაგრამ აღარ დამცალდა, მობრუნდა და ისეთი „დამიკატავა“, სიმწრის ნაპერწკლები გამომცვივდა თვალებიდან. საშინელება იყო. აღარ მახსოვს, როგორ გამოვედი გარეთ — მგონი, მთელი კორპუსით უკან შემოვტრიალდი და ისე. სამაგიეროდ, სამი საათი იმ გოგოს თითების ანაბეჭდი არ მომშორებია სახიდან და მთელი ორი თვე კურსელების ლადაობას ვეღარ ავუდიოდი. ახლაც რომ მახსენდება,

სიმწრით სახე მენვის ხოლმე. მავსტრო“.

თავისუფალი ვარდნა

„ეს საშინელი დღე იყო. მოვდიოდი უნივერსიტეტიდან, ქვეყანა ჩემი მეგონა და უცებ, კიბეზე ისეთი თავისუფალი ვარდნა და დაშვება განვახორციელე, ალბათ, გამოცდილ პარაშუტისტს შეშურდებოდა. თან, ბედი არ გინდა? შესვენება იყო და ბევრი ხალხი ირეოდა. 10 მეტრი სიგრძის კიბე თავით რომ ჩავწმინდე, ვილაც ღვთისნიერმა ძლივს „ამფხიკა“. ღმერთო, როგორ შემრცხვა! და იცით, რა რეაქცია მქონდა? ავდექი და გაღიმებულმა დავტოვე შემთხვევის ადგილი. აბა, რა მექნა? მარი-მარი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.

„ქუთაისი მიყვარია“

„წუხელ შუალამისას ჩემი ბინის წინ ვილაც მთვრალი კაცი ყვიროდა — ქუთაისი მიყვარიაო (მიყვარსო). რომ აღარ დამაძინა, გავეხუმრები-მეთქი, ვიფიქრე და გადავძახე — ბატონო, ქუთაისი აქ აღარ ცხოვრობს, ტყუილად ნუ ყვირით-მეთქი. — ვააა, მე კიდევ აქ მახსოვდაო, გაშალა ხელები და წავიდა. ვაჰ, არ დავისვენე?! რა მექნა, აბა, მეძინებოდა და... ეშმაკუნა“.

„მთელი ჩემი ბავშვობა ცუდი მოგონებაა და მეტი არაფერი. მამას სულ მიტოვებული ვყავდი; დედას ოჯახის წევრები (დედამთილი, მამამთილი და მამლები) სულ ამცირებდნენ და ატირებდნენ. ამას საოცრად განვიცდიდი. ბევრჯერ ღამით ატირებულ დედაჩემს მძინარე ავუყენებოდა და სიჩქარეში სახლის ჩუსტებით გავცეულვართ მის მშობლებთან. ეჰ, ვინ მოთვლის, რამდენი ცუდი დღე მახსოვს და

არც ახლა მაქვს დაღბინებული ცხოვრება, მაგრამ მართალია, რომ უთქვამთ — წუთისოფელი ზოგისთვის მამაა და ზოგისთვის მამინაცვალიო. მეი“.

„ჩემი ყველაზე ცუდი მოგონება, რომ დავფიქრდე, საავადმყოფოს და ექიმებს უკავშირდება, რადგან ჩემი დაუდევრობის გამო, 18 წლიდან, 15 მაინც იქ მაქვს გატარებული. ერთხელ, ტვინის შერყევა მივიღე და ექიმთან რომ მივედი, თირკმლებზე მიმკურნალა. შედეგად — ლეიკოციტების სრული გაქრობა მივიღე და ლამის მეც გავყვევი თან. ეს მართლა ცუდად მახსენდება, რადგან კინაღამ მოვკვდი. სოფი18“.

„ვაიმე, მარიიიი, ახლა გავრეკე... თურმე, ჩვენს „გზავნილებს“ სერიალ „ჩვენი ოფისის“ გმირები, ნატა, ლაშა, დოლჩე და მიკაც კითხულობენ ან სცენარის ავტორი. საიდან ვიცი? ახლა ვუყურე ტელევიზორში და „გზავნილებში დაბეჭდილი“ „მისტერ ჯონსონისა“ და „გაქცეული რუსის“ ზუსტი პაროდია გააკეთეს. აი, მესმის ფანობა... ხომ მაგარიია? ენიგმა“.

„სოფელში, ბებიაჩემის მეზობლად, ერთი „გაბერილი“ ქალი იყო, რომელსაც ვერ ვიტანდი. ყოველ დილით, 7 საათზე მალვიძებდა და ინდაურის საჭმელს მთხოვდა. ერთხელ, „ნასოსი“ ავიღე და ინდაურს ჩავუსაფრდი. მივეპარე, გავურჭვე უკან და გავბერე. საცოდავი, თავისი პატრონივით დადიოდა. მეორე დღეს კი კვილიმა გამაღვიძა. მართლა არ მინდოდა, რომ ფეხები გაეფშკა. პატრონს ცოტა დააკლდა და პანაშვიდს გადაუხდიდა. ნ.გ“.

„ცუდი მოგონება? ეჰ, გამახსენდა ახალი წლის ღამის საჩუქარი, დედინაცვლის სახით. მამის დაკარგვით გამოწვეული, 3-თვიანი დეპრესია, ჩაშავებული თვალები და ჩამძვრალი „ზმანები“. ციცქნა“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სხვისი საიდუმლო. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვად გთავაზობთ — როგორ გოგოს (ბიჭს) შევიყვარებდი?



ყველას თავისი შიშის აქვს სიყვარულზე — „შაჟი“.

დასაწყისი იხ. გვ. 16

სიუმ გამოიცნო. მილიონერი 32 წლისაა, ჰყავს ცოლი და 2 შვილი. ის იმხანად ნიუ-იორკში, ცენტრალური პარკის მეზობლედ მუშაობდა. მისი ხელფასი წელიწადში 40 ათასი დოლარი გახლდათ და სავსებით კმაყოფილი იყო ცხოვრებით. ამერიკულ ლატარიაში მოგებულ მილიონები მფლობელს მაშინვე არ გადაეცემა ის მოგებულ თანხას 20-30 წლის განმავლობაში იღებს. როდესაც უურნალისტებმა ჰკითხეს, დაანებებდა თუ არა თავს სამსახურს, ილბლიანმა მეზობლემ უპასუხა, რომ შეფს დაეკითხებოდა. არსებობს ფირმები, რომლებიც ილბლიან მილიონერებს საქმიან გარიგებას სთავაზობენ. ისინი მაშინვე იხდიან მოგებულ თანხის ნაწილს და მომგებიანი ბილეთის მფლობელნი თავად ხდებიან. ფინ სიუმ თანხის ერთიანად აღება გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ მოგებულ თანხა ამ გარიგებით 35 მილიონით შემცირდა, მეზობლემ ბედნიერად გამოიყურებოდა.

როგორც ჩანს, ნიუ-იორკში მცხოვრებ ემიგრანტებს უმართლებთ. კოლუმბიელი ხუან როდრიგესი მინისქვეშა ავტოსადგომზე, დარაჯად მუშაობდა. მისი შრომის ანაზღაურება წელიწადში 28 ათასს შეადგენდა, რაც ძვირი ქალაქისთვის საკმაოდ მცირე თანხა იყო. ამის გამო ხუანს ცოლთან

მუდამ უკმაყოფილება ჰქონდა. ქალი გაყრითაც კი ემუქრებოდა ქმარს. მათ საკმაოდ მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდათ. სახლის ქირას ვერ იხდიდნენ, ბანკის ვალმა კი 44 ათასს მიაღწია. 2004 წლის ნოემბრის ერთ საღამოს შინ მიმავალმა ხუანმა ჯიბეები მოიჩხრიკა და ერთდოლარიანი აღმოაჩინა. უკანასკნელი ერთი დოლარით ხუანმა ლატარიის ბილეთი იყიდა. წარმოიდგინეთ ამ ადამიანის მდგომარეობა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ამ ბილეთით 149 მილიონი დოლარი მოიგო. გადასახადების გადახდის შემდეგ, ხუანის მოგებამ 88 მილიონი შეადგინა. 10 დღის შემდეგ ცოლმა განქორწინება და ქონების გაყოფა მოითხოვა. მისი წილი 44 მილიონს შეადგენდა. სასამართლოში მან განაცხადა, რომ ქმრით უკმაყოფილოა, რადგან მას შეეძლო, გაცილებით მეტი თანხა მოეგო.

ლარი როსმა ჰოთ-დოგის ყიდვა გადაწყვიტა. გამყიდველს 100-დოლარიანი კუპიურა გაუწოდა, მან კი უთხრა, რომ ხურდა არ ჰქონდა. წარმოიდგინეთ, ჰოთ-დოგი 2 დოლარი ღირდა, გამყიდველი კი ფულს ვერ ახურდავებდა. ლარის ჰოთ-დოგი უკვე ჩაკბეჩილი ჰქონდა, რის გამოც უკან ვერ დააბრუნებდა. მან ამის გამო პატარა სკანდალიც კი მოაწყო, მაგრამ მერე გამყიდველმა შესთავაზა, რომ 98 დოლარით ლატარიის ბილეთები შეეძინა და ლარიც დათანხმდა. სწორედ ამ გამყიდველის „ბრალი“ იყო, რომ ლარიმ ლატარიის არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი მოგება — 181 მილიონი დოლარი მოხსნა. ამის გამო ის გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ლატარია „პაუერბოლი“ ყველაზე პოპულარულია. ის 23 შტატში თამაშდება. 2002 წლის დეკემბერში ამერიკელები ნამდვილმა ფსიქოზმა შეიპყრო და ლატარიის ბილეთებზე უზარმაზარი რიგი დადგა, რადგან საახალწლოდ მოგება 280 მილიონი გამოცხადდა. ბილეთების რეკორდული რაოდენობით გაყიდვის გამო, საპრიზო ფონდი 315 მილიონამდე გაიზარდა. 26 დეკემბრის გათამაშებას მთელი ამერიკა სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალყურს. ლოტოტრონმა ბედნიერი ციფრები „ამოყარა“ — 5; 14; 16; 29; 53 და 7. ციფრების ასეთი კომბინაცია მხოლოდ ერთ ბილეთში აღმოჩნდა, რომელიც 55 წლის ჯეკ უიტაკერს ეკუთვნოდა. ის სამშენებლო კომპანიის მფლობელი გახლდათ. ჯეკმა მოგებულ თანხის ერთიანად აღება გადაწყვიტა, რის გამოც მოგების 2/3 დაკარგა და მხოლოდ 112 მილიონი ერგო. უიტაკერმა ამ თანხით რამდენიმე ეკლესია ააგო და ყოველთვისად გარკვეულ თანხას უპოვართათვის და უპატრონო ბავშვების კვებასა და განათლებაზე ხარჯავდა. ახლობლებს ძვირფას ავტომობილებსა და სახლებს ჩუქნიდა და არც საკუთარ თავს ივიწყებდა. მას გართობა უყვარდა და ფულს ხელგაშლილად ხარჯავდა. 2003 წლის ივნისში, როდესაც ის ერთ-ერთ ბარში სვამდა, მანქანიდან კეისი მოჰპარეს, რომელშიც ნახევარ მილიონზე მეტი თანხა იდო. თუმცა, კეისი მალევე იპოვეს. 2004 წლის იანვარში კი კვლავ მანქანიდან 100.000 დოლარი მოჰპარეს, რომელსაც ვერ მიაგნეს. მის წინააღმდეგ უამრავი სარჩელი შეჰქონდათ, რომ რამდენიმე ათასი დოლარი დაეცინცლათ. ქალები სექსუალური ძალადობის ბრალდებას უყენებდნენ, მამაკაცები — მკვლელობის მცდელობას. ის ყველამ შეიძულა. იმათაც კი, ვისაც ეხმარებოდა. უიტაკერმა სმა დაიწყო და ოჯახი მიატოვა. ორჯერ დაიჭირეს იარაღის უკანონო ტარების გამო. 2 წლის შემდეგ ის უფულოდ დარჩა, ბიზნესი და საქველმოქმედო ფონდი დახურა.





მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

კ
ა
ლ
ე
ბ
ი




1. ვებმაურები „გზა“ №41, მე-10 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დამიკავშირდეთ.
2. ვარ 42 წლის, ჟურნალისტი, ქალარა, სასიამოვნო გარეგნობის, ქმარს გაცილებული, უშვილო მანდილოსანი. სამეგობროდ გავიცნობდი 45 წლამდე ასაკის, ყველაფრით უზრუნველყოფილ მამაკაცს.
3. ვარ 29/176/60, სიმპათიური გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს. გასართობად თავს ნუ შეინუხებთ.
4. აქ რომ წერია — „ყურადღება!“ რატომ არ იღებთ ყურად? დამიმესიჯოს 45 წლის ზემოთ კაცმა, ვისაც შეუძლია ქალის მიხედვა და დაფასება. ვარ კარგი ქალი, სამსახურით, ბინით, მანქანით უზრუნველყოფილი.
5. მინდა გავიცნო ისეთი ადამიანი, ვინც იცის ოჯახისა და სიყვარულის ფასი. მქვია მაიკო, ვარ 25 წლის. დამირეკეთ და შევქმნათ ბედნიერი ოჯახი.
6. ვარ 22 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 28 წლამდე ასაკის, პატიოსან და ზრდილობიან ბიჭს. სასურველია, თუ სამსახურით უზრუნველყოფილი იქნება.
7. ვარ გრძელთმიანი,

- მწვანეთვალემა, თბილი და მოსიყვარულე. შემიძლია ნამდვილი სიყვარული. გამომეხმაურეთ, 24-30 წლამდე მამაკაცები. მესიჯებით არ გაგეცნობით.
8. მყავს ძალიან კარგი ბიძაშვილი, 35/165/52, პატიოსანი, სასიამოვნო გარეგნობის, მორწმუნე. ცხოვრობს ქართლის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში. მინდა შექმნას თბილი და ტკბილი ოჯახი.
 9. გავიცნობ 23-ე მესიჯის ავტორს. ვარ 20 წლის. დანარჩენი — პირადად. გაეცნობი?
 10. ვარ 40 წლის, ქვრივი, ნორმალური აღნაგობის მანდილოსანი. გავიცნობ 45-50 წლის მამაკაცს, რომელიც იმ სიცივისგან და მარტოობისგან მიხსნის, რომელიც ჩემს სულს ეპატრონება.
 11. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით! ვარ 39 წლის, გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ განქორწინებული. მინდა, ისევ ვცადო ოჯახის შექმნა. გელი.
 12. მინდა გავიცნო თეონა. ძალიან დაიტერესებული



- ვარ. პირველად ვიყიდე ჟურნალი „გზა“ და როგორ დავუკავშირდე, არ ვიცი.
13. ვარ 20/185/70, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ სიმპათიურ, თბილისელ მანდილოსანს, მხოლოდ — სერიოზულს.
 14. ვარ 31 წლის ქვრივი, ბინით, სამსახურითა და მანქანით უზრუნველყოფილი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით მსურს გავიცნო 30 წლამდე ასაკის, სერიოზული, საქმიანი მანდილოსანი.
 15. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25 წლამდე ასაკის ქალიშვილს, არამწველს, სერიოზულს.
 16. მაინტერესებს „გზა“ №42, მე-13 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
 17. ვარ 25 წლის, დასაქმებული, თბილისში მცხოვრები მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-28 წლამდე, ბინით უზრუნველყოფილ, სიმპათიურ, მეოჯახე გოგოს.
 18. მინდა, გვერდით მყავდეს სიცოცხლითა და ლამაზი სიყვარულით სავსე მანდილოსანი. ვარ თბილი და ყურადღებიანი, ქართველი მამაკაცი.
 19. ვარ 27/187/90, გავიცნობ ლამაზ ქალს, 30-40 წლამდე, ბინით უზრუნველყოფილს. დანარჩენი — მერე. ქებას ნახვა სჯობია. ლუკა.
 20. გთხოვთ მომცეთ ტელეფონის ნომერი — მე-2 ნომრის, 20 წლის, ლამაზი გარეგნობის გოგოსი და წინასწარ გიხდით დიდ მადლობას.
 21. ვებმისიანები მე-2 მესიჯის ავტორს. დამიკავშირდი. ვარ 22 წლის.
 22. გთხოვთ მომცეთ იმ ჩოხატაურელი გოგონას ტელეფონის ნომერი. გაცნობა მინდა მისი, აუცილებლად.
 23. ვარ თბილისელი, წარმოშობით — რაჭიდან. დასაქმებული, მართლმადიდებელი, 39 წლის (ზოდიაქო — ვერძი) მამაკაცი. გამოუმეხმაუროს თბილისელი, დედისერთა, 35 წლამდე ასაკის, შესაბამისი მონაცემების მქონე მანდილოსანი.
 24. ვარ 25 წლის. არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი. გამიცნობ გაცნობის მერე. მსურს გავიცნო 20 წლის ზემოთ, სერიოზული აზროვნების მანდილოსანი. როსტომი.

კ
ა
კ
ა
ბ



25. ვეძებ ყაზბეგის რაიონში, სოფელ ტყარშეთში მცხოვრებ, 34-35 წლამდე ასაკის ქეთინო ნიკლაურს. გთხოვთ, გამოემხმანურეთ. ხათუნა, თბილისიდან.

26. ვეძებ „გბი“-ს ენერგეტიკული ფაკულტეტის 1984 წლის 228-ე ჯგუფის კურსდამთავრებულებს — მ. ყურიძეს, მ. ეკსეულიძეს, დ. ბურკაძეს, ე. მურთაზაშვილს და სხვებს. გამოემხმანურეთ. ანა.

27. ვეძებ მაიას, რომელიც ათენიდან დამიკავშირდა. სამწუხაროდ, ნომერს ვერ ვიგებ. გთხოვ, მარის შენი ნომერი დაუტოვო. კახა კვიციანიძე.

სამწუხაროდ



• სამწუხაროდ, ერთგული მკითხველი არ ვარ, მაგრამ წაკითხვას ხანდახან ვახერხებ ხოლმე. 1 თვეა, ათენში ვარ და უკვე მენატრება საქართველო. ჩემს საყვარელ ხალხს მოვიკითხავ, შინდისში. მიყვარხართ ყველა. თქვენი sStrange boy.

• ბაჩოს: ცხოვრება პატარა სოფელია. გაივლი და უცებ დამთავრდება. ეს გზა ისე უნდა გაიარო, გულის ტკივილი არავის მიაყენო და თუ მაინც დასწყვიტე ვინმეს გული და თუ მაინც ვინმეს ააცრემლებ და აატირებ, იმ ცრემლის ფასი მაინც იწამე, რომელიც არ ჩანს, მაგრამ გულში ნელნელა წვეთავს.

• მოვიკითხავ კოლეგას, ლეო91-ს. მომეწონა ჟურნალისტის „10 მცნება“. განსაკუთრებით 1-ელი, მე-2 და მე-8 პუნქტები. იდეა მაქვს: მომავალი ჟურნალისტები პროფესიული საქმიანობის დაწყების წინ, ფიცს მაგ მცნებებზე რომ დებდნენ, ხომ მაგარი იქნებოდა? sweet-girl.

• იმედის ფერი გინახავს? გულში რომ სათქმელს ინახავს, წვიმის წვეთივით წმინდა ხარ, მე კი უბრალოდ,

მიყვარხარ. მარიამულ, ღმერთმა მოგცეს გამძლეობა. მე ახალი ვარ, მაგრამ ენიგმუშკას წყალობით — „გზის“ მკითხველიც. ბევრი ახალი მგზავნილი წერილების მომშლელია, მაგრამ ძველი მგზავნელები გამოასწორებენ ალბათ, ყველაფერს. მეც მინდა, რო ყველანი მოსიყვარულები იყოთ. ყველანი კარგები ხართ, განსაკუთრებით კი ენიგმა. ენიგმუშკა, გაიხარე! 5200.

• მე ამ წუთისოფელში მარტოობის ქალი ვარ, მხრებზე ფიქრის ფანტელი მაცვივა და მაცვივა, მაინც ვიტყვი უბრალოდ, ბედნიერი ქალი ვარ, კვლავ შემინდე უფალო, ყველა ცოდვა, რაც კი მაქვს. მე ამ წუთისოფელში სინანულის ქალი ვარ... მგზავნელებო, ყველანი კარგები ხართ. უბრალოდ, ერთმანეთის აზრს მეტი პატივი ეცით. ყველა იდეალური ვერ იქნება. მაია.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? კარგია, ერთი ძველი მგზავნილი დაგვიბრუნდა და იმეღია, აღარ დაიკარგება, თორემ მოუნევეს სამ კაცში თამადაობა. აბა, ცოტა აქტიურად, მეგობრებო. ლანდი.

• მოვიკითხავ დიდი სიყვარულით ახმეტაში, ჩემს უფროს ძმებს, გუას და კიქალას. ხომ კარგად ხართ, ჯიგრებო. ძან ნუ მუშაობთ, თავებს გაუფრთხილდით. მახარიჩი.

• დასანანია, ახლოს რომ არ ხარ, ძლიერ მადარდებს მე ეს სიშორე, მე მოვავშორებ ამ სივრცეს ფარდას და შენთან მოვალ, მინდა იცოდე. ეძღვნება ახმეტელ ვახო მახარიჩს.

• სიყვარულისთვის გაჩენილო, პატარა მტრედო, ოცნებისა და სიყვარულის ლამაზო გედო, აგიხდეს ყველა, რაც ინატრო, დამილოცნიხარ, დამილოცნიხარ და თან ტკბილად ჩამიკოცნიხარ. ვახოს.

• ვახუნა ფეტვიანვილს: იცი, რაზე ვფიქრობ? შენს ლამაზ თვალებზე. იცი, რა მინდა? მინდა, გაკოცო. იცი, რა მომდის? გული მეზხარება.

უშენოდ ყოფნა და სიცოცხლე მეზარება. ეთო.

• კარგებო, როგორ ხართ? ლანდო, ბოროტებამ დაისადგურა, მაგრამ ჩვენ სიკეთით უნდა ვუპასუხოთ. ისე, რა მაგის პასუხია და ლანდი რატომ დაირქვი? ბიჭო, ტროტუარზე კაცი ვერ აგიარს გვერდს და ავტობუსში ორ ადგილს იკავებ და შენ უნდა გერქვას ლანდი? ჯიგარი ხარ! ხათუ, მადლობა მოკითხვისთვის. გუ-ათენი.

• პარიჟანკა, ძალიან მენატრები, სიყვარულო. ჩემი ოცნება ხარ. ისე, მე კვირაში ორჯერ 22 საათს გიმესიჯებ, სიცოცხლევე! ჯინაობა არ იყოს, მე უფრო მიყვარხარ! გაკოცე!

• გამარჯობა, მგზავნელებო, ხომ ხართ კარგად? რატომ ჩხუბობთ? მენატრება ძველი მგზავნელების მესიჯები. სად წახვედით? ყველა მიყვარხართ. თათია.

• პასუხი ენიგმას: მე რომ ამქვეყნად დაბრუნების შანსი გამიჩნდეს/ კვლავ მიწისათვის შევინახავ, კაცს კი არ მივცემ! შინაბერა.

• მოვიკითხავ ყველამგზავნელს. ძალიან მაგრები ხართ. „გზავნილებს“ დიდი ხანია ვკითხულობ და გადავწყვიტე, მეც შემოგიერთდეთ. მზად ხართ, მიმილოთ თქვენს მრავალრიცხოვან ოჯახში? ლიმა.

• გამარჯობა, მარი-ქალო! ეს რა ამბავი აგითხვავთ „გზაში“? მე კი უფრო თბილ „გზას“ ვიცნობდი. მანდ მე არავინ მიცნობს, მე კი ყველანი მიყვარხართ. ისევ მარტოსული.

• აფშინას მინდა ვუთხრა, რომ მაგ არაჩვეულებრივი ლექსის ავტორი უნიჭიერესი ახალგაზრდა, დათო კრანაშვილია და სამწუხაროდ, ცოცხალი აღარაა. ლ.მ.

• მგზავნელებო, მაგარი საკაღელები ხართ. თუ ვინმე ხართ გურული ან სვანი, გამეცანით. ისე, ყველა მაგრები ხართ. გატოცეთ. ნეც.კა.

• დიდი ხანია, მგზავნილი ვარ ის კარგი დრო მახ-



ყო, იქვე წმინდობი ამ ხანად
ახლავ დავით ჩანგალი!

სოვს, სიკეთისა და სითბოს მეტი რომ არაფერი იკითხებოდა „გზავნილებში“. მჯერა, დრო გავა და რაც ახლა აქ ხდება, მოგონებად დარჩება. თაისი.

- მარიკუნა, რატომ დამიბრიყვე? მესიჯებს აღარ მიბეჭდავ და მაგარს მიტეხავ, მაგრამ მაინც ყველანი მიყვარხართ. ცრემლი.

- სიყვარულით მოვიკითხავ უტკებს ლუნას, მძინარა გრუზინკას, მშვენიერ უზნეო ანგელოზს, მიუნწვდომელ კამელიას, ბიძია ოლეგარიოს, ძვირფას ენიგმას. გაკოცეთ! crazy girl.

- მიყვარხარ. იცი, როგორ? ყოველწამიერად. ხარისხებისა და კოეფიციენტების გარეშე. სიტყვებისა და ქმედებების მიზანშეუწონლად. ამ სიყვარულსაც საოცარი ინტენსიურობისა და მუდმივობის თვისება აქვს. ყოველთვის ვითარდება, იზრდება, აქტიური ხდება და საშინლად ზემოქმედებს გონებაზე, რომელსაც სარტყელივით შემოჰკვრია შენზე მოგონებები და გასაქანს არ აძლევს ამინდის, დროის, გარემოებებისა და სივრცის მიუხედავად. მენატრები, ტირილამდე მენატრები და ამ ყველაფერს არ აქვს საზღვარი. არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო უშენოდ. მეშინია ამ სიტყვის. ვერ ვისწავლე უშენოდ ცხოვრება. შენი ხმა მენატრება, შენი ამბები მომაკლდა, შენი ადგილი გაიყინა ჩემში. მოდი, ნუ დამიკარგავ იმედს, რომ ხარ. კიდევ ამირჩიე, გამათბე, გამიღიმე, გიყვარდე. აღარ მიმატოვო, რადგან მე დავიღალე შენი ძებნით, ჩვენ შორის არსებული სივრცის შეგრძნებით, დროის თვლით, შენი მოლოდინით... მენატრები. შენ აღარ მისრულებ თხოვნებს, არ მიბრუნდები... ვასასი.

- მდაა... ავტორი ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ, გავითავისე ეს ყველაფერი. ყველას გაკოცეთ. ვასასი.

- როცა მოვკვდები, ნავალ იმ ქვეყნად, არ დამივიწყო, გემუდარები, ხშირად ამოდი ჩემს სამარესთან და მომიტანე თეთრი ვარდები. არ გიყვარს ნუთუ, თეთრი ვარდები?

- მე ახალი ვარ, მიმიღებთ? P.S. ყველანი ძალიან საკალელები ხართ. baiby an-gele.


- lily-20, გაიხარე მეგობარო, ლანულა, შენც წარმატე-

ბები; crazy girl, ლუნა, ნერტის, ეთო, გრუზინკა, ცირა, გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხართ. ანარქიას მოკითხვა. ენიგმა.

- მგზავრს და ლუნას მადლობა, იუბილეს მოლოცვისთვის. ლიკა ქაჯაიას ვულოცავ ქალიშვილის დაბადებას. ედელვალისო, მადლობა არ არის საჭირო. ნერტისო, კარგი ხარ

ასეთია: ე-ს ნ-იკი ი-ქნება განძის მ-აძიებლის ა-სპარეზი. ისე კი, ენიგმა იდემალების სამყაროს ნიშნავს. თქვენი აბრევიატურა როგორია? ენიგმა.

- გრუზინკა შენ რა, არ იცი, სიყვარულში მე რომ გაჯობებ? ლანირაკი ვიყო, კაის გეტყოდი! მეგრელო მგელო, უზომოდ მიხარია, რომ დაბრუნდი, დაი. კამი, მიყვარხარ!



ვეძებ ახალ ღიეგას

შენც. გრუზინკა.

- ახლებს გამარჯობა. მგელო, მიხარია შენი დაბრუნება. ბოხო, იმედია, ჩვენი „გზაში“ მიწერ-მოწერა სიკვდილამდე არ გასტანს. თუ ასეა, თავს ვიკლავ და ეს შენი ბრალია. გრუზინკა.

- კახელო, შეცდომის გამოსწორება გვიანი არასდროსაა. ბოდიშს გიხდი. ლუნა, ვინ ვის აბრაზებს, საკითხავია. სვეტა.

- კი, იასამანო, მე ექსგანძის მაძიებელი და გამავარ. გამადლობთ, ნახალისებისთვის. ათენი-27, მარის დაურეკე და ჩემს ნომერს მოგცემს. ქუთაისელო ლიკა, ღმერთმა დაგლოცოს. ენიგმა.

- ენიგმას აბრევიატურა

გკოცნით. ლუნა.

- მაფიოზ, რა გჭირს, ოპერაციას რატომ იკეთებ? გკოცნი. ვიკა, ახლა მე გეპატიუები, ოლონდ ყავაზე. ნერტისს, ედელვალისს, ეთოს, კამის, ლორეს, ენიგმას, გრუზინკას ვკოცნი. ლუნა.

- მაფიოზ, ვნუხვარ შენ გამო. ეცადე, ნერვებს არ აჰყვე. გრუზინ, გამიხარდა შენი დაბრუნება. პაკოს და ხათოს ვულოცავ პანას დაბადებას. ეთო, მიყვარხარ. გრუზინკა.

- ჰოოოდა, რა მინდოდა მეთქვა! ჩისტკოპიანი დილეტანტის გზავნილზე მაგრად ვიცინე, მაგადი იყო, რა. ჰოდა, ძველები ნელ-ნელა უკან ბრუნდებით. ეს უკვე კარგიააა! სიკვდილა.



ეს როგორ დარჩათ?!

- არ დათვრე ისე, რომ ადამიანს გული ატკინო. მგელო, მომენატრე, ბოთუკ. :) მაფიოზა, გამიხარდი. :) ლომუა, შე ზემლიაკო. :) ლეო91, ძამიკო, როგორც ყოველთვის, 5-ანი. :)გრეა, რა! :) green girl.

- მარი ჯაფარიძეს გაუმარჯოს და ედეღვას, გენაცვალეთ თქვენ. :) 9717, ძამიკო, გილოცავ დაბადების დღეს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. მეტრო, მტრედი18 და დრაგო, მიღებული ხართ. :) green girl.

- ერთი „გზაელი“ მომენატრა! აუჰ, რა გამიხარდება, 9 ნოემბერს დაბადების დღეს თუ მომილოცავს! p.s. ილინ, მიყვარხართ შენ, ლანკა, ლეო, პავლიკა, 13.07, სესი, მგელო და ყველა... ნიკოლი.

- ბელურებო, ნუთისოფლის სტუმრებს სიძულვილის დრო არ გვაქვს. მოსვლით რა მოგვაქვს, წასვილსას თან რომ წავიღოთ? მხოლოდ ღირსეულ სახელს ვტოვებთ უკვდავსაყოფად. ტირიფი73.

- ენიგმა, მე აქ არავინ მიცნობს, მარისა და პავლიკას გარდა. უბრალოდ, ვნახე „გზავნილები“ და მივხვდი, რომ მართალი იყავი და მოგწერე. შეგანუხე? ანუშკა.

- ეჰ, არავინ მელაპარაკება. ისევ გავალ აქედან და თვალს გადავწვებთ შორიდან. არ ვულოდი ასეთ დახვედრას. ანუშკა.

- ეს ძველები გაგაგდოთ ვინმემ „გზიდან“? ხომ თქვენით წახვედით? მაშ, რა თავს გვაძაღლით? აბა, თქვენ დროს იყო

გარჩევები, ხის, პირდაპირ წელი მოგწყდათ შენებით, წინაპრებო.

- ენიგმა, შენ ხარ ჩემი სუპერჰიპერსექსუალური პრინცი. შენ ხარ ჩემზე მოსაჯაჭვი ვნება და მოგაჯაჭვავ კიდეც, გიუო, აბა, დამემალე, თუ გიპოვი. გიპოვე, აიდოსტ! ნერეიდა.

- გრუზინკა და კამი, გულში მყავხართ მუდამ. მირჩევნია, მხოლოდ მათ ვწერდე, ვინც ერთგულია და არა მათ, ვინც მოვალეობის მიზნით მწერს. მე მაპატიეთ, თუ ვეღარ მოგწერთ. ლუნა.

- ეშმაკუნა, მაგაზე ბოდში, რა! ნეტავი ვინ გაძაღებთ „გზავნილების“ წაკითხვას? არ გინდათ ჩხუბი და ნუ წაიკითხავთ. დუჩი, შენ რაღა გინდა, გოგო, დაეტიეთ თქვენთვის!

- ქუთაისელ თამოს და ტირიფ73-ს დიდი მადლობა, რომ შემამჩნიეთ. ბოხოს მივწერე, განცხადებებში ვწერივარ-მეთქი და ამ ორმა ანგელოზმა მიპოვა. გრუზინკას უყვარხართ ძალიან.

- როგორ ხართ, საყვარელო ხალხო? ნერტის, გაიხარე! ედეღვას, მაგრად ვარ, გამიხარდა რომ დარჩი.

ძველების დაბრუნება გამიხარდა და ახლებს სალამი. მიყვარხართ! crazy girl.

- დაგვიანებული მადლობა გრუზინკას, ენიგმას, ლუნას, მაცეტროს, ნერტისს, crazy girls, ნომინაციებში დასახელებისთვის. ძალიან საყვარლები და ნიჭიერები ხართ. იკუშკები.

- მარიამულს: სან ბირ ი ადამსან, ჰობ თათლისან, მანიმ აშკიმიან, ნაფასსან, სანინ უჰუნ იაშიორუმ. სანი ჰობ სევიორუმ. ეს შენ მარი ჩემგან, მანაველმა კი თარგმნოს. გრუზინკა.

- სიკვდილა, დარჩენაზე ენიგმამ დამიყოლია და თქვენმა სიყვარულმა. ლუნა, მანაველო, გრუზინკა, crazy girl, ენიგმა, ნერტის და ა.შ. ძალიან მიყვარხართ ყველა. ედეღვასი.

- უკარებავ, გმადლობთ. პავლიკ, ჩემო ქმარო, მაგრად მიყვარხარ და სახლში მოსვლას ნუ აგვიანებ ხოლმე. კანიბალკა, დუჩი, ფელამუშ და კარგო ხალხო, გაიხარეთ! სესი.

- მარ, რა ჩახუტება გოგო ხარ?! როგორ უძლებ მგზავნილების მიქსერს? მარისიტა, მეგრულზე გათხოვდები? მაგრამ მერე შენი გზა გექნება და „გზას“ რა ეშველება?

- ჩემს აუხდენელ ოცნებას ვუძღვნი: ნეტავ, უშენოდ როგორ ვიყავი ან ეს სიცოცხლე როგორ დავძლიე, არ ვიცი, ჩემთან რამ მოგიყვანა, მაგრამ მოხვედი და გადამრიე.

- აქციეთ ეს სამყარო დაუვინყარ ზღაპრად, სადაც მუდამ გაზაფხული სუფევს და კვირტები აფეთქებას ცდილობენ. ფრენენ პეპლები ქრელნი და ჩიტების ჭიკჭიკი და ხალისია. მივუტევოთ შეცდომები ერთურთს. გვიყვარდეს უანგაროდ, ადამიანურად, იმ სიყვარულით, როგორითაც ღმერთმა შეგვქმნა. სასტიკი და გაუტანელი სინამდვილეც კმარა. ტირიფი73.

- გაუმარჯოს, როგორ ხართ? გრუზინკა, შენით აღფრთოვანებული ვარ, ძალიან წმინდა და ლამაზი სულის პატრონი ხარ. ნეტავ აქ ყველა



ჟრმ გძივიჯი, სჯიღან
ძიღის ძეგვიღი და
სად ძიღის თუღიღი

შენნაირი იყოს. ზესტაფონის ლამაზმანი.

შენნაირი იყოს



• მაგდა, მიყვარხარ და მენატრები. მალე ერთად ვიქნებით. ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩემო პატარავ. შენი დედიკო.


• ნონა ლომიძე, ჩემო პატარა და დინჯო მეგობარო, იცი, მაგრად მიყვარხარ.

• ლევან ვარშალომიძე, მიყვარხარ და მენატრები. გთხოვ, გამომეხმარო. იმედია, ამ დიდი სიყვარულისთვის არ დამსჯი. მე ხომ ძალიან მიყვარხარ. ვერა ბრეჟნევა.

• აგნეს, სიგიჟემდე მიყვარხარ. დავიჯერო, მიმატოვებ? რატომ აღარ მირეკავ? თამო.

• ლევან ვარშალომიძეს: იცი, უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ, იცი, უშენოდ არც ღირს სიცოცხლე, იცი, მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე, მხოლოდ და მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ.

მობილი-ზაცია



• ხობში, საყვარელ რძალს, სოფო კვიციანიას ვულოცავ იუბილეს. სიხარულს ვუსურვებ, ქმარ-შვილთან ერთად. ასევე ვულოცავ ძმისშვილის დაბადებას. გოცნი. ეკა.

• ჩემს საყვარელ დაიკოს, თონა ტაბატაძეს 21 ოქტომბერს ვულოცავ და სულ ბედნიერი ყოფილიყოს. ძალიან მენატრები, დაიკო. ანი-ტაბა.

• 25 ოქტომბერს, ამ უდიდეს დღეს ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, 9717-ს. ღმერთი გფარავდეს, უძალიან-მაგრესი ხარ. გაკოცე. უკარება.

• ლეო91-ს ვულოცავ ნანატრ სტუდენტობას. შენც ნახვედი ქუთაისიდან, ხომ? თუ ვინმე აზრიან-გონიერია, სკოლას დაამთავრებს თუ არა, გარბის დედაქალაქში. ბავშვებო, ისწავლეთ და მალე ჩამოდით რა, მოკვდა ქალაქი. თაისი.

• ათენში მყოფ ქალბატონს, ლალი ახალაძეს ვულოცავ დღევანდელ დღეს, 23 ოქტომბ-

ერს. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის. ლალი.

• 9717-ს, გრუზინკას და კახელ სალომეს იუბილეს ვულოცავ. ყველაფერს კარგს ვუსურვებ. ღმერთი გფარავდეთ. აბეზარა.

• გრუზინკას: გათენდა, ველებს დაეფინა ნათელი მზე, რამდენი დილაც დღეიდან გათენდება, იმდენი სიცოცხლე — შენ! გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ქალურ ბედნიერებას. ენიგმა.

• კახელ სალომეს, 9717-ს და უსაყვარლეს და ოქრო ადამიანს, გრუზინკას ვულოცავ დაბადების დღს. გისურვებთ უზარმაზარ სიყვარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას. crazy girl.

• ჩემს უსაყვარლეს ბიძაშვილს, თამუნა ჭილაჭიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ოქტომბერს. ლამაზ და წარმატებულ მომავალს გისურვებ, ჩემო სიცოცხლე. იკუშკები.

• გრუზინკა, დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და სიხარულით სავსე მომავალს გისურვებ. უსაყვარლესი, ულამაზესი და უნიჭიერესი ადამიანი ხარ. იკუშკები.

• 1-ელ ნოემბერს ოლეს ვულოცავ იუბილეს და სიკეთეს და ბედნიერებას ვუსურვებ. აქვე მის ქალიშვილს ვულოცავ გაბედნიერებას და ულევ სიყვარულს ვუსურვებ. გრუზინკა.

• მზიკო, ძვირფასო, გილოცავ დაბადების დღეს, 31 ოქტომბერს. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ლამაზ სიყვარულს, შენს ტკბილ ოჯახთან ერთად. გფარავდეს უფალი. მიყვარხარ.

• ჩვენო დედიკო, გილოცავთ იუბილეს, ღმერთმა გაძლება მოგცეს, ჩვენს ხელში. გვაპატიე, რომ გაბრაზებთ ხოლმე. ძალიან გვიყვარხარ. ლამაზ ცხოვრებას გისურვებთ. უჩა და ბესო.

• ვულოცავ გაბედნიერებას ლანა მიქაშავრიძეს და ქეთი უნგიაძეს. გოგონებო, ღმერთმა გაბედინროთ, თქვენს მუშაობებთან ერთად. ქორწილი არ გამომაპაროთ. მგზავრი.

• გიო, გილოცავ გაქრისტიანებას, პატარავ. სულ ბედნიერი და გახარებული მენახე, ნათლი. შენ იცი, სასახელო ვაჟკაცი გაიზარდე. მიყვარხარ და გეფერები ბევრს, სიხარულო: ედეღვანისი.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884.

თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფიზიკა კალენდარი



1-ლი ნოემბერი

ძვირფასო მამაკაცებო, თუ ქალები მიიჩნევენ, რომ თქვენი დღე არ არსებობს, შეგიძლიათ, გააპროტესტოთ!

მიხეილ გორბაჩოვის დამსახურებით, მამაკაცების დისკრიმინაციას ბოლო მოეღო და მსოფლიო საზოგადოებამ მამაკაცთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა დაიწყო.

თუმცა, არ გეგონოთ, რომ თქვენი დღე ყოველთვის პირველ ნოემბერს იქნება. ის „მცოცავი“ დღესასწაულია და ნოემბრის პირველ შაბათს აღინიშნება ხოლმე. ამ დღეს ქალბატონების ყურადღებით

დაკმაყოფილდით და ძვირად ღირებულ საჩუქრებს ნუ მოითხოვთ. მერნმუნეთ, ეს ისევ თქვენს ბიუჯეტზე აისახება.

2 ნოემბერი

გამღვიძებლის დღე

ბულგარეთში გამღვიძებლებს იმ ადამიანებს უწოდებენ, რომლებიც ქვეყნის კულტურასა და მეცნიერებას ემსახურებიან. ეს დღესასწაული საერთაშორისო გახლავთ და მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში აღნიშნავენ. ჩვენ რად გვინდა გამღვიძებელი? ახლა ზამთარი მოდის და დათვებივით დავიძინოთ. იქნებ, ერთი კარგი, ფერადი სიზმარი ვნახოთ და გაზაფხულზე ბედნიერი ღიმილით გავიღვიძოთ.



7 ნოემბერი

აქცემშპის სოციალისტური მკვლევების დღე

აი, ყველაზე მაგარი დღესასწაული, დღესასწაულებს შორის. თანაც, ოქტომბრის მაგივრად ნოემბერში აღენიშნავენ. თუმცა, ახლა რაღას აღენიშნავენ, ოქტომბრის რევოლუცია უკვე დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა. ჩვენს მეხსიერებას 7 ნოემბერი ასლა უკვე სხვა მიზეზის გამო შემორჩა. შარშანდელი დარბეული მიტინგისა და ჩვენი ტკბილ-მწარე მოგონებების სადღეგრძელო შევსვათ.





10 ნოემბერი


ახალგაზრდობის საქმისაშინისა დღე

ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე: როდის მთავრდება ახალგაზრდობა და რა იწყება ამის შემდეგ — „მონიფულობის ხანა“, „სიბერის უამი“, „სიბრძნის ეტაპი“ თუ „მარადიული ახალგაზრდობა“? ნათქვამია, გული არ ბერდებაო, ჰოდა, გაუმარჯოს მარადიულ ახალგაზრდობასა და უბერებელ გულს.

უსინათლოთა დღე


ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით 13 ნოემბერი უსინათლოთა დღედ დანესდა. თუმცა, როგორც მივხვდი, თურმე, შესაძლებელია, რომ ადამიანი ხედავდეს და მაინც უსინათლო იყოს. მხედველობა კი გარკვეული მოვლენების შემდეგ სრულად აღუდგეს. ახლა არ თქვათ, რას „ბოდილობს“, რა მხედველი და ბრმა, რის აღდგენა და თვალში სინათლის დაბრუნებაო. ახლავე ყველაფერი ნათელი გახდება: გაიხსენეთ ის პოლიტიკოსები, რომლებიც „ნაციონალებმა“ ჯერ მალალ თანამდებობებზე დანიშნეს, მერე კი ზოგი „დაიქნიეს“, ზოგიც თავისით მიხვდა, რომ წასვლის დრო იყო და ლოზუნგით — „აქედან ყველა მივდივართ ჩემთან“, ოპოზიციაში გადაბარგდნენ. ვიდრე ისინი მმართველ პარტიაში იყვნენ, „ბრმები“ იყვნენ და ვერაფერს ხედავდნენ. როცა იქიდან „აახვიეს“, მერე თვალში სინათლე დაუბრუნდათ და რასაც შიგნიდან ვერ ხედავდნენ, ყველაფერი „ოპოზიციის ბინოკლით“ დაინახეს. ჰოდა, მოდი, ამ 13 ნოემბერს იმ „ბინოკლს“ გაუმარჯოს, რომლითაც ყველაფერი კარგად ჩანს.

13 ნოემბერი



ხაჩისხის დღე

15 ნოემბერი



„კავკასიური ცარცის წრეში“ აზდაკი ამბობს — მე რასაც ვაკეთებ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებო. ლაზათიანად ვაკეთებული ხარისხიანს ნიშნავს. მახსოვს, „კომუნისტების დროს“ ხარისხის ნიშნისთვის ერთმანეთს ბრიგადები, ქარხნები, ქალაქები ებრძოდნენ და შედეგად ისეთ პროდუქციას ვიღებდით, რომელსაც დახლზე გამოჩენისაც კი რცხვენოდა. თავი დავანებოთ ძველი ამბების გახსენებას და ხარისხიანი ღვინით ლაზათიანად ვაკეთებული საქმის სადღეგრძელო შევსვათ.

მზადა სასაზღვრო მზადა



იუმორი ინდივიდუალური რამ გახლავთ და ვისაც როგორ შეუძლია, ისე ხუმრობს. საინტერესო კი ის არის, რომ ბევრ ჩვენგანს ერთნაირი, საკმაოდ სასაცილო არაერთი ჩვევა გვაქვს. ის კი, თუ საიდან გაგვიჩნდა ისინი, სრულიად გაუგებარია. მაგრამ ვინაიდან ეს ჩვევები არსებობს, ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით, რადგან ჩვენ, ვინც თქვენთვის უურნალს ვაკეთებთ და თქვენ, ვინც ჩვენს „ნამოღვანარს“ კითხულობთ, სრულიად ერთნაირები ვართ. როგორ? აბა, ნახეთ!

- ახალი ტელევიზორი ან სხვა ელექტრომონოპოლიზობა შეიძინეთ? რა დევს ყუთში, ძირითადი ნივთის გარდა? საჭირო ნაწილები... ინსტრუქცია... კიდევ? კიდევ ცულოფანის პაკეტი, რომელსაც ბუმტუკები აქვს! მათი გახეთქვა კი ადამიანებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ტვლაცტლუც! ტვლაცტლუც! როდესაც ყველა ბუმტუკი გახეთქილია, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გიპყრობს და ბუმტუკების მორიგი „ულუფის“ დასახეთქად, მზად ხარ, ახალი ნივთი შეიძინო.
- ლოგინი გაშლილია და დასანოლად ეშხადები. რას აკეთებ? სინათლეს გამორთავ და ბალიშს აუცილებლად ამოაბრუნებ. ცოტა მოგვიანებით კი საბანს ფეხებშუა მოიქცევ და ტპილად იძინებ.
- თუ მეტროთი მგზავრობა გინევს, მაშინ ფლერი და ყურსაცვალები თან უნდა იქონიო. მეტროს ვაგონში ამ ყველაფერს ჩანთიდან ან ჯიბიდან იღებ, მაგრამ აღმოაჩენ, რომ ყურსაცვალების შხურები ისეა გადახლართული ერთმანეთში, რომ მათ გამოსახსნელად საკმაო დრო დაგჭირდება. ეს გაღიზიანებს, მაგრამ როდესაც ხედავ, რომ შენი

- მეზობელიც ისევე ნვლობს, როგორც შენ, გელიმება და მშვიდდები.
- ნუ იტყვი, რომ წვენის ჭიქაში ჩადებულ საწარუბ ჩხირში არ შეგიბერავს და ბუმტუკები არ გამოგიშვია. ამას ბავშვობაში უფრო ხშირად აკეთებდი, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს არც ახლა „გამაზავ“.
- თუ მაგიდაზე „ფუმფულა“ ტორტი დევს და სტუმრებს „ელის“, შენ კი შორიახლო დგახარ და იცი, რომ ვერაფერ შეგნიშნავს, აუცილებლად აიღებ კრემს თითით და გაილოკავ. ასე ტორტის გემო წინასწარ მხოლოდ შენ გეცოდინება; დანარჩენები კი მის გაჭრამდე წერწყვის ყლაპვით მოკვდებიან.
- სამზარეულოში შესვლისას მხოლოდ მაცივარს კი არ ალებ, არამედ, საჭმელს კარადაში და თაროებზეც კი ექებ და იმედოვნებ, რომ იქ შემთხვევით რაიმე ნუგბარს წააწყდები. თუ ვერაფერს მიაგნებ, სამზარეულოდან გულდანყვეტილი გამოდიხარ და ხელს პურის ნაჭერს მაინც გამოაყოლებ.
- მალევიძარას საჭირო დროზე 5 წუთით ადრე აყენებ,

- რომ სამსახურში წასვლამდე ცოტა „დაისვენო“.
- როდესაც სამსახურში ყოფნისას ინტერნეტით მეგობარს ან საყვარელ ადამიანს ელაპარაკები, ტექსტს სწრაფად კრებ, რომ უფროსმა არ შეგნიშნოს. როდესაც წერას დაასრულებ და ეკრანს შეხედავ, აღმოაჩენ, რომ თურმე თითი caps lock-ზე დაგიჭურია და მთელი 10 წინადადება გაურკვეველი იეროგლიფებით დაგინერია.
- როდესაც კომპიუტერი „დაკვიდება“, ინყებ მუშის აქეთიქით მოძრაობას, თუმცა მშვენივრად იცი, რომ ეს პროცესს არ დააჩქარებს.
- როდესაც დროის გაგება გასურს, ჯიბიდან მობილურს ამოიღებ, დახედავ, ისევე ჯიბეში ჩაიღებ და იმ წუთშივე გავიწყდება, რომელი საათია. თუ ვინმე გკითხავს, ხელახლა უნდა დახედო.
- თუ შემთხვევით რომელიმე მარტივ, სულელურ სიმღერას ყურს მოჰკრავ, მთელი დღის განმავლობაში აგვეკიატება და ლილინებ. რატომ ხდება ასე, გაუგებარია. კიდევ უფრო გაუგებარია, რატომაც ეს მოვლენა ასეთი „მასობრივი“.
- თუ ფილაქანზე მიაბიჯებ, ცდილობ, ზოლს ფეხი არ დაადგა ან ერთი უჯრედის გამოტოვებით გადააბიჯო.
- ტუალეტში ყოფნისას კი ჰაერის გამწმენდას თუ სარეცხის ფხვნილზე წარწერას გულდასმით კითხულობ.



ადამიანები ჭალიშვილებს ჰგვანან. ყოველი ახალი ძეგლი ერთი ძეხვლით სუჯამლებათ.

აფრიკაში გაბარებული ორი წანი, „ჭრილი“ პითონი და ქართვანი როსოსის შიარ გელარჯანიძე იაპონური მოზონა

მისი სახლი მუზეუმს ჰგავს. აფრიკული ნიღბები, მტაცებლების ფიტულები, ფერწერის შედეგები და სხვადასხვა ჭვეჭნიდან ჩამოტანილი სუვენირები მათი მფლობელის საინტერესო და მრავალფეროვან წარსულზე მეტყველებს. „ქართველ ჩოხოსანთა“ უხუცესთა საბჭოს წევრი ფერდინანდ ლორთქიფანიძე 70-მდე ჭვეყანაშია ნამყოფი, 2 წელი აფრიკაში აქვს გატარებული და რამდენიმე საათი უკაცრიელ გრენლანდიაზეც მოუწია ყოფნამ...



ემა ტუხიაშვილი

— ბატონო ფერდინანდ, მახსოვს, ჩვენი პირველი შეხვედროსას ჩემი სახლის ისტორიით დაინტერესდით. ვერც თქვენს მოსახელეს შეხვედრით ხშირად და საინტერესოა — ფერდინანდი ვინ და რატომ დაგარქვათ?

— ბევრი არაფერი ვიცი ჩემი სახლის შესახებ. პატარა ვიყავი, როდესაც მამაჩემი ომში წაიყვანეს. ვიდრე ის ფრონტზე იმყოფებოდა, დედამ გადანყვიტა, მოვენათლე და ნათლობისას დამარქვეს ფერდინანდი. კარგად მახსოვს, რომ ნათლობის რიტუალის ჩასატარებლად, მღვდელი ჩემი ნათლის სახლში მოიყვანეს. ის მამაჩემის მეგობარი იყო, პეტრე ერქვა და გვარად მელიქიშვილი გახლდათ. თბილისში იშვიათად მეგულება კაცი, მეტსახელი რომ არ ჰქონდეს. ახალგაზრდობაში ტრიფონას მეძახდნენ. მაშინ ხალხში ანეკდოტად დადიოდა ერთი ამბავი — თითქოს საფრანგეთის მეფის კარზე ვინმე ტრიფონ ლორთქიფანიძე ჩასულა და ის მეფისთვის ასე წარუდგენიათ: ტრიფონ ლორდ კი-ფანიძე გეხალათო!.. მოსკოვში რომ ვცხვიკრობდი, ხუმრობით, ლორდსაც მეძახდნენ.

გვარიც შესანიშნავი გაქვთ...

— საწყალი დედაჩემი სულ მარიგებდა: შენი გვარისა და ჯიშის კვალს უნდა გაჰყვეო. 70-მდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი, როგორც ტურისტული, ასევე საქმიანი ვიზიტით. საბჭოთა კავშირის დროს, ჩემი მეგობარი, აკადემიკოსი და ცნობილი პოლიტოლოგი სერგეი კაპიტა ჯერ ჩინეთში, შემდეგ კი პაკისტანში, საბჭოთა ხელისუფლებას ელჩად ჰყავდა წარგზავნილი. ჩინეთში, საბჭოთა კავშირის საელჩოში მუშაობა მეც შემომთავაზეს. საკმაოდ მაღალი და საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო, რამაც გამაოცა კიდევ. იმ დროს ახალი დაოჯახებული ვიყავი. დედაჩემმა და სიდედრმა თითქოს პირი შეკრეს ჩემ წინააღმდეგ, მსაყვედურობდნენ: როდესაც მოკვდებით, მაშინლა ჩამოხ-

ვალ საქართველოშიო?! მოკლედ, შემოთავაზებაზე უარი მათქმევინეს. მოხდა ისე, რომ ჩინეთის ნაცვლად, სულ მალე სამსახურიდან მივლინებით აფრიკაში, გვინეაში გამგზავნეს. 1972 წელი იდგა... პროფესიით ინჟინერ-მშენებელი გახლავართ. გვინეა მდიდარია ისეთი წიაღისეულით, როგორცაა ბოქსიტი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებას აფრიკის მთავრობასთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ჯუნგლებში მოიპოვებდა ბოქსიტს, სამაგიეროდ კი გვინეაში მოაწყოდა ინფრასტრუქტურას, ააგებდა ხიდებს, გზებს, გვირაბებს... მთელი ამიერკავკასიის მაშინდელი წლიური ბიუჯეტი რომ აგელოთ, იმაზე ორჯერ მეტი დაფინანსება ჰქონდა ამ პროექტს. მხატვრული ფილმი „ტარზანი“ ხომ გინახავთ?... ნამდვილი ჯუნგლი ასეთი არ არის. ჯუნგლში 100 მეტრი რომ გაიარო, ორი საათი მაინცაა საჭირო. ნამდვილი ველური ჯუნგლი აბსოლუტურად გაუვალი ადგილია, ლიანებით დახლართული. შუაგულ ჯუნგლში გაკაფული იყო რამდენიმე შქეტრის მოცულობის მოედანი, სადაც ჩასული მოსამსახურეებისთვის აშენებული იყო: საცხოვრებელი სახლები, სასადილო, სასტუმრო, საბავშვო ბაღი. როდესაც აფრიკაში გასამგზავრებლად ვეზადებოდი, საელჩოში შესაბამისი ინსტრუქტაჟი ჩავკითხარ: ქუჩაში სამხედრო ჩექმითა და მზის სათვალით იარეთო. გვინეაში იმდენი გველია, რამდენიც ზაფხულობით თბილისში — ბუზი. გველი უმეტესად, ფეხის წვივზე კენს ადამიანს. მაგრამ არსებობს გარკვეული სახეობის კობრა, რომელიც ადამიანის დანახვისას, პირიდან შხამს იფურთხება და „ვიროშილოვსკი სტრულოკივით“, მიზანს არ აცილებს. ამ გველის შხამის წვეთიც რომ მოგხვდეს თვალში, მხედველობას დაკარგავ. ასეთ გველს თურმე ვერც ერთი მტაცებელი ვერ ეკარება.

ასეთ პირობებში ცხოვრება არ გემონოდათ?

— აფრიკაში ღია ჯიშის ტიპის ავტომობილით ვმოძრაობდი. ერთხელაც მივდივარ გზაზე და ვხედავ, ხალხია შეკრებილი.

აღმოჩნდა, რომ ვილაც პოლონელ ჟურნალისტს ავტომობილით გველისთვის გადაუვლია და შემდეგ თავისი მსხვერპლის სანახავად გადმოსულა. გველის ტანი კი გაუსრესია მანქანის საბურავს, მაგრამ ქვეწარმავლის თავი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ჟურნალისტს უკბინა. ასეთ გველს იქ „ხუთნუთიანს“ ეძახიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შხამი ადამიანს ხუთ ნუთში კლავს. მოკლედ, პოლონელმა ჟურნალისტმა ავტომობილთან მისვლაც კი ვერ მოასწრო, გველის ნაკბენისგან ადგილზევე გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ შემძრა და შემამინა კიდევ. სხვათა შორის, ჩემი მეუღლაც ჩემთან ერთად გახლდათ წამოსული აფრიკაში. ირინა პროფესიით გინეკოლოგია და იქაურ კლინიკაში ექიმად მუშაობდა. ორი ზანგი მოსამსახურე გვეყავდა მოჩენილი. ერთს კონდე ერქვა, კარგი კაცი იყო, მაგრამ მგონია, რომ იქაური ჯამში უნდა ყოფილიყო. მეორე კი — მამადუ დიდი თაღლითი იყო. გვინეა საფრანგეთის კოლონია გახლდათ, ამიტომ მოსამსახურე ზანგებს, რომლებსაც „ბოისაც“ ვეძახდით, ფრანგულად ველაპარაკებოდი. გვინეაში უამრავი რუსი ინჟინერი იყო მივლინებით ჩამოსული. უქმეებზე ერთმანეთს ვსტუმრობდით და როგორც შეგველო, ვქვიფობდით კიდევ. ერთხელ ღამით, გველმა ჩემთან მოსული სტუმარი დაკბინა. ის საცოდავი, ღამით საპირფარეოში ეზოში გავიდა, შემთხვევით გველს დააბიჯა და იქვე გარდაიცვალა... საბჭოთა ხელისუფლებისთვის მონები ვიყავით. ჩვენი სამშენებლო ობიექტიდან 700-800 კილომეტრის მოშორებით, ამერიკელი და იაპონელი მშენებლები

პერსონა

მუშაობდნენ. თავი დავანებოთ იმას, რომ ჩვენზე ათჯერ მეტი ხელფასი ჰქონდათ — ყველანაირი გველის შხამსანინალმდეგო შრატით იყვნენ აღჭურვილი. ჩვენ კი არანაირი შრატი არ გვქონდა... ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ უფრო შევშინდი და ამის შესახებ ჩემს მოსამსახურეებს შევჩივლე. დამაიმედეს: მაგ პრობლემას ჩვენ მოგიგვარებთო. ერთ დღესაც, ვხედავ, მოვიდა

მცა. ამ დროს დავინახე, რომ ჩვენ წინ ულამაზესი ავაზა დგას. იმდენად ახლოსაა მტაცებელი, რომ მის ულვაშსაც კი ვხედავ. გამოგიტყდებით, ისე შეშეშინდა, ავტომატური იარაღიც რომ მქონოდა თან, მის გამოყენებასაც ვერ შევძლებდი. კონდეს ნაჩუქარი დანის გარდა, რომელსაც ანანასის გასათელვად ვიყენებდი, სხვა იარაღი არც მქონდა. ავაზამ რამდენიმე ხანს გვიყურა,

— იქაურები ცხოველებივით ცხოვრობენ, ტიტვლები დადიან, მნიშვნელობა არა აქვს — ქალია თუ კაცი. თავიდან გაკვირვებას ვერ ვფარავდი, მაგრამ შემდეგ შევეჩვიე. ბავშვებს — გოგოსაც და ვაჟსაც — 10 წლის ასაკში ნათლობის რიტუალს უტარებენ. სპეციალური სამოსით მოსავენ; მიჰყავთ იმამთან — სულიერ მოძღვართან, ბიჭებს წინადაცვეთას უკეთებენ, გოგონებს კი ხელოვნურად აკარგვინებენ ქალწულობას. მანამ, სანამ აფრიკელი ქალი ბავშვს გააჩენს, შესანიშნავი სანახავია: ძალიან ლამაზები არიან, არაბული სახე აქვთ, უნაკლო ტანდობით გამოირჩევიან. თავზე უზარმაზარი ტვირთი ისე დააქვთ, რომ არც კი ნაბორძიკდებიან. სხვათა შორის, გვინეაში ჩემს ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ასეთი რამ მოხდა: ერთ-ერთმა ტომმა, გვინეაში გერმანიის ელჩის თანაშემწე შეჭამა. საინტერესოა, რომ ვანდალური აქტი მისდამი პატივისცემის ნიშნად ჩაიდინეს... აფრიკაში ორი წელი დავეყვი. იქ ყოფინისას კოლომ მიკბინა და მალარიია შემეყარა. საავადმყოფოში 16 დღე ვინექი და ამ ხნის განმავლობაში 20 კილოგრამი დავიკვლი.



მეორე დღეს იქაური პრესა ჩემი ფოტოებით იყო ატყვევებული

— სხვა ქვეყნებთან დაკავშირებული დაუფინყარი მოგონებებიც გაქნებათ —

— საბჭოთა რეჟიმის დროს, წინა საუკუნის 60-იან წლებში ქართული მშენებლებისა და არქიტექტორების პირველი დელეგაცია გაემგზავრა ამერიკაში. იქ მიღებული შთაბეჭდილებები დღემდე გამოიყვანა ამერიკაში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა ამ ქვეყნის ძლიერება. მახსოვს, ვაგონ-რესტორანში შევიარეთ და საპირფარეოში შევედი, ხელი რომ დამებანა. ონკანს ყველა მხრიდან ვუტრიალე, მაგრამ ვერ გავხსენი. აღმოჩნდა, რომ პირსაბანი ფოტოელემენტით იყო აღჭურვილი და ონკანისთვის მხოლოდ ხელის მიშვერა იყო საკმარისი. იმ დროს ასეთი რამ საბჭოთა ადამიანისთვის, სასწაულის ტოლფასი იყო. ამერიკაში მშენებარეობიერების დათვლიერებისას კიდევ ბევრჯერ გავოცდით. გრუნლანდიაშიც ვარ ნამყოფი. ამერიკაში მიფერინავდით და უამინ-


კონდე და ტომარას მადლევს. გავხსენი და რას ვხედავ?! შიგ უზარმაზარი პითონი ზის. კონდემ გველი ამოიყვანა და ჩვენი სახლის ჰოლში დაანწინა. გაუფითრდი, მაგრამ ზანგმა დამამშვიდა: მისი შიშით, სხვა გველები სახლს ახლოსაც არ გაეკარებიანო. როგორც ამისსნა, პითონი გველებში „ქურდად ზის“... შემდეგ შევეგუე კიდევ სამმეტრიან პითონს, იქაურ სიცხეში მასთან შეხება დიდ სიამოვნებას მგვრიდა. როდესაც საქართველოში ვბრუნდებოდით, კონდემ დაკლა ჩვენი პითონი, ხორცი თვითონ წაიღო, ტყავი კი სახსოვრად, თბილისში გამოგვატანა. ეს ტყავი ახლაც კედელზე მიკიდია.

— სხვა მტაცებლებს თუ გადაპყრიხართ ჯუნგლებში?

— ერთხელ სამშენებლო ობიექტზე რაღაც მოხდა და ღამით გამომიძახეს. მიინდა გითხრათ, რომ კლიმატური პირობების გამო, სამუშაო პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა. გვინეაში ისეთი მალალი ტემპერატურაა, ბეტონის ნაკადის შეჩერება არ შეიძლება. მივედი ობიექტზე და რას ვხედავ?! ვიღაც ადგილობრივი მუშა ბაყაყის ამოსაყვანად, ბეტონმრეველი ჩამძვრალა! ღილაკზე ერთი დაჭერა საკმარისი იყო, რომ კაცს უკვე ვეღარაფერი გადაარჩენდა. გაოცებული დაფრჩი აფრიკელის ჰუმანურობით... მე და ჩემი მოსამსახურე კონდე იქიდან სახლში ჯუნგლების გავლით დავბრუნდით. მოგეხსენებათ, გვინეა ეკვატორთან ახლოს მდებარეობს, ამიტომ იქ არც აისია და არც დაისი. მზე უცებ ამოდის და ასევე უცებ ჩადის. მოვდივართ მე და კონდე და უეცრად ჩემმა თანამგზავრმა ხელი წამაველო, გზის გაგრძელების უფლება აღარ მო-

შემდეგ კი მშვიდობიანად გაგვშორდა... ერთხელ მე და ჩემი მეგობარი, რუსი სამხედრო ჯუნგლებში მაიმუნების ჯოგს გადავანყვდით. სხვათა შორის, მაიმუნები ჩვენ მიერ გაკაფულ გზას იყენებდნენ გადასაადგილებლად. შიმპანზეები იყვნენ. თავში და გვერდებზე ჯოგს ენ. „ჩველები“ იცავდნენ. ადგილზე გავეშუშდით, რამდენიმე ასეული შიმპანზის წინააღმდეგ ორი კაცი რას გავანყობდით?! გადავრჩით, მაიმუნებმა არაფერი დავგიშავეს.

— აფრიკის მოსახლეობაზე რას მეტყვით? გამიკვირდა, როდესაც მათი ჰუმანურობის შესახებ მიაბზეთ, რადგან მათ შორის, კაციჭამიათა ტომებიც არიან, არა?



ბაჰონელი გოგონას გადარჩენის გამო, ოსაკის მერმა მედელი გაიმდგმა და ძალიანს საპატიო მოძღვაძელ გამომიძახა

დობის გამო, თვითმფრინავი გრენლანდიაში იძულებით დაეშვა. რამდენიმე საათი ვლოდით გამოდარებას და იქ სამხსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ... იაპონიაში მოგზაურობაზე მინდა გიამბოთ. კრუიზში იაპონიის გარშემო ჩემთან ერთად, რამდენიმე ქართველიც იყო, მათ შორის, ტელედიქტორი ლია მიქაძე. ერთ საღამოს მეგობართან ერთად, გემბანზე გავედი. უცრად წყლიდან შემზარავი ყვირილი შემოგვესმა. იაპონური არ ვიცი, ამიტომ სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ ვხედავდი და მესმოდა, რომ წყალში ვიღაც შველას ითხოვდა. არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა: ტანზე გავიხადე და წყალში გადავხტი. მივცურე წყალში მყოფთან და ვხედავ — ახალგაზრდა იაპონელ გოგონას უკვე გონება აქვს დაკარგული. ამ დროს განგაში გემზეც ატყდა და, დასახმარებლად, პროექტორებს მინათებდნენ. გოგონას ხელი მოვხვიე და გემისკენ გავცურე. მივცურავ და თან ვხვდები, რომ წინ ვერ მივიწევ. ამის გამო ავწერვიულდი, სუნთქვა ამერია, წყალი გადავყლაპე. უფრო სწორად, წყალი კი არა, სანახევროდ — ნავთობია... ოსაკაში, სადაც ჩვენი გემი იდგა, იაპონიაში სიდიდით პირველი ნავთობტერმინალია. რის ვაივავალხით მივცურე გემთან. ჯერ გოგო აიყვანეს გემბანზე, შემდეგ — მე. როგორც კი გემბანზე აღმოვჩნდი, მეც გული წამივიდა. ის გოგო კი წაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ „კაგებეს“ თანამშრომლებმა ექიმებს ჩემი წაყვანის უფლება არ მისცეს. გემზე მყოფმა სომეხმა ექიმებმა გადაამარჩინეს. ნავთობით გაოხილი ტანი კონიაკით დაშბანეს... მეორე დღეს იქაური პრესა ჩემი ფოტოე-

ბით იყო აჭრელებული, სადაც ეწერა, რომ 18 წლის იუკი ფუძივარას სიცოცხლე გადავარჩინე. 26 დღე ვიყავით ოსაკაში და შემძლია ვითხრათ, რომ ამ ხნის განმავლობაში მეფესავით ვცხოვრობდი. ყოველდღე ლიმუზინი მაკითხავდა და ოფიციალურ შეხვედრებსა და ბანკეტებზე მიყავდა. ამასთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია ტოკიოშიც გაიმართა. მასსოვს, იუკის რამდენჯერმე ჰკითხეს ჟურნალისტებმა, როგორ აღმოჩნდა ღამით ოკეანეში, მაგრამ გოგონამ ყველა კითხვა უპასუხოდ დატოვა. იაპონელი გოგონას გადარჩენის გამო, ოსაკის მერმა მედალი გადმომცა და ქალაქის საპატიო მოქალაქედ გამოაცხადა.

— როგორც ვიცი, რამდენიმე ხანს მოსკოვშიც ცხოვრობდით და იქ მყოფ ცნობილ ქართველებთან მეგობრობდით. თქვენს მეგობრებს შორის, მარშალ არჩილ გელოვანის ოჯახიცაა...

— ჩემი მეგობარი ნანა ანჯაფარიძე, არჩილ გელოვანის ვაჟის — ვიკა გელოვანის მეუღლეა. ისინი ზურაბ წერეთლის მეგობრები არიან, მე და ზურა კი ბავშვობის მეგობრები ვართ. ვიკა უადრესად განათლებული პიროვნებაა, აკადემიკოსი, ძალიან გავლენიანი პიროვნებაა რუსეთში. ზურაბთან ასეთი ჩინებული საზოგადოება ხშირად იკრიბება. სწორედ ასეთი შეხვედრების დროს გავიცანი ცნობილი რუსი ოფთალმოლოგ-ქირურგი სვიატოსლავ ფიოდოროვი. მისი სახელობის თვალის კლინიკა საყოველთაოდ არის ცნობილი... თქვენი ნებართვით, ჩემი ცხოვრების კიდევ

ერთ ეპიზოდზე მინდა, მოგიყვეთ. 1989 წლის 7 აპრილს თბილისს ინგლისიდან დელეგაცია ეწვია. რა თქმა უნდა, ამ დელეგაციას კაცი მოსკოვიდანაც გამოაყოფს. იმხანად, საქართველოს სამხატვრო ფონდის გენერალური დირექტორი ვიყავი, ამიტომ იმ ინგლისელი სტუმრის მასპინძლობა მერგო, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული ქართული მხატვრობით. მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის მონახულების შემდეგ, ინგლისელმა ქალბატონმა რუსთაველის გამზირზე გავლაც მოიხსურვა. მოგესვენებათ, რუსთაველი ხალხით იყო სავსე, ახალგაზრდებს ანთებული სანთლები ეჭირათ ხელში. სტუმარმა იქ რამდენიმე ფოტო გადაიღო. მომდევნო ღამეს თბილისში სამიწილი ტრაგედია დატრიალდა. არ ვიცი, როგორ გაიგეს, მაგრამ იმ დღესვე სახლში 9 აპრილს დაღუპულთა ახლობლებმა მომაკითხეს და მთხოვეს, ინგლისელ ქალბატონთან შემეხვედრებინა. დარწმუნებული ვიყავი, „კაგებე“ მადევენება თვალს, ამიტომ ასეთი რაღაც გავითამაშე: წინასწარ დავთქვი ადგილი, სადაც უხსოველ ლედის გავატარებდი და ჭირისუფალს ვთხოვე, იქ მოსულიყო. ეს შეხვედრა შედგა. ინგლისელმა სტუმარმა 9 აპრილის ტრაგედიის დეტალები გულისწყურით მოისმინა. ეს ქალბატონი, ინგლისის პარლამენტის მაშინდელი ვიცე-სპიკერის მეუღლე გახლდათ. ის იყო პირველი, ვინც ინგლისში დაბრუნებისას შეხვედა მაშინდელ პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეთჩერს და საქართველოში მომხდარის შესახებ უამბო...


საქართველოს საგარეო საზღვაო საზღვაო

ყველა სიასლა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველ ხუთშაბათს მიიღეთ ამომწურავი

ყველა სიასლა



დასაწყისი იხ „გზა“ №43

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გავიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საქციელი საკმაოდ ბანალური იყო, საჩუქარმა ეფექტი მოახდინა. შევატყვე, ამ ფესტივალზე მოიხიბლა. ერთხანს უხერხულად ატრიალებდა გულსაბნეულ ხელში, მერე მუჭში მოიმწყვდია, თავისი ლამაზი თვალებით შემომხედა და მითხრა:

— ხვალ, შვიდ საათზე კონცერტი გვაქვს... თუ მოხვალ, ორ ბილეთს დაგახვედრებ.

მესიამოვნა. ჯერ ერთი, შენობით მომმართა და მეორეც — დამპატიყა. ამით მიმანიშნა, რომ მისთვის უცხო აღარ ვიყავი. შევთანხმდით — შვიდის ნახევარზე თეატრის შესასვლელთან დამხვდებოდა. ის იყო, გაცილება უნდა შემეთავაზებინა, რომ მოულოდნელად ვიღაცის გამჭოლ მზერას ნაფანყდი. ნატას უკან, ათიოდ მეტრის დაშორებით, მაკა იდგა.

— კარგი, ნატალია, აბა, ხვალმდე, აუცილებლად მოვალ, — გავუღიმე სახეშეფაკლულ გოგონას და უნივერსიტეტში შევბრუნდი. მაკასკენ აღარ გამიხედავს.

— ზაზა! — დამენია მისი ხმა, სანამ მეორე სართლის კიბეს ავუსვებოდი. შევჩერდი და მოვიხედე.

— რა იყო, ძველ ნაცნობებს ვეღარ ამჩნევ? — მოახლოებულმა ხელი კიბის სახელურს ჩაავლო და ორაზროვნად ამომხედდა.

— სად იყავი? — მშრალად ვკითხე და იქვე, საფეხურზე ჩამოვჯექი.

— არ მაკოცებ? — ტონი არ შეუცვ-

ლია.

— ეს აუცილებელია? — თითები ერთმანეთში გადახვლართე და ირიბად ახედე.

— არა? რა ვიცი, როგორც გინდა. ის ვინ იყო?

— ვინ — ის? — ჩემს ხმაში გაღიზიანება გაისმა.

— ვისაც ეფანცქვალეობოდი, — მედიდური ტონით თქვა და გვერდით მომიჯდა.

— შენ არ იცნობ.

— ეგ უშენოდაც ვიცი. რა გჭირს, ბავშვებზე დაინწყე ნადირობა?

— რაზე შემატყვე, რო?

— რა ვიცი, ისეთი თვალებით უყურებდი, შემეშინდა, არ დამდნარიყავი.

— არ გინდა ეს ირონია... ამის სათქმელად დამიძახე?

— არა, იმისთვის დაგიძახე, რომ მეკითხა, სად დაიკარგე, ერთხელ რომ არ გამოჩნდი?

— საქმეები მქონდა.

— აუჰ! როდის აქეთ გამოგიჩნდა საქმეები? — ბოლო სიტყვა ხაზგასმით ნარმოთქვა და ხელები მუხლებზე შემოიჭლო.

— რა გინდა, მაკა, არ მეტყვი?

— მომენატრე, სხვა რა უნდა მინდოდეს. რატომ დამივიწყე? უკვე აღარ გაინტერესებ?

პასუხი არ გავეცი. ერთი სული მქონდა, დროზე მომეშორებინა თავიდან.

— არ გესმის, რას გეკითხები? — თავი ჩემკენ გადმოხარა და მხარზე ოდნავ შემეხო.

— ახლა არ ვარ შენს ხასიათზე, შემეშვი, — ცივად ვთქვი.

— გასაგებია. მაშინ, როცა ხასიათზე მოხვალ, დამირეკე, სალაპარაკო მაქვს, — თქვა, სწრაფად წამოდგა, მხარზე გადავიდებული ჩანთა მოიხსნა, მუხლზე მსუბუ-

ქად მომარტყა და ქუსლების პაკაკუთი გამშორდა.

მართლა გამიფუჭდა ხასიათი. რალა ახლა შემხვდა, რალა მაინცდამაინც ნატასთან მნახა. ვიცოდი, რომ დღეიდან ეჭვიანობის სცენების გამართვას დამიწყებდა, ტენის წაილებდა საყვედურებით...

მაკასთან ორი წლის ურთიერთობა მაკავშირებდა. არ მიყვარდა, მაგრამ სიმბაზია მქონდა. არც თვეი მთონ იყო გულგრილი ჩემ მიმართ. გულგრილი კი არა, ვუყვარდი კიდეც, თუმცა ამ თემაზე საუბარს ორივენი გავუბრუნებდი. ის განათხოვარი იყო, ოთხი წლის შვილი ჰყავდა. მასზე სერიოზულად არასდროს მიფიქრია მაგრამ თავსაც ვერ ვანებებდი, ცოტათი მეცოდებოდა კიდეც მარტოხელა დედა. როგორც საყვარელი, „მონოდების სიმალღებზე“ იდგა. იცოდა, ჩემი ცოლობის შანსი ნაკლებად ჰქონდა, თუმცა იმედს არ კარგავდა, ცდილობდა, ყველანაირად გვერდში დამდგომოდა. მზრუნველობას არ მაკლებდა, ხშირად ხელსაც მიმართავდა იმის შიშით, რომ არ მიმეტოვებინა. მეც ვსარგებლობდი მისი

კეთილგანწყობილებით. მით უმეტეს, იმ პერიოდში სერიოზულად არავისზე ვფიქრობდი. არც შეყვარებული ვიყავი და არც დიდად გატაცებული სხვა ქალებით. მას კარგად ჰქონდა შესწავლილი ჩემი ბუნება. იცოდა, იოლად ვერ ჩამიჭერდა, ამიტომაც ჩემი თავისუფლების შეზღუდვას არ ცდილობდა. ჭორიკანების გამოისობით, ყოველთვის საქმის კურსში იყო — როდის ვის ვხვდებოდი, ვისთან ერთად ან სად ვიყავი და ასე შემდეგ. როცა მორიგი ხანმოკლე რომანის შესახებ შეიტყობდა, საყვედურებით ამავსებდა, ტირილით დაიოსებდა თვალბს, მაგრამ მერე ისევ მირიგდებოდა. ერთი პერიოდი ეცადა, „მძაქალის“ როლიც ეთამაშა, რჩევებს მაძლევდა „ჩემი ქალების“ შესახებ, ზოგს მიწონებდა და ზოგსაც მიწუნებდა, მაგრამ ვხვდებოდი, რა ეშმაკობასაც მიმართავდა ამ უესტით და ბოლომდე გულახდილი მასთან არასდროს ვყოფილვარ. ქალი ვერაგი არსებობს, კატის ბუნება აქვს. ერთ ნამს რომ ახლოს მივიშვებს და მოგვალერსება, მეორე ნამს დაუფიქრებლად გამოაჩენს ბრწყყალებს... სწორედ ამ ბრწყყალების გამოჩენას ვერიდებოდი.

ახლა კი... ახლა სიტუაცია შეიცვალა. მას შემდეგ, რაც ნატა გავიცანი, ქალის ხსენებაც არ მინდოდა, ვერავის ვამჩნევდი ჩემ ირგვლივ. ხანდახან მიკვირდა კიდეც, როგორ მომწუსხა ამ პატარა გოგომ-მეთქი?! იმხელა ხიბლი მოდიოდა მისგან, თავს ვეღარ ვეროდი. სწორედ ეს იყო პირველი მიზეზი, რომ ამწუთას მაკას მიმართაც დაკვარე ინტერესი, თუმცა... მისი მიტოვება არც მიფიქრია. ის ჯერ კიდევ მჭირდებოდა...

რას იზამ, ასეთი ცუდი ვიყავი.

შვიდის ნახევარზე სალაროსთან დაე-

ყუყუდე. თადარიგი წინასწარ დავიჭირე და მამაჩემს მანქანა ვთხოვე, — მჭირდება-მეთქი. როგორც ყოველთვის, უარი არც ახლა უთქვამს, ოღონდ მკაცრად გამაფრთხილა, მთელი ღამით ნუ დაიკარგები. თერთმეტისთვის შინ გეყოლება-მეთქი, შევირდი. მე მხოლოდ ნატას სახლამდე მიყვანა მინდოდა, სხვა არაფერი, ძმაცვებთან ღრეობას და ღამის გათევას არც ვაპირებდი.

ათი წუთი მაინც დამჭირდა ლოდინი, სანამ ნატა გამოვიდოდა. სიმართლე გითხრათ, ბილეთი სულაც არ მჭირდებოდა, ისედაც იოლად მოვხვედებოდი კონცერტზე, მაგრამ მისთვის მინდოდა, შესაძლებლობა; მსურდა, ეგრძნო, რომ რალაცამი დამეხმარა.

აჩქარებული ნაბიჯებით გამოვიდა გარეთ, „აჭარულის“ საცეკვაო კაბა ცალი ხელით აენია, ფეხებში რომ არ გაჰბლანდოდა, მეორე ხელით კი ორი ბილეთი მოჰქონდა.

— უფრო ადრე ვერ მოვასწარი გამოსვლა, დიდხანს მელოდი? — აქოშინებულმა მკითხა.

— არა, ეს წუთია, მოვედი, — მოვატყუე და მოახლოებულს ლოყაზე ვაკოცე. შეცბა. უცნაური მოძრაობა გააკეთა, თავი დახარა და მარცხენა ხელის ზურგი ლოყაზე ისეთი ჟესტით აიფარა, თითქოს სილა გაანწნეს და აენვაო.

— აჰა, ორი ბილეთი... — თქვა და განითლდა. — ახლახან დამიმთავრდა რეჟეტიცია, ამიტომ დამაგვიანდა.

— დიდი მადლობა, მაგრამ ორი არ მჭირდება, მარტო ვარ, — ვთქვი და კმაყოფილი იერით გავიღიმიე.

— წამოგვეყვანა ვინმე...

— ვინ, აბა? — ეშმაკურად დაესვი კითხვა. — რა ვიცი, ძმაცკი ან... ან მეგობარი გოგო... — დამფრთხალი შევლივით შემომხედა.

— მეგობარი გოგო არ მყავს, ძმაცკები კი უკვე აქ არიან და ბილეთებიც აქვთ, —

ვუთხარი ის, რაც მას ყველაზე მეტად აინტერესებდა.
— მაინც გქონდეს, მე აღარ მჭირდება.



— რატომ, მიეცი ვინმეს, დაქალს ან მეგობარ ბიჭს, — „სამაგიერო“ გადავუხადე.

— უკვე მივეცი, — მრავლისმთქმელი ღიმილით მიპასუხა, ბილეთები ხელში მომაჩვენა და გაიქცა.

ესეც შენ, ზაზა! ხომ მიიღე ის, რასაც იმსახურებდი. გაეცინა. ბილეთები გაშლილ ხელისგულზე დავიწყებულე და ირგვლივ მიმოვიხედე, იქნებ უბილეთო ნაცნობი დამენახა ვინმე. როცა დავრწმუნდი, რომ ასეთი არავინ იყო, შენობაში შევედი, კართან მდგარ თომას ბილეთები მივაჩქე და გავიარე.

— მოიცა, ზაზა, მოვახედე და დაგიბრუნებ, — მომაძახა თომამ, მაგრამ ხელი აუქნიე — არ მჭირდება-მეთქი, და უკანა გასასვლელისკენ გავუშურე, სადაც ლოყები იყო განლაგებული. მამაჩემს გამოისობით, იქ ჩემთვის

ადგილი ყოველთვის მოინახებოდა...

კონცერტი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო და საათზე მეტხანს გაგრძელდა. თენგოს ანსამბლი მეოთხე ნომრად გამოვიდა. ცეცხლოვანმა „აჭარულმა“ დარბაზი აიყოლია. მოცეკვავეებს შორის თვალებით ნატას დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერ შევაძინე. მივხვდი, რომ სოლოს ცეკვავდა. აი, ისიც! ბოშა ქალივით გამოფრინდა სცენაზე და... ცეცხლი დააფრქვია! სულ სხვა ენერგია მოდიოდა მისგან, სულ სხვა სიამოვნება! არაჩვეულებრივად ცეკვავდა. აქეთ-იქიდან აღტაცების შეძახილები და სტვენა გაისმა... აპლოდისმენტებმა დარბაზი დაანგრია. ის იმსახურებდა ამას. ტაში არ დამიკრავს, არც ხმა ამომიღია, ვიჯექი ჩემთვის ჩუმად, სავარძელში გემრიელად მოკალათებული, კეფაზე ხელებშემოქცობილი და სანახაობით ერთიანად დამტკბარი ვიღიმოდი. ვგრძნობდი, ამწუთას იგი ჩემთვის ცეკვავდა...

ათის ნახევარი ხდებოდა, კონცერტი რომ დამთავრდა. ლოყიდან გამოვედი და გასახდელისკენ გავუშურე, რათა ნატა მენახა. ასეთ დროს ალბათ ყველაზე უპრიანი ყვავილები იქნებოდა, მაგრამ მე არ მივეკუთვნებოდი თავყანისმცემელთა იმ კატეგორიას, ქალის გულის მოგებას თაიგულელებით რომ ცდილობს. ჩემი მთავარი იარაღი უთაიგული ხელები და მონუსხველი მზერა იყო ყოველთვის.

მოულოდნელად, გოგონების გასახდელთან სეიფას მოგკარი თვალი — ვახო ბახტაძეს, კანონიერ ქურდს, რომელიც სულ რამდენიმე თვეა, რაც რუსეთიდან გადმოიხვეწა. როგორც ამბობდნენ, მას ცამეტი ბანკი ჰქონდა გატანილი, ამდენივე სეიფი — გაძარცვული და ამიტომაც შეარქვეს მეტსახელად სეიფა. მას მთელი რუსეთის სისხლის სამართლის სამძებრო ეძებდა, ამიტომაც გამოიქცა საქართველოში და, მიუხედავად იმისა, რომ თბილისელი იყო, აქ, მამიდასთან აფარებდა თავს, რომ არ დაეჭირათ. თუმცა, მეექვსეა, ძებნაში ყოფილიყო, თორემ მთელმა ქალაქმა იცოდა, ვინც იყო და რომ მოენდომებინათ, სამართალდამცველებს მისი დაპატიმრება არ გაუჭირდებოდათ. შეიძლება, სულაც იმიტომ არ აკავედნენ, რომ ვახო საქართველოში „საქმეში არ გადიოდა“, არც თვითონ იტკივებდა თავს და არც მილიციას უქმნიდა ზედმეტ პრობლემას. ან კი რაში სჭირდებოდა, როცა ისედაც შემოსდიოდა წილი რუსეთიდან. სულ რომ არ გაენძრია ხელი, ფული მაინც არ მოაკლდებოდა.

— კატურ კაცს გაუმარჯოს! — მომესალმა და ხელი მძღავრად ჩამომართვა.

— რას შერები, როგორ ხარ? — მოვიკითხე, თან გულისყური მოცეკვავებისკენ მქონდა.

— არ მკითხო, ჩემო ზაზა, დამშოკა იმ გოგომ, გადამრია. ეს რა ვნახე, ეს რას ვუყურე! ესნებოდი კონცერტს? — აღფრთოვანებით ლაპარაკობდა სეიფა. სუნთქვა გამიჩერდა. რა მიხედვრა უნ-



გაომსახელოება ვალიტრა L
დეტექტიური შანრის მოყვარულთათვის



იდუმალებით
მოცული
საქმეების
საინტერესო
დეტალები
2 წიგნად

რომანი

დოდა, ნატაზე ლაპარაკობდა.

— კი, ვესწრებოდი, — დახშული ხმით ამოვთქვი.

— იცნობ მაგ გოგოს?

— არა, არ ვიცნობ.

— მოკვდები, რომ არ გავიცნო. საინტერესოა, ვისი შვილია? — თითქოს თავის ფიქრებს გაეპასუხა.

— არც ეგ ვიცი. კარგი, ნავედი, — ნაძალადევად გაუღიმე და თენგოს ოთახისკენ გავეშარეთ. თუ ვინმე მიშველიდა ახლა, მხოლოდ თენგო.

კარი შევადე და თვალებით ვანიშნე მეგობარს, გამოდი-მეთქი. წარმატებისგან თავებრუნდახვეულს სახე გაპრწყინებოდა.

— ნახე, რა ვქენით? ხომ მაგარი ანსამბლი მყავს? — ალტაცებული ლამის გაყვიროდა.

— ვნახე, ვნახე, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია. შენი დახმარება მჭირდება, — ვუთხარი და ბნელი კუთხისკენ წავათრიე.

— რა იყო, მოხდა რამე? ფული ხომ არ გჭირდება?

— არა, რა ფული... მოკლედ... ის გოგო უნდა გამოიყვანო როგორმე და მამაჩემის მანქანაში ჩასვა, გასაგებია? — სწრაფად ვლაპარაკობდი, რადგან დრო არ ითმენდა.

— ვინ გოგო? — გაოცდა თენგო.

— ნატაზე გუბნები. იქ სეიფა არის ჩასაფრებული, უნდა გავიცნო. ხომ გესმის, ეს რასაც ნიშნავს. მაგის ხელში ჩავარდნა...

— გასაგებია, ახლავე მოვავარებე მაგ საქმეს, — აჩქარდა თენგო.

— მოიფიქრე რამე, ოღონდ მე არ გამომაჩინო, გესმის? აჰა, გამომართვი, — და მანქანის გასაღები ხელში მივაჩქე.

— შენ რა შუაში ხარ, მე ვიცი, რასაც ვიზამ, ნუ ნერვიულობ, ნაი და გარეთ დამელოდე, — დამამშვიდა და გავარდა.

კიბის ქვეშ დავდექი და შორიდან დავუნწე სეიფას თვალთვალი. მას ტყავის ქურთუკის საყელო აენია და ჯიბეებში ხელუბჩანყობილი, გასახდელის წინ ბოლთას სცემდა. ამ დროს თენგო გამოჩნდა. მან გვერდი აუარა ვახოს, კარი შეაღო და ხმამაღლა დაიძახა.

— ნატა, დროზე გამოდი, შენ გელოდები!

ოთახიდან გოგონების წიოკი მოისმა. ალბათ ფორმებს იცვლიდნენ და სწორედ მაშინ შეიხედა მათთან ქორეოგრაფმა.

— დროზე, დროზე, — მიაძახა თენგომ და კარი მოხურა.

— შენ ამათი მასწავლებელი ხარ?

— სეიფა უდიერად წინ აესვეტა თენგოს.

— დიახ... რა გაინტერესებთ?

— მე... ვახო ვარ... სეიფა, გაგიგონია ალბათ...

— ა-ა-ა! კი, როგორ არა.

— ის გოგო... უნდა გამაცნო, ძმაო.

ერთიანად დავიძახე. მათთან ახლოს ვიდექი, ამიტომ სიტყვები გარკვევით მესმოდა.

— გოგო? რომელი გოგო? — არაჩვეულებრივად თამაშობდა ჩემი მეგობარი თავის როლს, გულში შევაქე კიდეც.

— აი ის, ნატა, — თავი გაიქნია სეიფამ.

— მაპატიეთ, მაგრამ გარეთ მშობლები ელოდებიან. თან... მეგობრის შვილია, მე ნუ გამრევთ ამ საქმეში, ხომ გესმით...

ამ დროს კარი გაიღო და წითელქურთუკიანი და თმაგაშლილი ნატა ზღურბლზე გამოჩნდა.

— მომაკითხეს, თენგო მასწავლებელს გელოდები?

— მო, ნავედი, — თენგომ ხელი ჩაავლო ნატას და უკანმოუხედავად გაიტაცა.

მეც ეგ მინდოდა. საძალადევიდან დინჯად გამოვედი, ვახოს შეუქმნველად ავუარე გვერდი და როგორც კი გავცდი, ფოიედან ლამის კისრისტენით გავვარდი.

ნატა უკვე მანქანაში იჯდა.

— ჯიგარი ხარ, — თენგოს მხარზე დაგვარი ხელი, გასაღები გამოვართვი და სალონში შევხტი.

— აბა, შენ იცი, ბავშვი უნებლად მიმიყვანე სახლში, იცოდეს! — მომამახა თენგომ და ხელი დამიქნია.

— სასწაულად ცეკვავედი, ყოჩაღ! — შევაქე, როცა მანქანა დავექოქე.

— გმადლობ, — ჩუმად ჩაილაპარაკა და განზე გაიხედა.

რამდენიმე წუთი უსიტყვოდ ვიარეთ. ნატა დაძაბული წინ იყურებოდა, ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემკენ.

— ხომ არ შეგაშინე? — ვკითხე ბოლოს.

— არა, — ჩუმად ჩაილაპარაკა.

— იქ ერთ ვილაცას უნდოდა შენი გაცნობა, მე კი...

— ვის? — გამანყვევინა.

— არის ერთი, არცთუ სასიამოვნო ადამიანი. ამიტომ თენგოს ვთხოვე დახმარება.

პასუხი არ გაუცია. არ ვიცი, რა იფიქრა,



მაგრამ იმწუთას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა წარმოდგენა შეეძენებოდა ჩემზე მთავარი იყო, რომ დროებით მაინც ავარიდე მოსალოდნელ საფრთხეს. ვიცოდი სეიფას ამბავი. თუ იგი რომელიმე გოგოს თვალს დაადგამდა, ხელიდან არ გაუშვებ-

და. ჯერ არ ჩამოსულა და ნატასანირი უკვე იმდენი გააუბედურა, თვლა არ ჰქონდა.

— ბებიჩემი ალბათ უკვე მეძებს, — თქვა უცებ ნატამ.

— გეძებს? რატომ?

— ძალიან დამაგვიანდა, ვუთხარი, ცხრის ნახევარზე სახლში ვიქნები-მეთქი. რა ვიცოდი, კონცერტი ასე გვიან თუ დამთავრდებოდა?

— გვიან დაინყო და იმიტომ.

— აქ შეუხვიე, — თითი მარცხნივ გაიშვირა ნატამ.

— ცოტა ხნით რომ გავისეირნოთ, არ შეგიძლია? — შევაპარე.

— არა, არა, ბებიას შეეშინდება, — წამოიძახა დაფეთებულმა და ხმაზე მივხვდი, რომ თვითონაც არანაკლებ შეეშინდა.

— კარგი, როგორც იტყვი. რომელ ქუჩაზე ცხოვრობ?

— გვეტაძეზე.

— ო-ო! კარგა შორს ყოფილხარ. საინტერესოა, რითი აპირებდი წასვლას?

— ფეხით. სულ ასე არ დავდივარ?

— რას მუბნები, მართლა? ამ სიშორეზე ავტობუსი ხომ დადის?

— ყოველ ნახევარ საათში, მაგრამ მხოლოდ ცხრა საათამდე. უკვე აღარ იქნება.

— არა უშავს, ავტობუსზე ადრე მაინც მიგიყვან შინ.

— დიდი მადლობა, — ჩურჩულით თქვა და მხოლოდ ახალა გამოხედა.

რა საოცარი თვალები ჰქონდა. სისხლი ამიდულდა ძარღვებში. ნეტავ, ჩემი იყოს და სახლში მიმყავდეს-მეთქი! — წავიოცნებე...

— აი, ბებიჩემი! — წამოიძახა და წინ გადაიხარა.

ავტომატურად დავამხურე და მხედველობა დავძაბე, ლამის სიბნელეში ორი ხელჯოხიანი, მოხუცი ქალი შევნიშნე, ნელა რომ მოუყვებოდა ჩაბნელებულ ქუჩას.

ნატამ ფანჯარა ჩამოსწია და თავი გარეთ გაყო.

— ბები, აქ ვარ!

მაღალმა, შავთავსაფრიანმა ქალმა სახე მოიწრდილა და ჩვენკენ მოიხედა.

— მე აქ ჩამოვალ, ზაზა, დიდი მადლობა, — მორცხვად მითხრა და კარის გაღება დააპირა.

— რას აკეთებ, გაგიყდი? შუა გზაზე ხომ არ დაგტოვებ, გოგო, დაუძახე ორივეს და ჩასვი მანქანაში, სახლამდე მიგიყვანთ! — აღვშფოთდი.

— არ მინდოდა შენი შენუხება.

— მეტჯერ აღარ გაიმეორო მსგავსი სისულელე! — დავტუქსე და თითი დაფუქნივ გაფრთხილების ნიშნად. — მიდი, დაუძახე.

— მოდი, მოდი, — პატარა ბავშვივით დაიწყლუნინა გოგონამ, მერე შეტრიალდა და უკანა კარი გააღო. მოხუცები ვიშვივით ჩახედნენ მანქანაში.

— გამარჯობა, შვილო, — მომესალმა შავთავსაფრიანი, — სად ხარ, ბებო, ამდენ ხანს? გამისკდა გული, რატომ დაგავიანდა ასე? ბოლო ავტობუსს რომ არ ჩამო-

ჰყევი, გადავირიე, ციალას შევძახე და წამოვედით ორივე.

— გვიან დაინყო, ბები, ჩემი ბრალი არ არის, — იმართლა თავი ნატამ და აციმციმებული თვალებით მე შემომხედა.

— შენ ვისი ბიჭი ხარ, გენაცვალე? — მომიბრუნდა ნატას ბები.

— ეგ, ბებო, ჩვენი ცუკვის მასწავლებელია, გვიან რომ იყო, მარტო არ გამომიშვა და წამომიყვანა. თენგი მასწ, გაიცანით, ბებიჩემი სესილია და ჩვენი მეზობელი ციალა ბებო.

სიცილს ძლივს ვიკავებდი ნატას ნათქვამზე, თენგიოდ რომ გამასალა, მაგრამ სხვა რა დამრჩენოდა, ორივეს მოწინებებით დაუუქნიე თავი და მანქანა დაეძარი.

— შენ გაიხარე, შვილო, სიკეთე, ჯანმრთელობა და ბედნიერება მოგცეს ღმერთმა. რა ვქნა, ამ ერთი შვილიშვილით ვსულდგმულობ, სხვა საზრუნავი დამავინწყა ჩემმა ვაჟმა, სანერვიულო გამიჩინა ამ სიბერეში. ობლად გაზრდილი გოგოა, ბებო, და მეცოდება. ხომ იცი, რა დროა, ასი თვალი და ყური უნდა გამოიბას კაცმა, ათასი ოხერი და ვიგინდარა დადის. ყველაფრის მუშინა. თან ისე ჩამაბარა მამამისმა, რამე რომ დეუმართოს, რად მინდა თავი ცოცხალი.

— კარგი, ბები, გყვოფა, — გამხიარულდა ნატა. დაძაბულობა მთლიანად მოეხსნა. ახლა თავი ქუდში ჰქონდა, აღარ ეშინოდა ჩემი, რადგან უკვე „თავისიანების“ გარემოცვაში იყო.

— ერთი სული მაქვს, როდის დაამთავრებს სკოლას, რომ წაიყვანოს მამამისმა. კი მეცოდება და არ მინდა, დედინაცვალთან იცხოვროს, მაგრამ რა ვქნა, სხვა გამოსავალს რომ ვერ ვხედავ?! — გააგრძელა სესილიამ. — ოლონდ ამის ჩარიცხვას მომასწროს ღმერთმა და მერე არაფერს ვინაღვლებ.

— ჩაირიცხება, ბები, ნუ ნერვიულობთ. თქვენი შვილიშვილი ისეთი ყოჩაღი გოგოა, აუცილებლად ჩაირიცხება, — გავამხნევე მოხუცი, მერე ნატას მივუბრუნდი: — ისე, მართლა, სად აპირებ ჩაბარებას?

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია. ამათ სამედიცინო უნდათ, მე კი ჰუმანიტარული საგნები უფრო მიყვარს. ვიფიქრე, ფსიქოლოგიურზე ჩავაბარებ-მეთქი, მაგრამ უარობენ, — ორი წელი გაგიცდებოა.

— ჰო, შენები არ ტყუიან, რომ იცოდენ. ფსიქოლოგიურზე ჩასაბარებლად, ორი წლის მუშაობის სტაჟია საჭირო.

— მერე რა, დავამთავრებ სკოლას, ვიმუშავე და სტაჟსაც დავაგროვებ, — თავდაჯერებით წამოიძახა გოგონამ და ამაყად გამოიმხედა.

ისევ დამწვა მისი თვალების ბრიალმა. სასიამოვნო ურუნტელმა სხეული გამოიბო.

— აგერ, აქ გააჩერე, მოვედით, — თქვა ნატამ და თეთრი ქვით განყობილ ორსართულიან აგურის სახლზე მიმითითა.

— გაიხარე, შვილო, სულ სიკეთით გველოს, გენაცვალე, დიდი მადლობა, — ლოცვალოცვით გადავიდა ბებიამ მანქანიდან. მეორე მოხუცი უსიტყვოდ მიჰყვა უკან.

— მითხარი შენი ტელეფონის ნომერი და დაგირეკავ, — ვუჩურჩულე ნატას.

თვითონაც ჩურჩულით მიკარნახა ნო-

მერი, მადლობის ნიშნად ღმირილი მაჩუქა და ისე მსუბუქად, ისეთი ლამაზი მოძრაობით გადახტა სალონიდან, თვალი ვერ მოვწყვიტე...

მამაჩემი არ ელოდა, ასე ადრე თუ მივიდოდი შინ. არაფერი უკითხავს, მაგრამ სახის გამომეტყველებაზე შევამჩნიე, რომ გაუკვირდა.

— რა იყო, ზაზაჯან, შეყვარებულმა უარი ხომ არ გითხრა? — გამამაყირა და გასაღები გამომართვა.

— ეგლა მაკლია, მამი. ხომ იცი, რა მაგარი ვარ! შენი შვილი და უარი? — მეც გავუხუმრე და სააბაზანოში შევედი.

იმ ღამესვე დაფურევე ნატას, დიდხანს ვილაპარაკეთ. ბებიჩემს მოუნონეო, — მითხრა, — ერთი ასეთი წესიერი ბიჭი შენც შეგახვედრა და ღმერთს მადლობას შევნირავედიო, — სიცილით მიყვებოდა.

ეპ, რომ სცოდნოდა ბებიამისს, ვისთან ჰქონდა მის შვილიშვილს საქმე, სიკვიდის აღარ დაელოდებოდა ალბათ, თავად მოისწრაფებდა სიცოცხლეს.

„ოლონდ კი შემიყვაროს და მისი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ, — ფიქრობდი, — გამოვსწორდები, მუშაობასაც დავინწყებ, სწავლის საქმეებსაც მოვაგვარებ, ოლონდ კი... მაგრამ ის ხომ მთლად ბავშვია, — მენინააღმდეგებოდა შინაგანი ხმა, — ის შენი ტოლი არ არის, კარგი მომავალი აქვს, ნუ გაუფუჭებ ცხოვრებას!..“

ორი ზაზა ერთმანეთს ებრძოდა. ორივეს თავ-თავისი არგუმენტი ჰქონდა. თავისთავად, ორივე მართალი იყო. ამიტომ რომელი გაიმარჯვებდა, ჯერ არ ვიცოდი.

ყოველდღე ვურეკავდი, უფრო სწორად — ყოველღამე. რამდენჯერ დავგვათენდა თავზე. ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო, თავის ასაკთან შედარებით უაღრესად განათლებული. უამრავი ლექსი და გამონათქვამი იცოდა, ღამის მსოფლიო ლიტერატურა ჰქონდა წაკითხული. არც მე ვიყავი გაუნათლებელი, მაგრამ მას მაინც ვერ შევეჯიბრებოდი. თან, ისეთი ენით და ისეთ თემებზე ლაპარაკობდა, რომ არ მცოდნოდა, ეჭვიც კი შემეპარებოდა, რომ ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლის იყო. განსაკუთრებით, სასიყვარულო თემაზე მოსწონდა საუბარი.

— სიყვარული რა არის, ზაზა? — მკითხა ერთხელაც, როცა დაფურევე.

— სიყვარული? ჩემი აზრით, ეს ჭეშმარიტებაა.

— და ჭეშმარიტება რა არის?

— ჭეშმარიტება ეს ის არის, რისი მიღებაც ჩვეულებრივი ადამიანური შეგრძნებებით შეუძლებელია. იგი ჩვენი სულის ყველაზე ღრმა კუნჭულში იმალება, ჩვენს ინსტინქტებში, რომელიც გრძნობებზე უფრო ღრმაა და რომლიდანაც იღებს სათავეს ყველაფერი ღირებული, რაც ამქვეყნად არსებობს. ამავდროულად, იგი ბოროტებასაც მოიცავს. მოკლედ რომ გითხრა, ეს არის რაღაც შინაარსის მქონე მდგომარეობა, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული ფორმა და სწორედ მისი უქონლობის

გამოა შინაარსიანი.

— მაშინ როგორ უნდა გავიგოთ, ვუყვარვართ ადამიანს თუ არა? — და მივხვდი, რატომაც წამოიწყო ამაზე ლაპარაკი.

— თუ შენთან მოდის შენთვის სასურველი მამაკაცი და, მაგალითად, გიძღვის ყვავილებს ან სხვა რაიმე ნივთს, გუებნება სასიამოვნო სიტყვებს და ასე შემდეგ, ეს შეგიძლია შეაფასო, როგორც მისი სიყვარული შენდამი, ან მისი ინტერესი შენი პიროვნების მიმართ. შესაბამისად, თავიგული თუ სხვა ნივთი ამ შემთხვევაში არის სწორედ ის ფორმა, რომლის შინაარსშიც სიყვარული იგულისხმება. მართალია?

— მართალია.

— მაგრამ მხოლოდ გარეგნული გამოხატულება არ არის საკმარისი, ადამიანის გრძნობის გულწრფელობაში რომ დარწმუნდეს. სიყვარული ხომ შინაგანი გრძნობაა, ყვავილები კი შეიძლება იმისთვისაც აჩუქონ ქალს, რომ მისგან სხვა, რაღაც მინიერი და ყოფითი მიიღონ, მაგალითად — მისი სხეული, რაც ჩვენს დროში ასე ხშირად ხდება. აბა, ერთი წამით წარმოიდგინე ვინმე დონჟუანი, რომელიც მხოლოდ იმისთვის ხარჯავს ფულს, რომ საჩუქრებით ტვინი აურიოს ქალს და ერთი ღამით დაიპყროს იგი. ამ შემთხვევაში სად არის სიყვარული? ამიტომაც სიყვარული ინტუიციურად შეიგრძნობა და აბსოლუტურად არ არის დამოკიდებული არანაირ მერკანტილურობასა ან წერილმან ნივთებზე. როცა გიყვარს, გტკივა კიდევ, გულის სიღრმეში იტანჯები, ამიტომაც არის იგი შინაგანი მდგომარეობა. სიყვარული მხოლოდ ღირსეული ადამიანების ხვედრია, ყველას კი არ შეუძლია იგი.

— გამოდის, ყველა ადამიანს არ აქვს უფლება, სიყვარულის სახელით ილაპარაკოს...

— ამაზე ვერ გიპასუხებ, ნატა. შეიძლება, ჩემი დასტურით შეცდომა დაუშვა. ეგებ, მათი გაგებით ეს სიყვარულია, ვინ იცის?! მაგალითად, ძველ რომში არ მიიჩნეოდა დანაშაულად, მამაკაცს იქ ეტარებინა დრო, სადაც მოესურვებოდა, ოლონდ ქალთან ღირსეულად უნდა მოქცეულიყო. ამიტომ ერთ ქალს თუ მხოლოდ ყვავილებს ჩუქნიდა, მეორეს მგზნებარე ღამეს უძღვნიდა. რომელთან ამყვანებდა იგი სიყვარულს? მისი გაგებით, ორივესთან: ერთი სულიერად უყვარდა, მეორე — ხორციელად. საუკუნეები გავიდა და სიყვარულის ეს ფორმები არ შეცვლილა. დღესაც იგივე ხდება. ამიტომ მხოლოდ გულმა უნდა გიკარნახოს, ვის უყვარხარ და ვის უნდისხარ.

— იმედია, ჩემი გული არ მომამტყუებს.

— სამწუხაროდ, ღალატი გულსაც სწევია ხშირად, ამიტომ ხანდახან გონების დახმარებაც აუცილებელია.

— გავითვალისწინებ შენს რჩევას.

— მადლობელი დაგრჩები...

დავემშვიდობე და სიამოვნებისგან მოთენთილმა თავი ბალიშზე მივედ. მივხვდი, მას უკვე ვუყვარდი. ძილმა მალევე წამართვა თავი და სიზმრებმა წამიყვანა იქ, სადაც ჯერ კიდევ არასდროს ვყოფილვარ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კონკრეტული სასაჩუქრე

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთმოცემული კითხვები უურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რამ

„პასუხების“ სვეტიცხოველი არ გაგაქვით თვალი

1. ფერადი ტელევიზიის ამერიკული სისტემის, NTSC-ს შემუშავებისას და გამოცდისას კამერის წინ ხილით საცხე ლარნაკს დგამდნენ, მეორე ოთახში მყოფი ექსპერტები კი ამ დროს ვერანზე გამოცემულ ფერთა ხარისხს ამოწმებდნენ. საბოლოო გამოცდისას, რომელსაც ამერიკის წამყვან ტელეკომპანიათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მოხდა გაუგებრობა: ვერანზე გამოჩნდა ლარნაკი, რომელზეც იდო წითელი ვაშლი, ნარინჯისფერი ფორთოხალი, მწვანე ყურძენი და... ლურჯი ბანანი. ამ ამბავმა გამომცდელები შოკში ჩააგდო, თუმცა მალევე გაირკვა სისტემის „გაუმართაობის“ მიზეზი. რაში იყო საქმე?

2. იულ ბრინერი, სტივ მაკჟუინი, ჩარლზ ბროსონი, ჰორსტ ბუნოლცი, ჯეიმს კობინი, ბრედ დექსტერი, რობერტ ვონი — რა აერთიანებს ამ მსახიობებს?

3. დასახელებთ ინგლისელ ჯენტლმენტთა საფირმო კერძი.

4. დასახელებთ კოლუმბიელი ნარკობარონი, რომელიც 11 წლის ასაკში საფლავის ქვეშ იპარაჟდა, ნარწურებს შლიდა და ყიდდა.

5. ათასი წლის წინ ჩინელმა სწავლულმა, რომლებიც სიცოცხლის ელექსირს ეძებდნენ, კალიუმის გვარჯილა, გოგირდი და ხის ნახშირი ერთმანეთში აურიეს და მიღებული მასა გაახურეს. რა გამოიწვია მასის გახურებამ?

6. დასახელებთ რუსი კომპოზიტორი, რომელიც თბილისში მცხოვრებ მძას ნიუ-იორკიდან სწერდა, — თბილისიდან არსად გადახვიდა საცხოვრებლად, ჩემი საყვარელი ქალაქია, სიცოცხლის უკანასკნელი წლები მანდ მიწადა, გავატარო.

7. რა ჰქვია „კოზირს“ ქართულად?

8. რა ჰქვია დესერტს ქართულად?

9. რა ჰქვია პარფიუმერიას ქართულად?

10. დასახელებთ სახელმწიფო, რომელმაც ლათინურ ამერიკაში პირველმა (1811 წელს) გამოაცხადა ესპანეთისგან დამოუკიდებლობა.


11. ვინ მიიჩნევა ინგლისური პოეზიის ფუძემდებლად?

12. დაასრულეთ კომუნისტების მმართველობის დროს შექმნილი „სადისტურ-სახუმარო“ ლექსი: „ზვიოზდაჩკი ვ რიად, კოსტაჩკი ვ რიად, ტრამვაი პერეხალ ოტრიად ...“

13. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ზომიერება ნამდვილი ღმერთია, ვინც მას მიაგნო, იგი ამქვეყნადაც ცხოვნებულა“?

ანეკდოტები

ქორწინების სასახლიდან გამოსულ წყვილებს ურნალისტი ეკითხება, ანგარებით ქორწინდებიან თუ სიყვარულით. ყველა პასუხობს: „სიყვარულით!“ ბოლოს ჯერი მიდგა ზორბა პატარძალზე, რომელსაც ტანმორჩილი სასიძო მოსდევდა გვერდით. ქალმა განაცხადა:



— მიმიფურთხებია სიყვარული-სათვის და არც ფულის გამო ვთხოვდები, უბრალოდ ვიცი, რომ ყველა მამაკაცი ნებვია და რაც შეიძლება, პატარა გროვა ავარჩიე.

მოსამართლე ქორწინების პირველ ღამეს ფიცს ადებინებს მეუღლეს: — დაიფიცე, რომ დაწვები ჩემთან, მხოლოდ ჩემთან და არავისთან ჩემ გარდა!

ჭიჭიკიას ცოლი ეჩხუბება: — სულელი ვიყავი, ცოლად რომ მოგყვებოდი! — მაგი მეც შეგამჩნიე, მაგრამ ვიფიქრე, დრო გავა და დაჭკვიანდება-მეთქი!

მოსამართლე ეუბნება ბრალდებულს: — რატომ ამბობთ ამდენ ტყუილს? — იმიტომ, რომ ბევრ შეკითხვას მაძლევთ.

— ბრალდებულს ძაძამია, როგორ მიაყენეთ დაზარალებულს

შვიდი ჭრილობა? — მომეცით დანა და გაჩვენებთ!

— ცოლს ყაჩაღი სჯობია, ძამა. — ვითომ რატომ? — ყაჩაღი ფულს წაგართმევს და მერე თვალითაც ველარ ნახავ!

ცოლი პაემანზეა პატიმარ ქმართან. — ბავშვი თუ მგავს? — ეკითხება ქმარი. — ძალიან. სახლი მეზობელი ბავშვების სათამაშოებით არის სასვე.

— მითხარი სამი საოცნებო სიტყვა და ცოლად გამოგყვები. — ვაი, შენს პატრონს!...

— ბრალდებულს, აგვიხსენით, როგორ ამრეხდით ძვირფასეულობის საზღვარგარეთ გატანას? — კონსულტაცია ფული ღირს, პატივცემულ პროკურორო.

მიხო საავადმყოფოს კართან დგას და დარაჯს ეხვეწება: — ჩემი მეზობელი შაქრო მყავს სანახავი, შემისვი, თუ კაცი ხარ! — ორი ლარი უნდა მგავს. — რას ამბობ, ჯო, ზრდილობისთვის მივდივარ, თუ არა, შენ რომ შაქროს იცნობდე, კაპიკს არ გამომართმევდი.





რესტორანზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. რამდენიმე წუთში მომხდებმა დაინახეს რესტორნიდან გამოსული ჩინელი, რამაც ძალზე გაზარდა ექვმიტანილთა რიცხვი.

ქალი პოლიციაში მივიდა, ქმარი დაკვარგო.
— შენი ქმარი როგორ გამოიყურება?
— მთვრალია სულ!
— მაგას არ გეკითხებით, „შრამი“ ან „სინიაკი“ ხომ არ აქვს სახეზე?
— არა, მაგრამ ორივეს გავუნაღდებ, თუ მოეთრა სახლში, ცოცხალი.

— ალო, უკაცრავად, თქვენ გააკეთეთ განცხადება დაკარგული ძალის შესახებ?
— დიას, იპოვეთ?!
— ჯერ არა. ისე, ავანსს ხომ ვერ მომცემდით?

— როგორ უნდა ჩაიცვას ქალმა?
— ისე, რომ მამაკაცს მისი გახდა მოუნდეს.

იტალიური ფილმის პრემიერაა. ეკრანზე ჩანს შიშველი განრისხებული ქალი და უყვირის შეშინებულ მამაკაცს, რომელიც ცდილობს, სწრაფად ჩაიცვას შარვალი.
— კასტრატო! იმპოტენტო!
მთარგმნელის ხმა კადრს მიღმა:
— თვალთ აღარ დამენახვო, მე შენ აღარ მიყვარხარ!

ცოლი ეუბნება ქმარს:
— ძვირფასო, ექიმმა ანტალიაში ან ოქროს ქვიშებზე დასვენება მირჩია და სად წავიდეთ?
— სხვა ექიმთან.

ჭიჭიკიას — რვა ქალიშვილის მამას, ბიჭი შეეძინა.
— გილოცავ, ჭიჭიკია. ბიჭია ხომ?
— ბიჭი კია, მაგრამ ეგ ერთი ბიჭი უშველის ჩემს გაჭირვებას?

ველურებმა ჭიჭიკია დაიჭირეს, დიდ შამფურზე მიაბეს და ეკითხებიან, — რა გქვიაო?



— ეგ რალასთვის გაინტერესებთ?
— აბა, მენიუში რა ჩავენროთ?!

მარომ თავის დაქალ თამროს შესჩივლა, ჩემი ქმარი საშინელი ლოთიაო.
— მერე, ეგ თუ იცოდი, ცოლად რალას მიჰყვებოდი?
— წარმოდგენაც არ მქონდა, სანამ ერთხელ ფხიზელი არ მოვიდა სახლში.

გონებას სსსსსსსსსს

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. გამოცდამდე ცოტა ხნით ადრე, ერთმა ხუმარა ლაბორანტმა ბანანი ლურჯად შეღება.
2. მხატვრული ფილმი — „შესანიშნავი შვიდეული“.
3. შვრიის ფაფა.
4. პაბლო ესკობარი.
5. აფეთქება (ამგვარად, სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს დენთი).
6. პეტრე ჩაიკოვსკი.
7. თულფი.
8. ჩაროზი.
9. ინანთეული.
10. ვენესუელა.
11. ჯეფრი ჩოსერი.
12. „ოქტიაბრიატ“.
13. მიხეილ ჯავახიშვილს („გივი შადური“).

ჩვენი ფოტოგადახაა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგივგზავნოთ ელფოსტით gz.fantazia@gmail.com, „ვირის პალიტროს“ („სიტყვა და საყვის“) საფოსტო ყუთების (კონკრეტულ მხანერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვამოლოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



როგორ შევარჩიოთ

ზამთრის პალტო

ფერი

პალტოს ფერი, თავისთავად ცხადია, თქვენი გემოვნებით უნდა შეარჩიოთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ სამოსის ფერს მხოლოდ ვიზუალური ეფექტი როდი აქვს — ის ადამიანის შინაგან მდგომარეობაზეც ახდენს გავლენას. მაგალითად: წითელი ფერი ნერვული სისტემის სტიმულაციას განაპირობებს, მწვანე — სიმშვიდის შეგრძნებას, დადებითი ემოციების გამოვლენას უწყობს ხელს; ლურჯი კმაყოფილების განცდას იწვევს; ყავისფერი დისკომფორტისგან გათავისუფლების სურვილს გამოხატავს...

წელს აქტუალურია როგორც ერთი ფერის ქსოვილით შეკერილი, ასევე — კუბოკრული ან სხვადასხვა ფერის ქსოვილით გაფორმებული პალტოები. გასაკუთრებით მოდურია მუქი ლურჯი, ნაცრისფერი, მწვანე ან ოქროსფერში გარდამავალი ყავისფერი.



სტილი

ამ სეზონზე მოდაშია ასიმეტრიული სტილის — ექსტრავაგანტურ-საყელოიანი და ორიგინალურქამრიანი, ასევე ხელოვნური ბენვით განყობილი პალტოები. ბენვიანი პალტო გაცილებით მდიდრულად გამოიყურება, თუკი ის მხოლოდ ერთი ფერისაა, განსაკუთრებით — შავი ან თოვლივით თეთრი. სეზონის პიტია მკაცრი სტილის, ორბორტიანი პალტო, დაკრებული ჯიბეებით. ამგვარი მოდელი ძალზე მოსახერხებელი და პრაქტიკულია. გარდა ამისა, კვლავ მოდურია ერთბორტიანი პალტო დამალული შესაკრავებით, ოღონდ ამჯერად ასეთ პალტოს დიდი საყელო ამშვენებს. ორბორტიანმა საყელოებმაც განიცადეს ცვლილება. აქტუალურია არა მხოლოდ მახვილკუთხიანი, არამედ მომრგვალებულკუთხიანი ან მრგვალი საყელოები. პალტოს ჯიბეები ნებისმიერი ფორმის შეიძლება იყოს დაკრებული, ე.წ. „ჩაჭრილი“, ელვაშესაკრავიანი და ა.შ.

ქსოვილები და მასალები

ყველა ძირითადი საპალტოე ქსოვილი — ქიშმირი, ტვიდი, ბუკლე და ჭილოფი (შალის უხეში ქსოვილი) შალისგანაა შექმნილი. განსხვავება მხოლოდ ქსოვის სახეობასა და ტექნოლოგიაშია. მათ შორის ყველაზე მაღალხარისხიანი ქიშმირის ქსოვილია.

თუ ტყავის პალტოს შექმნა გადანყვიტეთ, ყურადღება მიაქციეთ ტყავის ხარისხიანობას, რომელიც პირდაპირ კავშირშია მისი დამზადების პროცესთან. ძალზე გამომშრალი ტყავის პალტო უსიამოვნოდ იჭრაჭუნებს. ხოლო თუ ტყავი ძალზე რბილი მოგეჩვენათ, მისი ხარისხიანობის შემოწმება შემდეგნაირად შეგიძლიათ: პალტოს დაანვეთეთ წყლის ნვეთი. ის უნდა ჩამოგორდეს ისე, რომ ტყავმა არ შეინოვოს.

მოდის უკანასკნელი გამოძახილია ასევე ნატის (ზამშის) პალტო (გან-

საკუთრებით — მუქი მწვანე და ლურჯი ფერის). თუ არჩევანი ნატის პალტოზე შეაჩერეთ, ყურადღება გაამახვილეთ დათბილულ სარჩულზე, რადგან ნატი ცუდი თბოიზოლატორია. მისთვის საუკეთესო სარჩულად ნატურალური ბენვი მიიჩნევა. ნატურალური ბენვის ხელოვნურისაგან გარჩევა იოლად შეგიძლიათ: ამოჰგლიჯეთ ბენვი და დანვით. ხელოვნური ბენვი დნება, ხოლო ნატურალური — ინვის და დამწვარი თმის სუნი აქვს; თუ პალტოს მოზომების შემდეგ ბენვი თქვენს სამოსზე დარჩა, ესე იგი მას ბენვი სცვივა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცუდად დამუშავებულია და შესაბამისად, სიბოს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. თუ თქვენ შეღებილი ბენვის პალტო შეარჩიეთ, თითოთ გადასწიეთ ბენვი, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი მთელ სიგრძეზე ერთი ფერისაა. ჩამოუსვით ბენვს სველი ხელი — ხარისხიანად შეღებილი ბენვი თითებს არ დაგისვრით — ე.ი. ფერს მალე არ დაკარგავს.

მომა


პალტო უნდა მოიზომოთ სქელ სვიტერზე, რათა იოლად მიხვდეთ, თუ რამდენად მოხერხებული იქნება იგი ხმარების დროს. მისი ჩაცმა არ უნდა გიჭირდეთ. მოზომების დროს ხელები წინ ნასწიეთ. ქსოვილი ზურგზე არ უნდა იჭიმებოდეს, ხელები თავისუფლად უნდა ეტყუებოდეს ერთმანეთს. შეაქანეთ მხრები, რათა დარწმუნდეთ, რომ პალტო არ გაიძულებთ, უარი თქვათ თქვენი ხერხემლისათვის ჩვეულ მდგომარეობაზე. შექმნამდე გაიარ-გამოიარეთ, დარწმუნდით, რომ პალტო სიარულში ხელს არ გიშლით. თუ მოზომებისას პალტომ ილღიებში ნაკეცები გაიკეთა, ე.ი. დიდი გქონიათ.

სახელოები უნდა იყოს განიერი, არც ძალზე გრძელი და არც მოკლე — ხელისგულის შუა ნაწილამდე.

და კიდევ... პალტოს მოდელის შერჩევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ თქვენი აღნაგობა. ტანსრული და დაბალი ქალის პალტოს სიგრძე მისი ფეხის კუნთის ნახევარს უნდა ფარავდეს. მაღალ, თხელ ქალებს ქამრიანი, მუხლს ზემოთ სიგრძის პალტოები მოუხდებათ — ეს მათ აღნაგობას პარმონიულობას შესძენს. დიდი თქოების ვიზუალურად დასაფარავად კარგია ტრაპეციის ფორმის პალტო. თუ განიერი მხრები გაქვთ, დიდსაყელოიანი პალტო შეარჩიეთ და უპირატესობა ერთი ფერის ქსოვილებს მიანიჭეთ.

მამაკაცები შეიძლება პირობითად შემდეგ ტიპებად დაჯიშონ: დიდი ბავშვები, მამაკაცურები, მონადირეები, ჯავალრები, მუდამ თინეიჯერები და დედინიუს ბიჭები.

როგორი ტიპის მამაკაცი მოგწონთ?



დიდი ბავშვები — ასეთი ტიპი მამაკაცს ხშირად შეხვდებით საფინანსო დაწესებულებებსა და ბანკებში. მას ყოველთვის უზადოდ აცვია, დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და ილუზიებით ცხოვრობს. ბედნიერია, თუკი მისი თანამეცხედრე ოჯახში, სხვა ყველაფერთან ერთად, „მისი მასწავლებლის“ ფუნქციებსაც ითავსებს.

მამაკაცური ტიპი — ასეთები ლუდის ბარებში, პაბებში, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას შეგხვდებიან. ამ ტიპის მამაკაცი თავდაჯერებულია და მიიჩნევს, რომ მის ხიბლის წინაშე ნებისმიერი

ქალი უძლურია. მოქიფევა, უყვარს ფეხბურთი და ეძებს კარგ მეოჯახე ცოლს.

დედიკოს ბიჭი — ამ ტიპის მამაკაცი დედის შერჩეული ტანსაცმლით დადის და ყოველთვის საგულდაგულოდ გაპრიანებული ფეხსაცმელი აცვია. უყვარს ბაზარსა და სუპერმარკეტებში საყიდლებზე სიარული. ვერასოდეს იქნება ბედნიერი ქალთან, რომელსაც ხელსაქმე არ ეხერხება.


მონადირე — ის თვითონ მოგძებნით. „მონადირე“ უმეტესწილად მხარბეჭიანი, მოხდენილი აღნაგობისაა; უყვარს თავისუფალი ზედატანისა და ვინრო შარვლების ჩაცმა. ოჯახურ ცხოვრებაში ერთგულებით არ გამოირჩევა და სხვა ქალებზე ნადირობის დაუტყრობელი ყინი კლავს.

კავალერი — ყველაზე გავრცელებული ტიპია. შეიძლება სულაც რიგში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაიცნოთ, სადაც ადგილს მაშინვე დაგიტომობთ. ცოტა არ იყოს, მორცხვია და თუკი ქალისგან ინტერესი ვერ იგრძნო, მალევე გაცვლება.

მუდამ თინეიჯერი — ამ ტიპის მამაკაცის ნახვა ყველგან შეიძლება — დისკოთეკებზე, ბარებში რესტორნებში... ყოველთვის ახალგაზრდულად იცვამს და ასაკთან შედარებით, დაახლოებით 10 წლით უმცროსად გამოიყურება. ასეთი მამაკაცისგან სერიოზული ნაბიჯის გადადგმას იშვიათად უნდა ელოდეთ.

შემწვარი ქათამი არაყნით

მასალად საჭიროა:
1 ქათამი;
1 ჩ/ჭ ორცხოობილას საფანელი;
50 გ კარაქი;
1 ჩ/ჭ არაყანი;
მარილი გემოვნებით.



მოზადავის წასი:

გასუფთავებულ ქათამს მოაყარეთ მარილი, მოათავსეთ ცხიმწასმულ ტაფაზე და შედგით გახურებულ ჰაერულუმელში. შემწვარი ქათამი გადაიტანეთ ჭურჭელზე, დაჭერით. ტაფაზე დარჩენილ წვეს დაუმატეთ ცოტათოდენი წყალი, დააყარეთ ორცხოობილას საფანელი, მოშუშეთ, დაუმატეთ არაყანი და შემზადებული წვენი დაასხით დაჭრილ ქათამს. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი ან ოხრახუში.

ვამლის ჰაეროვანი ღვეზელი

მასალად საჭიროა:

100 გ ხაჭო;
60 გ გამდნარი კარაქი;
4 ს/კ რძე;
170 გ შაქრის ფხვნილი;
მწიკვი მარილი;
ვანილი;
ლიმონის ცედრა;
2 ცალი ლიმონის წვენი;
200 გ ფქვილი;
600 გ ვამლი;
3 კვერცხის ცილა.



მოზადავის წასი:

ხაჭო, კარაქი, რძე, ვანილი, ლიმონის ცედრა და მარილი აურიეთ. დაუმატეთ ფქვილი, მოზილეთ ცომი და მოათავსეთ მრგვალ ფორმაში.

ვამლი დაჭერით. შეურიეთ 3 ს/კ ლიმონის წვენი და დაალაგეთ ცომზე. აცხვეთ 35 წუთი.

ცალკე ათქვიფეთ ცილა, დარჩენილ ლიმონის წვესა და შაქართან ერთად. გამოილეთ ნამცხვარი ჰაერულუმლიდან, მოასხით ათქვეფილი ცილა და აცხვეთ კიდევ 15-20 წუთი.

1 ნაჭერი ღვეზელი შეიცავს 200 კკალ-ს.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია


www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეტიინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Глამур	7.20	43.2

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვაპალიტრა“

ქ. თბილისი იოსებოძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvispalitra.com



დიდბორის საჯარო ფიქსიონალური რომანი

ბორა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-43

ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ბადახშინს სწრაფად მოედო ცნობა
ჰასანის სამზადისის შესახებ. ამან მრავა-
ლი მექარავე მიიზიდა ქარვასლაში. მათი
ნაწილი სიგიჟედ მიიჩნევდა თათართა მი-
ნების სიახლოვეს მგზავრობას. გან-
საკუთრებით შის მეგზურობით, რომელ-
საც ეჭვით ეკიდებოდნენ. ისინი ჰასანს
დარჩენას და ლოდინს ურჩევდნენ, მანამ,
ვიდრე ულელტხილისკენ მიმავალი გზე-
ბი არ გაიხსნებოდა, მაგრამ იყვნენ ისეთე-
ბიც, რომლებსაც მისი სჯეროდათ. ამ
მექარავენებს ბაადი ჰქონდათ გამოვლილი.
იქ მოესმინათ ჰასანისა და მისი მეგო-
ბრების თავგადასავალი და სჯეროდათ,
რომ კაცი, რომელმაც კარანაუსელებს
დააღწია თავი, თათართა შორისაც შე-
ძლებდა ქარაენის გაყვანას. ამიტომაც ისინი
თავიანთი ქარაენებით შეუერთდნენ ჰასა-
ნის ხალხს და მათთან ერთად გავიდნენ
ბადახშინიდან.

რას გულისხმობდა ში, „სამყაროს სახ-
ურაუმი“, მექარავენებმა მთებთან მიახლოე-
ბისას შეიტყვეს. მუროჩისაც კი შეუკრა
სუნთქვა ცაში ატყორცნილი მწვერვალ-
ების ხილვამ, რომელთა ნაწილს წვერი
არც კი უჩანდა. მწვერვლების ციცაბო
ნაპირები სადღაც ზემოთ მიემართებოდა
და ღრუბლებში იკარგებოდა. ალბათ
არავის შეეძლო იმის თქმა, თუ რა სიმა-
ღლის იყო ეს მწვერვლები. მათ შემხედ-
ვარეს, აქამდე გამოვლილი მთები უბრა-
ლო გორაკებად თუ მოქვენებოდა.

მცირე თუ მოზრდილი ლოდებით
მოფენილი გზა, ზანტად მიიკლავნებოდა

ალმართში. გარემო ყოველ
ნაბიჯთან ერთად იცვლებო-
და. გზის დასაწყისში, ტყეე-
ბით მოფენილი მთის კალთე-
ბი აიარეს. მერე ხეები გაქრა
და მათი ადგილი ბუჩქნარმა
დაიკავა. მოგვიანებით ბუჩ-
ქნარიც გაქრა და მგზავრები
თავის გარშემო მხოლოდ რუხ
კლდეებს ხედავდნენ. ერთად-
ერთი ცოცხალი არსებები,
რომლებიც მკაცრ მთას შეპ-
გუებოდნენ, უზარმაზარ-
ქიანი ჯიხვები და არწივები
იყვნენ. ჯიხვები ლაღად
დაქროდნენ აქეთ-იქით, ჯამ-
ბაზებივით ხტოდნენ ლო-
დიდან ლოდზე, დროდადრო
შეჩერდებოდნენ და მათ
სამფლობელოში შემოჭ-
რილ ადამიანებს დახე-
დავდნენ. მერე კი ძლი-
ერად დაუსტვენდნენ და
ელვის სისწრაფით გაუჩი-
ნარდებოდნენ. მათ ზემოთ

კი არწივები კრავდნენ ირაოს. უხმაურო
იყო მათი ფრენა, აჩრდილებივით დას-
რიალებდნენ მთის ცივ ჰაერში და ხან-
დახან მათი ყვირილი თუ აღწევდა
მექარავენებამდე.

სიმაღლის მატებასთან ერთად,
საგრძობი გახდა მთის სუნთქვა. აცივდა.
მხოლოდ მზისგულზე თუ გრძობდნენ
მცირე სითბოს, მაგრამ საკმარისი იყო,
ჩრდილში მოხვედრილიყვნენ, რომ მწვერ-
ვლებიდან მონაბერი ნიავი კანკალს ჰგვრ-
იდა.

მათი ახალი გამცილებელი მეტად უც-
ნაური ადამიანი აღმოჩნდა. ის საერთოდ
არ ჰგავდა აზიზს, რომელიც მუდამ მოუს-
ვენრად უვლიდა ქარავანს, ყველაფერს
საგულდაგულოდ ამოწმებდა და გაუთავე-
ბლად ლაპარაკობდა. შის კი სიტყვაძუნ-
სსაც ვერ უწოდებდნენ. მთელი დღე ისე
ჩაივლიდა, რომ მისგან ორ-სამ სიტყვაზე
მეტს ვერ მოისმენდნენ. ერთადერთი,
ვისთანაც საერთო ენა გამოხატა, მუროჩი
იყო. ამას განსაკუთრებული მიზეზი ჰქონ-
და. ში მუდამ წინ მიუძლოდა ქარავანს.
დროდადრო ცხენს შეაჩერებდა, სახეს
მოიჩრდილავდა, მიდამოს დააკვირდებოდა
და გზას განაგრძობდა. ხანდახან კი უნ-
აგირზე გადაკიდებული ხურჯინიდან
ტყავის გრაგნილს ამოიღებდა და ყურა-
დლებით ჩასცქეროდა. მექარაენი ხვდე-
ბოდნენ, რომ ის ტყავის გრაგნილი რუკა
იყო, რომელსაც მეგზური მიდამოს
აღარებდა. ერთხელ ჰასანმაც მოინდომა
მასში ჩახედვა, მაგრამ ვერაფერი გაიგო
— რუკა უცნაური ნიშნებით იყო მოხატ-
ული, რომელთაც მხოლოდ ში თუ ამოი-
კითხავდა.

იმ დროს, როცა გამცილებელი მიდა-
მოს ზვერავდა, მის გვერდით მუდამ იმ-
ყოფებოდა რომელიმე მექარავე, ყველაზე
ხშირად კი — მუროჩი. ჰასანმა ეს თავად
სთხოვა, არა იმიტომ, რომ მეგზურს არ

ენდობოდა, ეზინოდა, მარტოსულ შის
რაიმე არ შემთხვეოდა. ასეთი რამ რომ
მომხდარიყო, ქარავანი მეგზურის გარეშე
დარჩებოდა და გზას ვეღარ გაიგნებდა.

ში ეჭვით ზვერავდა მის გვერდით მო-
მავალ მუროჩის. მისი აზრით, ჰასანი არ
ენდობოდა. მიუჩინა მეთვალყურე, რომელ-
იც მუდამ მის გვერდით უნდა ყოფილიყო
და თუ რაიმე საეჭვოს შენიშნავდა, მოეკ-
ლა, მაგრამ იმას მაინც ვერ ხვდებოდა,
თუ ვინ უნდა ყოფილიყო მისი მეთვალყ-
ურე.

„ვაჭარი არ უნდა იყოს, — თავისთვის
ფიქრობდა ში, — ამისთვის ძალიან ახ-
ალგაზრდაა. მეომარია, ტყავის ქისის მა-
გივრად, საჭურველს ატარებს. უცნაური
ვინმეა. ჩალისფერი თმა აქვს, ლურჯი
თვალები. სპარსელები ასეთები არ არი-
ან. უფრო ვენეციელ მამა-შვილს ჩამო-
ჰგავს, მაგრამ მათი მოდგმისაც არ უნდა
იყოს. სხვანაირ ჩარაღს ატარებს. საჭურ-
ველი კი მეომრის ამოსაცნობი პირველი
ნიშანია. მაინც სადაური უნდა იყოს, თუ
არც ვენეციელია, არც — სპარსი და არც
— არაბი ბედუინი?.. არც უბრალო კაცი
უნდა იყოს. ჰასანთან და ვენეციელებთან,
თანატოლივით უჭირავს თავი. ისინიც ეამბ-
ანაგებიან, მის გარეშე ლუკმას არ გატეხ-
ენ. იქნებ ღუღამია?.. მსმენია, სწვევით
არაბებს ერთგულ მსახურთა გათამამე-
ბაო. ეგვც ეგრე იქნება, უცხო ტომისა
ჩანს. იქნებ ყრმა მოხვდა ჰასანთან და
მანაც მეომრად და თავის მარჯვენა ხე-
ლად აღზარდა?! მაგრამ — არა, ასეც
ვერ იქნებოდა. მაშინ იარაღსაც არაბთა
ყაიდაზე უნდა ატარებდეს. მას კი სხვა
ნესი მოსდგამს და თანაც ეტყობა, რომ
შეგუებულია თავის საჭურველს. ისე ად-
გას ტანზე, თითქოს თარგიტ გამოუჭრია-
თო. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, მაინც
საშინი კაცია. თავი ისე უჭირავს, თითქოს
ვერც მამჩნევს (ალბათ ასე უბრძანა მისმა
ბატონმა), მაგრამ ყურადღებას არ აღუნებს,
სანადიროდ გასული ქორივით დამტრი-
ალებს თავს და თუ ჩემში ეჭვი შეიტანა,
ეგრევე გამკრავს ბრწყალს... უნდა გამ-
ოცვალო. მისი სიჩაუქტე მაინტერესებს.
კარგი მეომარი ჩანს, მაგრამ მე მაინც ვერ
დამიდეხს ტოლს...“

იმ საღამოს ში ჩვეულებრივზე შორს
წავიდა. ცხენი ისე მიჰყავდა, რომ უკან-
მოუხედავად შეემჩნია, გამოჰყვებოდა თუ
— არა მეთვალყურე. არც შემცდარა.
როგორც კი ქარავანს დაშორდა, მის
კვალზე დამდგარ მუროჩის მოჰკრა თვა-
ლი. შიმ ცხენი ააჩქარა, მერე სწრაფად
გადაუხვია გზიდან, უნაგირიდან ჩამოხტა
და ხშირ ბუჩქნარში მიიმალა. იქიდან
კარგად მოჩანდა ბილიკი, რომელზეც მალე
მუროჩის უნდა ჩამოველო. შის აინტერ-
ესებდა, რას მოიმოქმედებდა მეთვალყ-
ურე, როდესაც მის გაქრობას შენიშნავ-
და, მაგრამ მისდა გასაოცრად, მუროჩი
არ გამოჩენილა — თითქოს ქვესკნელში
გაუჩინარდაო. მისი ცხენის ფლოქვენის
ხმაც კი მიწყდა. მომხდარით გაკვირვ-
ბულმა შიმ, სამალავი მიატოვა და გზ-

ისკვნ დაიძრა. და სწორედ ამ დროს, მის ზურგს უკან რალაცამ გაიფარა. შიმ უკან მიიხედა და გაოგნებული გაქეჯდა. მუროჩი ზუსტად მის უკან იდგა. ვიდრე შირამეს მოისახრებდა, მან ნაბიჯი გადმოდგა, მოსასხამის კალთა გვერდზე გადაიგდო, მარჯვენა ხმლის ვადაზე ჩამოდა და დამცინავად ჰკითხა:

— გზა ხომ არ აგებნა, მეგზურო?!
შიმ მამინვე აღიდგინა წონასწორობა და მშვიდად უპასუხა: არაო.

— მაშ, რას დაეძებდი ამ ბუჩქნარში?
— განაგრძო მუროჩიმ.

— გზას! — მიუგო შიმ.

— უცნაური მეგზურობა გცოდნია...
— გაეცინა მუროჩის. — გზიდან გადასული, ბუჩქნარში დაეძებ გზას!

— ეგ შენი საქმე არ არის, ლუღამო!..
გზას უშენოდაც გავიგებ. შენ კი სხვა საქმე თუ არ გაქვს, ქარავანს მიუბრუნდი!

— ცდები, მეგზურო. მე ლუღამი არ ვარ და უშენოდ ქარავანსაც არ მივუბრუნდები!

— ჰასანმა გიბრძანა ჩემი მეთვალყურეობა?! — შიმ თავად თქვა, რისი მოსმენაც უნდოდა.

— მაგაშიც არ ხარ მართალი, მაგრამ მაინც არ შეგეკამათები. თუ აქ ყოფნა გინდა, იყავი. მე შენს სიახლოვეს ვიქნები. დამალობანას კი ნუღარ ითამაშებ. ყრმობაში მიყვარდა ასეთი გართობა და ვერც ერთი ამხანაგი ვერ მგოხონდა.

შის აღარაფერი უთქვამს. შებრუნდა და მთის კალთას აუყვა.

— მოიცა, — გასძახა მუროჩიმ, — ნუ ჯიუტობ. შენ არავინ გითვალთვალებს. ჰასანი გიფრთხილდება. ეშინია, რამე არ შეგემთხვეს. ცხოვრების უნახავ კაცს არ ჰგაფხარ. თავადაც გაიტან თავს. მაგრამ გზა მართო შენ იცი. შენ რომ ნაგვეტე, უკან მიბრუნება მოგვიწევს.

— რა უნდა შემემთხვეს?!
— გაოცებით შეხედა შიმ.

— მთაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ზემოდან ქვა ცვივა, ალაგ-ალაგ დათვის ნაკვალევიც მომხვდა თვალში. ბადახშინი კი გაგვაფრთხილეს: მაგ გზას მძარცველებიც სტუმრობენო!

— და შენ დამიცავ? — გაელიმა შის.

— რატომაც არა?!
— მერედა, შეგწევს მაგის ძალა?

— მაგაში თავის დროზე დარწმუნდები.

— მე კი დღეს მინდა მაგაში დარწმუნება, — ჩაილაპარაკა შიმ. მერე ელვის სიქნარაფით შემობრუნდა, მუროჩისკენ გაქანდა და ხანჯალი შემოუქნია. ფხოველი არ ელოდა ასეთ შემოტევას, მაგრამ წვრთნამ და ბუნებრივმა სისხარტემ მაინც თავისი

გაიტანა. მუროჩი დარტყმას გაერიდა, თავდამსხმელს მაჯაში სწვდა და მთელი ძალით მიწისკენ დაიქნია. მისდა გასაოცრად, ჩია მეგზური შვინდის წნელივით მოქნილი აღმოჩნდა. მიწაზე დავარდნის მაგივრად, კატასავით ამოტრიალდა ჰაერში, ორივე ფეხით დახტა და ისევ მოქნია ხანჯალი. ამჯერად მუროჩი მზად დახვდა. თვალის დახამხამებაში იშიშვლა სატევარი და მეგზურს შეუტია. ასეთი მეტოქე არასოდეს შეხვედრია. მისთვის თვალის მიდევნებაც კი ძნელი აღმოჩნდა. ში აჩრდილივით დახტოდა, ჩიკორივით ბრუნავდა, დროდადრო მიწაზეც გორავდა და ხანჯალს იქნევდა. მუროჩის ეჩვენებოდა, რომ ერთს კი არა, სამ მოწინააღმდეგეს ებრძოდა. უკეთეს დღეში არც ში იყო. სხარტი მოძრაობის მიუხედავად, თავადაც უჭირდა ელვისებური დარტყმების მოგერიება. ფხოველის სატევარმა ერთხელ ამობურცული ყვირიმალის სიახლოვეს ჩაუქროლა, მეორედ მის ჯუბას ტყავის ნაჭერი ჩამოათალა. მუროჩიმ მესამედაც იმარჯვა და თავისი საყვარელი ილეთით, სატევარი მაჯაში შემოჰკრა. დარტყმა ძლიერი არ იყო. სხვა დროს და სხვა მოწინააღმდეგეს სულ ადვილად მოჰკვეთდა მარჯვენას, მაგრამ ახლა მსუბუქად შემოჰკრა — ისე, რომ მეტოქე მხოლოდ გაეკენლა და ხანჯალი დაეგდებინებინა, მაგრამ სატევარი უკან გამოხტა და ისეთი უღრიალი გაისმა, თითქოს ფოლადის ფხას დასტავებოდა. მომხდარი გაოცებული მუროჩი უკან გახტა და თავის სატევარს დახედა. ვერაფრით მიმხედარიყო, როგორ ვერ უნდა დაეჭრა მოწინააღმდეგე ბრძოლებში ნაცად იარაღს. უკან დაიხია შიმაც. ხანჯალი ქარქაშში ჩააგო, მომუშტული მარჯვენა მარცხენა

რომ ის ბრძოლის გაგრძელებას აღარ აპირებდა.

— გაკვირვებული ხარ?! — ჰკითხა შიმ. — ალბათ არ ელოდი ჩია მოხუცისგან ასეთ შემოტევას. ბარი-ბარში ვართ. არც მე მეგონა, ასეთი ბრძოლა თუ შეგეძლო, მაგრამ ჩემ უკან სხვა ცოდნაც იდგა. «ყველაფერში საკუთარ მზერასაც ნუ ენდობი. დაფარულზე იფიქრე. იმაზე, რასაც ვერ ხედავ!» — ასე მასწავლიდნენ წინაპრები. შუბლზე განერია, ჭეშმარიტი მეომარი რომ ხარ, მაგრამ შენგან ასეთ ოსტატობასაც არ ველოდი. ხანჯლის იშვიათი ხმარება გცოდნია. არასოდეს შეეხვედრივარ ასეთი ილეთებით მებრძოდ ადამიანს. ბარაქალა!..

— შენც არ ყოფილხარ ჯაბანი, — გაელიმა მუროჩის, — შემთხვევამ გიშველა, თორემ უქვევლად დაიჭრებოდი.

— ხმას გულისხმობ? — შიმ მკლავზე შემოიკრა მარჯვენა.

— ჰო, — თავი დაუქნია მუროჩიმ.

— ახალგაზრდულ დაუფიქრებლობას ვხედავ შენში. შემთხვევის იმედად, მხოლოდ დამარცხებისთვის განწირული ბრიყვი იწყებს ბრძოლას... მე კი ბრიყვი არ ვარ. ის, რაც შენ შემთხვევითობა გგონია, ბრძოლაში გამამარჯვებინებდა. მივხვდი, ჩემი მძიმედ დაკოვდა რომ არ გინდოდა და მსუბუქად შემოიკარი სატევარი. მაგრამ მთელი ძალითაც რომ დაგეკრა, მაინც ვერაფერს დამაკლებდი. თავად ნახე, თუ არ გჯერა, — თქვა შიმ და მკლავები წინ გაიშვირა.

ჯადოქრობა არაფერ შუაში ყოფილა. მუროჩის სატევარი ტყავის სამკლავურებში ჩატანებულ რკინის წნელებს მოეგერიებინა. ნაკეთობა ნამდვილი ოსტატის მიერ იყო დამზადებული. წნელები საერთოდ არ მოჩანდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი საიმედოდ იცავდნენ შის და ორთაბრძოლაში დიდ უპირატესობასაც ანიჭებდნენ.

— ეშმაკური გამოგონებაა, — საჭურველი მოიწონა მუროჩიმ, — სხვა ილეთებიც გეცოდინება.

— ვიცი, მაგრამ ჯერ შენ უნდა მასწავლო ილეთი, რომლითაც სამკლავურს მიანვდინე სატევარი. მართო სისწრაფეც არაა საქმე. თვალის მიდევნებაც ვერ მოვასწარი, ისე მომხვდა შენი სატევარი. ეს სამკლავურები ყოველთვის საიმედოდ მიცავდნენ, მაგრამ დაცვაზე მეტად, მეტოქის დასაბნევადაა საჭირო. ადამიანს ყველაზე უფრო შეუცნობელი აშინებს. რა უნდა იფიქროს მეტოქემ, როცა მოქნულ ხმალს მკლავით შეაჩერებ?... დაიბნევა... ფიქრს მიეცემა... მზერას და მარჯვენას მოადუნებს და... ამით თავს ნააგებს! — თქვა შიმ.

იმ დღემ მუროჩი და ში თავისთავად



ხელისგულში მოიქცია და თავი მდაბლად დაუკრა. მუროჩი ვერ მიხვდა, რას მიანიშნებდა მეტოქე, მაგრამ მაინც იგრძნო,

ბუნებრივმა სისხარტემ მაინც თავისი

დაახლოვდა ერთმანეთს. ერთი შეხედვით სიტყვაძუნძი და მიუჯარებელი მეგზური საინტერესო თანამოსაუბრე აღმოჩნდა. მუროჩის ბევრს და საინტერესოს უამბობდა სამყაროზე, ქვეყნებსა და ხალხებზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა გაეცნო. დღის განმავლობაში წინ მიუძღოდნენ ქარავანს. მოსალამოებისას ში დასაბანაკებელ ალაგს შეარჩევდა. ვიდრე მექარავნეები კარვებს გაშლიდნენ, მცველებს ადგილებს მიუჩენდა. მერე კოცონთან მოეწყობოდა, თავის საყვარელ სასმელს, ჩაის მოადუღებდა და მუროჩისთან გააბამდა საუბარს.

— უცნაური, დაუდგრომელი ხალხია თათრები, — აუჩქარებლად ლაპარაკობდა ში და დროდადრო შემას უმარჯვებდა კოცონს, — სახლები არა აქვთ და არც შენება იციან. მათთვის თვალუნდენელი სტეპია ქალაქიცა და სოფელიც, კარავი-სახლი, ცხვრის ფარა და ცხენის რეშა კი — მთელი ქონება. მთელ ცხოვრებას მომთაბარეობაში ატარებენ. როგორც კი ბალახი შემცივდება, კარვებს აშლიან, დედაბუდიანად აიყრებიან და სხვა საძოვარზე გადასახლდებიან. უცნაურია მათი კარვებიც. რაც უფრო დიდია ოჯახი, მით უფრო მოზრდილ კარავს დგამს. დიდ-პატარა ერთად ცხოვრობს. კარავი ცხვრის ტყავის ტიხრებით აქვთ დაყოფილი. თათრების რწმენით, შარდის სუნი ავ სულელებს აფრთხობს. ამიტომაც ყოველთვის კარვის კედლებს აშარდავენ. შიგნით ისე ყარს, რომ ცოტა ხანსაც ვერ გაჩერდები. გინდ დაიჯერე, გინდ — არა. თუ გინდა, თათარი დაიამხანაგო, უნდა მიხვიდე და კარვის კედელზე მოშარდო. ამას დიდ პატივად მიიღებენ და მეგობრადაც მიგჩივენ. ეგ კიდევ — არაფერი... წყალს მარტო სასმლად იყენებენ და არასოდეს ბანაობენ. ტანზე ცხვრის ქონს იხევენ. ისეთი სუნი ასდით, ახლოს ვერ მიეკარები. ყველაფერში ასეთები არიან. ცხვარს გაუტყავებლად ხარშავენ. თავ-ფეხს დააჭრიან, შიგანს ამოაცლიან, უზარმაზარ ქვაბში ტყავიანად მოხარშავენ და მტაცებლებივით დალრღნიან. სასმელი ერთი აქვთ მხოლოდ — ამჟავებული რძე, რომელიც მათი კარავით ყარს.

— და ასეთი ხალხი აშინებს დიდ-პატარას? — გაუკვირდა მუროჩის.

— ასეთი ხალხისა უფრო უნდა გეშინოდეს. ისინი ხომ ველურები არიან, არც ქვეყანა აქვთ, არც მეფეები ჰყავთ. ტომებად ერთიანდებიან და ბელადები მართავენ...

— მეფე ჩემს ხალხსაც არ ჰყავს, — ჩაუბრალო მუროჩიმ.

— მეფე არ გყავთ?! — გაცოცხებით შეხედდა შიმ. — თათრებივით ტომებად ცხოვრობთ?!

— არა... — გაეცინა მუროჩის. — მომთაბარეები არ ვართ. სახლებსაც ვაშენებთ და ციხე-კოშკებსაც.

— მეფეთა გარეშე ქვეყანა ვერ იცხოვრებს. ეს ძველთაძველი წესია. მდაბიოს არ მოსდგამს ქვეყნის მართვისთვის

საჭირო გონება და ძალა!

— ცდები, — შეეკამათა მუროჩი, — ჩვენ არ გყავს მეფენი. თავისუფალი ხალხი ვართ!.. აქ კი, ამ შორეულ მიწაზე მეფეთა დავის გამო აღმოჩნდი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. თათართა ამბები უფრო მაინტერესებს.

— მდაბიონი არიან თათრები, უღირსნი. მათთან მოლაპარაკება ძნელია. უპირო ხალხია. მათ სიტყვას ფასი არა აქვს. მარტო შიშით იმართებიან — ისე, როგორც პირუტყვი. ამაშია მათი მეომრული შემართების საიდუმლო.

— პირველად მესმის, რომ მეომარი შიშით გადიოდეს ბრძოლაში! — გაიკვირვა მუროჩიმ. — ისეთი რა აშინებთ, რომ ბრძოლაში სიკვდილზე თანახმა არიან?

— ომის თავისებური წესი აქვთ თათრებს, — განაგრძო შიმ, — ყველა ცხენზეა ამხედრებული. ერთნაირად კარგად იბრძვიან — ხმლით, შუბით, ოროლით. მშვილდ-ისარსაც ოსტატურად ხმარობენ. მათი მშვილდი პატარაა, ბავშვის სათამაშო გეგონება. ვერც კი დაიჯერებ, რომ ასეთ მშვილდს აბჯარასხმული მეომრის მოკვლა შეუძლია, მაგრამ ეგ მანამ, ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოცდი მათი ისრების ძალას. თათრებს ას ნაბიჯშიც შეუძლიათ ისრის აბჯარში გატარება. მათი ჯარი ქარივით უსწრაფესია. ცხენები ტანმორჩილი ჰყავთ. პირისპირ ბრძოლა არ უყვართ. მძიმედ შეჭურვილ მხედრებს ვერ ჯაბნიან. თავისი ცხენების სისწრაფით იგებენ ომს. მტერს კრაზანის გუნდით ესევიან. უეცრად მიეჭრებიან, შორიდანვე დაუშენენ ისარს. მერე შუბებს სტყორცნიან და ხმლით ჩეხაზე გადავლენ. თუ შეატყვეს, რომ მარცხდებიან, ბრძოლას გაერიდებიან. უეცრად შეჯგუფდებიან, ისრის წვიმას დააყრიან მეტოქეს და ისევ ხმლით მიუხტებიან. ძნელია მათთან ბრძოლა, ვერასოდეს მიხვდები, რომელი მხრიდან შემოგიტყვენ. მათთვის სულერთია დღე, ღამე, თოვლი თუ წვიმა. ნებისმიერ დროსა და ამინდში შეუძლიათ ბრძოლა. ბავშვობიდან ასე იზრდებიან. რაც სჭირდებათ, ყოველთვის თანა აქვთ. ცხვარს თან მიეჩვენებიან. დასასვენებლად კი კარავიც არ სჭირდებათ. უნაგირი და ტყავის ქვეშაგებელი ჰყოფნიან. ღამეს გაათენებენ, დილით აიშლებიან და შმაგი ჭუნებით აგრძელებენ გზას. კიდევ ერთი წესი აქვთ: მთელი ლაშქარი ათ-ათ მეომრად ჰყავთ დაყოფილი. ყველა ათეულს თავისი მეთაური ჰყავს. თუ ბრძოლაში რამდენიმე ამხანაგი დაეღუპათ, იმდენივე მტრის თავი უნდა მიუტანონ მეთაურს. ამით დაამტკიცებენ თავის ერთგულებას და უშიშრობას. თუ მტრის თავები ვერ მოიტანეს, სიკვდილით დაისჯებიან — ჩუგლუგებით ჩაუშხვრევენ ხერხემლის მალეხს ან ოთხში ამოიღებენ. ამის შიშით, ყველა თათარი გააფთრებული იბრძვის. თანამებრძოლს თავდადებით იცავს და სიკვდილის წინამეც არ იხევს უკან.

— ამხანაგს ისედაც უნდა ედგე მხარ-

ში და არც მტერს უნდა ინდობდე. სხვანაირად როგორ მოიგებ ომს? — გაუკვირდა მუროჩის.

— მიტომ არიან ველურები. ისინი ქვეყნისა და მეფისთვის არ იბრძვიან. მათ ჯარს ორი რამ მატებს ძალას. ბრძოლად მიმავალი ყველა მეომარი ცალი ფეხით სამარეში დგას, თათარი კი — ორივეთი. მას ერთნაირად აშინებს მტერიცა და თავისივე სარდლის რისხვა და სასჯელი. ორი რამ აფიქრებს — საშოვარი და საკუთარი სიცოცხლე, მაგრამ იცის, ამხანაგს თუ არ მოუფრთხილდა და ომი არ მოიგო, ცოცხლად დარჩენა არ უნერია. მოყვარის ხელით სიკვდილს, მტერთან ბრძოლაში დაღუპვა ურჩევნიათ და ამიტომაც ძნელია მათთან ომი.

— მტერი მტერია. რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის გეომება. რაც უნდა მოერეკებოდეს შენკენ — სარდლის შიში თუ საშოვრის იმედი, მაინც ერთნაირად უნდა დახვდე: იარაღით ხელში!.. მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი — ომში შიშით მომავალ მებრძოლს, გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს!..

— მაგამი მართალი ხარ, მაგრამ ასე მარტო ჯარზე ითქმის და არა — მძარცველთა ბრბოზე... სხვა რანი არიან თათრები?.. — თქვა შიმ და ფიალებში ჩაი ჩამოასხა.

— შენს ქვეყანაზე რატომ არაფერს მიაბობ?.. მაინც როგორია ცინი? — ჰკითხა მუროჩიმ. — ვინაა თქვენი მეფე ან როგორი საომარი წესები გაქვთ?

— ცინი... — ამოიოხრა შიმ, მერე კი ჩაის ფიალა გვერდზე გადადო და ფიქრს მიეცა.

ბადასმინიდან ორი კვირის გასულები იყვნენ, როცა მთამ პირველი განსაცდელი მოუვლინა.

დღე იწურებოდა. ში ბანაკის დასაცემად ადგილს არჩევდა. ამ დროს მთამ მოულოდნელად იცვალა ფერი. ღრუბლებმა მწვერვალებიდან, მთის კალთებზე ჩამოინაცვლა. აცივდა. ქარიც მომძლავრდა.

მეგზურმა ცოტა ხანს ათვალა შავი ღრუბლებით მოფენილი ცა და მერე მექარავნეებს გზის გაგრძელება უბრძანა.

— გზა გავაგრძელოთ?! — ახმაურდნენ მექარავნეები. — მთელი დღე მუხლჩაუხრელად ვიარეთ, ჩვენც დავიღალეთ და პირუტყვიც ცუდი ამინდი ადრეც შეგვხვედრია. რას დაგვაკლებს ღრუბელი და ქარი, ღამეს აქ გავათენებთ და დილით განვაგრძობთ გზას!

ში დიდხანს ამტკიცებდა, რომ ღამე უბრალოდ ცივი და ქარიანი არ იქნებოდა. მალე ქარბუქი ამოვარდებოდა და შეიძლება, თოვლიც ჩამოწოლილიყო.

— თუ ქარბუქი გვიახლოვდება, რისთვის უნდა გავაგრძელოთ გზა? — ჰკითხა შასანმა. — განა აქ დარჩენა არაა სჯობია?.. ვიდრე ქარი ამოვარდება, პირუტყვს დავაბინავებთ და ბანაკს გავამარტობთ.

— მომდევნო მთის კალთაზე მოზრდილი მღვიმე მეგულება. იქ ყველას

ეყოფა ადგილი, ადამიანებსაც და პირუტყვსაც. ქარბუქის დროს, ამაზე კარგ თავშესაფარს ვერ ვინატრებთ, — უპასუხა შიმ.

— რამდენ ხანში მივალთ მღვიმემდე? — განაგრძო ჰასანმა.

— სწრაფად თუ ვივლით, შუალამემდე მივასწრებთ.

ამის გაგონებაზე მექარავენებმა ხმაურს უმატეს, — ლამით მთაში არ ვივლით, ტვირთს დაგვარგავთ და იქნებ ჩვენც უფსკრულში გადავიჩნებით!

— ბატონო, გახსოვს, რა გითხარი, როცა დამიქირავე? — ჰასანს მიუბრუნდა ში. — შენი ხალხისა და ტვირთის გულისთვის, თავს არ გავწინავ. თუ არ გამოძვეებით, მარტო მივაშურებ მღვიმეს.

ჰასანს არაფერი უთქვამს. თავადაც იქვე ერჩინა დაბანაკება. მექარავენები დაღლილები იყვნენ და ვინ იცის, შეძლებდნენ თუ არა გამოქვაბულამდე მიღწევას.

— დამიჯერე, ბატონო, — სწრაფად განაგრძო შიმ, — განა მე არ კი დავილაღე?! მაგრამ კარგად ვიცნობ ამ მთებს. აქ თუ დავჩნით, დავიღუპებით. კარგად დაფიქრდი, ვიდრე რამეს გადაწყვეტ. განა იმისთვის გამოიარე ამხელა გზა, რომ ახლა შეცდე და საკუთარი თავიც და ამხანაგებიც დაღუპო!

— ბადახშინელ ვაჭრებს რა უყვით? გზის გაგრძელებაზე რომ არ დაგვთანხმდნენ, მარტოებს ხომ არ მივატოვებთ?! — ჰკითხა ჰასანმა.

— რომელიმე მათგანმა უფსკრულში გადაიჩნა რომ მოინდომოს, რას იზამ... თან გადაწყვიტე!

— იცოდე, ტყუილად თუ გვატარე, ცოცხლად გაგაძრობ ტყავს! — დაემუქრა ჰასანი. მერე კი ბადახშინელ ვაჭრებს გასძახა: ნაბიჯს აუჩქარეთ, გზა უნდა გავაგრძელოთ, — მაგრამ ისინი მის ნებას არ დაჰყვნენ და თავის ხალხს კარვების გაშლა უბრძანეს.

ჰასანი და მისი თანამგზავრები მალე დარწმუნდნენ შის სიმართლეში. ის-ის იყო, ბადახშინელ ვაჭრებს დაშორდნენ, რომ ქარმა იმატა. ისე ჩამობნელდა, რომ მექარავენებს ერთმანეთის დანახვა უჭირდა. ამას ნამდვილი გრიგალი მოჰყვა. ძლიერი ქარი გუგუნ-ღრიღალით შემოიჭრა ხეობაში. ხეები ვერ უძლებდნენ მის შემოტევას. ჭრილობით იხრებოდნენ აქეთ-იქით და ტოტებს ერთმანეთს ახლიდნენ. რამდენჯერმე მექარავენები შემთხვევით გადაურჩნენ დაღუპვას. ორჯერ გზაზე ქარის მიერ მოგლეჯილი ხე წაიქცა. მესამედ ქარავენის უკან ზვავი ჩამოწვა. ქვისა და ლორღის ნაკადმა გრუხუნით გადაურბინა ბილიკს, რომელზეც მექარავენებ-

მა ცოტა ხნის წინ გაიარეს და უფსკრულში გადაეშვა.

შის ამ ჯოჯოხეთმაც ვერ დააკარგინა მხნეობა. ისევ წინ მიუძღოდა ქარავენს და დროდადრო გაჰყვიროდა: ნაბიჯს აუჩქარეთ, ქარბუქი ძლიერდება და დროზე თუ არ შევეფარეთ მღვიმეს, ყველანი დავიღუპებით!

მექარავენებს ცოცხლად გადარჩენის იმედი ენურებოდათ, როცა მთის კალ-



თაზე მღვიმე გამოჩნდა. გათოშილმა და დაქანცულმა მგზავრებმა გაჭირვებით გაიარეს იქამდე დარჩენილი მანძილი და მღვიმის სიღრმეში მიწაზე დაცვივდნენ. ფეხზე მარტო მუროჩი და ში დარჩნენ. მათ პირველ რიგში ცეცხლი დაანთეს. საბედნიეროდ, გამოქვაბულს ხშირად სტუმრობდნენ ადამიანები. მის შუაგულში კოცონის კვალი შემორჩენილიყო. იქვე ყვარა სანახევროდ დანახშირებული მორები. ცეცხლის დანთების მერე, შიმ და მუროჩიმ ცხენები და პირუტყვიც დააბინავეს და დასასვენებლად ჩამოსხდნენ. ის ღამე მექარავენებმა თეთრად გაათენეს. დაღლილობის მიუხედავად, ვერავინ შეძლო დაძინება. ყველა ქარის ღრიალს უსმენდა და იმაზე ფიქრობდა, ეწერა თუ არა ამ გამოქვაბულიდან გაღწევა.

დილისთვის ქარმა იკლო, მაგრამ ამით მექარავენებს შვება არ უგრძნიათ. ღამით მოსულ თოვლს მღვიმის შესასვლელი მთლიანად ჩაეხერგა. შესასვლელის განმეზღვრა არ იყო, მაგრამ მთელ გზას ხომ ვერ განმეზღვდნენ თოვლისგან. ვიდრე ამინდი არ გამოქვითდებოდა, მღვიმეში მოუწევდათ დარჩენა, მაგრამ რით უნდა გამოექვებათ სასაპალნე პირუტყვი და ცხენები, რომელთა გარეშეც გზას კარგ ამინდშიც ვერ გააგრძელებდნენ? მათდა სამწუხაროდ, ქარბუქმა რამდენიმე დღე გასტანა. პირუტყვი დაიშმა. ბალახის ძებ-

ნაში ჯორები და ცხენები მიწას ყნოსავდნენ და დროდადრო, ფლოქვებით თხრიდნენ. პირუტყვი სასწრაფოდ უნდა გამოექვებათ, მაგრამ — რით? მთის კალთები ღრმა თოვლს დაეფარა. მასზე გავლაც კი შეუძლებელი იყო, არათუ ბალახის მოძებნა.

— ხეები! — შიმ ფერდობისკენ გაიშვირა ხელი, რომელზეც რამდენიმე ხე მოჩანდა.

— ასეთ თოვლში იქამდე ვერ მივალწვეთ, — იუარა ჰასანმა, — და რომც მივალწვიოთ, მოჭრილ ხეს გამოქვაბულამდე ვერ მოვათრევთ.

— ხე არც გვჭირდება. ტოტებს დავჯერდებით. ფოთოლს პირუტყვს ვაჭმევთ, ტოტებით ცეცხლს დავანთებთ, — განაგრძო შიმ, — მარტო პირუტყვიც არაა საქმე. ჯერ ყინვას უნდა გადაურჩეთ, მერე კი აქედან გაღწევაზე ვიფიქროთ.

— დიდი თოვლია. აქაურობა ხრამებითაა სავსე, თოვლში კი არაფერი ჩანს. ვინმე რომ ჩავარდეს, ვეღარაფერს ვუშველით. ისევ მოცდაა ჯობს. პირუტყვი და საქონელი აღარ მადარდება. მთავარია, ხალხი გადარჩეს.

— მაგის იმედი ნუ გვენება, ბატონო და ბადახშინისკენ მიმავალი გზაც დაივიწყე. ასეთ

თოვლში უკან ვეღარ გავბრუნდებით. ახლა მარტო ერთი გზით მოგვიწევს სვლა — ქვემოთ, თათართა მიწებისკენ. პირუტყვის გარეშე კი იქამდე ვერ მივალწვეთ!

— მესმის, მაგრამ ამ თოვლში ვინ მივალწვეს იმ ფერდობამდე?!

— მე!.. — გაისმა მუროჩის ხმა.

— არა! — ცივად მოუჭრა ჰასანმა.

მაგრამ მუროჩის ყურადღება აღარ მიუქცევია მისთვის. გამოქვაბულის გასასვლელს მიუახლოვდა და ფერდობს დააკვირდა.

— მე გამოგყვები, — გვიდო მაშინვე გვერდში ამოუდგა.

— არა-მეთქი! — ხმას აუწია ჰასანმა.

— თუ იმ ფერდობამდე მისვლა აუცილებელია, ამას ჩემი ღულამები გააკეთებენ!

— დამშვიდდი, ბატონო. შენი მსახურებიცა და ვენეციელიც აქ დარჩებიან. მუროჩის მე გაყვები, — დავაში ჩაერია ში.

— მერედა, შეძლებ იქამდე მისვლას? — ეჭვით გახედა ჰასანმა.

— იქნებ შევძლო კიდევც, მაგრამ ეგ არაა მთავარი. იმ ფერდობზე ასვლა მე მოვიფიქრე და როცა ვინმეს თავის მოკვლას ურჩევ, წინაც უნდა წარუძღვე, — მშვიდად უპასუხა მეგზურმა და სამზადისს შეუდგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ღვთისა და მოყვასის მსახურებას შეწირული წუთისოფელი

შორენა მერკვილაძე

უმაღლესი სულიერების
იმ მამათა შორის, ვისაც
საქართველოს
მართლმადიდებელი
ეკლესიის წიაღში
უძესახურია, გამოჩნეული
აღვლით სულებს
მიტროპოლიტ ზინობის
(მაყუეტა), რომელიც
ათწლეულების მანძილზე
მოდირადა ქართველ
სამწყისოს. იგი ეროვნებით
ქართველი არ გახლდათ,
მაგრამ იმდენად დიდ პატივს
სცემდნენ ქართველი
იერარქები, რომ ჯერ
საქართველოს ეკლესიის
ეპისკოპოსად იქნა
ხელრასხმული, შემდეგ
მიტროპოლიტის ხარისხშიც
აიყვანეს. სწორედ მეუფე
ზინობის აღუყვავია ბერად
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი,
უწყმინდესი და
უხეტარესი ილია II.



„მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვისაც მრავალი
სულიერი ნუგეში მიუღია მიტროპოლიტი ზი-
ნობისგან. 1957 წელს, უწმინდესისა და უნე-
ტარესის, სრულიად საქართველოს პატრიარ-
ქის ლოცვა-კურთხევით წმინდა კთილმსახური
მეფის, ალექსანდრე ნეველის ტაძარში მეუფე
ზინობმა ბერად აღმკვეცა და უფლის
წინასწარმეტყველის, ილიას სახელი მიწოდა.
მიტროპოლიტი ზინობი მონაწილეობდა ჩემს
ეპისკოპოსად ხელდასხვაში და საპატრიარქო
ტახტზე ჩემს ინტრონიზაციაში“, — ბრძანებს
მისი უწმინდესობა... მამა ზინობის შესახებ არ-
ქიმანდრიტი რაფაელისა (კარელინი) და დე-
კანოზ ალექსანდრე ჩენოკოვის მოგონებებზე
დაყრდნობით მოგიხსრობთ...

მიტროპოლიტი ზინობი 1896 წელს სუმის
ოლქის, ჩერნოგოვის გუბერნიაში, კთილმორ-
წმუნე მუშის ოჯახში დაიბადა. ნათლისღები-
სას ზაქარია უწოდეს. მშობლები ადრე დაეღუპა.
მაგრამ ღვთისმოშიშმა და მოყვარულმა დედამ,
თეოდოსიამ მანაც მოასწრო, შვილისთვის
უფლის რწმენა და სიყვარული შთაენერგა.

11 წლის ობოლი ყრმა ერთხანს თავისი
ბიძაშვილის, პარასკევას ოჯახში ცხოვრობდა,
მაგრამ სიღატაკის გამო ყმანვილისთვის ზედ-
მეტ ტვირთად იქცა, ამიტომ გარკვეული ხნის
შემდეგ, დამ გლინის უდაბნოში წაიყვანა და
მონასტრის სახელოსნოში მონაწილე მიიბარა.
სწორედ გლინის უდაბნოდან დაიწყო მისი
სამონაზვნო გზა. 18 წლის ასაკში მორჩილად
მიიღეს. მძიმე და განსაცდელით სავსე იყო ზაქარ-
იასთვის მორჩილების პერიოდი, მაგრამ უფ-
ლის სასობითა და შეწევით, ყოველივე დაით-
მინა... 1917 წელს ბერად აღკვეცეს და სახელად
ზინობი უწოდეს. მოგესტენებათ, რაოდენ მძიმე
ხანა ედგა მამინ მართლმადიდებელ ცკლესიას...
ახალშემოსილმა ბერმა კარგად უწყოდა, რომ
ღვთის გულისთვის ბევრი რამის დათმენა
მოუხდებოდა. ბერული მოღვაწეობის დასაწყის-
შივე ისწავლა საკუთარი თავის უარყოფა და
თავდაბლობითა და მორჩილებით ადიდებდა
უფალს. რამდენიმე წლის შემდეგ, გლინის უდა-
ბნო დაარბიეს და დახურეს. მამა ზინობი
საქართველოში წამოვიდა და სოხუმის მახლო-
ბლად დამკვიდრდა — დრანდის ყოვლადწმინ-
და ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში.
რამდენიმე ხნის შემდეგ, ბერდიაკვნად დაასხეს
ხელი, 1925 წელს კი სოხუმის ეპისკოპოსმა
ნიკონმა — მღვდელმონაზვნის ხარისხში აიყვა-
ნა. მამა ზინობი 1930 წლამდე სოხუმის ეპარქი-
ის სხვადასხვა ტაძარში მსახურობდა, შემდეგ
იქ მსახურება შეუძლებელი გახდა. ზინობმა,
რამდენიმე მოსაგრესთან ერთად, აფხაზეთის
მთებს მიამურა და იქ დამკვიდრდა. მათ სენაკები
ააგეს და სამონასტრო ცხოვრება წამოიწყეს.
თავს მინათმოქმედებით ირჩენდნენ.

ღვთისა და ეკლესიის მოძულეებმა უდაბნოს
არსებობის შესახებ შეიტყვეს და იქ მოღვაწე

ბერები საგანიდან განდევნეს. მამა ზინობმა სოხუმის
მახლობლად მდებარე, ბერძნულ სოფელს მია-
შურა. ღამეს გულმონყავე ქრისტიანებთან ათ-
ევდა, ხალხს უსაზღვროდ უყვარდა...

მალე იქაც მიაკვლიეს. არ აღუვდნენ უფლის
ლოცვითა და სათნო მოღვაწეობით დიდების
საშუალებას, ამიტომ დონის როსტოვში გაემგ-
ზა. 1936 წლამდე წმინდა სოფიის ტაძარში
მსახურობდა. შემდეგ ყოვლად უმიზეზოდ დაა-
პატიმრეს და ყოველგვარი ბრალის წაყენების
გარეშე, როსტოვის გამანაწილებელში გამოამწ-
ყვედიეს. მიზეზი — უფლის მსახურება იყო...
უფლის რწმენის ნაცვლად, დასჯილ ბერს ურალში
მოუხდა პატიმრობაში ყოფნა. არქიმანდრიტი
რაფაელი იგონებს: „მეუღლე არაერთგზის დაა-
პატიმრეს და გადასახლეს, მაგრამ იმ ადგილებ-
შიც კი, ჯოჯოხეთის რომ მოგაგონებდათ, ის
თავისი სათნოებითა და მოთმინებით, როგორც
დამნაშავეთა, ისე ზედამხედველთა, გამოძიებულთა
და მოსამართლეთა პატივისცემას იმსახურებდა,
რომლებიც მამინ ბერად არ ჩამოუვარდებოდ-
ნენ დამნაშავეებს და ხშირად სადისტურ სიამ-
ოვნებას ჰგვრიდა მსხვერპლის ტანჯვა და მხე-
ცური ძალადობა. მეუფე ზინობი ამბობდა, რომ
გადასახლებაში სალოცავად ტყეში განმარტოე-
ბის უფლება მოიპოვა, რაც პატიმრისადმი გაუგ-
ონარი ნდობის ნიშანი იყო, რადგან ტყეში გას-
ვლა გაქცევად მიიჩნეოდა და ბადრავს თავისუფ-
ლად შეეძლო, ადგილზე მოეკლა ადამიანი.
კვირებით და სადღესასწაულო დღეებში, მეუფე
სარგებლობდა იმ ნებაართვით, პატარა, უკაცრი-
ელი ტბის პირას მიდიოდა და იქ ლოცულობ-
და. ერთხელ, დღესასწაულზე ღვთისმშობლის
გამოცხადება ჰქონია, თავისი გათავისუფლების
შესახებ, მაგრამ არ ამბობდა, თუ რა გამოცხა-
დება იყო ეს“.

პატიმრობიდან ვადამდე ადრე გაათავისუფ-
ლეს. მამა ზინობმა კვლავ საქართველოს მია-
შურა. ჯერ სოხუმში ჩავიდა, მერე თბილისში
მოუხდა წამოსვლა, საქურნალოდ. გზაში გაქურ-
დეს და ფული და საბუთები ამოაცალეს. ვიდრე
საბუთებს აღადგენდა, თბილისში შეყოვნდა. ამ
ხნის მანძილზე ხშირად მიდიოდა სიონის საპა-
ტრიარქო ტაძარში და ლოცულობდა. ტაძარში
პატრიარქ კალისტრატეს შეხვდა, რომელიც ღრმა
პატივისცემით განიმსჯევა მამა ზინობის მიმ-
ართ. შესთავაზა, სიონის ტაძარში უშტატო მღვდ-
ლად ემსახურა. ცოტა ხანში, მცხეთის წმინდა
ოლღას მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს.
მისმა მალალსულიერმა მსახურებამ მრავალი
ადამიანი მიიზიდა ეკლესიაში. 1950 წელს პა-
ტრიარქმა კალისტრატემ მამა ზინობი თბილი-
სის ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვრად
დაადგინა იგი გარდაცვალებამდე წინამძღვრობდა
ამ ტაძარს და იქვე დაკრძალეს...

პატრიარქ კალისტრატეს ღვიძლი შვილიე-
რით ჰყვარებია მამა ზინობი. სასიკვდილო სარე-
ცილზე მყოფმა, თავის მემკვიდრე — მომავალ
პატრიარქ მელქისედეკს სთხოვა, რომ მამა ზი-
ნობისთვის ეპისკოპოსად დაესხა ხელი. 1956

წელს მართლაც, აკურთხა ეპისკოპოსად პატრიარქმა მელქისედეკმა (მანამდე კი 1952 წლიდან, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრიც იყო). იგი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი გახდა. 1972 წელს კი მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. 1960 წლიდან თეთრინყაროს ეპისკოპოსიც იყო, თუმცა ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვრობაც არ მიუტოვებია. მან არაერთი საეკლესიო ჯილდოც მიიღო.

როგორც მოგახსენეთ, მეუფე ზინობის ლოცვას საოცარი ძალა ჰქონდა. ეს, მძიმე ავადმყოფობის უამს, პატრიარქ კალისტრატესაც გამოუცდია. ერთ ასეთ შემთხვევასაც იგონებენ: მღვდელს, დეკანოზ რევას, როცა კი ლოცვითი კანონის აღსავეწინა დადგებოდა, საშინელი, უსახური თავი ეცხადებოდა, რომელიც ძალზე ამიწებდა. ბოლოს შიშმა იმდენად დაიმონა, რომ მართო დარჩენასაც უფრთხობდა. მამა რევასი მეუფესთან მივიდა და ყოველივე აუწყა. მან გულისყურით მოუსმინა მოძღვარს, შემდეგ კი დაამშვიდა: ამ საღამოდანვე დავიწყებ ლოცვას შენთვისო, — უთხრა. მამა რევასს შიშები გაუქრა, აღარც მსგავსი გამოცხადებები ჰქონია.

ყოფილა ასეთი შემთხვევაც: ალექსანდრე ნეველის ტაძრის მოძღვრის მეუღლეს მუცლის ღრუში კისტა აღმოაჩნდა, და ქირურგიული ოპერაცია ესაჭიროებოდა. ქალი ფეხმძიმედ იყო, ბავშვის შენარჩუნება სურდა, მაგრამ ექიმები არწმუნებდნენ, რომ კისტა ბავშვს მოგუდავდა, ხოლო თუ გადარჩებოდა, სწული დაიბადებოდა. ამიტომ ნაყოფის მოშორებას ურჩევდნენ. ქალი ექიმების რჩევას დათანხმდა, მაგრამ შემდეგ სინანულმა შეიპყრო იმის გამო, რომ ექიმებს ბერის კურთხევის გარეშე მიმართა და სულისთვის დამალუპველი გადანყვეტილება მიიღო. მაშინვე მეუფე ზინობს მიაკითხა. მან ქალი დატუქსა, შემდეგ კი მისთვის ლოცვა აღავლინა... დადგა მშობიარობის დრო. ქალმა სრულიად ჯანმრთელი გოგონა გააჩინა, კისტა კი უკვალოდ გაქრალიყო. ექიმებმა ვერაფრით შეძლეს ამ ფაქტის ახსნა... მამა ზინობის ლოცვით, კიდევ მრავალი ადამიანი განკურნებულა.

1970 წელს მეუფე მძიმედ ავად გამხდარა, ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ. სარეცელზე მწოლიარე მამა ზინობმა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს — „მკურნალს“ მიაპყრო მზერა და მთლიანად მიენდო უფლისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნებას (ყრმობიდანვე გრძნობდა ღვთისმშობლის განსაკუთრებულ მფარველობასა და მეოხებას). მხოლოდ ლოცულობდა. მას თავად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა სენაკში და აკურთხა. სულ მალე გამოჯანმრთელდა. ამ სასწაულის შესახებ მხოლოდ ძალზე ახლობელი ადამიანებისთვის უთქვამს.

როცა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დანიშნეს, გვერდით ორი პატარა ოთახისგან შემდგარი შენობა გამოუყვეს საცხოვრებლად. ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგაც არ ისურვა ამ სენაკის დატოვება. სწორედ ეს ორი პატარა ოთახი დარჩა მის საღვდელმთავრო აპარტამენტად, მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა დავით



„ჩვენ ვეცნობთ მას, როგორც უდიდეს ბერს, როგორც დიდი სულიერების ადამიანს...“

V-მ ახალი რეზიდენციის აშენება შესთავაზა... ყველა, ვინც მის მოკრძალებულ საცხოვრებელს ნახულობდა, გაოცებული რჩებოდა ბერის უბრალოებითა და თავმდაბლობით. მის ქონებას ორი რკინის საწოლი, სანერი მაგიდა, ორი სკამი და ნიგნების ორი პატარა კარადა შეადგენდა. სამაგიეროდ, სენაკის მორთულობაში ჭარბობდა ხატები და სასულიერო პირთა ფოტოპორტრეტები.

მეუფე ზინობს ხშირად მიმართავდნენ სულიერი რჩევისთვის, განსაცდელსა და მწუხარებაში მყოფი ადამიანები. ზოგსაც უბრალოდ, სულიერი რჩევა სჭირდებოდა. მოყვასის უსახლვრო სიყვარულით გულანთებული მოღვაწე ყველას ერთნაირი სიტბოთი, მოკრძალებითა და თანაგრძნობით ეპყრობოდა. ჯერ მოთმინებით უსმენდა ადამიანს, ცდილობდა, მისი მწუხარება და გასაჭირი შეეგრძნო და მხოლოდ შემდეგ აძლევდა რჩევას. განსაცდელსა თუ მწუხარებაში მყოფთ ღვთაებრივი ჩანაფიქრის დანახვას ასწავლიდა. როდესაც მისი სულიერი რჩევითა და ლოცვის ძალით სულიერი კლაობტში ჩამდგარი ადამიანები მაღლობის სათემელად მიაკეთხავდნენ, თავმდაბლად და მოკრძალებით ამბობდა: მე არაფერს წარმოვადგენ, ჩემი მუშევრით, ღვთის მაღლი მოქმედებსო. ერთ-ერთი სულიერი შვილისთვის უთქვამს: მოგეხსენებათ, რომ მე მდებრივ ადამიანი ვარ და უფლის ყურადღებას არ ვიმსახურებ, თუმცა ჩემი მხრივ, ღვთის მცნებების გამო, ვალდებული ვარ, რწმენით მთხოვნელთათვის, მათ თავს დამტყდარ განსაცდელში რჩევები მიეცე წმინდა მამათა დამონებით. სწორედ ასეთი თავმდაბლობის, მოკრძალებისა და სხვა სათნოებათა სანაცვლოდ ჰქონდა ბოძებული ღვთისგან სულიერი ჭვრეტის ნიჭი.

„შემწახველი საღარო“, სადაც მე ფულს ვინახავ, ადამიანები არიანო, — ამბობდა მამა ზინობი. მას არასოდეს შეუნახავს ფული და არც ერთი ნაჩუქარი ნივთი; ყველაფერს მონყალების სახით გასცემდა. ხშირად, როდესაც მეუფე ნირვის შემდეგ ტაძარში მდგო-

მთა დასალოცავად ჩამოვივლიდა, ღარიბებსა და უპოვართ ფულსაც ურიგებდა.

მეუფე ზინობმა ღრმა სიბერემდე მიაღწია. გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე დიდ სქიმში ალიკვეცა სერაფიმეს სახელით. წინასწარ გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს, ზოგჯერ ცხადად, ზოგჯერ კი დაფარულად მიუთითებდა თავის სამწყსოს, რომ მალე მასთან აღარ იქნებოდა...

1984 წლის 19 ივლისს საღმრთო ლიტურგია აღასრულა (უნდა ითქვას, რომ მეუფე ზინობი ყოველთვის განსაკუთრებული საზეიმო ბრწყინვალეობით ასრულებდა საეკლესიო მსახურებას). ნირვის შემდეგ, ფეხების სისუსტე იგრძნო (საერთოდაც აწუხებდა ფეხები: პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობისას ნახევარი წლის მანძილზე პირის ჭაობებში მოუხდა ყოფნა, სინესტისგან ფეხები ასტკვიდა და ეგზემა ჩამოუყალიბდა, რომელიც მთელი ცხოვრება ტანჯავდა). მას შემდეგ სარეცელს მიეჯაჭვა, რადგან ფეხები აღარ ემორჩილებოდა. 19 დეკემბერს, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს ანაფორა ჩაიცვა, ტაძარში წავიდა და საღმრთო ლიტურგიის აღსრულებაში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო მისი უკანასკნელი მსახურება. მერე თავის სენაკში დაბრუნდა და კვლავ სარეცელს მიეჯაჭვა. გარდაცვალებამდე გაუნყვეტელი ლოცვით ადიდებდა უფალს...

მადლმოსილი ბერი 1985 წლის 8 მარტს გარდაიცვალა. წესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აუგო.

მანამდე კი მის უწმინდესობას სიტყვა წარმოუთქვამს, სადაც კერძოდ, თქვა: „მეუფე ზინობის ცხოვრება მთლიანად ეძღვნებოდა მართლმადიდებელი ეკლესიისა და მოყვასის მსახურებას... ის იყო მადლმოსილი ადამიანი, რომელმაც უფლის რწმენით, უფლისა და ყველა გარემოში მყოფი ადამიანის სიყვარულით, სულიწმინდის მაღლი მოიხვეჭა... ჩვენ ვეცნობთ მას, როგორც უდიდეს ბერს, როგორც დიდი სულიერების ადამიანს, რომელიც მაღალი ქრისტიანული მსახურების, ასკეტური მოღვაწეობის მაგალითის იძლეოდა... მან ცხოვრება და გული საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ყველა ჩვენგანს უბოძა. მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით იღებდა მასთან მისულ ყველა მორწმუნეს... მისთვის მთავარი — ადამიანის თანადგომა იყო. დღეს მარადიულ ცხოვრებაში ვაცილებთ მეუფე ზინობს, მაგრამ მწამს, რომ ის არ დაგვტოვებს თავისი ლოცვის გარეშე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო გადანყვეტილება, მაღალყოვლადუსაფედელოესი ზინობი დაიკრძალოს აქვე ტაძარში, რათა არა მხოლოდ სულით მყოფობდეს ჩვენთან ერთად, არამედ ხორციელადაც არ მოგვატოვოს“, — უთქვამს მის უწმინდესობას.

მართლაც, მამი ზინობი წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაკრძალეს, სადაც 35 წლის მანძილზე ემსახურებოდა უფალსა და სამწყსოს. მორწმუნენი დღემდე იღებენ ნუგეშსა და შენევენს, ბერის საფლავთან გულწრფელი ლოცვის სანაცვლოდ. სასწაულმოქმედების ძალა შესწევს იმ ნივთებსაც, რომლებიც სიცოცხლეში მამა ზინობს ეუთვნოდა. ■

ახვთ თუ არა მშობლებს ბედნიერების უფლება

რა ხდება მაშინ, როცა მშობელი გადაწყვეტს, ბედი მეორედ სცადოს და საყვარელ ადამიანზე დაქორწინდეს?.. ამ ამბავს ზოგი შვილი დადებითად ხვდება, ზოგი კი აგრესიას ამჟღავნებს და მომავალი დედინაცვლისა თუ მამინაცვალის თავიდან მოშორებას ყველანაირი ხერხით ცდილობს. როგორ ან როდის უნდა გაუმყლავნოთ შვილს, რომ თქვენს ოჯახს კიდევ ერთი ნევრი შეემატება? – ამ კითხვას ფსიქოლოგი ქალბატონი გასცემს პასუხს, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო, საკუთარი ვინაობის გამყლავნება არ ისურვა.

ანუ როცა დეა ან მამა მეორედ ქორწინდება

ლიპა ქაჩია

ნინო ჭილიკა, 16 წლის:
— 15 წლის ვიყავი, დედამ რომ გამომიციხადა, — მე და მამაშენი ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, ურთიერთს ვერ ვგუბებთო. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ შოკი მაშინ მივიღე, როცა განქორწინებიდან ერთ თვეში მითხრა, რომ ვილაც არაბზე თხოვდებოდა. მას შემდეგ დედას არ ველაპარაკებ.
— **მამაშენს არ შეურთავს ცოლი?**
— არა, და როგორც მითხრა, ამას არც აპირებს. ის ჩემსა და ჩემს ძმაზე ისე ზრუნავს, რომ უდებობას ვერც ვგრძნობთ.
— **და მაინც, დედის გარეშე ცხოვრება არ გიჭირთ?**
— არა, ნამდვილად არ გვიჭირს!
— **ალბათ, ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ დედაზე გაბრაზებული ხარ.**
— შესაძლოა, მაგრამ ასე ვფიქრობ.
— **დედაშენსაც ხომ ჰქონდა ბედნიერების უფლება?**
— მას შეეძლო, მამასთანაც ბედნიერი ყოფილიყო, მაგრამ ვილაც არაბის „ფულებს“ დახამდა და მის გამო ყველა დაგვკარგა. ჩემს შვილებს არაფრის და არავის გამო არ მივატოვებ. საერთოდ, დედაჩემისნაირ ქალებს შვილები არ უნდა ჰყავდეთ! სანყალი მამაჩემი ნელებზე ფეხს იდგამს იმისათვის, რომ ჩვენ არაფერი მოგვკალოს. მას ამავსე აუცილებლად დაუფუფასებ.
— **დედაშენი არაბს კი არა, უფულო ქართველს რომ გაჰყოლოდა და გტოვებდა, რომ ეს დიდი სიყვარულის გამო ჩაიდინა, გაუგებდი?**
— ალბათ, მისი გაგება ამ შემთხვევაშიც

გამიჭირდებოდა, მაგრამ მასთან ურთიერთობას საშუალოდ არ გავწყვეტდი.
— **დედამ ეს ნაბიჯი იმიტომ ხომ არ გადადგა, რომ მატერიალურად ძალიან გიჭირდათ და თქვენთვის (შვილებისთვის) ცხოვრების გაუმჯობესება სურდა?**
— არა, ის მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა. მან ისიც კი არ იცოდა, რა იყო ნამდვილი გაჭირვება. ჩვენ მატერიალურად ისე არასდროს გაგვჭირვებია, რომ სახლში საჭმელ-სასმელი არ გვექონოდა. უბრალოდ, დედას ფუფუნებაში ცხოვრება სურდა და მიზანს მიაღწია კიდევ.
— **თქვენთან დაკონტაქტებას თავად არ ცდილობს?**
— თავიდან ცდილობდა, მაგრამ ახლა იცის, რომ ყველანაირი მცდელობა უშედეგო იქნება.
— **ის კაცი სად გაიცნო?**
— თავისმა მეგობარმა გააცნო. ნინო დეიდა საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. იქ გაიცნო არაბი კაცი და მას გაჰყვა ცოლად. თბილისში რომ ჩამოვიდა, თან ვილაც კაციც (თავისი ქმრის ნათესავი) ჩამოიყვანა. დედას სწორედ ამ კაცმა დაუბრძავა თვალი. ნინო დეიდა ცდილობდა, დედა აზრზე მოეყვანა, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა.
— **დედაშენი ახლა სად ცხოვრობს?**
— არ ვიცი და არც მაინტერესებს. მგონი, საბერძნეთშია. ჩემი აზრით, ოჯახი მანამ არ უნდა შექმნას, ვიდრე არ დარწმუნდები, რომ ამისთვის მზად ხარ. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ მშობლებმა გაყრას ყვე-

ლანაირად უნდა აარიდონ თავი, რათა ამით შვილების ფსიქიკა არ დაანგრინონ, არ დაამახინჯონ. იმედია, ამას სხვა მშობლები მაინც გაითვალისწინებენ და სანამ თავიანთ კეთილდღეობაზე იფიქრებენ, შვილების მომავალზე დაფიქრდებიან.

მირი (ათინიანი):
— ჩემი მშობლებიც დაშორდნენ ერთმანეთს და მამაჩემმა 1 წლის შემდეგ ცოლი შეირთო, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. მე დედასთანაც მაქვს ურთიერთობა და მამის ახალ ოჯახთანაც.
— **დედინაცვალი როგორ მიიღე?**
— ძალიან კარგად. ის თბილი ადამიანია და თავი დანახვისთანავე შემაყვარა. სანამ ამ ქვეყანას ჩემი პატარა ძმა მოევლინებოდა, მათთან ხშირად დავდიოდი, მერე კი საზღვარგარეთ წამოვედი სასწავლებლად და ახლა მათ მხოლოდ ტელეფონით ვკონტაქტები.
— **მამაშენის დაქორწინების ამბავი დედამ როგორ მიიღო?**
— შეიძლება, ამ ამბავმა გული ატკინა, რადგან მას მამა ძალიან უყვარდა და დღესაც უყვარს, მაგრამ აყალმაყალი არ აუტყვია. ის კარგი ადამიანია და მამაჩემის ბედნიერებას ამიტომაც არ შეუშალა ხელი.
— **როგორ ფიქრობ — აყალმაყალი რომ აეტყება, მათ დაქორწინებას ხელს შეუშლიდა?**
— შეიძლება, მამას ცოლი მაინც მოეყვანა, მაგრამ არ ვიცი, დედინაცვალი რას იზამდა. ჩემს მშობლებს შორის დღემდე მეგობრული ურთიერთობაა და ამ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა აუცილებლად გაფუჭდებოდა. მამაჩემის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არც მე მქონდა. ამიტომაც, სიმშვიდე შევიწარმე და მისი დაქორწინება ნორმალურ მოვლენად აღვიქვი. ასე რომ არ მოგვეცულებოდა, მამას მეც დავკარგავდი. ჩემმა დამ — ელენემ მამას პროტესტი გამოუცხადა და დედინაცვალს დღემდე ვერ იტანს. აბა, მითხარით, ამით რა მოიგო?.. არც არაფერი. მას დედაც კი სთხოვს, მამას შეურიგდეს, მაგრამ ელენე ძალიან ჯიუტია.
— **შენი და, შენს პატარა ძამიკოს არ იცნობს?**
— სურათით ჰყავს ნანახი...
— **მერე, როგორი რეაქცია ჰქონდა?**
— ვითომ, პატარასაც ვერ იტანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძამიკო მასაც მოენონა და ერთი სული აქვს, როდის გაიცნობს. იმედია, მათ დაახლოებას მალე მოვახერხებთ და ერთი ოჯახივით ვიცხოვრებთ.
— **დედაშენს არ ჰყავს საყვარელი ადამიანი?**
— რატომღაც, მისთვის ეს თემა ტაბუდადებულია და არა მგონია, გათხოვებაზე იფიქროს. ის საქმიანი ქალია და მთელი ყურადღება თავის სამსახურზე აქვს გადატანილი.

— როგორ ფიქრობ — გათხოვება რომ გადამწყვიტოს, ამ ამბავსაც ისე ადვილად შეეგუები, როგორც მამაშენის დაქორწინებას?

— შევეგუები კი არა, ეს ამბავი ძალიან გამახარებს. მთავარია, ადამიანი, რომელსაც ის შეიყვარებს, მისი ღირსი იყოს, პატივი სცეს და დააფასოს. მერნშუნეთ, ბედნიერების უფლება ჩვენს მშობლებსაც აქვთ. ბევრი თინეიჯერი ამბობს, — დედ-მამა ჩვენს პირად ცხოვრებაში არ უნდა ერეოდესო. მაშინ საინტერესოა, ჩვენ რა უფლებით უნდა ჩავერიოთ მათ საქმეში?..

— იმის გამო, რომ მამაშენი დაქორწინდა, მეგობრებთან პრობლემა ხომ არ გქონია?

— არავითარი. რომელიმეს ჩემთვის რომ დაეცინა ან რაღაც ისეთი ეთქვა, რაც ჩემს ოჯახს დაამცირებდა, მას აუცილებლად დავეარგავდი.

ბარი, 14 წლის:

— ჩემი მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მაგრამ თავს სხვა ადამიანთან ურთიერთობასაც უკრძალავენ. მგონი, ეს უფრო ცუდია, ვიდრე ის, რომ ისინი ვიღაცებზე დაქორწინდნენ. დედ-მამას დღემდე ვუჩიჩინებ, — შერიგდით-მეთქი, მაგრამ ვიცი, გარკვეული მიზეზების გამო, ეს არ მოხდება. ამიტომაც, მზად ვარ, მათი საყვარელი ადამიანებიც მშობლებივით მივიღო.

— საქმე საქმეზე რომ მიდგება, შეიძლება, სხვანაირად ალაპარაკდე — არა მგონია, აზრი შემეცვალოს.

მთავარია, მათ ჩემი შეყვარება შეძლონ. აი, ჩემი ძმა კი არ ვიცი, ამ შემთხვევაში რას იზამს. როცა დედას ვუბნები, — გათხოვდი-მეთქი, — მეჩხუბება, — ნუ ტლიკინებ, თორემ ენას ძირში მოგაჭრიო.

— შენს სამეგობროში თუ მომხდარა მსგავსი რამ?

— კი, ჩემი დაქალის მამამ ცოლი

მოიყვანა და ის გოგონა დასაბმელ გიყს დაემსგავსა. მამას დღემდე არ ელაპარაკება, დედინაცვალს კი დასაანახავად ვერ იტანს, რადგან ჰგონია, რომ მისი მშობლები ერთმანეთს მან დააშორა. მერნშუნეთ, მის მშობლებს ერთურთი რომ ჰყვარებოდათ, ოჯახს არ დაანგრევდნენ, უსიყვარულოდ ცხოვრება კი ძალიან ძნელია. დედ-მამა ერთად რომ ცხოვრობდეს, დარწმუნებული ვარ, სახლში სულ აყალმაყალი იქნება, ცალ-ცალკე რომ არიან, ერთმანეთს მეტად აფასებენ, პატივს სცემენ. ყველა იმას ამბობს, — მათ ერთმანეთი დღემდე უყვართო. ვიცი, დედას მამა არ სძულს, მაგრამ ერთად ცხოვრებას ვერ ეგუებიან. ამიტომაც, ჩემი აზრით, მათ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და დაშორდნენ.

ნიწო:

— ჩემმა მშობლებმა განქორწინება რომ გადაწყვიტონ, ამ ამბავს ვერაფრით შევეგუები. არ მესმის იმ წყვილები, რომლებიც ქორწინდებიან და მერე ხვდებიან — თურმე ერთმანეთი არ უყვარდათ. როცა ოჯახს ქმნი, დარწმუნებული უნდა იყო, რომ მეუღლე მთელი ცხოვრება გყვარება.

— რომ გაიგო, შენი მეგობრის მშობლები ვიღაც ქალის ან კაცის გამო ერთმანეთს შორდებიან, როგორი რეაქცია გექნება?

— ჩემი მეგობარი ძალიან შემეცოდება. ასეთი არაფერს მყავს და იმედიც, მსგავსი რამ არც ერთი მათგანის ოჯახში არ მოხდება.

— და მაინც, რომ მოხდეს, ამის გამო მეგობარს დაკარგავ?

— შეიძლება, არ დავეარგო, მაგრამ მას შინ ვეღარ ვესტუმრები.

— რატომ?

— რა ვიცი. ასე მგონია და რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ. მსგავს შემთხვევაში შესაძლოა, მეგობრის მამა ან დედა ისე გამოვლანძმო, რომ თავად ჩემს მეგობარს აღარ გაუჩნდეს ჩემთან ურთიერთობის სურვილი.

— შენ სხვის ცხოვრებაში ჩარევის უფლება გაქვს?

— ჩემი მეგობარი და მისი მშობლები ჩემთვის ახლობელი ადამიანები არიან და მათ „სხვებად“ არ მივიჩნევ.

— რომელიმე შენი მეგობრის მშობლებმა რაიმე რომ აგიკრძალოს, მოგეწონება?

— თუ რაღაცას ისეთს ვა-

კეთებ, რაც ასაკრძალავია, აბა, რა უნდა ქნან?! ამის გამო გული არ დამწყდება. მეგობრის დედამ „პაკლო“ გამომიღანძლა. თავიდან გაგებრაზდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მართალი იყო და ამისთვის მადლობა გადავუხადე. ქართველებს ლალატი არ შეგვეფეროს. თუ ოჯახი შექმენი, მისი ერთგული უნდა იყო, ცუდიც და კარგიც მეუღლესთან ერთად უნდა გაიზიარო და თუ რაღაცის ან ვიღაცის შესახებ აზრი შეგეცვლება, საკუთარი თავის მოთოკვას უნდა შეეცადო და ყველაფერი გამიზულად აიტანო!..

ფსიქოლოგი:

— კარგია, როცა ოჯახი ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე მყარია. მაგრამ ხდება ისეც, რომ წყვილები, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ერთმანეთს ვეღარ უგებენ და შორდებიან.

— ეს რატომ ხდება?

— ადამიანს, ასაკის მატებასთან ერთად, ეცვლება გემოვნება, შეხედულებები და შესაბამისად, მეუღლეები რაღაცებს, რაც მანამდე მოსწონდათ, ვეღარ ეგუებიან. ოჯახი, უმეტესწილად, ინგრევა მას შემდეგ, როცა ოჯახში ბავშვი ჩნდება. როცა მოსიყვარულე ცოლს მთელი ყურადღება შვილზე გადააქვს და მის გამო მეუღლეს ნაკლებ დროს უთმობს, მამაკაცს ეს არ მოსწონს და უკმაყოფილება იჩენს თავს. ზოგჯერ ამის გამო, მამაკაცებს შინ მისვლა არ უნდათ, სიტბოს სხვა „უბეში“ ეძებენ, მეუღლეს ლალატობენ და შინ მისულები, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ წაართვან ცოლს შვილი — ის პატარა არსება, რომელმაც საყვარელ ადამიანს მისი თავი „დაავიწყა“. ზოგჯერ ასე თავად დედები იქცევიან ანუ როცა სამსახურიდან შინ დაბრუნებული მამაკაცი მამწინვე ბავშვიან საწოლთან მივა, ქალები საოცრად ეჭვიანობენ და იწყება კონფლიქტი. ხშირ შემთხვევაში, შვილებიც არაფერ შუაში არიან. უბრალოდ, წყვილი ხვდება, რომ დაქორწინებით შეცდომა დაუშვა და ორივე ყველანაირ მიზეზს ეძებს იმისთვის, რომ მეუღლეს დაშორდეს, მაგრამ ამ გაყრის მიზეზს აუცილებლად მეორეს აბრალებს.

— მშობლების დაშორება შვილების ფსიქოლოგზე როგორ აისახება?

— რა თქმა უნდა, ეს სასურველი არ არის, ამით შვილებს დარტყმას აყენებენ, მაგრამ ოჯახში არსებული ყოველდღიური კონფლიქტის ყურებას სჯობს, მშობლები დაშორდნენ. უბრალოდ, სასურველია, როცა გაყრას საბოლოოდ, მტკიცედ გადაწყვეტენ, ამის შესახებ შვილს დედაც დაელაპარაკოს და მამაც. ამ შემთხვევაში ბავშვი სიტუაციას შედარებით იოლად შეეგუება. მშობლებმა შვილებს ის მიზეზიც უნდა დაუსახელონ; თუ რატომ ვეღარ ეგუებიან ერთმანეთს და ბავშვებიც მათ გაგებას შეეცდებიან.



«თიყვარს, მაგრამ ვერ ღავუხოქაჲ, სიყვარულს ვერ ვითსოვ»

„გოგო თიყვარს ღა არც ჯი იცნობ?... მანიასი ხარ“

„გზის“ №43-ში დაიბეჭდა პესიმისტის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ 3 წელია, უყვარს გოგო, რომლის გულიც ვერაფრით მოიგო. „რამდენჯერაც ვცადე, გამეცნო, იმდენჯერვე უარი მითხრა. ახლა მომწერა, — სხვა მომწონსო. დარწმუნებული ვარ, მატყუებს. მის გარდა არაფერი მაინტერესებს“. პესიმისტი იმედოვნებს, რომ თქვენი დახმარებით, გოგონას მოიხიზვლას შეძლებს.



ნეთვალებას მისტიროდა, რომელსაც შესაძლოა, ერთი ღამის მერე მიეტოვებინა... ხომ გაგიგონია, — ვისაც მე უყვარდი, მეც ის შევიყვარეო. იმ გოგომ კი შესაძლოა, ცოტა ხანში სიყვარული გთხოვოს (როგორც ხდება ხოლმე), მაგრამ მერე გვიან იქნება. აბა, წარმატებები!“

წინილა:

„ეჰ, ჩემო პესიმისტო, რას გაუგებ ამ ქალებს? მეც ქალი ვარ, მაგრამ სუსტი სქესის წარმომადგენლების ფსიქოლოგიას ბოლომდე ვერც მე ჩაწვდი :)“. ჰოდა, ის გოგონა შენი გრძნობებით თამაშს ისევ თუ შეეცდება, მისი სახელიც კი დაივიწყე

(თუმცა ეს ძალიან რთული იქნება) და იპოვე ისეთი ღირსეული ადამიანი, რომელიც შენს სიყვარულს დააფასებს. მით უმეტეს, რომ დღესდღეობით 1 მამაკაცზე 8 ქალი მოდის!“

GREEN GIRL:

„პესიმისტო, როცა ვიღაც სიყვარულს მესიჯების მეშვეობით მიხსნის, ეს სასაცილოდ არ მყოფნის. იმ გოგოს შეხვდი და დაელაპარაკე. შენ სულელურად იქცევი და ამიტომაც ხარ ასეთ დღეში“.

SCORPION GIRL:

„ადამიანო, მიდი და გაციანი, პირისპირ დაელაპარაკე. რა ძნელი საქმე ესაა? უთხარი, რომ გაინტერესებს :)“, „იტოვებ“, „ლაიფში“ უნდა „უბარო“, რა. წარმატებები“.

უცნობი:

„თუ 3 წლის განმავლობაში იმ გოგოს გაცნობაც ვერ მოახერხე, ეს შენი ბრალი უფროა, ვიდრე მისი. ცოტა გაინძერი, რა“.

ლელა:

„კაცო, გადამრიე: გოგო გიყვარს და არც კი იცნობ?! ვაიმე, მგონი, მანიაკი ხარ. 3 წელი ისე გაატარე, რომ მის გასაცნობად, თითოც კი არ გაგინძრევი! ვაი, სირცხვილო! ეს ქართული კაცები სულ გადაჯიშდნენ. ადრე კაცები შეყვარებულის გამო საგმირო საქმეებს სწადიოდნენ, ქალებს სერენადებს უმღერდნენ, ახლა კი საყვარელი ადამიანის ნახვაც ეზარებათ. ეჰ, რა დრო დაგვიდგა პესიმისტო, ტვინი გაანძრიე, თორემ ხახამშრალი დარჩები და ღირსიც იქნები“.

გიო:

„ბიჭო, ვერ ვხვდები, რა კაცი ხარ. ნუთუ ქალთან ურთიერთობის გეშინია? აბა, 3 წლის განმავლობაში მისი გაცნობა როგორ ვერ მოახერხე? ნუთუ, იმ გოგოს შესახებ არაფერი იცი და არც მის მეგობრებს იცნობ? ეჰ, წასულია შენი საქმე. გოგო რომ ვიყო და შენნაირი „პაკლო“ მყავდეს, მეც ანალოგიურად მოვიქცეოდი და თავს ყველანაირად აგარიდებდი... მიუხედავად ყველაფრისა, წარმატებებს გისურვებ!“

T.E.X.X.O:

„მართლა პესიმისტი ყოფილხარ. ვიცი, რომ გულს ვერაფერს უბრძანებ, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ უნდა დაიმცირო თავი იმ ადამიანის წინაშე, რომელსაც შენი ბუდი საერთოდ, არ აინტერესებს? რატომ უნდა შესწირო ეს ღამაში წლები მას, ვინც ამას არ დაგიფასებს? სჯობს, ყველაფერს მსუბუქად შეხედო. ვიცი, ეს ძნელი იქნება, მაგრამ უნდა შეეცადო. მეც სიგიჟედ ვარ შეყვარებული, თუმცა, შენგან განსხვავებით, მასაც უყვარვარ. დამიჯერე, იმ გოგოს თუ შეეშვები, მერე თავადვე გამოგკვიდება. სულით და გულით შენთან ვარ. პესიმისტო, გამხნევი და ირგვლივ კარგად მიმოიხედე. გოცნი“.

ლანაბ:

„ის გოგო აუქვიანე და ისეთი გარემო შეუქმენი, რომ შენი დაკარგვის შეშინდეს. მერწმუნე, შედეგი იქნება“.

ოპტიმისტი-20:

„ძმაო, გეხმაურები ოპტიმისტი. იმ გოგოზე ფიქრს შეეშვი, ირგვლივ კარგად მიმოიხედე და მასზე უკეთესსაც იპოვი. თავს რატომ იტანჯავ? გთხოვ, დარდები მოიშორე. გამოუმეხმარე. P.S. ამიერიდან ოპტიმისტი-20 ვიქნები. აქამდე ვიყავი მიკა, ლაშა და ა.შ. ენიგმა, მაგარი ხარ“.

იპუზაპაი:

„ყველა ქალს მოსწონს, როცა ის მოსწონს, თუნდაც ეს კაცი — საძულველი, პარანოიკი ადამიანი იყოს. იმ გოგოს შეეშვი. თუ ქალს უყვარხარ, ამოსუნთქვას არ დაგაცდის, თუ არ უყვარხარ — ჯანდაბაში გასიშვებს. ასე რომ, დაივიწყე!“

უსპო:

„მასზე ფიქრს შეეშვი. შესაძლოა, მას არაფერი უყვარდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ რაღაცის იმედი უნდა გქონდეს. შეიძლება, ტყუილს მართლაც, იმიტომ გეუბნება, რომ მოგიცილოს. 3 წელი საკმარისია იმისათვის, რომ მიხვდე, რას უნდა ელოდე ამა თუ იმ ადამიანისგან. შენი მესიჯი ბუნდოვანია და შესაბამისად, ვერ მიხვდი, გოგონას პირადად იცნობ თუ არა. ფიქრობ, შენთვისვე აჯობებს, თუ მის დავინწყებას შეეცდები. მერწმუნე, დრო ყველაფრის მკურნალია. P.S. იმ შემთხვევაში, თუ მთელი ამ დროის მანძილზე მას მხოლოდ მესიჯებით ეკონტაქტობდი, გირჩევ, შეხვდე და საოთქმელი პირისპირ უთხრა“.

EKO BOY (თრავალთიდან):

„ჩემო კარგო, 2 წელი მეც მიყვარდა გოგონა, რომელიც ზედაც არ მიყურებდა,



არაფრად მაგდებდა. ახლაც მიყვარს. მის გარეშე ვიტანჯები, მაგრამ თავს ვეღარ დავიმცირებ, გოგოს ვერ დაუწოქებ და სიყვარულს ვერ ვთხოვ. P.S. გოგონებო, თავს ნუ იფასებთ. მერწმუნეთ, ცხოვრებაში მხოლოდ გართობა შეგრჩებათ და დროა, იმ მამაკაცთან, რომელიც მოგწონთ, სხვა რაღაცით გაერთოთ“.

უზაპაუნა:

„ვიცი, რასაც გრძნობ. ძნელია, როცა გიყვარს და ამ გრძნობაზე არ გასაუხობენ. წლების განმავლობაში მეც მიყვარდა და ვიტანჯებოდი. ჩემი დახმარება ვერაფერს შეძლო. ბოლოს საკუთარი თავი დავარწმუნე იმაში, რომ ის ბიჭი ჩემს ტანჯვად, ცრემლდება და გულის ტკივილად არ ღირდა. სიყვარულსაც ნიჭი უნდა, შენ ღმერთმა ამ ნიჭით დაგაჯილდოვა, სიყვარული ხელოვნებაა და შენ ხელოვანი ხარ. სამწუხაროდ, ხელოვან ადამიანებს მხოლოდ მაშინ აფასებენ, როცა ისინი აქვეყნად აღარ არიან. ჰოდა, ის გოგოც ვერ დაგიფასებს სიყვარულს მანამ, ვიდრე შენს სიყვარულში დარწმუნებულია. ფიქრობ, მის გამო ტანჯვა არ ღირს. მომზადე და საკუთარი თავი იმაში დარწმუნე, რომ ის შენი ღირსი არაა. წარმატებებს გისურვებ!“

მავიოზა:

„3 წელი გოგო გიყვარდეს და ვერც დარეკო? ვა, რას ამბობ, ტო? თუ არ ვუწინდევარ, იმის დედაც ვატირე: ვერ ვხვდები, რატომ ეხვეწები. შეეშვი, რა!“

აბუზარა:

„ცალმხრივი სიყვარული მართლაც, ძალიან ძნელია და იტანჯები. ეტყობა, იმ გოგოს შენთან ურთიერთობა არ უნდა. ჰოდა, შეეცადე, სხვაზე იფიქრო. ალბათ, ეს გაგიჭირდება, მაგრამ სხვა გზა არ გაქვს“.

777:

„საერთოდ, დღევანდელი ქართველი გოგონების უმეტესობა როგორია, იცი? — უყვართ ის, ვინც მათ არ აფასებს და სძულთ ის, ვისაც ისინი მართლა უყვარს. აბა, მარტოსულის ამბავი გაიხსენე, ვიკაც მწვა-

„ნარკოტიკი ჩაუდის, მაგისი უსი დედაც!..“

რუსთავის მკვიდრი, 37 წლის თენგიზ გასიშვილი 13 აგვისტოს დააკავეს. დაპატიმრების საფუძველი გახლდათ ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გასიშვილს „შესაძლოა“, ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერება ჰქონოდა. პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებული ეჭვიმტანილი რატომღაც, ადგილზევე არ გაჩხრიკეს და, როგორც ხშირად ხდება, მას პოლიციის განყოფილებაში, იარაღი — არა, მაგრამ ერთი აბი სუბუტექსი აღმოაჩნდა.

ნანა შიხელაური

ბრალდებული და მისი დაცვის მხარე პოლიციელთა ანგარიშსწორებაზე ლაპარაკობენ: მათი თქმით, ადრე გასიშვილს რუსთავის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი დამუქრებია „სროკზე“ გაშვებით და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი ჩაუვარდა, მუქარა აასრულა. თენგიზ გასიშვილს 260-ე მუხლის ნაწილი (ნარკოტიკული ნივთიერების შექმნა-შენახვა) აქვს წაყენებული, რომელიც 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამჟამად საქმის სასამართლო განხილვა მიმდინარეობს.

ზურაბ როსიაშვილი, თენგიზ გასიშვილის ინტერესების დამცველი:

— თენგიზ გასიშვილი რუსთავში ცხოვრობს, იყო ნასამართლევი. დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე მას პოლიციის თანამშრომელი ზაალ ადამია დაემუქრა ციხეში ჩასმით და აუსრულა კიდევ. საქმე ისაა, რომ ერთ დღეს, გვიან ღამით გასიშვილის საცხოვრებელი ბინის კარზე ვილაცამ დააკაკუნა. თენგიზმა კარი გააღო და ბინაში მისი მეზობელი შემოვარდა. მას ფეხდაფეხ პოლიციელები მოჰყვებოდნენ, ისინიც შემოვივიდნენ და გასიშვილს ჩხუბი დაუწყეს, — რატომ შეიფარეო?! ოჯახში ამ დროს, გასიშვილის და, იზოლდა იმყოფებოდა, რომლის შვილსაც ხმაურზე გაღვიძებია და შეშინებული, ისტერიკულად ატირებულა. გასიშვილს, თავის მხრივ, უსაყვედურია პოლიციელებისთვის, — რატომ შემომიცივიდით ბინაში და ბავშვი რატომ გამიციხეთო?! ერთ-ერთი იქ მყოფი პოლიციელი, ზაალ ადამია დაქადებია, — შენ თუ არ დაგიჭირე, ჩემი ასე და ისეო!.. ჩვენს პოლიციას ერთი საოცარი წესი აქვს: ნებისმიერ ადამიანზე შეუძლია შექმნას ოპერატიული ინფორმაცია! საქმის მასალების მიხედვით, რუსთავის საქალაქო შს სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსს, პოლიციის კაპიტან ზურაბ კაპანაძეს, ამავე განყოფილების უბნის უფროსმა ინსპექტორმა — გამომძიებელმა ბოკელავაძემ მიმართა შემდეგი შინაარსის პატიკით: „მოგახსენებთ, რომ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, რუსთავში, კო-

სტავას გამზირის №15-ში მცხოვრები, ადრე მრავალჯერ ნასამართლევი თ. გასიშვილი ნარკოტიკული საშუალებების სისტემატური მომხმარებელია. ასევე შესაძლოა, თავის საცხოვრებელ ბინაში ინახავდეს ნარკოტიკულ საშუალებას და ცეცხლსასროლ იარაღს“. ეს, ოპერატიული ინფორმაცია კი არა, პოლიციელის მოსაზრებაა. ჯერ ერთი, საინტერესოა, საიდან დაადგინეს, რომ გასიშვილი ნარკოტიკების სისტემატური მომხმარებელია?.. ამ შემთხვევაში, ის ინსპექტორი სამსახურიდან გასაგდებაა, ვინაიდან გასიშვილი აღრიცხვაზე არ ჰყავდა აყვანილი და არც ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით მიჰყავდა. მეორე: წესით, ოპერატიული ინფორმაციის მომწოდებელი განყოფილებაში უნდა დაიბარონ და დაჰკითხონ. ბოკელავაძე ვალდებული იყო, ინფორმატორი გაეფრთხილებინა, რომ არასწორი ინფორმაციის შემთხვევაში (თუ გასიშვილს ნარკოტიკი და იარაღი არ აღმოაჩნდებოდა), მას პასუხისგება მოუწევდა.

ბოკელავაძის ინფორმატორი, პოლიციელი ადამია ხომ არ აღმოჩნდა?

— ბოკელავაძე დაკითხეთ, მაგრამ ინფორმატორის ვინაობა არ გაამხილა. სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ზეპირი ცნობის შემთხვევაში, ინერება ოქმი, რომელზეც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი. 14 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუდასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ბოკელავაძემ თქვა, — ქუჩაში შეხვდა „კონტაქტი“ (ანუ ინფორმატორი). როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არც „კონტაქტი“ გინდა, არც — ტაქტი, თუ ვილაცის დაჭერა გაურს, უფროსის სახელზე დაწერ პატიკს და დაიწყება მუშაობა სისხლის სამართლის საქმეზე... მინდა აღვნიშნო, რომ წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო ისეთი კანონები, სადაც ადამიანის უფლებები ფეხქვეშა გათელილი. სასამართლოზე აუცილებლად დავაყენებთ საკითხს ბოკელავაძის პასუხისმგებლობის

შესახებ, ვინაიდან მან დაუდევრობა გამოიჩინა და არაფეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა.

— სად და რა ვითარებაში დააკავეს თენგიზ გასიშვილი?

— პოლიციელებმა, როცა გასიშვილი დააკავეს, თქვეს, — ოპერატიული ინფორმაცია გვქონდა, რომ ის თოდრიას ქუჩაზე ტაქსით მოძრაობდა და შესაძლო იყო, ნარკოტიკი ჰქონოდაო. თოდრიას ქუჩა ერთი კილომეტრი სიგრძისაა და სანამ ოპერატიულ ინფორმაციას მიაწვდიდნენ, სანამ უფროსი ოპერმუშაკებს შეკრებდა და დავალებას მისცემდა, გასიშვილი ამ ქუჩას კი არა, წითელ ხიდსაც გასცდებოდა... პოლიციის თხოუმტეტი თანამშრომლიდან რამდენიმე დაკითხეთ. ზოგის ჩვენებითა და გამოთვლით, მათ უფროსი 15 წუთი ელასარაკებოდა და ოპერატიული ინფორმაციის მიღებიდან ნახევარ საათში მივიდნენ დანიშნულების ადგილას. საინტერესოა — კუხე იჯდა გასიშვილი თუ მანქანაში?.. დაკითხული პოლიციელები ურთიერთსანიანალმდეგო ჩვენებებს იძლევიან. ერთმა თქვა, — რუსთაველის ქუჩაზე უფროსი შეგვხვდა და იქ მოგვცა გასიშვილის დაკავების დავალებაო; მეორემ, — უფროსმა კაბინეტში დაგვიბარა ოთხი თანამშრომელი და მისი დაპატიმრება გვიბრძანაო. დაკავების ოქმის მიხედვით, გასიშვილი დილის 5-ის ნახევარზე დააკავეს.

— რა უნდა ამ დროს ქუჩაში თქვენი დაცვის ქვეშ მოყოფ?

— მეგობართან ერთად იჯდა ტაქსიში. დალევას აპირებდნენ და სადღელამისო მარკეტებში პროდუქტები იყიდეს. გასიშვილი ჯერ რუსთავის შს მესამე განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც მასთან ზაალ ადამია მივიდა, შემდეგ გადაიყვანეს მეორე განყოფილებაში და იქ ჩაუტარეს ჩხრეკა. გასიშვილის განმარტებით, მას იქ ჩაუდეს სუბუტექსის აბი. ამბობს, რომ შეუძლია იმ ადამიანის ამოცნობა და მისი ტექსტი მოჰყავს: გუშინ ჩამოვედი ცხინვალისა, მაგისი ოსი დედა, ჩაუდეთ ნარკოტიკიო!.. თენგიზი საკმაოდ ყოჩაღი ბიჭია, უმაღლესი შარვალი გაუხდია, რამდენჯერმე დაუფერთხავს, მაგრამ ძალით ჩაუცმევიათ და წინა ჯიბეში ჩაუდევიათ — „დაინდეს“ და ერთი აბი აკმარეს...

— რატომ არ ჩაუტარეს მას დაკავების ადგილზევე ჩხრეკა?

— ტაქსის, რომელშიც გასიშვილი და მისი მეგობარი ისხდნენ, წინ პოლიციის მანქანა გადაუდგა. თუ ამ ადამიანს ჯიბეში ერთი აბი სუბუტექსი ჰქონდა, მათ დანახვაზე ვერ გადაყლაპავდა თუ მათთვის ინახავდა?! სამართალდამცველებს კანონი ავალდებულებს, ეჭვიმტანილს ადგილზე ჩაუტარონ ჩხრეკა. როცა მათ ვკითხე, — რატომ ადგილზე არ გაჩხრიკეთ-მეთქი? — მიპასუხეს, — ხალხმრავლობა იყო და იმიტომო. თოდრიას ქუჩაზე სისხამ

დღით რა უნდოდა ხალხმრავლობას?! პოლიციელმა ხარკალაძემ ვერც იმ კითხვაზე მიპასუხა, იქ რამდენი ადამიანი იყო და ვერც იმაზე — რამდენი მეტრის დაშორებით იდგნენ. ასეთი პოლიციელების ხელში ქვეყანა დაიღუპება. მათ, მართალია, არიგებენ, როგორ უნდა მოიქცნენ, მაგრამ ვერ იმახსოვრებენ, რა უნდა თქვან, ან არ იციან, რა თქვეს დანარჩენმა პოლიციელებმა. მესამე პოლიციელმა თქვა, — იმიტომ არ გაეჭხრიკეთ, რომ წინააღმდეგობა გაგვინია, პოლიციაში წამოსვლა არ უნდოდაო. უკაცრავად, ნეტავ, ვის მოუწდება პოლიციაში წასვლა, როცა იცის, იმ მგლების ხელში ჩავარდნილს, რა დღე დაადგება?!

— ეჭვიტანლის დაკავების ოქმში რა წერია — რა გახდა მისი დაპატიმრების საფუძველი?

— ოქმში წერია, რომ გასიშვილი 04.30 წუთზე დააკავეს და 04.45 წუთზე ჩხრიკა ჩაუტარდა. პირიქით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ის ჯერ დააკავეს, შემდეგ — გაჩხრიკეს. გასიშვილი იმის საფუძველზე დაიჭირეს, — შესაძლოა, ნარკოტიკი და იარაღი ჰქონდესო. თქვეს, მამინვე ხელბორკილები დავადეთო! დაკავებულს არც ადვოკატის მოყვანის საშუალება მისცეს, არც დამსწრის.

— ეჭვიტანლის თანშეღებები პირი თუ დააკავეს ან დაპატიმრეს?

— დაკითხულმა პოლიციელმა ხარკალაძემ დაკითხვისას თქვა, — თანშეღებისთვის არც გვიკითხავს, ვინ იყო, სად ცხოვრობდა და რა ურთიერთობა ჰქონდა გასიშვილთანო. თუ ინფორმაცია მიიღეს, რომ გასიშვილს ნარკოტიკული ნივთიერება ჰქონდა, მასთან მყოფი რატომ არ იქნებოდა საეჭვო? რა გარანტია ჰქონდათ, რომ ნარკოტიკი იმ მომენტში გასიშვილმა მეგობარს არ გადასცა და მას არ ედო ჯიბეში?.. არ შეამოწმეს კი არა, როგორც გაირკვა, ის პიროვნება პოლიციაში წაიყვანეს, გვარიანად სცემეს — დანგრეული იყო კაცი!.. როდესაც ის საავადმყოფოში მიიყვანეს, გაითიშა, ძლივს მოიყვანეს გონზე. გასიშვილის თანშეღები დააშინეს და მოწმედ არ გამოდის... პოლიციის განყოფილებას 15 დღით ადრეც ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია. ვიკითხე, — თუ ინფორმაცია გქონდათ, რატომ მაშინ არ გაჩხრიკეთ? იქნებ, მართლა ინახავდა ცუცხლსასროლ იარაღს-მეთქი? — მიპასუხეს, — ინფორმაციას დამუშავება სჭირდებაო. როგორც ჩანს, ისინი ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ, მისთვის ნარკოტიკი რომ ჩაედოთ. 13 აგვისტოსაც მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია ნარკოტიკის თაობაზე და ამას უკვე დამუშავება აღარ სჭირდებოდა!.. გასიშვილის დაკავების საფუძველი 236-ე მუხლი — იარაღის უკანონო ტარება გახდა, ასე წერია ოქმში. მას შემდეგ მიანერეს, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-ტარება.

გასიშვილს იარაღი არც თან ჰქონია, არც სახლში აღმოაჩნდა. ამკარაა, მისთვის იარაღის ჩადებაც უნდოდათ, მაგრამ რატომღაც, ვერ მოახერხეს, ოქმში იარაღი „შემოჩნათ“, ვეღარ შეცვალეს და მერე დაამატეს — ნარკოტიკული საშუალება. ნარკოტიკის ჩადებას რა უნდა? ორი თითით ჩაგიტურებენ ჯიბეში. აი, იარაღი კი დიდია და მისი ჩადება უფრო სანვალბეღია... თენგიზ გასიშვილს წაუყენეს 260-ე მუხლის ნაწილი — ნარკოტიკული ნივთიერების შექმნა-შენახვა, რომელიც 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. საქმეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლარისა ლიპარტელიანი იხილავს.

— ნარკოლოგიური შემონება თუ ჩაუტარეს გასიშვილს და რა დაუდგინეს?

— თენგიზ გასიშვილი, სამკურნალოდ, ფსიქოტროპულ ნივთიერებას იღებდა (ადვილად აგზნებადია, უჩივის უძილობას...). ნარკოლოგიური შემონების გავლის შემდეგ მას დაუწერეს, რომ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იყო — ეს დაუწერეს განსასჯელს შსს-ს ექსპერტიზის ბიუროში. მოვითხოვეთ მისი შემონება სხვა ლაბორატორიებში და „სუფთა“ აღმოჩნდა. საქმეში როცა ჩავერთე, დრო იყო გასული და ალტერნატიული ექსპერტ-

იზის ჩატარებას აზრი აღარ ჰქონდა.

— როგორ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა? გაქვთ თუ არა მისი ობიექტურობის იმედი?

— ვერ გეტყვი, სასამართლო ობიექტურ განწყვეტილებას მიიღებს თუ — არა. ჯერჯერობით, რა შუამდგომლობებიც დავაყენე, მათ შორის — მოწმეთა დაკითხვა — დააკმაყოფილეს, ოღონდ ნაწილობრივ. მოვითხოვე მთელი განყოფილების თანამშრომლების დაკითხვა, რათა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს შესძლებოდა იმ პირის ამოცნობა, ვინც ნარკოტიკი ჩაუდო. მოსამართლემ მხოლოდ იმათი დაკითხვის საშუალება მოგვცა, ვინც ოქმშია დასახელებული. ახლა დავაყენე შუამდგომლობა, რომ ამ პირების ამოცნობა ჩაგვეტარებინა. ამ ეტაპზე შუამდგომლობაზე უარი მითხრეს, შემდგომში იმედია, მიზანს მივაღწევთ. რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთ პოლიციურ ქვეყანაში ვცხოვრობთ! თუ ვინმე დანაშაულს სჩადის, ის უტყუარი მტკიცებულებებით უნდა დაუმტკიცო. ვინაიდან თენგიზ გასიშვილი ადრე ნასამართლევი იყო, ახლაც უნდა გაუშვა ციხეში და მნიშვნელობა არა აქვს, დამნაშავეა თუ — უდანაშაულო?.. უკანონობამ წალეკა ქვეყანა!..

დასაწყისი იხ. გვ. 12

განსაკუთრებით: მკვლელს ვასახიერებ... გოგის ლალი ბავშვობა როდი ჰქონია, პირიქით — ყველა ჩაგრავდა, რამაც აგრესია დაუგროვა. მან მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ დანაშაულს ძალიან განიცდის... მინდოდა, მყოფრებისთვის მეჩვენებინა, რომ კონფლიქტის მოგვარება ადამიანური ერთი შეიძლება და არა — დანით, როგორც ეს ჩემმა გმირმა გააკეთა. დაფიქრება და ყველაფრის გაანალიზებაა საჭირო.

ლაზა რამიშვილი, 18 წლის:

— სპექტაკლი ძალიან აქტუალურ თემაზეა. ქართველები ისედაც ცოტანი ვართ, ერთმანეთი კი არ უნდა დავფრათ, პირიქით — უნდა გავუფრთხილდეთ და მოვესიყვარულოთ!.. აფექტში მყოფი ადამიანის მოქმედებას უზარმაზი ტკივილი მოჰყვა: მკვლელის მსჯერაღს — გაა აბაშიძეს, რომლის როლსაც მე ვასრულებ, ფეხმძიმე შეყვარებული დარჩა. გაა ქორწილამდე 2 კვირით ადრე მოკლეს!..

— **მთავარი გმირები — გაა და სალომე თავდაპირველად, ქორწინებამდე ფიზიკური სიახლოვისგან თავს იკავებდნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაუძლეს ცდუნებას.**

სოფო ბანცური, სალომეს როლის შემსრულებელი, 17 წლის:

— ცხოვრებაში ასეთ რალაცებს არ ვაკეთებ (იციინან)..

ლაზა:

— „ლაივი“ ასე რამდენად იქცევა, მართლა არ ვიცი (იციინის)..

სოფო:

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კარგი იყო, რომ წყვილს ქორწინებამდე სექსი ჰქონდა, რადგან გოგონას საყვარელი ადამიანისგან შვილი დარჩა.

პანა:

— ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ: XXI საუკუნე! ქორწინებამდე სექსი მშვენიერია, საჭიროა...

სოფო:

— სიყვარულის სახელით, ეს გაბართლებულია.

პანა:

— ჩემი გმირი ვაკაცია და კეთილი ადამიანია. ის ძალიან კარგი მეგობარია — არასდროს არაფერში „ჩაჭრილა“. ძმაკაცის სიკვდილის შემდეგ, მის შეყვარებულს ყველანაირად

მხარში ამოუდგა. როლის შესრულება არ გამჭირვებია, რადგან ჩემი გმირი ძალიან მგავს და მისარია, რომ ეს როლი შევასრულე.

ანა ხალაშვილი, 18 წლის:

— მე კახას შეყვარებულის როლს ვასრულებ...

ლაზა:

— ეს ის მოკლეკბიანი გოგონაა, რომელმაც ძმაკაცია გადამირია (იციინის)!

ანა:

— ვფიქრობ, კარგი სპექტაკლი გამოგვივიდა. გულის ამაჩუყებელი სცენებითაა გაჯერებული. დარბაზში მყოფთაგან ბევრს ალბათ თვალზე ცრემლი მოადგა.

ლაზა:

— მართლა კარგი სპექტაკლი გამოვიდა. მასში მონაწილეობის მსურველი ბევრი იყო. შერჩევა კასტინგის შედეგად მოხდა. გამიხარდა, რომ როლზე დამამტკიცეს... ისე, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე ვსწავლობ, მაგრამ „სცენის მტვრით“ ბავშვობაშივე „მოვიწამლე“ და ყოველთვის მსახიობობაზე ვოცნებობდი.

სოფო:

— მე და ბაჩო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სტუდენტები არ ვართ, ამ თეატრში კახამ მოგვიყვანა. მე და კახა ხელოვნების გიმნაზიაში ვსწავლობდით. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში სპექტაკლი „მარიტა“ გაიმართა და პირველად იქ ვითამაშე სცენაზე. იმის მერე, აქ ვარ. ყველა ძალიან მიყვარს (იღიმება).

პანა:

— ახლა ახალ სპექტაკლზე — „ჭკუისა მჭირს“ — ვმუშაობთ. რთული სათამაშოა და ამიტომაცაა — კარგი! თუკი მამუკა ლომაშვილს კარგად ავყვებით მუშაობაში და არ გავაბრაზებთ, ალბათ ახალ წლამდე მყოფრები ამ დადგმასაც იხილავს.

— **დასასრულ, კიდევ რამის თქმა ხომ არ გინდათ?**

ანა:

— როგორ არა?! „ნუ უყიდით ბავშვს სათამაშო იარაღს!“ — ამ სიტყვებს ჩვენი სპექტაკლის ერთ-ერთი გმირი თავის მონოლოგში ამბობს. ნუ გავამწარებთ სხვას და ჩვენც ნუ დავიგრევთ ცხოვრებას. ცხოვრება მშვენიერია!

დათო:

— გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს!

ბაჩო:

— ადამიანური ურთიერთობები ძალიან ძვირფასია!..

ლაზა:

— სხვებს ისე უნდა მოეცე, როგორც გასურს, რომ შენ მოგეცენ...


სოფო:

— გიასა და სალომეს ურთიერთობა სიყვარულის ეტალონია...

პანა:

— იყავით ისეთი მეგობრულები, როგორებიც დათო, გაა და კახა არიან!..

18-მილიარდიანი კაპიტალის მფლობელი პოლ ალანი ამერიკაში ცხოვრობს. 1975 წელს სკოლის მეგობართან, ბილ გეიტსთან ერთად კორპორაცია „მაიკროსოფტი“ დააარსა, მაგრამ 1983 წელს, მძიმე ავადმყოფობის გამო, ამ საქმეს ჩამოშორდა. ამჟამად ალენი ფულს სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში აბანდებს და საკუთარ მრავალმილიარდიან ქონებას წარმატებით ამრავლებს. გატაცებულია გიტარების კოლექციის შეგროვებით, ფლობს „როკ-ენ-როლის მუზეუმს“, ჯიმი ჰენდრიქსის მუსიკასა და მის პირად ნივთებზე უფლებას. გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით. მაგალითად: კანის კინოფესტივალის მიმდინარეობისას, ფრანგულ რივიერაზე მდებარე მამული, ბრედ პიტსა და ანჯელინა ჯოლის დაუთმო.



პიტერ ტილი 40 წლისაა (აშშ). მისი ქონება 1,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. საგადასახადო სისტემის — Paypal ერთერთი დამაარსებელია. ფულს ახალგაზრდულ პროექტებში აბანდებს. მაგალითად, 2004 წელს სოციალურ ქსელში — Facebook 500.000 დოლარი ჩადო. ამჟამად ქსელის ღირებულება 5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. გატაცებულია ტურიზმით, სირბილითა და სერფინგით.



პლანეტის უმდიდრესი სასიძოები



მარკ ცუკერბერგი — 24 წლის უმდიდრესი ადამიანი — 400 ლაზე ახალგაზრდა წარმოადგენელია. 24 წლის ყმაწვილი, უკვე 1,5 მლრდ დოლარის მფლობელია. ცუკერბერგი „ყველაზე ჩამორვევი“ სოციალური ქსელის — Facebook დამაარსებელია. ეს ქსელი მან 2004 წელს, პარკვარდის საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ ოთახში შექმნა.



ბილი გეისი — 42 წლის ბრიტანელი მილიარდერია. განქორწინებულია, ჰყავს შვილი. სკოლის მეგობართან ერთად, უმსხვილესი ფიჭური კავშირის კომპანია ჩამოაყალიბა და უკვე 1,5 მლრდ დოლარის მფლობელია. უყვარს ხელოვნება: ქალაქგარეთ მდებარე, საკუთარ სახლში მუსიკალური თეატრი ააშენა და თავისუფალ დროს ოპერებს დგამს.

გერმანელი პრინცი ალბარტ ფონ ტურნ უნდ ტაქსისი — ძალზე ცნობილი და უმდიდრესი ოჯახის მემკვიდრეა. 24 წლის პრინცი 2,5-მილიარდიანი კაპიტალის მფლობელია. მილიარდერი 18 წლის ასაკში გახდა, როდესაც მემკვიდრეობით 30000 ჰექტარი მიწა და დიდძალი ქონება მიიღო. დღესდღეობით პრინცი ალბერტი ევროპაში ყველაზე დიდი ტყის მასივების მფლობელია. იგი დედასთან და უფროს დასთან ერთად, საგვარეულო ციხესიმაგრეში ცხოვრობს. გატაცებულია რბოლებით და შეჯიბრებებში თავადაც მონაწილეობს.



რომან აბრამოვიჩი — ყველაზე ცნობილი რუსი მილიარდერი. ჩუკოტკის ყოფილი გუბერნატორის ქონება 23,5 მლრდ დოლარია. რუსეთის უმდიდრეს ადამიანთა სამეულში შედის. ორჯერაა განქორწინებული. ჰყავს 5 შვილი. რომანის ოთოლეულ შენაძენს (იახტები, ხელოვნების ნიმუშები, მდიდრული სასახლეები) და პირადი ცხოვრების წერილმანებს პრესა აქტიურად განიხილავს. რომან აბრამოვიჩი საზოგადოებაში ბოლოს, დიზაინერ დარია ფუკოვასთან ერთად იხილეს და ბოროტი ხმები მოახლოებული ქორწინების შესახებ ალაპარაკდნენ.



მიხაილ პროხოროვი — 43 წლის. ცხოვრობს მოსკოვში. „ფორბსის“ მონაცემების თანახმად, ჯგუფის — „ონეკსიმ“ ხელმძღვანელის ქონება 19,5 მლრდ დოლარია. პროხოროვმა ჯარში სამსახურის შემდგომ, წარმატებით დაამთავრა საფინანსო ინსტიტუტი. „თავგამოდებული“ ბერბიჭაა. „ადამიანი ცოლს იმ შემთხვევაში ირთავს, როდესაც საყოფაცხოვრებო პრობლემები უჩნდება, მე კი ყველა საყოფაცხოვრებო პრობლემა მოგვარებული მაქვს. ჩემი პერანგები მუდამ სუფთა და გატკიცინებულია...“ — ამბობს რუსი მილიარდერი. გატაცებულია ფეხბურთით, კალათბურთით, სამთო-სათხილამურო სპორტით.



ამერიკელ პოლიტიკოსთა სახელოვანი ნათესავები

გენეალოგიის შემსწავლელი პოპულარული ამერიკული ცენტრის — Ancestry მონაცემებით, რესპუბლიკური პარტიის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი სარა პეილინი




კლინ რუზველტის (აშშ-ის პრეზიდენტი 1933-45 წლებში) ნათესაური კავშირი მათი საერთო წინაპრის — მღვდელ ჯონ ლოტროპისგან იღებს სათავეს, რომელიც ინგლისიდან მასაჩუსეტსში 1634 წელს ჩავიდა. ბრიტანელ პრინცესასთან სარა პეილინს მისი ინგლისელი წინაპრები — ჯონ სტრონგი (1605 წ.) და ებიგაილ ფორდი (1619 წ.) აკავშირებენ, რომლებიც 1636 წელს დაქორწინდნენ. აღსანიშნავია, რომ გენეალოგიის შემსწავლელი ცენტრი მსგავს კვლევას პირველად არ ატარებს. მკვლევრებმა „რესპუბლიკელთა“ მონინალმდევსაც აღმოუჩინეს სახელოვანი ნათესავი. ახალი ინგლისის გენეალოგიის კვლევის ისტორიული საზოგადოების მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ბარაკ ობამა პოლიფუდის ვარსკვლავ ბრედ პიტის მეათე მუხლის ნათესავი ყოფილა. მათ ვინმე ედვინ ჰიკმანი აკავშირებს, რომელიც 1769 წელს ვირჯინიაში გაჩაღდა. მკვლევართა მტკიცებით, ბარაკ ობამა ჯორჯ ბუში-უფროსის მეათე მუხლის ბიძაშვილი და აქედან გამომდინარე, ჯორჯ ბუში-უმცროსის ბიძაა. ილინოისელი სენატორი დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის, ამერიკის ექსპრეზიდენტებს — ჯერალდ ფორდს, ლინდონ ჯონსონსა და ჰარი



პრინცესა დაიანას მეათე მუხლის ბიძაშვილი და ამერიკის 32-ე პრეზიდენტის, „დემოკრატ“ ფრანკლინ დელანო რუზველტის მეცხრე მუხლის ბიძაშვილი ყოფილა! საიტის — ancestry.com ექსპერტი ანასტასია ტაილერი ირწმუნება, რომ ალასკის გუბერნატორისა და ფრან-

ტრუმენსაც ენათესავება. გენეალოგიური კვლევებით გატაცებულ მეცნიერთა განცხადების თანახმად, „რესპუბლიკელთა“ კანდიდატი ჯონ მაკქეინი ამერიკის პირველი ლედის, ლორა ბუშის შორეული ნათესავია. თავად მაკქეინი კი ამტკიცებს, რომ იგი შოტლანდიის მეფე რობერტ ბრიუსისა და იმპერატორ კარლოს დიდის შთამომავალია.



კარლ ლაგერფელდი ლექსიკონის დიზაინზე მუშაობს

სახელგანთქმულმა კარლ ლაგერფელდმა ცნობილი ფრანგული ილუსტრირებული ლექსიკონის — Le Petit Larousse Illustre გასაფორმებლად, ახალი დიზაინი შეიმუშავა. მოდელიერმა 2009 წლის გამოცემის ყდაზე საფრანგეთის ერთ-ერთი სიმბოლო — ცნობილი „მთესველი ქალი“ გამოსახა. გრძელთმიანი ქალი ბაბუაწვერას სულს უბერავს და ცოდნის თესლს გარშემო ფანტავს. ოლონდ, ორიგინალისგან განსხვავებით, კუტიურებში „მთესველი“ გაამიშვლა. ქალის ფიგურას მხოლოდ გრძელი, ლურჯი ხელთათმანი ამუშვენებს... კარლ ლაგერფელდამ-




დე, ცნობილი ყოველწლიური ლექსიკონის დიზაინზე კიდევ ერთი სახელგანთქმული მოდელიერი — კრისტიან ლაგრუა მუშაობდა. ლაგერფელდი მოდის გარდა, პარფიუმერიის გამოშვებას მისდევს. მას პარიზში საკუთარი გალერეა და საგამომცემლო სახლი — 7L აქვს. გატაცებულია ფოტოგრაფიით. ის თავად არის საკუთარი კოლექციების სარეკლამო კამპანიების რეჟისორი. ქმნის თეატრალურ, საოპერო, კინოგადაღებისთვის განკუთვნილ კოსტიუმებს და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანია.



მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული მიუზიკლი

უკვე 3 წელია, რაც ბროდვეიზე მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ მიუზიკლზე მუშაობენ, რომლის დანახარჯს ვერასდროს ამოიღებენ. როგორც New York Post-ის ჟურნალისტებმა გამოთვალეს, დადგმის ხარჯების 5 მილიონი დოლარით შემცირების შემთხვევაშიც კი, სპექტაკლის ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ სპექტაკლზე 8000 წლის განმავლობაში ანშლაგი იქნება!

მიუზიკლის — „ადამიანი-ობობა“ ბიუჯეტი 40 მილიონი დოლარია. ამ თანხის გარდა, სცენაზე მისი ერთკვირიანი წარმოდგენა დამატებით 1 მილიონ



ნი დაჯდება. ამ თანხის უდიდესი ნაწილი კოსტიუმებსა და სცენოგრაფიაზე დაიხარჯება, მაგრამ როგორც ჩანს, სპექტაკლის რეჟისორს ჯულია ტიმორს დადგმის ფინანსური მხარე სრულიად არ ალღელებს. როგორც ბროდვეის კულუარებში ამბობენ, ტიმორისთვის მთავარია ხელოვნება და არა — ფული! „ეს ხელოვნებაა, მსახიობებთან ფინანსური პრობლემების განხილვა კი უადგილოა“, — ამბობს რეჟისორი, რომელმაც 1997 წელს მიუზიკლის — „მეფელომი“ დადგმის შემდგომ გაითქვა სახელი. ჩვენი მაცურებელი ჯულია ტიმორს იცნობს ფილმით „ფრიდა“ (მთავარ როლში სელმა ჰაიეკი) და „ბითლზის“ კომპოზიციების მიხედვით გადაღებული ფილმ-მიუზიკლით — „სამყაროს გავლით“. ახალ სპექტაკლს ადამიანი-ობობას შესახებ შექმნილი კომიქსები დაედება საფუძვლად. მუსიკას შექმნიან ჯგუფის U2 ლიდერი — ბონო და მისი კოლეგა ეჯი. აღსანიშნავია, რომ პიტერ პარკერის როლის შემსრულებელი ჯერჯერობით შერჩეული არ არის. მიუზიკლის პრემიერა გაისად გაიმართება.

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

მარადონა ექვთრ რაულ კუპერს არ ცნობს...

ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო არმანდო მარადონამ, ვიდრე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ფოიეში არ შემოაბიჯა, „ფეხბურთის ჯადოქრის“ საქართველოში ჩამოსვლის არავის სჯეროდა. საქმე ის გახლავთ, რომ მარადონას თბილისში ჩამოყვანის ორგანიზატორს, ნიკო პატარქალიშვილს მსგავსი პროექტი 10 წლის წინაც ჰქონდა და მარადონას მონაწილეობით თამაშზე დასასწრები ბილეთებიც კი დაბეჭდა, მაგრამ მაშინ არგენტინელი რატომღაც, არ ჩამოსულა.



არგენტინელი პარსკვლავი მაცურებლის სიმცირეა გაანაწყნა

ლამა თაბაბარი

მარადონა და არაორდინარული საქციელი ერთმანეთისგან განუყოფელია, რაც აეროპორტიდანვე კიდევე ერთხელ დადასტურდა: საბაჟოში არგენტინელს დეკლარაციის შევსება სთხოვეს, რაც მან ერთობ იუცხოვა და, თვითმიხედვითა თქმით, გაწვდილ საბუთზე მხოლოდ ხელი მოაწერა, თან დააყოლა: დანარჩენი თავად შეავსეთო... სტუმართა დელეგაციისთვის განკუთვნილ ავტობუსში ასულმა დიეგომ სიგარა გააბოლა, მძღოლის სავარძელში მოკალათდა და ავტოგრაფების დარიგებას მიჰყო ხელი. აღსანიშნავია, რომ როგორც აეროპორტში, ასევე სასტუმრო „შერატონში“, მას ხმა არ ამოუღია და არც გაუღიმიო. აქვე დავეძნეთ, რომ თბილისში ყოფნისას ფეხბურთის ვარსკვლავმა უმეტესი დრო სასტუმროს ნომერში გაატარა

და ქალაქის დასათვალისწინებლად არ გასულა. ვიზიტის მეორე დღე მარადონამ მასმედიასთან შეხვედრას დაუთმო.

„საქართველოში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მშვენივრად ვიცი, თუ რა მოხდა თქვენს ქვეყანაში და თბილისში ჩამოსვლით მსურს, ქართველ ხალხს მხარდაჭერა გამოვუცხადო. მინდა, მატჩის დროს ღიმილიანი სახეები ვნახო“, — განაცხადა მარადონამ. კითხვაზე — სურს თუ არა არგენტინის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა, უპასუხა: „ცხადია, დიდი სურვილი მაქვს, რომ არგენტინის მთავარი მწვრთნელი გავხდე, რაც ჩემი ოცნებაა. მაგრამ ამას არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხელით გრონდონა წყვეტს“.

არგენტინელმა აღნიშნა, რომ ქართველი ფეხბურთელების გაცნობა სურდა, ხოლო ჩვენი ეროვნული



ნაკრების თავკაც ექტორ რაულ კუპერზე თქვა, — არ ვცნობო, ოღონდ არ დაუკონკრეტებია, ამაში რას გულისხმობდა. ტელეკომპანია „იმედის“ სპორტულმა კომენტატორმა ლევან სალუქვაძემ ჰკითხა — მიიჩნევს თუ არა ის თავს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, თან დაამატა, — მე ასე ვფიქრობო, — რამაც სამხრეთამერიკელი ისე ალაფრთოვანა, რომ ჟურნალისტს მადლობა გადაუხადა და უპასუხა: შენი სახით, ერთი მეგობარი უკვე შევიძინეო. მწერალმა დათო ტურამვილიმა მარადონას მისსავე ავტობიოგრაფიული წიგნის ქართულ ენაზე თარგმნის ექსკლუზიური უფლება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. კითხვაზე — ვინ შეიძლება, არგენტინის ნაკრებში „ახალი მარადონა“ გახდეს? — დიეგომ დიპლომატიური პასუხი გასცა: „რა თქმა უნდა, არგენტინას ჰყავს კარგი ფეხბურთელები, რომელთაგან თითოეული თავისი სათამაშო სტილით გამორჩეულია და ყოველ მათგანს სურს, „ახალი მარადონა“ იყოს“...

ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი დაინტერესდა — თუ მიეცემოდა მას საშუალება, „ღმერთის ხელს“ შეხებოდა, რომლითაც 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მარადონამ ინგლისელების კარში გოლი გაიტანა?.. სტუმარმა ხელის ჩამორთმევის მსურველს იმედი არ გაუცრუა.

მარადონამ ის ფეხბურთელებიც ჩამოთვალა, რომლებიც, მისი აზრით, მსოფლიოში საუკეთესონი არიან და მათ რიგში — კარეკა, კანიჯა, ბარეზი, ვან ბასტენი, გულიტი, პასარელა, რიკელმე, მესი და აგუერო დაასახელა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გერმანიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ

კანიჯას რომ ეთამაშა, არგენტინა გაიმარჯვებდა. არჩილ არველაძემ არგენტინელს 1990 წლის მუნდიალის მერვედფინალი გაახსენა, როდესაც მარადონამ ბრაზილიის ნახევარ ნაკრებს გვერდი აუარა და კანიჯას საგოლე პასი მისცა, რაზეც არგენტინელი დაემოწმა — მაგარი იყოო.




მარადონას ცნობილი ქართველი ფეხბურთელები — ალექსანდრე ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე შეხვდნენ, რომელთაც ლეგენდარული არგენტინელის წინააღმდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში უთამაშიათ. გულშემოტივართა კერპის თქმით, ორივე ფეხბურთელი მას კარგად ახსოვდა, მაგრამ მაშინ არ იცოდა, რომ ქართველები იყვნენ, რადგან იმ პერიოდში საბჭოთა ნაკრებში მოთამაშე ნებისმიერ ფეხბურთელს რუსად მოიხსენიებდნენ.

ალსანიშნავია, რომ არგენტინისა და საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრა კინალამ ჩაიშალა, რისი მიზეზიც, სტადიონზე გულშემოტივართა სიმცირე გახლდათ. ბუნებრივია, მარადონა ანშლაგს ელოდა, მაგრამ როდესაც მატჩის დაწყების დრო მოახლოვდა და ტრიბუნებზე დიდი სიხალვათე იყო, არგენტინელებმა მოედანზე გასვლა იუარეს. საბოლოოდ, სტადიონზე უბილეთო მაყურებელიც შეუშვეს და მარადონაც გამოსვლაზე დაიყოლიეს. მაგრამ კარიერის განმავლობაში მას ასეთი მცირერიცხოვანი ქომაგის წინაშე ალბათ არასოდეს უთამაშია. რაც შეეხება ბილეთებს და მის ფასებს, — ამის თაობაზე მკითხველი უკვე კარგადაა ინფორმირებული, ამიტომ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ დიდი ზეიმი, რომელიც საქართველოში მარადონას ჩამოსვლას უკავშირდებოდა, საბოლოო ჯამში, არ შედგა...

„ფოლკსვაგენის“ ახალი ტექნოლოგია



გერმანულ კომპანიაში მიმდინარეობს ისეთი სისტემის ტესტირება, რომელიც რადიოკავშირის მეშვეობით მძღოლს გზაზე სავარაუდო საფრთხის შესახებ აცნობებს. ახალ ტექნოლოგიას Car-2-Car ჰქვია, ხოლო მის შემუშავებაში 30-მდე კომპანია მონაწილეობდა, მათ შორის: „ბევმე“, „დაი-ლერი“, „რენო“, „ფიატი“, „აუდი“, „ოპელი“ და თვით „ფოლკსვაგენი“. სისტემა შემდეგნაირად მუშაობს: საგზაო საცობთან, ნისლში მოხვედრისას და მოყინულ გზასთან მიახლოებისას, ავტომობილი გზაზე არსებული სიტუაციის შესახებ, რადიოკავშირის საშუალებით, სხვა მანქანებს აცნობებს, რომლებიც გადამცემის მოქმედების რადიუსში იმყოფებიან. ამგვარად, მძღოლები საგზაო პირობების ცვლილებებისთვის წინასწარ მზად იქნებიან. აღნიშნული ტესტირება ორი მარკის — „პასატისა“ და „გოლფის“ მეშვეობით ხორციელდება. ამავე ავტომობილების მეშვეობით ამუშავებენ სიტუაციებს გზაჯვარედინზე მოტოციკლის უცაბედად გამოსვლის, არასწორად პარკირებული მანქანის და სწრაფად მოძრავი საპატრულო მანქანის გათვალისწინებით.




„შეპროლას“ კონსეპტუალური კროსოვერი



ინტერნეტში კონცეპტუალური კროსოვერის — Chevrolet GPIX — პირველი ფოტოები გავრცელდა. როგორც ერთ-ერთი საიტი იუნყება, ამ ავტოს სერიული ვერსია მარკის კომპაქტური მოდელების მთელი ხაზის საფუძვლად უნდა იქცეს, ეს მანქანები სამხრეთ ამერიკის ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი. დაგეგმილია სამ და ხუთკარიანი ვერსიები, სედანი და მომცრო პიკაპი. პროტოტიპის პრემიერა სან-პაულუს ავტოშოუზე შედგება, რომელიც ამას წინათ გაიმართა. Chevrolet GPIX მეოთხე თაობის Opel Corsa-ს პლატფორმაზე აგებული. სიახლის გაბარიტული სიგრძე დაახლოებით 4 მ-ია, ხოლო საბორბლე ბაზა 2,5 მ-ის ტოლი იქნება. როგორც ვარაუდობენ, GRIX-ის სერიულ ვერსიას სამხრეთ ამერიკის ბაზარზე კლიენტებს Econo.Flex-ის 1,4-ლიტრიანი ძრავათი, აგრეთვე — ბენზინის 1,8-ლიტრიანი აგრეგატით შესთავაზებენ, რომელიც შემდგომში უფრო ეკონომიური მოტორით შეიცვლება. გამორიცხული არ არის, რომ კომპაქტური კროსოვერი GPIX ევროპაშიც გაიყიდოს.

LAMBORGHINI JOTA



კომპანია „ლამბორჯინი“ ახალი სუპერავტოს გამოცდას შეუდგა, რომელიც უახლოეს მომავალში მოდელს — Murcielago შეცვლის. ამაზე მეტყველებს უურნალის — Autocar მიერ გავრცელებული არაოფიციალური ფოტოები. ამჟამად, იტალიური მარკა ე.წ. „მულს“ ცდის, რომლის ჩვეულებრივი Murcielago-ს ძარას ქვეშ სიახლის აგრეგატები იმალება. ახალ მოდელს სავარაუდოდ, Jota დაერქმევა. მისი ძარა უფრო მსუბუქი და განიერი იქნება. მას 12-ცილინდრიანი, 6-ლიტრიანი, 700 ცხ.დ. სიმძლავრის ძრავა დაუმონტაჟდება. Lamborghini Jota-ს გარეგნობა, რომლის საფუძველიც ალუმინის შასი იქნება, Reventon-ის სტილში შესრულდება, ხოლო ძარას (კარისა და სახურავის გარდა) კარბონისგან დაამზადებენ. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შედგება ამ მოდელის დებიუტი.

ახალი სპორტული ელექტრომობილი

ამერიკულმა კომპანიამ — Tesla, რომელიც სპორტულ ელექტრომობილს — Roadster აწარმოებს, ახალძირიანი მოდელის — Model S პირველი ფოტო წარმოადგინა. სურათზე ძარას უკანა ნაწილის ზოგიერთი დეტალია გამოსახული, მაგალითად — კარბონული დიფუზორი, საბარგულის სახურავი და უკანა მანქანის ნაწილი. სედანის დიზაინზე საშუაოს, კომპანია „მაზდის“ კალიფორნიული დიზაინცენტრის ყოფილი დირექტორი, ფრანც ფონ ჰოლცპაუზენი ხელმძღვანელობს. სედანის გარეგნობა ჯერაც შექმნის სტადიაშია. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლიენტებს „ტესლას“ ორ ვერსიას შესთავაზებენ: ელექტრომობილით ან პიბრიდული დანადგარით, რომელიც ელექტროძრავასა და მომცრო ზომის ბენზინის აგრეგატს გააერთიანებს. როგორც მოსალოდნელია, ელექტრონული სედანის სვლის მარაგი 240-320 კმ იქნება, ხოლო პიბრიდული მოდიფიკაციისთვის ეს მაჩვენებელი 640 კმ-დე გაიზრდება. ერთ-ერთ ინტერვიუში „ტესლას“ ხელმძღვანელმა ელონ მასკმა განაცხადა, რომ Model S კონკურენტის გაუნეგს ისეთ ავტომობილებს, როგორებიცაა პიბრიდული

Lexus GS 450h და დიზელის Mercedes-Benz E-Class. ამერიკულ ბაზარზე სიახლე 2011 წლისთვის გამოჩნდება და, წინასწარი ინფორმაციით, დაახლოებით 70 ათასი დოლარი ეღირება.

აირჩიე და შეიძინე სასლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და უურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ვგზ. ფაჩი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗОРИ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების უურნალ-გაზეთები
E-mail: elva@kvirispailltra.com

პრესის
გავრცელების
სააგენტო
საქართველოს
საავტომობილო
საზღვაო
საზღვაო
ქ. თბილისი
იოსებძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
www.elva.ge

საანგარიში


	1	2	3	4	5
	6	7	8		
	9	10	11	12	
	13	14	15	16	17
	18	19	20	21	22
	23	24	25	26	27
28	29	30	31	32	
33	34	35	36	37	

ონა ნომრის საანგარიშის პასუხები

1. ეგვალიპტი; 2. კეგლი; 3. ვალენსია; 4. ლინჩი; 5. ოპტიმიზმი; 6. ტანკერი; 7. არგენტინა; 8. მაისი; 9. ეტლი; 10. სიდნეი; 11. აიაზმა; 12. აზრი; 13. სინაპი; 14. ატომი; 15. ისლამი; 16. იგუანა; 17. უფალი; 18. ბოლი; 19. ბოა; 20. ქალა; 21. ალოე; 22. ლისაბონი; 23. ბოი; 24. ქადა; 25. დოგი; 26. ჭა; 27. ემირატი; 28. ბზა; 29. ნუნა; 30. სიევი; 31. ვიეტნამი; 32. პერიონი; 33. ალო; 34. ირაო; 35. რეტი; 36. კროლი; 37. ხემი; 38. კამეა; 39. ტუში; 40. ცხვარი; 41. სირია. სურათებზე: ევა შენდესი; ჯიმ კერი.

რამდენად განონასწორებული აღაპიანი ბრძანდებით?

ჩვენს სიმშვიდესა და სულიერ პარმონიას სასიამოვნო და არასასიამოვნო ცხოვრებისეულ მოვლენებთან ჩვენი დამოკიდებულება განსაზღვრავს და არა — პრობლემების არარსებობა. ხშირად ჩვენი გულისტკივილი და სულიერი ტანჯვა, ჩვენივე გადაჭარბებული რეაქციითაა გამოწვეული, რადგან ხშირ შემთხვევაში, ეს რეაქცია სრულებითაც არ გახლავთ ამ მღვლევარების გამოწვევი მიზეზის ადეკვატური. უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს და თქვენ სულ რამდენიმე წუთში გაარკვევთ, რამდენად განონასწორებული ადამიანი ბრძანდებით.



ამას რომ ელტვოდეთ, კანდიდატურებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა თუ გექნებოდათ?)

1. ღიზიანდებით თუ არა, როცა თქვენი თანდასწრებით ვინმე უხერხულ სიტუაციას ქმნის ან სისულელეებს სჩადის?

- ა) დიახ, საკმაოდ ხშირად — 10;
- ბ) იშვიათად. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, სხვების უსაქციელობაზე თვალი დავხუჭო — 5;
- გ) თითქმის არასოდეს. ჩემი აზრით, სიბრაზე და გაღიზიანება, საკმაოდ ცუდად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომ ვცდილობ, ცხოვრებას ქრისტიანული მიმტევებლობით მივუდგე — 0.

2. ღამით ზოგჯერ უსიამოვნო განგაშის გრძობა ხომ არ გაღვიძებთ ხოლმე, რასაც თან ახლავს გულის გამალებული ძვრა?

- ა) არა, ასეთი რამ არასოდეს განმიცდია — 0;
- ბ) დიახ, ასე შემართება ხოლმე, როცა რაიმე პრობლემები მაქვს — 3;
- გ) ძალიან ხშირად. უკვე კარგა ხანია, რაც ძველებურად მშვიდად აღარ მძინავს — 7.

3. ხდება თუ არა ისე, რომ საკუთარი აზრის დასაცავად ხმამაღალ კამათზეც კი არ იხევთ უკან?

- ა) დიახ, მაგრამ ტონს საკმაოდ იშვიათად ვუწევ — 5;
- ბ) არა, თუმცაღა თავის შეკავება ზოგჯერ ძალიან მიჭირს — 8;
- გ) რა თქმა უნდა, ხდება. ჩემი აზრით, პერიოდულად ხმამაღალი კამათის მემშვეობით, ადამიანი დაგროვილი უარყოფითი ენერგიისგან თავისუფლდება — 0.

4. გაკმაყოფილებთ თუ არა საკუთარი აღნაგობა?

- ა) არა. მიმაჩნია, რომ ადრე უკეთესი აღნაგობა მქონდა — 5;
- ბ) პრინციპში, მხედველობაში თუ არ მივიღებთ რამდენიმე დეტალს, საკუთარი აღნაგობა მაკმაყოფილებს — 2;
- გ) დიახ და არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი — 0.

5. ვთქვათ, პარტნიორთან თქვენი ურთიერთობა კრახით დამთავრდა; როგორ ფიქრობთ, მოგეცემათ თუ არა რამდენიმე ახალ კანდიდატურას შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა? (იმ შემთხვევაში, თუკი ამჟამად მარტო ხართ, როგორ ფიქრობთ,

- ა) არა. ვფიქრობ, შესაფერისი კანდიდატურის შესარჩევად საკმაოდ დიდი დრო დამჭირდება — 5;
- ბ) რამდენიმე კანდიდატურა არსებობს, მაგრამ ეს ადამიანები ჩემთვის საინტერესო არ არიან — 3;
- გ) ფართო არჩევანის შესაძლებლობა მაქვს — 0.

6. რამდენად ხშირად გესიზმრებათ კოშმარები?

- ა) თითქმის არასოდეს — 0;
- ბ) ხანდახან მესიზმრება — 5;
- გ) თვეში, სულ ცოტა, ერთ კოშმარულ სიზმარს მაინც ვნახულობ — 10.

7. გყავთ თუ არა საიმედო მეგობრები და მიგაჩნიათ თუ არა, რომ გაჭირვების უამს ისინი მხარში ამოგიდგებიან?

- ა) რა თქმა უნდა, მყავს — 0;
- ბ) ძირითადად, ჩემ ირგვლივ ახლო ნაცნობები და ამხანაგები ტრიალებენ — 3;
- გ) არა, მხოლოდ საკუთარი თავისა და ძალების იმედი მაქვს — 5.

ტესტის შედეგები

0-17 ქულა: ძალზე მშვიდი და განონასწორებული ადამიანი ბრძანდებით. გაქვთ ის შინაგანი პარმონია, რომლისკენაც სხვები მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მიილტვიან და მაინც ვერ აღწევენ. გაუფრთხილდით თქვენს მდგომარეობას და ფიზიკურ მდგომარეობას და მომავალშიც სათანადოდ იზრუნეთ საკუთარ სულსა და ორგანიზმზე.

18-35 ქულა: თქვენს სულიერ წონასწორობას, შეუმჩნევლად, მაგრამ რაღაც მაინც ემუქრება; მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ფსიქოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას ჯერ კიდევ ახერხებთ, შეეცადეთ გაარკვიოთ, მაინც რა თრგუნავს თქვენს სულს. ვინაიდან, შინაგანი პარმონიას მხოლოდ

ამის გარკვევის შემდეგ მოიპოვებთ.
36-50 ქულა: თქვენი დღევანდელი სულიერი მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ მიძინებული ვულკანის მოსალოდნელ გამოღვიძებას — ცოტაც და, ვულკანი ამოიფრქვევას ამ ეტაპზე, გააზრებული გამაჯანსაღებელი კურსის გავლა, ძალზე მნიშვნელოვანია თქვენი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობისთვის. ყოველდღიური წვრილმანი უსიამოვნებები ძალზე ახლოს მიგაქვთ გულთან და სულ უბრალო რამეზეც კი ღიზიანდებით. სანამ დროა. ხელიდან ნუ გაუშვებთ საკუთარ ნერვული სისტემის მოწესრიგების შანსს, ვინაიდან, მერე შესაძლოა, უკვე გვიან იყოს!

ჭოროს კოპი

(30 თქტომხუნი - 5 ნოემბერი)

ფაქტი

ხანგრძლივი მოგზაურობა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს და შესაძლოა, ძალზე დამქანცველი აღმოჩნდეს. სასიყვარულო კავშირის განწყვეტის შემთხვევაში, ყველაფერი მშვიდად წარიმართება. ერიდეთ ფიზიკურ გადაღლას.

კუჩრო

ენტუზიაზმით მოჰკიდებთ ხელს ახალ საქმეებს და დასვენება არც გაგახსენდებათ, რაშიც ჯანმრთელობაც გინცობთ ხელს. საქმიანი და სასიყვარულო პარტნიორები დიდ დახმარებას გაგიწევენ. გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით, რადგან სწორ არჩევანს თქვენი მომავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

სხუხუცი

დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ახალი სასიყვარულო ურთიერთობისკენ გიბიძგებთ. საქმიანობაში გამბედაობას გამოიჩინეთ და ხელმძღვანელობის შექებასაც დაიმსახურებთ. არ გადაიღალეთ — თქვენი ენერგოპოტენციალი დაქვეითებულია. ყოფითი პრობლემების მოგვარება ბევრ დროს წაგართმევთ.

კიჩქობი

ენერგეტიკული მდგრადობა არსებული სიტუაციის შეცვლის სურვილს გაგიჩენთ. ოჯახურ და სასიყვარულო ურთიერთობებში შესაძლოა, სიტბო მოგაკლდეთ. წარმატებას მოგიტანთ თავისუფალი, შემოქმედებითი საქმიანობა. ადამიანებთან ურთიერთობისას გირჩევთ, უფრო მეტად დიპლომატიური იყოთ.

ღოფი

ბევრი შეხვედრა და მოლაპარაკება შესაძლოა, თქვენთვის დამლული აღმოჩნდეს, ამიტომ ეცადეთ, შეძლებისდაგვარად კარგად დაისვენოთ. საყვარელ ადამიანთან ძალაუფლების დემონსტრირებას ნუ დაიწყებთ, თორემ მასთან ურთიერთობა გაგართულდება.

ჭანჭუცი

წარმატებას მიაღწევთ ყველა სფეროში, რომელიც ერთობლივ ღონისძიებებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და იურიისპრუდენციასთანა დაკავშირებული. გირჩევთ, ხშირად შეხედეთ საყვარელ ადამიანს. კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად, ახალი სანაცნობო წრის შესაქმნელად.

სახსრობი

ლამაზი ნივთების შექენასთან დაკავშირებული დანახარჯი გელით. შეყვარებულთან იდეალური ურთიერთობის დამყარება თქვენზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ შესაძლებელია, თქვენს პირად ცხოვრებაში ნათესავები ჩაერიონ...

მორიფი

აქტიურად ჩაებმებით ახალი პროექტების განხორციელებაში, შეიმუშავეთ პერსპექტიულ გეგმებს. თქვენი ორიგინალური აზროვნება გარშემო მყოფთა მონონებას დაიმსახურებს. ოჯახური სიმყუდროვე და რომანტიკული განწყობილება სულიერ კმაყოფილებას მოგიტანთ.

მფიფიფი

დაულალავი შრომითა და კეთილსინდისიერების წყალობით, თანამშრომელთა პატივისცემას მოიხვეჭთ და შემოსავალიც გაგზრდებათ. სასიყვარულო ურთიერთობებისთვისაც კარგი პერიოდი გაქვთ. შესაძლებელია, უცხოეთიდან მიწვევაც მიიღოთ.

თხის ჩუხ

შეხვედრები, მოგზაურობა, უამრავი ინფორმაცია და საბუთებთან მუშაობა ბევრ დროს წაგართმევთ. კარგი პერიოდია ახალი საქმეების წამოსაწყებად და სამოგზაუროდ. ეცადეთ, მუდამ საყვარელი ადამიანის გვერდით იყოთ.

მფიფიფი

ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა უმეტესად, ფინანსურ საკითხებთან იქნება დაკავშირებული. ამასთანავე, მოგეცემათ შესაძლებლობა, გაიღრმავოთ ცოდნა, თუ ამას თავად ისურვებთ. ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იქნება აქტიური დასვენება.

თფფფი

ოჯახის რომელიმე წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა გარკვეულ ხარჯს გაგანვიწინებთ, მაგრამ ეს ხელს არ შეგიშლით ახალი საქმის დაწყებას ან სამსახურის შეცვლაში. კოლეგებისა თუ ფარული მტრების ხრიკებს თქვენდა სასიკეთოდ გამოიყენებთ.

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

6	7	3	5	9	4	2	1	8
2	9	8	3	7	1	5	4	6
1	4	5	6	8	2	3	7	9
8	3	2	9	1	5	7	6	4
9	6	1	4	2	7	8	3	5
7	5	4	8	6	3	9	2	1
4	2	7	1	5	8	6	9	3
5	1	9	7	3	6	4	8	2
3	8	6	2	4	9	1	5	7
6	4	2	7	1	8	3	5	9
7	9	5	2	3	4	8	6	1
3	8	1	9	6	5	7	4	2
1	2	6	4	9	3	5	7	8
9	5	8	6	7	1	2	3	4
4	7	3	5	8	2	9	1	6
5	6	4	8	2	7	1	9	3
2	1	9	3	5	6	4	8	7
8	3	7	1	4	9	6	2	5
7	3	9	2	8	6	5	4	1
1	8	2	5	3	4	6	7	9
6	5	4	7	1	9	8	3	2
9	6	5	1	7	3	2	8	4
3	4	1	9	2	8	7	5	6
2	7	8	6	4	5	1	9	3
5	9	7	3	6	2	4	1	8
4	2	3	8	5	1	9	6	7
8	1	6	4	9	7	3	2	5

სუდოკუსი

იაპონური სენსაცია

მ ა ტ ი ა

		6	8				2	3
	5		7				1	
	2		6					8
	9			1			8	
	8		3	7			1	
	7			8			3	
5			4				7	
		4					7	5
6	1						8	2



ს ე ა მ ა

			8			6	5	
	3			1				6
	5			4				
4			6	2				9
		6		7		3		
7					3			8
				6			5	
								5
3				5			1	
		7	9				4	

მ ე ა მ ა

			8			1		5
			6					8
	1				7			2
	5				2	7		
		4	7				9	
		1	8		9		4	
8			9					3
7					3			
	3	4				6		

ფოტოკუჩიოზები



სახალხო ბანკი



6²²/42

ანაბრების აქცია “კომიტივი”

+2% საჩუქრად ყველას

თანხის გატანა ნებისმიერ დროს

5-ჯერ მეტი შანსი მოიგო:

5 ბინა თბილისში

50 კრიზი

500 საჩუქარი

პირველი გათამაშება - 2008 წლის 27 დეკემბერს

